კვირის პალიტრა

მზე

№24 (418) 12 [illegible] 2008
ფასი 80

¡ნახე სიახლე „ცხოვრება“!

18 წლის ტელეწამყვანი „მის მსოფლიოს“ დაპყრობას აპირებს

„ერთმანეთის ვერ ვშორდებით...“

დიტო და ქეთი საჩუქრებს ყიდიან

ქართველების დაბეჭნილი სიყალბე და ოგია ოსელიანის რეალისტური ცდა

ორთაბრძოლები გრძელდება...

თეატრში გაცხენილი რესტორანი და საფრთხე, რომელიც „სარდაფს“ ემუქრება

მიძინებული გრძნობა – მეგობრის ცოლზე შეყვარებული მოხუცი

ISSN 1987 - 5029

იტალ - დეკორი

კანდელაკის ქ. 65 ტელ: 381240 : 384433

დეკორატიული საღებავები
და ბათქაშები იტალიიდან

Decor DIVISION OIKOS

Paint DIVISION OIKOS

Façade DIVISION OIKOS

OIKOS

ქვირის პალიტრა
ვეკა
№24 (418)
12 - 18 ივნისი, 2008 წ.
ფასი 80 თეთრი

წიგნი, რომელმაც გია ცაგარეიშვილზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა

ბევრი საყვარელი მწერალი ჰყავს და პერიოდულად მათ ნაწარმოებებს უბრუნდება. კონსტანტინე გამსახურდიას „დავით აღმაშენებელი“ 4-ჯერ აქვს წაკითხული. ლიტერატურული პერსონაჟებიდან მეგობრად ვაჟა-ფშაველას ალუდა ქეთელაურს ირჩევს.

22

ფეხმძიმე მომღერალი

„რაღაც-რაღაცები ვუყიდე. მაგალითად, „ბოდები“ და პერანგები. რომ ვუყურებ, მეცინება. ვფიქრობ, ნუთუ, მართლა ასეთი პატარა დაიბადება ჩემი შვილი-მეთქი?!“

24

■ მინიატურები
დიდი ფეხბურთი და პატარა საქართველო ანუ სპორტულ-პოლიტიკური პარალელები 5
■ პოლიტიკა
ორთაბრძოლები გრძელდება... 6
■ კულისები
თეატრში გახსნილი რესტორანი და საფრთხე, რომელიც „სარდაფს“ ემუქრება 10
■ ჟურნალისტის როლში
ქეთი და დიტო საჩუქრებს ყიდიან 12
■ ფაქტი და კომენტარი
„ეს რეალური შოუც დანარჩენებივით არაობიექტური იყო...“ 14
■ დაიჯესტი 15
■ სამეფო
მიწიერი ღმერთების დინასტიის დასასრული 18
■ თემა
მიძინებული გრძნობა 19
■ ერუდიტი
წიგნი, რომელმაც გია ცაგარეიშვილზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა 22
■ ერთი დღე
ფეხმძიმე მომღერალი, „საკუთარი“ ყავა და ნინი შერმადინის მიერ მომზადებული მწვანე ლობიო 24
■ სახე
18 წლის ტელეწამყვანი „მის მსოფლიოს“ დაპყრობას აპირებს 26
■ კოლორიტები
ნიაზ დიასამიძის ძაღლი „ჩათლაშკა“, კოსტა ხეთაგუროვის ძეგლი ვერაზე და ოპერის ბაღში მოთამაშე ზურაბ ანჯაფარიძე 28
■ ანტიდეპრესანტი 30
■ აღსარება
შეურიგებელი ანა (გაგრძელება) 32

გამოუსწორებელი შეცდომა

ხოლოლი მამაკაცები ქალებს ხიკაშეცლ მამაკეშეიქია

ილეტლიან, ქალიანი მამაკაცები ყი „ეკიმ“ ამ ეშეიქიან.

პრობლემა

39-70

– მე არა მგონ შემინარჩუნა სიცოცხლე – უპასუხა მუროჩიმ.

– შენ ის მაზე რაც გუშინ მოხდა და არაფერი გითქვამს იმ დღეზე როცა დამშორდი. რა მოხდა ივრის ჭალაში? რაგომ არ დბრუნდი უკან და რაგომ ვერ მოგებენა ბერდიამ?.

ან სად გაქრი ოცი წლით და რა გადაგხდა? – ჰკითხა უშიშმ

– რა მოხდა იმ დღეს და რა გადამხდა იმ ოცი წლის განმავლობაში?.. – თავისთვის ჩაილაპარაკა მუროჩიმ. მერე ნაიარევი ყურიმალი მოისინჯა და ფიქრს მიეცა.

82

■ სასიძო
„დასტოინი“ ქართულ-ევროპული ქორწილი
და დაგეგმილი საქორწინო მოგზაურობა 34
■ ნამდვილი ამბავი
„ყოფნა-არყოფნა — საკითხავი აი, ეს არის!..“ 36
■ ჯანმრთელობა
✓ გახსოვდეთ საკუთარი გული! 37
✓ ჩრდილოეთკორეელი ბავშვები იდუმალი
სენისგან იხოცებიან 38
■ ქურნალი ქურნალში
✓ ცხოვრება 39
✓ გზავნილები 55
■ არაჩვეულებრივი გამოფენა
„დაკარგული თაობის“ სევდა 71
■ რომანი
სვეტა კვარაცხელია.
მორიელის ნიშანი (დასაწყისი) 74
■ ტაიმ-აუტი 78
■ საკითხავი ქალებისთვის
✓ ლამაზი წამწამები რომ გქონდეთ... 80
✓ რა განსხვავებაა კეკლუს და
ფლირტის მოყვარულ ქალს შორის? 80
■ ისტორიული რომანი
გოჩა მანველიძე. დიდგორის ცაზე ფრენდა
ის ჯვარი (გაგრძელება) 82
■ ქართველი მილიონერები
უმდიდრესი ემიგრანტები (გაგრძელება) 86
■ იუბილარი
ქართველების დახვეწილი სიყალბე და
ოტია იოსელიანის რეალისტური ხედვა 88
■ თანამემაულენი
უცხოეთის ცის ქვეშ 89
■ ტაქარი
სასწაულმოქმედი ხატი, რომელმაც
უამრავი ადამიანი განკურნა 90
■ თინეიჯერული პონტები
✓ „ქატების კონკურსი“, „ეშვებიანი“
პროდიუსერი და ქართული „ვარსკვლავომანია“ 91
✓ როგორ უნდა მოექცე ტირან ბიძიას 93
■ ვარსკვლავები
✓ რიდლი სკოტი სამეცნიერო-ფანტასტიკურ
ქანრს უბრუნდება 96
✓ მეთ დეიმონი კლინტ ისტვუდმა
როლზე მიიწვია 96
✓ ვოკალისტს სექსუალურ
ძალადობაში ადანაშაულებენ 96
■ ბელადი
მხედართმთავარი სტალინი (გაგრძელება) 98
■ ასპარეზი
„ქართველ მოთამაშეებს გამარჯვებულის
ფსიქიკა უნდა ჩამოუყალიბდეთ“ 100
■ სპორტმოზაიკა 101
■ ავტო 103
■ სკანვორდი 104
■ ტესტი 105
■ პროგნოზი 106

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

ლამაზი წამწამები რომ გქონდეთ...

დილით გაკეთებული მაკიაჟი, ძილის წინ აუცილებლად მოიცილეთ კოსმეტიკური რძის საშუალებით. წამწამების მოვლა ზეითუნის ზეთის რეგულარული გამოყენებით დაიწყეთ.

80

მიძინებული გრძნობა

„ძალიან გამიჭირდა, მაგრამ ახალი ცხოვრების დაწყება ვცადე. მალე თაყვანისმცემელი გამომიჩნდა. თავი ვაიძულე, ჩემი ბავშვობის სიყვარული გულის სილრმეში შემენახა და სხვაზე გავთხოვდი.“

19

Seurigebeli ana

— ანა-მარია სადაა?

— სძინავს. წესით, მალე უნდა გაიღვიძოს და ნახავ, რა საოცრებაცაა.

— როგორ გავაგებინო რამე? — შევწუხდი.

— ქართული ესმის, მის ნათქვამს კი მე და ქანეტი გითარგმნით...

32

მორიელის ნიშანი



უკვე ორი მანქანა აუფეთქეს და სახლში ოთხჯერ მიუცვივდნენ მოკვლის მიზნით. ახლა ამასაც არ დასჯერდნენ და ოჯახის წევრებზე მიიტანეს იერიში. ქალიშვილი ჰყავს, ანი, ოცდაერთი წლისაა, სტუდენტი, სამხატვრო აკადემიაში სწავლობს. ამას წინათ კი გურამის მეუღლეს დახვდნენ ქუჩაში, სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს. უკვე აღარ ვიცით, როგორ მოვიქცეთ, შენი იმედიღა გვაქვს.

74

დიდი ფეხბურთი და ჩვენი საქართველო

ანუ სპორტულ-პოლიტიკური ჩვენებლები

საქართველოს პრეზიდენტმა რუსეთის ჩვენდამი დამოკიდებულება, — უარი ვთქვათ ევროპაზე, — ასე შეაფასა: რუსეთი ბუჩქებში გვეპატიჟება და ჩვენ ამის გამოცდილება გვაქვსო. მართალია, მან 1921 წელი იგულისხმა, როცა საქართველო ბუჩქებიდან გაუპატიურებულ-გასაბჭოებული გამოვიდა, მაგრამ მას შემდეგ იყო დრო, როცა 37 მანეთად გადაფრინდებოდი მოსკოვში, „გადათელავდი ბუჩქებს“ და გამარჯვებული გამოდიოდი. ახლა ისევ დაბრუნდა უკულმართი დრო და თუ მოვდუნდით და ფეხი წაგვიცდა „ბუჩქებისკენ“, იძახე მერე, კაი ბიჭი ვარო, — ვინ დაგიჯერებს?!

იგივე ხდება საშინაო პოლიტიკაშიც: ოპოზიცია გაიძახის, მთავრობა პარლამენტში შეტყუებას გვიპირებსო და რა თქმა უნდა, „ბუჩქებს“ გულისხმობს. ოპოზიციის უარი ისეთი მტკიცე იყო, რომ თუ ახალ პარლამენტში ვინმე შეაღწევდა, არავის ეგონა, მაგრამ დაგეგმილ პიკეტირებას 3 დღით დააასწრო პრეზიდენტმა და 10 ივნისის ნაცვლად, 7-ში გახსნა სხდომა. კიდევ ერთი კოვზი ჩავარდა ნაცარში და კიდევ ერთხელ გაიბზარა ურყევი ერთიანი ოპოზიცია. ვერ გეტყვით, მოტობურთის ხმაურის ბრალია თუ „გრენლანდიის“ მძიმე პეიზაჟის, მაგრამ როგორც ჩანს, ბევრს მიუწევს გული „ბუჩქებისაკენ“ და ბევრი ვერ იტყვის უარს ოთხწლიან სადეპუტატო სიამოვნებაზე.



ეს ოხერი ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატიც იმ დროს დაემთხვა და ადამიანების სამიტინგოდ ქუჩაში გამოყვანა უფრო გართულდა — იტალია და საფრანგეთი დარბიან მოედანზე და რა დროს საქართველოა?! ევროპის ჩემპიონატი, ცხადია, უსაქართველოდ ტარდება. რას იზამ, ოპოზიციურად რომ ვიმსჯელოთ, როგორც მიშა სააკაშვილმა გააყალბა საარჩევნო კენჭისყრა და პარლამენტი თითქმის ოპოზიციის გარეშე დატოვა, ისე მიშა (მიშელ) პლატინიმ გაგვიყალბა საჩემპიონატო კენჭისყრა და „მოგვტეხა“. მართლაც, საოცარი პარალელების გავლება შეიძლება თანამედროვე ფეხბურთსა და ქართულ პოლიტიკას შორის: მიილტვის ქართული ფეხბურთი ევროპული მასშტაბებისკენ, მაგრამ ჯერჯერობით, უშედეგოდ და როგორც ბრიუსელის სამიტზე „მაპის“ ნაცვლად, ჩალა გამოგვავლეს პირში გერმანიამ და საფრანგეთმა, ისე ფეხბურთშიც, ევროპის ჩემპიონატამდე არ მიგვასუნინეს გერმანელმა მწვრთნელმა და ქვეჯგუფში — საფრანგეთმა...

რა უნდა ვქნათ?!. რა უნდა ვქნათ და, პოლიტიკის არ იყოს, ისევე, როგორც ოპოზიცია ყველაფერს ხელისუფლებას აბრალებს და არ აღიარებს, რომ ვერც თვითონ ჩაატარა მთლად მაგარი კამპანია, ასეა ფეხბურთშიც: ხომ არ ვიტყვით, თამაში არ ვიცით და იმიტომ ვერ გავედით „ევრო-2008“-ზე-თქო?! ბოიკოტი უნდა მოვუწყოთ უეფას და ჩავუშალოთ დაწყებული ჩემპიონატი, სანამ გვიან არაა. მაგის დიდოსტატები მაინც გვყავს, გავუშვათ ავსტრიასა და შვეიცარიაში, ალყა შემოარტყან სტადიონებს და იმდენს თუ ვერ იზამენ, რომ ფეხბურთელები მოედანზე არ შეუშვან, სირცხვილის კორიდორებში მაინც გაატარონ ანრი და გატუზო, მალუდა და მატერაცი — მერე ნახავენ ევროპული დემოკრატიის სიმწარეს. ასეა, ბატონებო, ალყას, ღობეს და კორიდორს ერთად ყოფნა და მტკიცე თანადგომა სჭირდება, თორემ ასეთი ერთგულება ლაზარიას მოყანყალებულ ჭიშკარს უფრო ჰგავს.

ჩემი რჩევა თუ გჭირდებათ და ალბათ, გჭირდებათ, ა, ბატონო, ალალი იყოს: წაგებული ბრძოლის გაუქმება კი არა, სწორად „ბრძოლა“ უნდა ვისწავლოთ, და იქნებ, მომავალ არჩევნებზე მაინც იხილოთ სასურველი შედეგი. მაგალითად, ისევ ფეხბურთი ავიღოთ: ყველა გუნდს, რომელიც ევროპის ჩემპიონობისთვის იბრძვის, საქართველოში ისეთი ფან-კლუბი ჰყავს, რომ მათ თანამემამულეებსაც კი შეშურდებათ. საფრანგეთს, გერმანიას, იტალიას, ჰოლანდიას და სხვა ქვეყნებს იმდენი ქართველი პატრიოტი ქომაგობს, საქართველოს საპატრიოტოდ მგონი, აღარავის სცალია.

ხომ შეიძლება, საარჩევნო ფან-კლუბებიც შევქმნათ, პარტიების მიხედვით; აიღეთ კლუბები და ბარები, დადგით მონიტორები და შემოყარეთ უფასოდ ლუდები. ნუ შეგეშინდებათ, მხარდამჭერები არ გვეყოლებაო — თქვენ დროშები და პლაკატები დაურიგეთ, უფასო ლუდი ასვით, ტელევიზორში გამოაჩინეთ და იმდენი მხარდამჭერი გეყოლებათ, რომ თქვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს და ჩვენს ბედს აღარ დავეძებთ.

ოღონდ, ერთი პრობლემაა კიდევ: ევროპელი ფეხბურთელებივით, მაგრად უნდა ვითამაშოთ ქართველებმა, ფეხბურთიც და პოლიტიკაც. ამას კი ბევრი ვარჯიში უნდა, რაც პოლიტიკოსებსაც გეზარებათ და ფეხბურთელებსაც; გოლი კი, როგორც იცით, ფეხბურთსა და პოლიტიკაშიც უძლიერესებს გააქვთ. ასე რომ, „გოლი გვინდა, ხვედელიძე, გოლი!..“

P.S. ოპოზიციის გუნდის „გასახდელში“:

— რა ხდება, ბიჭებო, რატომ ვაგებთ?!

— რა ვქნათ, „სუდია“ თარხნიშვილია და იმათ მხარეზეა: დავითაშვილს უხეში თამაშისთვის წითელი ამოუღო, გუნავა შუა მოედანზე გვიცემს და „ვერ დაინახა“, უსუფაშვილი და ხიდაშელი კი საერთოდ, ხელოვნურ თამაშგარეში დატოვა...

პროვოკატორი

ორთაბრძოლები გრძელდება...

დაამარცხა თუ არა ფსიქოლოგიურად უმრავლესობამ უმცირესობა?!

ახალარჩეული პარლამენტის პირველი სესიის ჩატარებას საზოგადოება მღელვარებით ელოდა. ექსპერტები და პოლიტოლოგები ქვეყანაში კიდევ ერთ არეულობასაც კი ვარაუდობდნენ. მაგრამ უმრავლესობამ პრობლემა ყველასათვის მოულოდნელად გადაწყვიტა — პირველი სესია დათქმულ დღეზე ადრე ჩაატარა და დიდი აქციის სამზადისში მყოფი ოპოზიცია გაოცებული დატოვა. განხეთქილება, რომელიც საპარლამენტო არჩევნების შემდეგ თანდათან იზრდებოდა, სესიის შემდეგ კიდევ უფრო შესამჩნევი გახდა... შევეცადეთ გაგვერკვია, მიაყენა თუ არა სააკაშვილის გუნდის გადაწყვეტილებამ ოპოზიციურ ძალებს ფსიქოლოგიური მარცხი, რატომ „თამაშობს“ ოპოზიციის რეიტინგი და რა შანსი ვერ გამოიყენა ეროვნულმა საბჭომ.

ლალი პაპასკირი

ნოდარ სარჯველაძე, *ფსიქოლოგი, პოლიტოლოგი:*

— გამარჯვებისა და დამარცხების კრიტერიუმი არის მიზანი. ამ შემთხვევაში კი ფაქტია, რომ ხელისუფლებამ ოპოზიცია ფსიქოლოგიურად დაამარცხა, თუმცა ეს სულაც არ იყო ხელისუფლების ძლიერებით განპირობებული. რამდენადაც ოპოზიცია არაორგანიზებულად და შეუთანხმებლად მოქმედებდა, იმდენად შემტევი და წინდახედული აღმოჩნდა სახელისუფლებო უმრავლესობა... რაც შეეხება რეიტინგის საკითხს — ოპოზიციის რეიტინგის ვარდნა ჯერ კიდევ საპარლამენტო არჩევნებამდე დაიწყო, როცა არჩევნების გაყალბების შემთხვევაში სახალხო აჯანყებაზე ალაპარაკდნენ. ოპოზიციონერებს იმაში არ ვამტყუნებ, რომ ისინი ჯერ კიდევ არჩევნებამდე ვარაუდობდნენ — გაყალბება გარდაუვალიაო: ხელისუფლების ქცევიდან გამომდინარე, ეს მოსალოდნელიც იყო. მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი აჯანყებაზე ლაპარაკი არ უნდა დაეწყოთ. ამით თვითონ გაიფუჭეს საქმე: ხალხს დაანახვეს, რომ სხვა, უკეთესი გამოსავლის მოფიქრება ვერ შეძლეს. გარდა ამისა, როცა აჯანყებაზე საუბრობდნენ, თვითონაც არ სჯეროდათ ამის. ეს ისე, ჰაერზე ნათქვამი მუქარა იყო. ეგონათ, რომ ამით ხელისუფლებას შეაშინებდნენ.

— მაშინ მათ განმარტეს კიდეც, რომ ჯანყი არჩევნების არაობიექტურად ჩატარების შემთხვევაში მოხდებოდა და იმ ხალხს ჰპირდებოდნენ თანადგომას, ვისაც ხელისუფლება არჩევანის საშუალებას წაართმევდა...

— დიახ, მაგრამ გააჩნია, რა ფორმით. ხალხს, რომელსაც უამრავი პრობლემა აწუხებს, შეუძლებელია, აჯანყება აძლევდეს ხელს და ამ იდეას აჰყვეს. ოპოზიციონერი პოლიტიკოსი რომ ხარ, შენს ხალხს იმაზე უკეთესი რამ უნდა შესთავაზო, ვიდრე ხელისუფლების პოლიტიკაა. მოსახლეობის უკმაყოფილება ხელისუფლების არასწორმა პოლიტიკამ, უფლებების დარღვევამ თუ მძიმე სოციალურმა პირობებმა გამოიწვია, ამიტომ გამოვიდა საზოგადოება ქუჩაში. ოპოზიციამ კი, იმის მაგივრად, რომ ეს ყველაფერი განეჭვრიტა და სიტუაციიდან უკეთესი გამოსავალი შეეთავაზებინა, გაუბედურებულ ხალხს ისევ აჯანყებაზე დაუწყო ლაპარაკი. გამოცდილება გვაქვს, რომ აჯანყებას ნგრევის მეტი არაფერი მოაქვს. ხალხს მნგრეველი კი არა, მშენებელი ოპოზიცია უნდოდა. ხელისუფლებამ ისეთი სვლა გააკეთა, რომ ოპოზიციის იდეა ბოლომდე დაანგრია და მოწინააღმდეგე პოლიტიკური ძალა „მშრალზე“ დატოვა. გარდა იმისა, რომ ამით ხელისუფლებამ მოსალოდნელი არეულობა აიცილა თავიდან, ოპოზიციას კიდევ ერთხელ დაანახვა, რომ პოლიტიკაში გამჭრიახობა და წინდახედულება ყველაზე კარგი იარაღია და ნებისმიერი ასეთი აბსურდული ინიციატივის წამოყენების შემთხვევაში, ისინი აუცილებლად დამარცხდებიან.

— ოპოზიციაში არსებული განხეთქილება უკვე ყველასთვის შესამჩნევი გახდა. ეს ხელისუფლების „მუშაობის“ შედეგია თუ პრობლემა ერთიან ეროვნულ საბჭოში უნდა ვეძებოთ?

— თუკი დაშლას გულისხმობთ, ეროვნული საბჭო პრაქტიკულად, დაშლილია. მართალია, მას „ერთიანი“ ერქვა, მაგრამ სინამდვილეში სულაც არ იყვნენ ერთად. უბრალოდ, თავს იტყუებდნენ (შეგნებულად არ ვამბობ, — საზოგადოებას ატყუებდნენ-მეთქი).

ნოდარ სარჯველაძე:

„დღევანდელი უმრავლესობით „აღფრთოვანებული“ ვარ და ძალიან ვწუხვარ, რომ ამის თქმა მიწევს, მაგრამ რეალობა ასეთია. მოსახლეობა არ ენდობა ხელისუფლებას, მაგრამ დაშვებული შეცდომების შემდეგ, მის ნდობას არც ოპოზიცია იმსახურებს. საპარლამენტო უმრავლესობა, ასე თუ ისე, მაინც ძლიერია და ხალხის განწყობილება მასზე მეტ-ნაკლებად აისახება, სუსტი ოპოზიციისთვის კი, საზოგადოების მხრიდან ნდობის დაკარგვა შესაძლოა, მომაკვდინებელი აღმოჩნდეს“.

ახლა კი, როცა პარლამენტის გარეთ, ქუჩაში დარჩნენ, არავითარ ძალას არ წარმოადგენენ. რაც შეეხება დაშლის მიზეზსა და ხელისუფლების მიმართ გამოთქმულ ბრალდებებს, — რა თქმა უნდა, მათი დაშლა და დამარცხება ხელისუფლების ინტერესებში შედის, მაგრამ ოპოზიციის ქცევა სრულიად არათანამიმდევრული, გაუაზრებელი და მცდარ პოსტულატებზე აგებული იყო. ახლა აცხადებენ ყოფილ თანამებრძოლებზე, — ხელისუფლების მიერ „შექმნილი“, ფსევდოოპოზიციონერები იყვნენო. ასეც რომ იყოს, პოლიტიკა — ბრძოლაა და გამარჯვებული ის რჩება, ვინც შორს გამიზნულ სვლებს აკეთებს... უკაცრავად, მაგრამ მათი ქმედებების სხვანაირად შეფასება არ შემიძლია... ამ ყველაფერს კი ბოლო დროს ერთმანეთის ლანძღვა-გინებაც დაემატა. როგორც ჩანს, ამ ხალხს წარმოდგენა არა აქვს, რომ პოლიტიკოსისთვის დიპლომატია და ზომიერება აუცილებელი თვისებებია.

— თქვენი აზრით, ასეთი სუსტი ოპოზიციის ფონზე, ხელისუფლების ქმედებები უფრო დამაჯერებლად გამოიყურება?

— ნაწილობრივ. ყოველ შემთხვევაში, ოპოზიციამ საბოლოოდ დაამტკიცა, რომ არ წარმოადგენს იმ ძალას, რომელიც შეცვლის ხელისუფლებას. დღევანდელი უმრავლესობით „აღფრთოვანებული“ ვარ და ძალიან ვწუხვარ, რომ ამის თქმა მიწევს, მაგრამ რეალობა ასეთია. მოსახლეობა არ ენდობა ხელისუფლებას, მაგრამ დაშვებული შეცდომების შემდეგ, მის ნდობას არც ოპოზიცია იმსახურებს. საპარლამენტო უმრავლესობა კი ასე თუ ისე, მაინც ძლიერია და ხალხის განწყობილება მასზე მეტ-ნაკლებად აისახება, სუსტი ოპოზიციისთვის კი საზოგადოების მხრიდან ნდობის დაკარგვა შესაძლოა, მომაკვდინებელი აღმოჩნდეს.

— რა გზა დარჩა ოპოზიციას, ბრძოლის გასაგრძელებლად?

— ძნელი სათქმელია. ჩემი აზრით, მათ საკუთარი თავი ამოწურეს. მათი რეანიმაცია, ფსიქოლოგიურადაც კი შეუძლებელია. ხელისუფლების ნაბიჯს მათ ვერაფრით უპასუხეს. სახალხო აჯანყების იდეა ჩავარდა. რამდენ ხანსაც უნდა აფრიალონ ეს მანდატები და ჭრან, ამით თავს ვერავის შეაცოდებენ და მით უმეტეს, ვერც მოაწონებენ. ყველაზე კარგი გზა — დამარცხების აღიარებაა, რაც ერთგვარი ვაჟკაცობაც არის, მაგრამ ხალხის მხარდაჭერას ვერც ამ ნაბიჯით მიიღებენ.

*ნოდარ სარჯველაძის აზრს არ იზიარებს გაერთიანებული საბჭოს ერთ-ერთი წევრი — **დავით საგანელიძე**. მისი თქმით, პოლიტიკური ბლოკიდან ისეთი სახეების წასვლა, როგორებიც არიან: გია თორთლაძე, პაატა დავითაია და გია ცაგარეიშვილი, დიდი დანაკლისი არ ყოფილა, რადგან „დიდ პოლიტიკურ ავტორიტეტს“ ისინი არ წარმოადგენენ. უფრო მეტიც — „მემარჯვენე“ საგანელიძე პოლიტიკურ ორგანიზაციას „სამედიცინო ასპექტში“ განიხილავს და აცხადებს, რომ ნებისმიერი ორგანოს ჯანმრთელობისთვის, დაავადებული ნაწილების მოკვეთა აუცილებელია...*

— ახლა დაიწყება და აღარ დასრულდება დეზინფორმაცია — რომ ხელისუფლება ოპოზიციასთან დიალოგს აწარმოებს, პარლამენტში ადგილებს სთავაზობს და ა.შ. სინამდვილეში, ხელისუფლებამ წარმოაჩინა ისინი ოპოზიციურ ძალებად, მათივე სატელევიზიო არხებმა დააპიარეს და „შექმნეს“ მათგან ოპოზიციონერები. მაინტერესებს, გიორგი თარგამაძეა ოპოზიცია, ცაგარეიშვილი თუ დავითაია?..

— ბატონო დავით, ეს ხალხი ერთ დროს თქვენ გვერდით იდგა და ერთიანი ეროვნული საბჭოს აქტიურ სახეებსაც წარმოადგენდა. ეს არაფერს ნიშნავს?

— ჩვენ გვერდით რომ იყვნენ, ეს არ ნიშნავს, რომ ოპოზიციას წარმოადგენენ. ახლა ხომ ყველამ კარგად დაინახა, სინამდვილეში ვინ არიან ისინი?!. საზოგადოება მიხვდა, რეალურად, ვინ არის ოპოზიცია და ორმაგ თამაშს ვინ ეწეოდა. ამ ხალხმა აქამდე ვერ გადაწყვიტა, სად უნდა დამდგარიყო. სიტუაციას უყურებდნენ — თუ რომელ მხარეს გადახრა მოუტანდა მათ კეთილდღეობას... ქართული ფილმი მახსენდება — „შეხვედრა წარსულთან“: იქ ერთი ქალია, სამწუხაროდ, სახელი არ მახსოვს; თუ ბოლშევიკებმა გაიმარჯვეს, გიორგის ცოლი უნდა გახდეს, თუ მენშევიკებმა — აკიასი... ასეთი ხალხის ბლოკში ყოფნა ჩვენს ერთიანობას არ წყვეტს. როცა ეს ხალხი ბედავს და საზოგადოებას ემუქრება, — მალე გაიგებთ, რა გადაწყვეტილებასაც მივიღებთო, — სასაცილოა. მაინტერესებს, ხელისუფლებას, რომელსაც დემოკრატიული სახელწიფოს მშენებლობაზე აქვს პრეტენზია, რაში სჭირდება ასეთი ფსევდოოპოზიცია? როგორ შეიძლება, ყველაფერი მოჩვენებითი იყოს ამ ქვეყანაში?!. გიორგი თარგამაძეს, რომლის პარტიამაც ძალიან მოკლე ხანში მნიშვნელოვანი ფინანსების მოზიდვა შეძლო და საპარლამენტო არჩევნებამდე ისეთ ძალას წარმოადგენდა, რომელსაც შეეძლო, ხელისუფლება ყველანაირ დათმობაზე „წაეყვანა“, ახლა ვიცე-სპიკერის თანამდებობას სთავაზობენ. წინა მოწვევის პარლამენტში ოპოზიცია იმხელა ძალას წარმოადგენდა და თუ ხელისუფლებას ჩვენთან რეალურად თანამშრომლობა სურდა, მაშინ რატომ ვერ შეელია ერთ კომიტეტს? ან მაშინ რატომ არ „გააჩინა“ ეს თანამდებობა? ამ ძალის მთავარი მიზანია, ქართველ საზოგადოებას თვალი აუხვიონ, მაგრამ ვერ ეღირსებიან...

დავით საგანელიძე:

„ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, გაერთიანებისთვის ხელი რომ მოგვეწერა, რადგან ეს საზოგადოების მოთხოვნა იყო. სწორედ იმიტომ შეურთდა ჩვენი პარტია ამ პოლიტიკურ სუბიექტს: ამით ყველას დავანახვეთ, რომ „მემარჯვენეებს“ ამბიციები არ ჰქონდათ და თუ ქვეყანას დასჭირდებოდა, მის საკეთილდღეოდ, ყველაფერს გააკეთებდა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამ საბჭოში ისეთი ადამიანებიც იყვნენ გაერთიანებული, ვინც მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობდა და მათ სინდისზე იყოს. მე პროფესიით ქირურგი ვარ, ონკოლოგი; თუ ორგანიზმში სიმსივნეა, ჯანმრთელი ორგანოების გადასარჩენად, დაავადებული ორგანოები უნდა ამოიღო და გადააგდო...“

— ერთიან ეროვნულ საბჭოში დარჩენილი ძალა რას აპირებს?

— რაც შეგვეხება ჩვენ, — ასე თუ ისე, გავაგრძელებთ კონსტიტუციური მეთოდებით ბრძოლას ამ „მარაზმი“ ხელისუფლების წინააღმდეგ და ერთ რამეს გეტყვით: რა თქმა უნდა, დღეს და ხვალ არა, მაგრამ ადრე თუ გვიან, ხელისუფლების სათავეში უეჭველად მოვალთ.

— მაშ, გაერთიანებული ოპოზიციის დაშლაზე ლაპარაკი უსაფუძვლოა?

— ასეა. ეს ბლოკი არ იყო იმ ადამიანებზე დაყრდნობილი და მათი წასვლით, ტრაგედია არ მოხდება. მე თუ მკითხავთ, მათი წასვლა ბლოკის „გასუფთავებას“ უფრო ნიშნავს.

— თუმცა, ალბათ დამეთანხმებით, რომ მსგავსი ტიპის „გასვლა-შემოსვლა“ ოპოზიციის რეიტინგზე უარყოფითად აისახება. საზოგადოების მხარდაჭერას ვგულისხმობ...

— ვერ დაგეთანხმებით. ამ ხალხის წასვლით ჩვენს ორგანიზაციას არაფერი დაუკარგავს, მით უმეტეს, რომ ეს ადამიანები დიდი პოლიტიკოსები არასდროს ყოფილან. ამ პრობლემას ხელისუფლება ხელოვნურად ქმნის, უნდა, როგორმე თავი გაიმართლოს საზოგადოების წინაშე და ჩვენ უვარგისებად წარმოგვაჩინოს. თავის მხრივ, მისი ფავორიტები ყველაფერზე მიდიან, რომ როგორმე, პარლამენტარის მანდატი ჯიბეში ჩაიდონ, ხელფასი აიღონ, პრივილეგიებით ისარგებლონ და ყველაფრისთვის მზად არიან. ხელისუფლებას ევაჭრებოდნენ თურმე, — თუ ამ პოსტს და საჭირო პირობებს შემიქმნით, ამას და ამას გავაკეთებთო... იმის თქმაც კი იკადრეს, გაერთიანებულ ოპოზიციაში დიქტატურა არისო. თურმე ჯონდი ბაღათურია და გია თორთლაძე ვერ ეგუებიან დიქტატურას და მე შემიძლია შევეგუო... ვიღაცის სალამურზე მოცეკვავე ადამიანს ყოველთვის შეუძლია, ასეთი უსუსური არგუმენტებით ლაპარაკი. დამოუკიდებელად მოაზროვნე ადამიანი ამის თქმას არ იკადრებს.

— როგორ ფიქრობთ — ასეთები კიდევ გყავთ ეროვნულ საბჭოში?..

— იქნებიან და — წავლენ. ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, გაერთიანებისთვის ხელი რომ მოგვეწერა, რადგან ეს საზოგადოების მოთხოვნა იყო. სწორედ იმიტომ შეურთდა ჩვენი პარტია ამ პოლიტიკურ სუბიექტს: ამით ყველას დავანახვეთ, რომ „მემარჯვენეებს“ ამბიციები არ ჰქონდათ და თუ ქვეყანას დასჭირდებოდა, მის საკეთილდღეოდ, ყველაფერს გააკეთებდა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამ საბჭოში ისეთი ადამიანებიც იყვნენ გაერთიანებული, ვინც მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობდა და მათ სინდისზე იყოს. მე პროფესიით ქირურგი ვარ, ონკოლოგი; თუ ორგანიზმში სიმსივნეა, ჯანმრთელი ორგანოების გადასარჩენად, დაავადებული ორგანოები უნდა ამოიღო და გადააგდო... უფრო მართებული იქნებოდა, ისინი უფრო ადრე გასულიყვნენ ორგანიზაციიდან, მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. ფაქტია, რომ მათი გასვლით ჩვენ არ დავიკარგებით.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი **ეკა ხერხეულიძე** *მიიჩნევს, რომ ოპოზიციამ ბრძოლა უკვე დაასრულა. ნაწილი აზრის გამოხატვას საკანონმდებლო ორგანოში განაგრძობს, იმ პოლიტიკოსთა გუნდი კი ვინც საპარლამენტო არჩევნების დროს ბარიერი ვერ გადალახა, იმდენად მცირერიცხოვანია, რომ პოლიტიკურ ძალას პრაქტიკულად, არც წარმოადგენს.*

— როგორც ჩემთვის ცნობილია, ოპოზიციის წევრებს ხელისუფლებამ, უფრო სწორად — პრეზიდენტმა შესთავაზა, კონკრეტული პოსტები დაეკავებინათ, კერძოდ: ფრაქციის ხელმძღვანელის, ვიცე-სპიკერისა და ზოგიერთი კომიტეტის თავმჯდომარისა. ამ საკითხებზე უკვე დაწყებულია კონსულტაციები, მათ უნდა იფიქრონ ამ შემოთავაზებაზე და საბოლოო გადაწყვეტილება გაგვაცნონ.

— კონკრეტულად, ვისთან მართავს საპარლამენტო უმრავლესობა კონსულტაციებს?

— მთელი იმ ოპოზიციური სპექტრის წარმომადგენლებთან, ვინც არჩევნების დროს ბარიერის გადალახვა შეძლო.

— ქალბატონო ეკა, როგორც ცნობილია, ის ოპოზიციური ძალები, რომლებიც თქვენთან არ თანამშრომლობენ, ბრძოლის გაგრძელებას აპირებენ...

— არა მგონია, ოპოზიციამ ბრძოლის გაგრძელება შეძლოს, მით უმეტეს, აქციებით. თუ მაინც გარისკავენ, ეს არ იქნება მრავალრიცხოვანი მიტინგი, ვინაიდან ერთიან ეროვნულ საბჭოში არსებული განხეთქილება უკვე ყველასთვის შესამჩნევი გახდა და რამდენდაც ვიცი, იქ იმაზე მწვავე დაპირისპირებაა, ვიდრე შორიდან ჩანს. ასევე ჩემი ინფორმაციით, ძალიან ბევრი აპირებს პარლამენტში მუშაობის გაგრძელებას. ასე რომ, მათ ბრძოლას აზრიც არა აქვს და

ეკა ხერხეულიძე:

„არა მგონია, ოპოზიციამ ბრძოლის გაგრძელება შეძლოს, მით უმეტეს, აქციებით. თუ მაინც გარისკავენ, ეს არ იქნება მრავალრიცხოვანი მიტინგი, ვინაიდან ერთიან ეროვნულ საბჭოში არსებული განხეთქილება უკვე ყველასთვის შესამჩნევი გახდა და რამდენდაც ვიცი, იქ იმაზე მწვავე დაპირისპირებაა, ვიდრე შორიდან ჩანს. ასევე ჩემი ინფორმაციით, ძალიან ბევრი აპირებს პარლამენტში მუშაობის გაგრძელებას.“

არც შინაარსიც ექნება, რადგან ცოტა ხანში ძალიან ცოტანი დარჩებიან.

— ოპოზიციის წევრების თქმით, პარლამენტში შესვლას ხელისუფლების მიერ მოსყიდული ადამიანები აპირებენ...

— ნეტავ, რაში გამოიხატება ეს მოსყიდვა?..

— თანამდებობებისა და პრივილეგიების შეთავაზებაში...

— ბარიერგადალახულ პოლიტიკოსს მოსყიდვა არ დასჭირდება. თუკი ის დაიკავებს გარკვეულ პოსტს, ამის ღირსიც იქნება, რადგან ის ამისთვის სამი თვის განმავლობაში იბრძოდა.

— თქვენი აზრით, ოპოზიციონერი პოლიტიკოსი, მას შემდეგ, რაც გარკვეულ თანამდებობას დაიკავებს, რამდენად შეძლებს დამოუკიდებლად მუშაობას?..

— თანამდებობა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მან დამოუკიდებლობა დაკარგოს. თუ ვინმეს ამის შიში აქვს, შევახსენებ, რომ დემოკრატიულ ქვეყანაში ნებისმიერ ადამიანს თავისუფლების შენარჩუნება საკანონმდებლო ორგანოში კი არა, თითქმის ყველა სიტუაციაში შეუძლია.

■

გია თორთლაძე, პოლიტიკოსი::

– ჟურნალ „გზაზე“ მხოლოდ დადებითის თქმა შემიძლია. ძალიან მომწონს. ამიტომ, ვცდილობ, არც ერთი ნომერი არ გამოვტოვო. თუმცა აქვე გამოგიტყდებით, ბოლო დროს (არჩევნების პერიოდს ვგულისხმობ), „გზას“ არ გავცნობივარ. ჟურნალის რუბრიკები, სტატიები საინტერესოდ იკითხება. პირობას გაძლევთ, რომ „გზის“ კითხვას ისევ გავაგრძელებ და მერე უფრო კონკრეტულ შეფასებას მოგცემთ. გისურვებთ წარმატებებს და ტირაჟის მომატებას.

■

ოლიმპიური და ყველაზე სპორტული სასმელი

გინდა, დაეხმარო ქართულ სპორტს? დალიე „ყაზბეგი ოლიმპიური“

„ყაზბეგი ოლიმპიური“ ასე ჰქვია ახალ ბრენდს, რომელიც კომპანია „ყაზბეგმა“ სპეციალურად სპორტის დასახმარებლად გამოუშვა. ახალი პროდუქციის პრეზენტაცია სწორედ სპორტის ძველი და ახალი ვარსკვლავების მონაწილეობით გაიმართა. „ყაზბეგი ოლიმპიურის“ სარეკლამო კლიპსაც სპორტის ვარსკვლავები წარმოადგენენ და როგორც აქამდე „ყაზბეგის“ წარმოებული „ცივი ჩაის“ რეკლამირებისას, ამჯერადაც ჯანსაღი ცხოვრების წესს უწევენ პოპულარიზაციას.

კომპანიის პრეზიდენტის გოგი თოფაძის განცხადებით, „ყაზბეგი ოლიმპიურის“ გამოშვება პეკინის ოლიმპიური თამაშების წინ შემთხვევითობა სულაც არ არის, რადგან ამ აქციის მიზანია ქართული სპორტის დახმარება, რაშიც მხოლოდ ცალკეული ორგანიზაციები და კომპანიები კი არა, სრულიად საზოგადოება უნდა მონაწილეობდეს. საზოგადოება კი როგორმე უნდა მიეჩვიოს ქველმოქმედებას. შეიძლება ითქვას, რომ „ყაზბეგი ოლიმპიურის“ შექმნა სწორედ ამ უნარჩვევის გამომუშავებს შეუწყობს ხელს საზოგადოებაში. საქმე ისაა, რომ კომპანია „ყაზბეგის“ გადაწყვეტილებით, „ყაზბეგი ოლიმპიურის“ თითოეული გაყიდული ბოთლიდან 5 თეთრი ქართულ სპორტს მოხმარდება. კერძოდ: 4 თეთრი ოლიმპიურ კომიტეტს გადაეცემა, ერთი თეთრი კი რაგბის განვითარებაზე დაიხარჯება. ყაზბეგის მხრიდან ასეთი ქველმოქმედება მოულოდნელობას ან სიახლეს არ წარმოადგენს, რადგან უკვე ათ წელზე მეტია, ქართული ლუდის ყველაზე მრავალფეროვანი ასორტიმენტის მწარმოებელი კომპანია ერთგულად ქომაგობს ქართულ სპორტს. მხოლოდ გასულ წელს ამ მიზნით ნახევარი მილიონი ლარი დაიხარჯა. ისიც აღსანიშნავია, რომ „ყაზბეგი ოლიმპიური“ თავისი შემადგენლობის, ალკოჰოლის მცირე შემცველობის გამო თვით სპორტსმენებისთვისაც კი მისაღები სასმელია, რის გამოც კომპანიის გენერალური დირექტორი ნიკოლოზ ბახტაძე ვარაუდობს, რომ ახალი ლუდი სწორედ სპორტსმენებისთვის გახდება საყვარელი სასმელი.

პრეზენტაციას ძველი და ახალი თაობის მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონები ესწრებოდნენ. მათ შორის ისეთებსაც ნახავდით, ვინც პირველად გეგმავს ოლიმპიური სპორტის მწვერვალების დაპყრობას.

პეკინის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიანტი **ლაშა გოგიტაძე:**

— სასიამოვნოა, რომ გვერდში დგომას ვგრძნობთ. თანაც ამ თანადგომის მასშტაბების გაზრდის საინტერესო ხერხისთვის მიუგნია „ყაზბეგს“. დიდი მადლობა მას, რომ ბიზნესს არა მარტო თავისთვის ხდის სასარგებლოს. შესანიშნავ განწყობილებას მიქმნის იმაზე ფიქრი, რომ როცა მე პეკინში ვიქნები, აქ ხალხი „ყაზბეგი ოლიმპიურის“ ბოთლს თავს მოხსნის თუ არა, იფიქრებს, ნეტავ რას აკეთებენ ჩვენი ბიჭები, ხომ არაფერი უჭირთ მათ წარმატების მისაღწევადო. ასე ხალხი სპორტზე განუწყვეტლივ ფიქრს ისწავლის. ეს კი ძალიან კარგია, თვითონაც მოინდომებენ, რომ სპორტულები იყვნენ. სპორტული ხალხი კი ერის სახეს გააჯანსაღებს.

ვეტერანი მსოფლიო ჩემპიონი ჭიდაობაში **გურამ სალარაძე:**

— როგორც სპორტის წარმომადგენელს, მიმაჩნია, რომ საქართველოს სპორტის მხრივ ჭიდაობის ქვეყნაა და მის განვითარებას ყოველმხრივ სჭირდება ხელის შეწყობა. ყველას ვთხოვ, დიდს და პატარას, რომ ქართულ სპორტს დაუდგეს გვერდში. მადლობას ვუცხადებ კომპანია „ყაზბეგს“ და მისი მარკეტინგის ჯგუფის ხელმძღვანელს გიორგი თოფაძეს, რომელიც ყველაფერს აკეთებს, რომ სპორტს განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს.

გიორგი თოფაძე:

— კომპანიის მარკეტინგის ჯგუფმა გადაწყვიტა, რომ პეკინის ოლიმპიური თამაშების მონაწილეთათვის საგანგებო მხარდამჭერი აქცია მოგვეფიქრებინა. რადგან დღეს სპორტს ფინანსური პრობლემები აქვს და მხარდაჭერა სჭირდება, შეძლებისდაგვარად ვცდილობთ ჩვენს პატივსაცემ ხალხს გვერდით დავუდგეთ. საზოგადოებასაც მიეცა იმის შანსი, რომ აგვისტოში, როცა პეკინის ოლიმპიადაზე ოქროს მედლებს ავიღებთ, ყველამ იფიქროს, რომ „ყაზბეგი ოლიმპიურის“ შეძენით ამ ოქროს აღებაში თითოეული ჩვენგანის წვლილიც არის ჩადებული. ცხადია, სპორტსმენების დახმარება ყველას გაგვიხარდება, იქნება ეს მოჭიდავე, ბატუტზე მხტომელი, თუ ქალბატონი ნინო სალუქვაძე, რომელიც, მჯერა, ათიანს არ ააცილებს.

მსოფლიოს ჩემპიონი და პეკინის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიანტი **მანუჩარ კვირკველია:**

— საზოგადოების მონაწილეობა არის ამ საქმეში მნიშვნელოვანი, თორემ გოგი თოფაძე სულ უდგას მხარში ჩვენს სფეროს და მისგან მხარდამჭერი აქციები გასაკვირი აღარც არის. მას ბევრმა უნდა მიჰბაძოს და მხოლოდ ჭიდაობას, რაგბის ან სხვა ცალკეულ სახეობებს კი არ უნდა

გამოუჩნდეს მფარველები, არამედ ზოგადად ქართულ სპორტს.

მსოფლიოს და ოლიმპიური ჩემპიონი **ლუკა კურტანიძე:**

— მე, როგორც სპორტსმენი, ცხადია, დიდი რაოდენობით ვერ დავლევ ლუდს, ამიტომაც მუდმივად „ცივი ჩაის“ მომხმარებელი გახლავართ. თუმცა, როცა ვისვენებ, მცირე დოზით „ყაზბეგის“ ლუდზეც არ ვამბობ უარს. უკვე გავსინჯე „ყაზბეგი ოლიმპიური“ მერწმუნეთ, ოლიმპიური სიამოვნების განცდას მოგანიჭებთ, როდესაც მიირთმევთ.

მსოფლიოს და ოლიმპიური ვეტერანი ჩემპიონი **რომან რურუა:**

— უნდა აღინიშნოს, რომ ეს აქცია საერთაშორისო იმიჯსაც უმაღლებს ქვეყანას. აბა, დაუკვირდით, რა ხდება, როდესაც შენი სპორტსმენები ჩემპიონები ხდებიან, შენი დროშა ყველაზე მაღლა ფრიალებს და შენი ჰიმნი ისმის მსოფლიოს გასაგონად. ამიტომაც არის ეს აქცია სახელმწიფოებრივი აქცია და ვისაც ჭკუა და გონება აქვს, ახლა კომპანია „ყაზბეგს“ უნდა გაეჯიბროს სახელმწიფოებრივი საქმის კეთებაში, თორემ სპორტსმენები ძალისხმევას არ იშურებენ საამისოდ. ■

მარჯანიშვილის თეატრში ვახსნილი ევროპული რესტორანი

ანუ „სხვენი“ „სარდაფს“ არ შეესვლის

მარჯანიშვილის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, ლევან წულაძემ მაყურებელს აკა მორჩილაძის მიერ თარგმნილი, ბერნარდ შოუს „პიგმალიონი“ წარუდგინა, რომელმაც მაყურებლის დიდი მოწონება და ინტერესი გამოიწვია. ამაში კი დიდი წვლილი ბატონ გივი ბერიკაშვილს მიუძღვის, რომელიც სპექტაკლის ერთ-ერთ მთავარ გმირს, ქალაქისთავს ასახიერებს... სულ მალე, ლევან წულაძე კიდევ ერთ პრემიერას, უკვე ახალ სცენაზე ანუ მარჯანიშვილის თეატრის „სხვენში“ წარმოადგენს.

მაია ღუღუნიშვილი

— როდესაც აკა მორჩილაძემ ბერნარდ შოუს „პიგმალიონი“ თავისებური ინტერპრეტაციით გადმოაქართულა, ძალიან მომეწონა. პიესა ძველი თბილისის ცხოვრების ეპიზოდებითაა გამდიდრებული. თავდაპირველად ჩაფიქრებული გვქონდა, რომ სპექტაკლში ორ ლეგენდარულ მსახიობს — ქალბატონ სოფიკო ჭიაურელსა და ბატონ გივი ბერიკაშვილს უნდა ეთამაშა. ქალბატონმა სოფიკომ მითხრა: მთავარი გმირის, ლოთი მამის ნაცვლად, მე დედის როლს შევასრულებო. ეს იდეა ძალიან მოგვეწონა და მსგავსი პერსონაჟის პროტოტიპიც ვიპოვეთ — ასეთი ქალი ანუ ყარაჩოხელი ლოთი სონა ძველ თბილისში მართლა არსებობდა და მას წელზე დიდი ქამარი ერტყა. როდესაც ქალბატონი სოფიკო ჭიაურელი გარდაიცვალა, ეს პერსონაჟი პიესიდან საერთოდ ამოვიღეთ, სპექტაკლი კი დიდი მსახიობის ხსოვნას მივუძღვენით... „პიგმალიონზე“ მუშაობა ძალიან საინტერესო და სასიამოვნო იყო. როცა ბატონი გივი რეპეტიციებზე მოდიოდა, თითქოს სცენა ნათდებოდა. მისი მოსვლა ყველასთვის დღესასწაული გახლდათ, რადგან აუცილებლად მოჰყვებოდა რაიმე სახალისო ამბავს და ყველას კარგ განწყობილებას გვიქმნიდა.

— როგორც ვიცი, სულ მალე მაყურებელს კიდევ ერთ პრემიერას წარუდგენთ, ამჯერად — ახალ სცენაზე...

— მართლაც, რამდენიმე დღეში ჩვენს თეატრს კიდევ ერთი სცენა შეემატება. მას „სხვენი“ ვუწოდეთ, რადგან მესამე სართულზეა განთავსებული. „სხვენის“ პრეზენტაცია ჩემი ახალი სპექტაკლით, არტურ შნიცლერის „ფერხულით“ შედგება. სიმართლე გითხრათ, ურთულესი პიესაა. მასში გერმანული დრამატურგიისთვის დამახასიათებელი ეპიკური ეპიზოდებიცაა ასახული. თავის დროზე, როგორც ეროტიკული ხასიათის ნაწარმოები, ეს პიესა აკრძალულიც გახლდათ და მას XIX საუკუნის „დეკამერონსაც“ კი უწოდებდნენ. სპექტაკლში ძირითადად, ახალგაზრდა მსახიობები მონაწილეობენ, ბევრი მათგანის დებიუტი სწორედ ამ სცენაზე შედგება.

— მცირე დარბაზში სპექტაკლებს აღარ დადგამთ?

— მცირე დარბაზს ალბათ, სარეპეტიციო სივრცედ გამოვიყენებთ. თუმცა შესაძლებელია, სპექტაკლები იქაც ვითამაშოთ ხოლმე. რაც შეეხება „სხვენს“, დარბაზი 100 მაყურებელს იტევს. ის ექსპერიმენტული, კამერული დარბაზია.

— „თეატრალური სარდაფი“ „სხვენში“ ხომ არ გადმოინაცვლებს?

— ჯერჯერობით, „თეატრალური სარდაფი“ კვლავ ძველ ადგილას იქნება. თუ რა თქმა უნდა, იქიდან არ გამოგვაგდეს (*იცინის*).

— რატომ უნდა გამოგაგდონ?

— შენობა, რომელშიც „თეატრალური სარდაფია“ განთავსებული, გაიყიდა. შესაბამისად, არსებობს თეატრის დახურვის საშიშროებაც. ვიცი, იქ მალე სარემონტო სამუშაოებს ჩაატარებენ და იმედი მაქვს, ამის მერე იქ სხვა რაღაცას არ გახსნიან. რემონტის დროს კი „სარდაფის“ სპექტაკლები ნამდვილად „სხვენში“ გადაინაცვლებს.

— ცოტა ხნის წინ, მარჯანიშვილის თეატრში რესტორანიც გახსენით. აკადემიური თეატრის შე-

ყველაზე ბედნიერი ბრიტანელები

დიდ ბრიტანეთში სხვადასხვა პროფესიის ადამიანთა შორის ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის შედეგების თანახმად, ბრიტანეთში ყველაზე ბედნიერ ადამიანებად პარიკმახერები და კოსმეტოლოგები აღიარეს. საკუთარი პროფესიით ყველაზე უკმაყოფილონი — მშენებლები და ბანკის თანამშრომლები არიან. ისინი სამსახურში თავს ძალზე უბედურებად გრძნობენ. ერთ-ერთი კომპანიის მიერ ჩატარებულ გამოკითხვაში 1000 ადამიანი მონაწილეობდა. რესპონდენტთა უმრავლესობამ „ბედნიერი“ პროფესიის უმთავრეს პირობად, კოლეგებთან კარგი დამოკიდებულება და მენეჯერთა მიერ გამოვლენილი ყურადღება დაასახელა! საინტერესოა, რომ ბრიტანელთათვის უმთავრესი ხელფასის რაოდენობა არ აღმოჩნდა. მხოლოდ გამოკითხულთა ნახევარია თანახმა, ფულის გამო იმ სამუშაო ადგილზე დარჩეს, რომელიც არ უყვარს. კვლევის ავტორები აღნიშნავენ, რომ წარმატებული ბიზნესის უმთავრესი პირობა — კომპანიაში სასიამოვნო კლიმატის შექმნაა.

რეჟისორი სპექტაკლზე მუშაობისას

ნობაში რესტორნის გახსნა ცოტა უხერხული ხომ არაა?

— ყველა თეატრს აქვს სტუმრის მისაღებად განკუთვნილი ადგილი... როდესაც მარჯანიშვილის თეატრში სარემონტო სამუშაოები დასრულდა, უზარმაზარი სივრცე აღმოვაჩინეთ, რომელიც საკუჭნაოსთვის იყო გამოყოფილი. გადავწყვიტეთ, სწორედ იქ მოგვეწყო ელიტური ტიპის ევროპული რესტორანი: ზედა სართულზე კაფე იქნება, ხოლო ქვემოთ — რესტორანი. მას „მარჯანოვექსპრესი“ ვუწოდეთ, რადგან ძალიან ჰგავს მატარებლის ვაგონს. ვფიქრობ, ეს ექსპერიმენტი საზოგადოებაში პროტესტს არ გამოიწვევს.

— ისევ რეპერტუარს დავუბრუნდეთ. უახლოეს მომავალში რის დადგმას აპირებთ?

— შემოქმედებითი თვალსაზრისით ახალი სეზონი გადატვირთული იქნება. წლეულს, მარჯანიშვილის თეატრს დაარსებიდან 80 წელი უსრულდება. ნოემბერში ჩვენთან თეატრალური ფორუმი გაიმართება და მაღალი რანგის სტუმრებს ველოდებით — ცნობილი რეჟისორები საუკეთესო სპექტაკლებით გვესტუმრებიან. ერთი სიტყვით, საერთაშორისო ორომტრიალი გვექნება. ამასთანავე, სულ მალე ვატო კახიძის ორკესტრის იუბილეა. ჩვენი დასი და ვატოს ორკესტრი ერთობლივ პროექტს ვამზადებთ. და კიდევ, კოტე მარჯანიშვილზე სპექტაკლის დადგმას ვაპირებ, რომლის სცენარიც ბატონმა გურამ ბათიაშვილმა დაწერა. ესაა მძაფრი ისტორიული პიესა იმის შესახებ, თუ როგორ სწირავდნენ ადამიანები თეატრს თავს. ასევე, ახალი სეზონისთვის აღვადგენთ სპექტაკლს „ხანუმა“, რომელიც თავის დროზე „ვაკის თეატრალურ სარდაფში“ დავდგით. დაბოლოს, ოქტომბერში ამერიკაში, შექსპირის ფესტივალზე გავემგზავრებით, სადაც „ზაფხულის ღამის სიზმარს“ წავიღებთ.



„პიგმალიონი“
სცენაზე გივი ბერიკაშვილი და აკაკი ხიდაშელი

სოფო ჭონიშვილი

მოულოდნელი ნასტოები

„ვარსკვლავების აკადემიის“ გამარჯვებულებმა — დიტო ლაგვილავამ და ქეთი ორჯონიკიძემ, ამ პროექტში მიღწეული წარმატებით მოგვრილი ემოციები ერთმანეთს ჟურნალისტისა და რესპონდენტის ამპლუას მორგებისას გაუზიარეს. ამ რუბრიკაში სტუმრობისას ერთმანეთს მოუყვნენ, თუ რა მოუტანა მათ პროექტმა, რას აპირებენ სამომავლოდ და რატომ არ მიიჩნევენ საკუთარ თავს (ჯერჯერობით) ვარსკვლავებად.

კიდევ ერთი დეტალი — რაც პროექტი დასრულდა, ისინი ერთმანეთს ვერ ელევიან. ასე მითხრეს: ისე დავმეგობრდით და მივეჩვიეთ ერთმანეთს, რომ განშორება გვეძნელებაო.

ქეთი და დიტო საჩუქრებს ყიდიან...

ქორნალისტი – ქეთი ორჯონიკიძე
რესპონდენტი – დიტო ლაგვილავა

— დიტო, ამ რუბრიკის საშუალებით წარმატებას და გამარჯვებას კიდევ ერთხელ გილოცავ! მიხარია, რომ ყველაფერი კარგად დასრულდა. მორჩა პროექტი, ჩაივლის ეს ვნებათაღელვაც და რას აპირებ შემდეგ?

— დიდი მადლობა. ჯერჯერობით არაფერს ვაკეთებ, ვისვენებ, აზრზე მოვდივარ, მეგობრებს ვნახულობ. ყოველ საღამოს ვქეიფობ. ცოტა ხანში კი, აღდგენილი ენერგიით საქმიანობას შევუდგები.

— ჩვენს ცხოვრებაში, რაღაც ახალი შემოიჭრა: გავხდით პოპულარულები, ხალხის სიყვარული და პატივისცემა მოვიპოვეთ. როგორ ხვდები შენს ფანებს?

— ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ძალიან სასიამოვნოა. თაყვანისმცემლები ქუჩაში მაჩერებენ, მილოცავენ, კომპლიმენტებს მეუბნებიან. დღეს ერთ-ერთმა მათგანმა მითხრა: ცხოვრებაში უკეთესი ყოფილხარ, შენ გიმესიჯებდი. გამიხარდა, რომ გაიმარჯვეო.

— ავტოგრაფებს არ გთხოვენ?

— კი. როცა ავტოგრაფს მთხოვენ, სიმართლე გითხრა, მეცინება, მაგრამ უარს მაინც ვერ ვეუბნები. მიმაჩნია, რომ ისეთი დიდი პიროვნება ვარ, ავტოგრაფები ჩამოვარიგო.

— ეი. თავს ვარსკვლავად არ მიიჩნევ?

— საზოგადოებამ იმ სიმღერებით გამიცნო, რომლებსაც ჩემამდე ცნობილი მომღერლები ასრულებდნენ. თავს ვარსკვლავად მაშინ მივიჩნევ, როცა საკუთარი სიმღერები და კლიპები მექნება.

— დიტო, ნაჩუქარი ავტომანქანა მოგეწონა?

— ძალიან (*იცინის*).

— მართვის მოწმობა გაქვს?

— მანქანის მართვა ვიცი, მაგრამ მართვის მოწმობა არა მაქვს. ამიტომ, გადავწყვიტე, რომ ავტომანქანა გავყიდო. თან „მერსედესი“ ცოტა ძვირი შესანახია. ვიფიქრე, რამე სხვას ვიყიდი და ცოტა თანხაც დამრჩება-მეთქი. სახლიც — რომელიც აგრეთვე მაჩუქეს — ხომ გასარემონტებელია...



— ამ პროექტში გამარჯვებულისთვის, მთავარი პრიზი — ბინა ქავთარაძის ქუჩაზე იყო, რომელიც შენ გერგო. თუ მოასწარი იმ ბინის დათვალიერება?

— ბინის შესახებ ბევრი ჭორი დადის. რას არ ლაპარაკობენ... ნამდვილად არ ვიცი, როგორია და რამხელაა, რადგანაც ჯერ არ მინახავს. თანაც, ის ხომ ჯერ მშენებარე ბინაა. მისი მშენებლობა მომავალ წელს დასრულდება.

— დიტო, პროექტში მონაწილეობა ვინ გადაგაწყვეტინა?

— „რუსთავი 2“-ზე როცა ამ პროექტის შესახებ ანონსი გავიდა, მეგობრები მთხოვდნენ, მასში მონაწილეობა მიმეღო. მე წინააღმდეგი ვიყავი. ვფიქრობდი, რომ იქ „პაპსა“ სიმღერების შესრულება იქნებოდა სავალდებულო, რისი სურვილიც ნამდვილად არ მქონდა. მადლობა ჩემს მეგობრებს, რომ ამ პროექტში შესვლა გადამაწყვეტინეს. „ვარსკვლავების აკადემიამ“ ბინის და მანქანის გარდა, უდიდესი გამოცდილება შემძინა. დამარწმუნა საკუთარ ძალებსა და იმაში, რომ კიდევ უფრო მეტის გაკეთება შემიძლია. მიუხედავად იმისა, რომ პროექტში ცოტას ვზარმაცობდი, საკუთარ თავზე მუშაობა ვისწავლე. პირველად, „რუსთავი 2“-დან რომ დამირეკეს და მითხრეს: პირველ კასტინგზე უნდა გამოცხადდეთო, გავგიჟდი. ვიფიქრე, მგონი, ვიღაც „მეკაიფება-მეთქი“. თურმე ჩემს მეგობარს ჩემი საბუთები ისე შეუტანია, არაფერი უთქვამს. როცა შევიტყვე, საქმე რაშიც იყო, მერე უკვე წავედი და აი, შედეგიც.

— დიტო, მუსიკალური განათლება გაქვს?

— მუსიკალური განათლება ჯერ არ მაქვს, წელს ევგენი მიქელაძის სახელობის სამუსიკო სკოლაში ჩავაბარე. სულ რაღაც ნახევარი წელი ვიარე იქ ვოკალურ განყოფილებაზე. თუმცა ადრე, ვოკალის პედაგოგთან, რაღაც პერიოდი, ვმეცადინეობდი.

— ახლა რას აპირებ? სწავლას ისევ სამუსიკო სკოლაში გააგრძელებ?

— რა თქმა უნდა, სწავლას გავაგრძელებ. მიმაჩნია, რომ ხმაზე ბევრი სამუშაო მაქვს. საერთოდ მომღერალს ვოკალის პედაგოგი ყოველთვის უნდა ჰყავდეს. პავაროტის მთელი ცხოვრება ჰყავდა პედაგოგი.

— დიტო, თუ ფიქრობდი, რომ პროექტის გამარჯვებული გახდებოდი?

— ფინალის დღეს, სავარაუდოდ, ვიცოდით, რომ ესემესების რაოდენობით, ორი მონაწილე ლიდერობდა. თუმცა არ ვიცოდით, ვინ იყვნენ ისინი. ვფიქრობდი, რომ იმ ორში ერთ-ერთი აუცილებლად შენ იქნებოდი. მეორე — რატომღაც ანი მეგონა. თუმცა გამოგიტყდები და, რაღაც პროცენტით, საკუთარ გამარჯვებაზეც ვფიქრობდი. ძალიან ვღელავდი. იმაზე ნამდვილად არ ვნერვიულობდი, რომ ვერ გავიმარჯვომეთქი, რადგან, ამ პროექტიდან მართლაც მაქსიმუმი მივიღე.

— გამარჯვებულად როცა შენი სახელი გამოაცხადეს, რა შეგრძნება გქონდა?

— უფ... მაგ ყველაფერს სიტყვებით ვერ გადმოვცემ. მეორე დღეს, ფინალის ჩანაწ-

ერს ვუყურე და ბევრი ვიცინე. პირველად ბინა რომ გამოაცხადეს, რა თქმა უნდა, გამიხარდა, ყვირილი ავტეხე. მანქანას ნამდვილად აღარ ველოდი, გავოგნდი... ეს სრული შოკი იყო!

— **დიტო, რამდენი წლის ხარ?**

— 19-ის ვარ.

— **ზოდიაქოთი რა ხარ?**

— მერწყული... თურმე იღბლიანი ადამიანი ვყოფილვარ (*იცინის*).

— **შეყვარებული გყავს?**

— არა, ნამდვილად არ მყავს. ხომ იცი, რომ არ მოგატყუებ.

— **ეი. ამ ხნის განმავლობაში გარეთ „არავინ“ გელოდებოდა (*იცინის*)?**

— მეგობრები და ახლობლები მელოდებოდნენ, მაგრამ შეყვარებული — არა.

— **რა გეგმები გაქვს ახლო მომავალში? სიმღერის ჩაწერას არ აპირებ?**

— რამდენიმე სიმღერის ჩაწერას და კლიპის გადაღებასაც ვგეგმავ. ამ ყველაფერს ჯერ-ჯერობით, საკუთარი ძალებით ვაპირებ. მერე თუ პროდიუსერი გამოჩნდება ან ვინმეს რაიმე საინტერესო შემოთავაზება ექნება, ამას რა სჯობია?

— **წარმატებას და გეგმების განხორციელებას გისურვებ.**

— დიდი მადლობა.

ჟურნალისტი – დიტო ლაგვილავა
რესპონდენტი – ქეთი ორჯონიკიძე

— **ქეთი, როგორც ვიცი, ამ პროექტში შესვლა არც შენ გინდოდა. საბოლოოდ მაინც ვინ გიბიძგა „ვარსკვლავების აკადემიისკენ“?**

„იურმალაზე“ უარი ვთქვი და „ვარსკვლავების აკადემიაში“ შევედი

უამრავ ზარსა და მესიჯს ვიღებ იმ ადამიანებისგან რომელთაც ნამდვილად არ ვიცნობ

— სასტიკ უარზე ვიყავი, მართლა არ მინდოდა. ჯერ არც მეგონა, თუ მიმიღებდნენ და მერე არ ვფიქრობდი, რომ ეს პროექტი, ასეთ სერიოზულ გამოცდილებას შემძენდა. ამრიგად, ყველაფერი, ჩემს დაუკითხავად, მეგობრებმა გადაწყვიტეს. მათ „იურმალის“ ფესტივალის შესარჩევი ტურისთვის და „ვარსკვლავების აკადემიაში“ ჩემი საბუთები თვითონ შეიტანეს. მოხდა ისე, რომ „იურმალის“ მეორე ტურზეც გავედი, მაგრამ მოსკოვში გამგზავრების პერიოდს „აკადემიის“ მოსამზადებელი ეტაპი დაემთხვა. ამიტომ, „იურმალაზე“ უარი ვთქვი და „ვარსკვლავების აკადემიაში“ შევედი. მეგობრების რჩევამ და გადაწყვეტილებამ გაამართლა. დიდი მადლობა დედას და მეგობრებს. პროექტიდან გამოსვლის შემდეგ მივხვდი, რომ „ვარსკვლავების აკადემიაში“ შესვლაზე უარის თქმა, ჩემი მხრიდან, დიდი შეცდომა იქნებოდა. ამ პროექტით, ბევრ რამეს მივხვდი, უდიდესი ნახტომი გამომივიდა. პირველ კასტინგზე, რომ ვიმღერე, ჟიურისგან კარგი ემოცია წამოვიდა: მეორე ტურში ისევ ჟიურის განწყობილების მიხედვით ვიგრძენი, რომ გასული ვიყავი. როცა დამირეკეს და მითხრეს, პროექტში მიგიღეთო, რეაქცია არ მქონდა.

— **ჩაკეტილ სივრცეს ადვილად შეეჩვიე?**

— მეგონა, ძალიან გამიჭირდებოდა, თუმცა აღმოჩნდა, რომ ყველაფერს ადვილად შევეგუე. არც კამერებთან ურთიერთობა და არც ჩაკეტილი სივრცე ჩემთვის პრობლემა არ ყოფილა. მხოლოდ ერთადერთი კვირა მქონდა საშინლად დაძაბული, როდესაც ანგინა დამემართა.

— **ქეთი, დედმამიშვილი არ გყავს, დედისერთა ხარ. მშობლებს ალბათ ძალიან გაუჭირდათ 3 თვე უშენოდ ყოფნა...**

— რა თქმა უნდა, გაუჭირდათ. თუმცა, ასე თუ ისე, ისინი უჩემობას შეჩვეულები არიან — ხშირად მიწევდა უცხო ქვეყნებში მოგზაურობა, მაგრამ მათთვის ჩემი ამ პროექტში ყოფნა მაინც რთული აღმოჩნდა.

— **ქეთი რა პროფესიის ხარ?**

— პიანისტი ვარ. ნიჭიერთა ათწლედი და ამასთანავე, პირველი სამუსიკო სასწავლებელი დავამთავრე. ამრიგად, ორი კურსი საგუნდო-სადირიჟოროზე ვისწავლე და ორი — ვოკალზე. გამოდის, რომ პიანისტიც ვარ და დირიჟორიც.

— **გარდა ფორტეპიანოსი კიდევ რა ინსტრუმენტზე უკრავ?**

— მარტო ფორტეპიანოზე ვუკრავ. არ მიყვარს, როცა ყველა საკრავზე დაკვრას ცდილობენ და ნორმალურად ვერც ერთზე ვერ უკრავენ. ვუკრავ ფორტეპიანოზე და თან ძალიან კარგად.

— **ქეთი, როგორც შევიტყვე, საკუთარი როკჯგუფის შექმნას აპირებ. ხომ არ დაგიწყია უკვე ამ მიმართულებით მუშაობა?**

— ძალიან მინდა, გოგონების გუნდი შევქმნა. ეს საქართველოში სიახლე იქნება. ცოტა რთულია დრამერი გოგონას მოძებნა, მაგრამ მაინც შესაძლებელია. თუმცა ჯერ-ჯერობით ამაზე არ მიფიქრია, რადგან რაც პროექტიდან გამოვედი, სულ მეგობრებთან ვარ. ყველა სანახავი მყავს.

— **ახლო მომავალში რას აპირებ?**

— ლონდონში წასასვლელად ვემზადები, 3 თვის განმავლობაში იქ ერთ-ერთ კოლეჯში უნდა ვისწავლო.

— **მარტო მიდიხარ?**

— მაქვს შანსი, რომ მარტო არ წავიდე, ჩემთან ერთად, იმ კოლეჯში ნათია მიქაძესაც უნდა სწავლა. ჯერ რაღაცებს არკვევს. ვნახოთ, რას იზამს. იმედია, მარტო არ წავალ, რადგანაც უცხოეთში მეგობართან ერთად გამგზავრება სახალისოა.

— **როგორ ვიცი, „მერსედესის“ გაყიდვას შენც აპირებ...**

— კი, ვაპირებ. ჯერ ერთი, ავტომობილს ნორმალურად ვერ ვმართავ. ვინმეს რომ დავეჯახო ან პირიქით მოხდეს?! საცოდაობაა ამ მანქანის გაფუჭება (როგორც ვიცი, დაახლოებით 40.000 დოლარი ღირს). მაქვს კიდევ მიზეზები, რის გამოც მინდა, რომ გავყიდო... ამ საჩუქარს ნამდვილად არ ველოდი. მანქანა ჩემი ოცნება იყო, მით უმეტეს, „მერსედესი“. დღემდე ვერ გავაანალიზე, რა მოხდა. ვხვდები, რომ „ტუზი“ დამეცა. ეკლიანი გზის შემდეგ, ვარდებით მოფენილ გზაზე აღმოვჩნდი. ძალიან ბედნიერი ვარ!

— **თაყვანისმცემლებზე რას იტყვი?**

— უამრავ ზარსა და მესიჯს ვიღებ იმ ადამიანებისგან, რომელთაც ნამდვილად არ ვიცნობ, რაც მართლა სასიამოვნოა...

— **შენს პირად ცხოვრებაში რაიმე სიახლე ხომ არ არის?**

— ჯერ-ჯერობით — არაფერი. იმდენი საქმე მაქვს, პირადულისთვის ჯერ არ მცალია. იმედია, ამისთვისაც მოვიცლი.

— **წარმატებას გისურვებ. ძალიან კარგი ადამიანი ხარ. ყველაფერ კარგს იმსახურებ.**

— დიდი მადლობა.

„ისეთი გაქნილი პიროვნებაა, ყველა პრეზიდენტსა და პარლამენტს მოერგება...“

გასული კვირის მნიშვნელოვანი მოვლენა, საზოგადოების დიდი ნაწილის აზრით, ოპოზიციიდან რამდენიმე ადამიანის წასვლა გახლდათ, ახალგაზრდა თაობა კი პოლიტიკაზე ფიქრით თავს არ იწუხებს და კვირის მნიშვნელოვან მოვლენად „ვარსკვლავების აკადემიის“ ფინალს ასახელებს.

„ეს რეალური შოუც დანარჩენებივით არაობიექტური იყო...“

ნათია ქივიძე

მანანა მაჩაიძე, *დიასახლისი, 54 წლის:*

— რაც კი ამჟამად საქართველოში ხდება, ყველაფერი ძალიან მნიშვნელოვანია. მართალია, ოპოზიციონერები ამბობენ, — პარლამენტში არ შევალთო, მაგრამ როგორც ჩანს, პარლამენტარის ხელფასს მაინც ვერ თმობენ და პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე განცხადების დაწერას აგვიანებენ. გარდა ამისა, ერთმანეთში ვერ რიგდებიან და ვერ ვხვდები, ხალხისგან რაღას ითხოვენ? სწორედ ამიტომ დატოვეს პარტია გია ცაგარეიშვილმა, გია თორთლაძემ და ირაკლი იაშვილმა. ეს ადამიანები მიხვდნენ, რომ არც ოპოზიციის წარმომადგენლები არიან სუფთა სინდისის მქონენი და მათთან ერთად დგომა აღარ მოინდომეს. დარწმუნებული ვარ, უახლოეს მომავალში ოპოზიციას კიდევ ბევრი აქტიური და მნიშვნელოვანი ფიგურა გამოაკლდება...

ავთანდილ რცხილაძე, *პენსიონერი, 72 წლის:*

— საქართველოში მნიშვნელოვანი აღარაფერი ხდება. ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლები ერთმანეთთან რომ ვერ თანხმდებიან, ეს უკვე ჩვეულებრივი მოვლენაა და ამაში განსაკუთრებული არაფერია. არც ის გაუკვირდა არავის, „ქრისტიან-დემოკრატებმა“, ოპოზიციის სხვა წარმომადგენლებივით, დეპუტატის მანდატებზე უარი რომ არ განაცხადეს და პარლამენტში სიხარულით შევიდნენ. გიორგი თარგამაძე ისეთი გაქნილი პიროვნებაა, ყველა პრეზიდენტსა და პარლამენტს მოერგება. ჩემი აზრით, ჟურნალისტობა გაცილებით უკეთ გამოსდიოდა და მაშინ ამდენი მტერიც არ ჰყავდა. პირიქით, ყველას უყვარდა...

ნანა ჩიქოვანი, *ეკონომისტი, 43 წლის:*

— მოსკოვის მერის, იური ლუჟკოვის განცხადება იმის შესახებ, რომ საქართველომ აფხაზეთისა და ცხინვალის დამოუკიდებლობა უნდა აღიაროს, აღმაშფოთებელი იყო. იმედი მაქვს, საქართველოს პრეზიდენტი ამ მოსაზრებას არ იზიარებს და არც არასოდეს დაუშვებს, რომ ჩვენი კუთვნილი მიწები ჩვენგან დამოუკიდებელ ტერიტორიებად აღიარონ. ვფიქრობ, ახლა ოპოზიციისა და ხელისუფლების წარმომადგენლები ერთმანეთს კი არ უნდა ებრძოდნენ, არამედ უნდა გაერთიანდნენ და ერთიანი ძალებით, აფხაზეთი და ცხინვალი დაიბრუნონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, მოსკოვმა ამ ორ მხარეს დამოუკიდებლობა თვითნებურად მიანიჭოს...

ელისო ჩართოლანი, *ქიმიკოსი, 42 წლის:*

— გამიხარდა, პარლამენტის თავმჯდომარედ დავით ბაქრაძე რომ აირჩიეს. მიუხედავად ხელისუფლების მიმართ ჩემი დიდი ანტიპათიისა, ეს პიროვნება ძალიან მომწონს და დიდ პატივს ვცემ. მიმაჩნია, რომ საკმაოდ ნაკითხი, სერიოზული და დინჯი ადამიანია, რაც პარლამენტის თავმჯდომარეს აუცილებლად უნდა ახასიათებდეს. ქალბატონი ნინო ბურჯანაძის მიმართაც სიმპათიით ვიყავი განწყობილი და მგონია, იმედებს არც დავით ბაქრაძე გაგვიცრუებს. ის იმდენად კარგი ადამიანია, რომ ოპოზიციონერებიც მხარს დაუჭერენ...

ანა ჯაფარიძე, *სტუდენტი, 17 წლის:*

— მნიშვნელოვანი მოვლენა „ვარსკვლავების აკადემიის“ ფინალი იყო, რომელიც ჩემი აზრით, არაობიექტურად ჩატარდა. მთელი კონკურსის განმავლობაში, ჟიურის თავისი სიტყვა ეთქმოდა და ფინალი მხოლოდ მაყურებელს რატომ მიანდვეს? დიტო ლაგვილავას ისეთი „რეკლამა“ გაუკეთეს — სახლ-კარი არ აქვს, უჭირსო, რომ ყველას შეეცოდა და დაუმესიჯა. არადა, მარიკო ებრალიძისნაირი შრომისმოყვარე და ნიჭიერი, ამ პროექტში არავინ იყო. კი, ბატონო, ქეთი ორჯონიკიძეც საკმაოდ მუსიკალური ბავშვია, მაგრამ ის მხოლოდ როკით შემოიფარგლება, მარიკო კი ყველა ჟანრის სიმღერას არაჩვეულებრივად ასრულებს. ფინალში სოფო ხალვაშთან ერთად რომ იმღერა, მარტო იმ სიმღერის გამო უნდა დაესახელებინათ გამარჯვებულად. ქეთის ავტომობილიც რომ გადასცეს და სასწავლებლად ინგლისშიც გაუშვეს, რა მოხდებოდა, ერთი ავტომობილი მარიკოსთვისაც გაემეტებინათ... ვფიქრობ, ეს რეალური შოუც დანარჩენებივით არაობიექტური იყო...

ელენე ჩხეიძე, *სტუდენტი, 21 წლის:*

— „ვარსკვლავების აკადემიით“ აღფრთოვანებული ვარ. გამიხარდა, დიტო ლაგვილავამ რომ გაიმარჯვა. ის სხვებისგან ბევრად განსხვავდებოდა და რასაც იმსახურებდა, ის მიიღო კიდეც. დარწმუნებული ვიყავი, ქეთი ორჯონიკიძე გახდებოდა პროექტის გამარჯვებული, მაგრამ როგორც ჩანს, მის თაყვანისმცემლებს ჩვენ, დიტოს ფანებმა ვაჯობეთ. ჩემი ოცნებაა, ოდესმე ლაგვილავა პირადად გავიცნო და ჩემი მისდამი სიმპათია გამოვხატო. ■

კარლა ბრუნიმ სარკოზისთან რომანზე წიგნი დაწერა

საფრანგეთში გამოვიდა ჟურნალისტების: ვალერი ბენაიმისა და ივ აზერუალის წიგნი — „კარლა და ნიკოლა, ნამდვილი ამბავი“, რომელშიც კარლა ბრუნი საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზისთან თავის რომანსა და ცოლქმრობაზე გულახდილად ლაპარაკობს.

ბრუნიმ ჟურნალისტებს ინტერვიუ ისე მისცა, რომ შემდეგ, არც რაიმის შეცლა და არც ხელნაწერის საბოლოო ვარიანტის ჩვენება მოუთხოვია. ბრუნიმ ჟურნალისტებს დეტალურად უამბო მედიამაგნატ ჟაკ სეგელთან გამართული ვახშმის შესახებ, სადაც ნიკოლა სარკოზის პირველად შეხვდა. ვახშმის ორგანიზება თავად სარკოზიმ ითხოვა, რომელსაც მეორე ცოლთან — სესილთან განქორწინების შემდეგ, არცთუ მარტივი პერიოდი ედგა და გულის გადაყოლება სურდა. ბრუნიმ წინასწარ იცოდა, რომ ვახშამზე პრეზიდენტიც იქნებოდა.

ვახშამს ცოლქმრული წყვილები და ორად ორი მარტოხელა ადამიანი: სარკოზი და ბრუნი ესწრებოდნენ. სუფრის ერთ-ერთი წევრის თქმით, სარკოზი მის გვერდით მჯდომმა ბრუნიმ იმდენად მოხიბლა, რომ მთელი საღამო მხოლოდ მისით იყო დაკავებული და კომპლიმენტებითაც ავსებდა. თავის მხრივ, კარლა ბრუნიც აღიარებს, რომ სარკოზიმ ის მაშინვე დაიპყრო და მალე, ორივე ისე იქცეოდა, თითქოს სუფრასთან მარტონი იყვნენ და გარშემო ვერავის ამჩნევდნენ. დაახლოებით ღამის ორ სააათზე ბრუნიმ სარკოზის ჰკითხა: „მანქანით ხარ?“ და პრეზიდენტმაც ქალი შინ კორტეჟის თანხლებით მიიყვანა.

„ნამდვილად არ მეგონა, თუ ასეთ ხალისიან და გონებამახვილ ადამიანს შევხვდებოდი, — იხსენებს ბრუნი. — ნიკოლას გარეგნობამ, შარმმა და ჭკუამ მაშინვე დამიპყრო. მას ხუთი თუ ექვსი ტვინი აქვს და თითოეული მათგანი შესანიშნავად მუშაობს. ნიკოლას შეუძლია, თან დოკუმენტებს გაეცნოს და თან, შენს ლაპარაკს ყურადღებით მოუსმინოს. მე ადრეც მქონია ურთიერთობა ჭკვიან ადამიანებთან, მაგრამ ის მაინც განსაკუთრებულია. თანაც, ყველაფერთან ერთად, შესანიშნავი მახსოვრობაც აქვს“.

მეორე დღეს, სარკოზიმ ელისეს სასახლეში განათლების ყოფილი მინისტრი და ბრუნის ყოფილი საყვარელი, ლუკა ფერი გამოიძახა, რომელიც იმ ღირსსახსოვარ ვახშამზეც იმყოფებოდა. პრეზიდენტმა მას ბრუნის ამბავი დაწვრილებით გამოჰკითხა და იმავე დღეს ქალი ვახშამზე მიიწვია.

წიგნში — „კარლა და ნიკოლა, ნამდვილი ამბავი“ — ელისეს სასახლეში სარკოზისა და ბრუნის ცოლქმრული ცხოვრების ზოგიერთ მომენტზე, კერძოდ, კარლა ბრუნისა და იუსტიციის მინისტრ რაშიდა დატის (ეს ქალბატონი სარკოზის მეორე ცოლის — სესილის უახლოესი მეგობარია) შორის არსებულ უთანხმოებაზეცაა მოთხრობილი. როგორც კი პირველი ლედი გახდა, ბრუნიმ რაშიდა დატის ოფიციალურად მოსთხოვა,

პრეზიდენტისთვის SMS-შეტყობინებები აღარ გაეგზავნა. საერთოდაც, კარლამ დიდი ძალა და ენერგია შეალია სესილის მომხრეებთან ბრძოლას. თავის მხრივ, სარკოზიც ყველაფრის საქმის კურსში იყო და ქორწილის შემდეგ, თავისი მომხრეები არჩევანის წინაშე დააყენა: ან კარლა, ან სესილიო.

ძნელი სათქმელია, როგორ აისახება კარლა ბრუნის წიგნის გამოსვლა ნიკოლა სარკოზის რეიტინგზე, რომელიც წლის დასაწყისიდან სწორედ სასიყვარულო ისტორიებისა და საინფორმაციო საშუალებებში გამოქვეყნებული სკანდალების გამო დაეცა. ბევრი ფრანგი მიიჩნევს, რომ სარკოზი-ბრუნის პირადი ცხოვრება ზედმეტადაა აფიშირებული, რაც საფრანგეთის რესპუბლიკის მეთაურის იმიჯს მხოლოდ ზიანს თუ მიაყენებს.

Le Point (საფრანგეთი).

ყოველი მეათე ბრიტანელი პირდაპირ სამსახურში სვამს

როგორც ირკვევა, ბრიტანელებს რუსებისთვის „სმის მოყვარული ერის“ წოდების ჩამორთმევა თავისუფლად შეუძლიათ. ნისლიან ალბიონზე, ამა თუ იმ ოფისის ყოველი მესამე მუშაკი სამსახურში რეგულარულად, ნაბახუსევ მდგომარეობაში ცხადდება, ხოლო ყოველი მეათე, პერიოდულად, პირდაპირ სამუშაო მაგიდასთან სვამს.

ბრიტანეთის ჯანდაცვის ნორიჯის ასოციაციამ 1000 ადამიანისა და 250 ორგანიზაციის ხელმძღვანელის გამოკითხვა მოაწყო, რომლის შედეგადაც გაირკვა: ხუთიდან ოთხი ბრიტანელი მიიჩნევს, რომ მისი თანამშრომლების შრომისუნარიანობას ყველაზე დიდ საფრთხეს სწორედ ალკოჰოლი უქმნის. იმ ადამიანების 85%-მა, ვინც სამსახურში ნაბახუსევზე ცხადდება ან საკუთარ თავს დალევის უფლებას ოფისშივე აძლევს, აღიარა, რომ ალკოჰოლი პროფესიული მოვალეობის შესრულებაში უშლის ხელს, 36%-ს კი ნასვამ მდგომარეობაში კონცენტრირება იმდენად უჭირს, რომ შრომის ნაყოფიერების სათანადო დონეზე შენარჩუნებას ვეღარ ახერხებს. 42%-ს ძილი ერევა; მათი მეოთხედი კი უფროსს სამსახურიდან ნებისმიერი საბაბით ეთხოვება.

გამოკითხვის შედეგად ისიც გაირკვა, რომ ალკოჰოლიზმი კონკრეტულ პროფესიებთან უშუალოდაა დაკავშირებული. მსმელი თანამშრომლების ყველაზე დიდი რაოდენობა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსა და სხვა შემოქმედებით სამსახურებში ჰყავთ. კერძოდ, ჟურნალისტთა 41%-მა (რაც სხვა პროფესიული სფეროების საშუალო მაჩვენებელს ოთხჯერ აღემატება) დაადასტურა, რომ სამსახურში სისტემატურად არაფხიზელ მდგომარეობაში ცხადდება. სამარცხვინო რეიტინგში მეორე ადგილზე — მშენებლები (24%), მესამეზე — ბიზნესკონსულტანტები (23%), ხოლო მეოთხეზე IT-ინდუსტრიის წარმომადგენლები აღმოჩნდნენ.

ლანკასტერის უნივერსიტეტის პროფესორი, ფსიქოლოგი კერი კუპერი აღნიშნავს, რომ სამსახურში ალკოჰოლის მიღების მოთხოვნილება მუდმივ დაძაბულობასა და სტრესთანაა დაკავშირებული, რომელთა მოხსნაც მაგარი სასმელების მიღების გარეშე ვერ ხერხდება. ამიტომ, მისი აზრით, „სულაც არაა გასაკვირი, რომ ჟურნალისტების უმეტესობა სვამს. ეს არ არის ტიპური ალკოჰოლიზმი, რომლის საფუძველიც სოციალურ სიბრტყეში უნდა ვეძებოთ. ეს სულ სხვა, განსაკუთრებული მოვლენაა“.

პროფესორ კუპერის თქმით, სამსახურში ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო საშუალება სამუშაო დღის განრიგის შეცვლაა. სამუშაოს ხანგრძლივობის შემცირება მკვეთრად შეამცირებს თანამშრომელთა დაღლის დონეს, რაც მათ, სტრესის სასმლით მოხსნის უწინდელ მოთხოვნილებასაც გაუქრობს. ამიტომაც, კუპერი დამსაქმებლებს ურჩევს: „თუ არის იმის საშუალება, რომ პერსონალს ხანდახან მაინც მისცეთ სახლში მუშაობის საშუალება, ეს შესანიშნავი შანსი ხელიდან არაფრით უნდა გაუშვათ“. ■

რუბრიკის გაგრძელება იხ. გვ. 18

რა სიახლეებს სთავაზობს ინგლისური ენის შესწავლის მსურველებს QUEEN'S ENGLISH

დღევანდელ საქართველოში, ინგლისური ენის ცოდნა პროფესიული წინსვლისთვის აუცილებელი პირობაა. თბილისში, მაჩაბლის ქუჩა №4-ში მდებარე ინგლისური ენის სწრაფშემსწავლელი ბრიტანულ-ქართული ცენტრი — Queen`s English ენის შესწავლის ყველაზე თანამედროვე, მსოფლიოში აპრობირებული, ეფექტური და სწრაფი Callan-ის მეთოდის გარდა, დაინტერესებულ პირებს უამრავ სიახლეს სთავაზობს. ცენტრის საქმიანობისა და დანერგილი სიახლეების შესახებ Queen`s English-ის ხელმძღვანელი, თამარ მანველიძე გვესაუბრება.

თამუნა კვინიკაძე

— ინგლისური ენის სწრაფშემსწავლელი ბრიტანულ-ქართული ცენტრი 2007 წლის 3 მარტს დაარსდა. ჩვენთან, ინგლისური ენის შესწავლა, ძირითადად Callan-ის მეთოდით ხდება. Callan-ის მეთოდი მსმენელს იმიტომ იზიდავს, რომ ენის შესწავლა მეოთხედ დროში ხდება. იგი არ ითვალისწინებს საშინაო დავალების შესრულებას. გაკვეთილები დიალოგის რეჟიმში ტარდება, რაც სწავლის პროცესს მსმენელისთვის სასიამოვნოს ხდის.

— მსმენელების მიღება როგორ ხდება?

— უცხო ენის შესწავლით დაინტერესებული პირი ავსებს ანკეტას, შემდეგ კი უტარდება ტესტირება, რის შედეგადაც ვადგენთ მისი ცოდნის დონეს და ვსვამთ შესაბამის ჯგუფში. მსმენელი თავად ირჩევს გაკვეთილის დღეებსა და საათებს (დილის 9-დან საღამოს 21 სთ-მდე). თავდაპირველად, დაახლოებით 1 კვირის მანძილზე, მოსწავლეს ვუტარებთ 6 საცდელ გაკვეთილს და ამით მას ვაძლევთ საშუალებას, სწავლის ის მეთოდი, რომელიც ჩვენთანაა დანერგილი, საკუთარ თავზე გამოცადოს და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოს გადაწყვეტილება — სურს თუ არა ჩვენს ცენტრში სწავლის გაგრძელება. მოსწავლეებს კვირაში 3 დღე, დღეში 2 გაკვეთილი უტარდებათ. ზაფხულში ცენტრი მსმენელებს ინტენსიურ კურსებს სთავაზობს. კურსის ხანგრძლივობა იქნება 5-6 კვირა, კვირაში 5 დღე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, დღეში 2, 50-წუთიანი გაკვეთილი. დაინტერესებულ პირებს ჩაუტარდებათ დონის განმსაზღვრელი ზეპირი გასაუბრება. თითოეული მსმენელი, კურსის დამთავრების შემთხვევაში მიიღებს სერტიფიკატს... საზაფხულო კურსების მსმენელები საბოლოო შეფასებით მიიღებენ 100%-იან ფასდაკლებას შემდგომი 2 თვის განმავლობაში. ჩვენთან საქმიანი და კომფორტული გარემოა. მსმენელებს აქვთ საშუალება, კონტაქტი იქონიონ არა მარტო პედაგოგებთან, არამედ ცენტრის ხელმძღვანელობასთან. შესაბამისად, მათ შეუძლიათ დააფიქსირონ, რა მოსწონთ და რა — არა. ეს კი სწავლის პროცესს კიდევ უფრო ეფექტურს ხდის.

— რას გვეტყვით იმ სიახლეების შესახებ, რომელიც თქვენს ცენტრში დაინერგა?

— იმ მსმენელებს, რომლებსაც თანხის გადახდის საშუალება არა აქვთ, შეუძლიათ, ბანკიდან აღებული სტუდენტური სესხით ისარგებლონ. ასევე, ჩვენ დავნერგეთ პროფესიული ინგლისურის სწავლება ანუ გაიხსნა სპეციალური კურსები იურისტებისთვის, მენეჯერებისთვის, ბიზნესმენებისთვის, ბანკირებისთვის. ცენტრში სწავლის პროცესი ზაფხულის თვეებშიც არ შეწყდება. ცენტრში საკმაოდ მაღალკვალიფიციური კადრები მუშაობენ, რომელთაც ინტენსიურად უტარდებათ ტრენინგები, ხოლო სიახლეებს ინგლისიდან, კერძოდ კი Callan-ის სკოლიდან გვაწვდიან.

— როგორც ვიცი, ცენტრში დისტანციური სწავლების კურსებიც არის.

— დიახ, ჩვენ ურთიერთობა გვაქვს კემბრიჯის საერთაშორისო კოლეჯთან, საიდანაც სპეციალურ ლიტერატურას გვაწვდიან, რომელსაც მსმენელი თავად სწავლობს, შემდეგ კი ტესტს გვაბარებს. თითოეული მსმენელის ნაშრომი იგზავნება კემბრიჯში, იქედან კი მის სახელზე გაცემული კემბრიჯის საერთაშორისო კოლეჯის დიპლომი ჩამოდის. ეს იმ შემთხვევაში, როცა ინგლისურად გამართულად ლაპარაკობ. ჩვენს მსმენელებს საშუალება აქვთ, 50-მდე სპეციალობა აირჩიონ: მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო საქმე და ა.შ., რომელთა სრულყოფილად დაუფლების შემდეგ, შეუძლიათ, კემბრიჯის დიპლომები მიიღონ. დაინტერესებულ პირებს ვურჩევთ, ჩვენ მიერ შეთავაზებული პირობებით ისარგებლონ და გამოიყენონ ზაფხული აკადემიური და პროფესიული მიზნებისთვის. ■

რუბრიკის დასაწყისი იხ. გვ. 15

ახალგაზრდები ნარკოტიკებს სექსის გამო ეტანებიან

ევროპის ცხრა ქვეყნის — ავსტრიის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, საბერძნეთის, ესპანეთის, იტალიის, პორტუგალიის, სლოვენიისა და ჩეხეთის თითო ქალაქში ჩატარებულმა სოციოლოგიურმა გამოკითხვამ საკმაოდ უნუგეშო სურათი აჩვენა: ხშირად, ახალგაზრდობა ნარკოტიკებსა და ალკოჰოლს ერთი ღამით პარტნიორის პოვნა-მოპოვების მიზნით იღებს. გამოკითხვაში მონაწილეობა 1,3 ათას ახალგაზრდაზე მეტმა მიიღო.

მიიჩნევა, რომ ლოთობისა და მოუწესრიგებელი სქესობრივი კავშირების პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დიდ ბრიტანეთში დგას, მაგრამ ბოლო ხანებში, ბრიტანელ ახალგაზრდებს არც სხვა ქვეყნებში მცხოვრები მათი თანატოლები ჩამორჩებიან. გამოკითხვაში მონაწილე, 16-დან 35 წლამდე ასაკის ახალგაზრდების მესამედმა განაცხადა, რომ მხოლოდ იმიტომ თვრება, რომ ვინმესთან ღამის გატარების შანსი მიეცეს (ასეთი თავგადასავლებისთვის მუდმივად მზადაა გამოკითხულ გოგონათა 23%).

რესპონდენტთა უმეტესობამ აღიარა, რომ ალკოჰოლით ან ნარკოტიკებით გაბრუებულებს, როგორც წესი, სექსუალურ თავგადასავლებში მონაწილეობის სურვილიც უმძაფრდებათ. ეს, რა თქმა უნდა, სიახლე არ არის, მაგრამ სოციოლოგები იმან გააოცა, რომ ამ ყველაფრის ძირითად მიზეზს შემთხვევითი კავშირის ძიება წარმოადგენს. ასევე, დადგინდა კავშირი ადრეულ სქესობრივ ურთიერთობებსა და სხვადასხვა სტიმულატორის გამოყენებას შორის. როგორც წესი, ყველაზე ხშირად, ასე 16 წლამდე ასაკის გოგონები იქცევიან. მაგალითად, ვენაში მცხოვრები ახალგაზრდების ნახევარმა განაცხადა, რომ სმა და სექსუალური პარტნიორების ხშირი ცვლა 16 წლის ასაკამდე დაიწყო. ასე ნაადრევად „მომწიფებულთა“ რაოდენობა ვენეციაში ოდნავ ნაკლები — 36% აღმოჩნდა, ხოლო ლივერპულში — 30%.

პრაქტიკულად, ამდენივე ვაჟმა და გოგონამ აღიარა, რომ ალკოჰოლს ნარკოტიკს ამჯობინებს. ამასთან, რესპონდენტთა მეოთხედმა განაცხადა, რომ სქესობრივი აქტის გახანგრძლივების მიზნით, კოკაინს იღებდა. იმ ახალგაზრდებმა, რომლებმაც აღიარეს, რომ ბოლო ოთხი კვირის მანძილზე ალკოჰოლურ სასმელს, მარიხუანას, კოკაინს ანდა ექსტაზის იღებდნენ, ისიც მშვიდად განაცხადეს, რომ ბოლო ერთი წლის მანძილზე არანაკლებ ხუთი პარტნიორი მაინც გამოიცვალეს და უსაფრთხოების წესის დაცვაც ხშირად ავიწყდებოდათ.

კვლევის ხელმძღვანელი — მარკ ბელისი ამ შედეგებმა ძალიან შეაშფოთა. მისი აზრით, „მილიონობით ახალგაზრდა ნარკოტიკს ან სასმელს შემთხვევითი სექსის ალბათობის გაზრდის მიზნით იღებს, რასაც შემდგომში, ძალიან ნანობს“. მართლაც, გამოკითხული ახალგაზრდების არცთუ მცირე ნაწილმა განაცხადა, რომ მსგავს სექსუალურ თავგადასავალს სინანულის გარეშე ვერ იხსენებს. „სწორედ ამიტომ, — დაბეჯითებით აცხადებს პროფესორი, — უსაფრთხო სექსის მომხრე და ნარკომანიის საწინააღმდეგო კამპანიების წამოწყების დროს, ზემოთ ნახსენები ურთიერთკავშირიც აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ“. ■

რუბრიკა მოამზადა
რუსუდან ლებანიძემ

მინიერი ღმერთების დინასტიის დასასრული

ნეპალის სამეფოს გაუქმების შემდეგ, მსოფლიოს კიდევ ერთი მონარქია მოაკლდა

ბირენდრას დაკრძალვა

28 მაისს, 240-წლიანი ისტორიის მქონე ნეპალის მონარქიამ არსებობა საბოლოოდ შეწყვიტა, ამჟამინდელი ნეპალის სახით კი მსოფლიო რუკას კიდევ ერთი ახალი რესპუბლიკა შეემატა. ქვეყანაში მონარქიის გაუქმების შესახებ, ამას წინათ არჩეული ნეპალის საკონსტიტუციო სათათბიროს (სახალხო ასამბლეის) სხდომაზე გამოცხადდა. არადა, სულ რაღაც ორიოდე თვის წინ, მსგავსი სიტუაცია უბრალოდ, წარმოუდგენელი იყო: ნეპალში მეფეს ღამის აღმერთებდნენ და ეროვნული ჰიმნის სტრიქონებსაც უძღვნიდნენ. დღეს კი საპრეზიდენტო სასახლის ირგვლივ შეკრებილი მოზეიმე ადამიანები ქვეყანაში ძალაუფლების ხელში ამღები, ნეპალის მაოისტური კომპარტიის წითელ ალმებს აფრიალებენ.

ნეპალის ყოფილ მეფე გიანენდრასა და დედოფალ კომალს, რომლებიც უკვე უბრალო მოქალაქეები არიან, ქვეყნის დედაქალაქ კატმანდუში მდებარე სამეფო რეზიდენციის დასატოვებლად ორი კვირა მისცეს. მართალია, ყოფილმა მეფემ წელიწადში თითქმის 3-მილიონიანი ჯამაგირი დაკარგა, ხოლო მისთვის ჩამ-

გაგრძელება იხ. გვ. 102

ემა ტუხიაშვილი

მიძინებული მრძნობა

დარწმუნებული ვარ, თუ გულის კარს ფართოდ გამოვაღებთ და გულდასმით დავათვალიერებთ, ერთ მიძინებულ სიყვარულს მაინც აღმოვაჩენთ. ეს ისეთი გრძნობაა, რომელზეც ოდესღაც სხვადასხვა მიზეზით ვთქვით უარი, მაგრამ ვერაფრით დავივიწყეთ და უცხო თვალისგან შორს, სადღაც გულის კუნჭულში გადავმალეთ...

მოტაცებული ცოლ-შვილი

და მეგობრის ცოლზე შეყვარებული მოხუცი

ნანა, *29 წლის:*

— მე და ლექსო ერთ სკოლაში ვსწავლობდით. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი სიყვარული სკოლის მერხიდან დაიწყო მაშინ, როდესაც ის მესამე კლასში იყო, მე — მეორეში. შესაძლოა, დაუჯერებლად მოგეჩვენოთ, მაგრამ სკოლა ისე დავამთავრეთ, ერთმანეთისთვის სიტყვაც არ გვითქვამს. ვიცი, ახლა ბევრი იტყვის, — ეგ რა სიყვარულიაო?! — მაგრამ წლებმა დამარწმუნა, რომ ჭეშმარიტ გრძნობას სიტყვები სულაც არ სჭირდება. ლექსოს სიყვარულს დღემდე გულით ვატარებ და მხოლოდ ერთხელ, თქვენი დაჟინებული თხოვნით გამოვამზეურებ. მოკლედ, მე და ლექსოს „შორით ტრფობა“ გვქონდა, მაგრამ ამის შესახებ ყველამ იცოდა. მისი შიშით და რიდით, ხმას ვერავინ მცემდა. მახსოვს, ერთხელ ჩემი კლასელი ბიჭი გამომიტყდა სიყვარულში და იქვე მთხოვა: ამის შესახებ ლექსოს არაფერი უთხრა, თორემ მომკლავსო. ლექსოს უნდა ვუმადლოდე იმასაც, რომ დღეს პროფესია და სამსახური მაქვს, რადგან იმ პერიოდში, როცა სკოლას ვამთავრებდი, გოგონების მოტაცების ფაქტი გახშირდა. მაშინ ქვეყანაში არეულობა, განუკითხაობა იყო და ამიტომაც, ამ ვანდალური საქციელისთვის, პასუხის მომკითხავიც არავინ გახლდათ. თავს არ ვიქებ, მაგრამ როგორც ამბობდნენ, — საკმაოდ ეშხიანი გოგო, სასურველი სარძლო ვიყავი და მოტაცებით გათხოვებას მხოლოდ იმიტომ გადავურჩი, რომ ლექსოსნაირი პატრონი მყავდა. ის სიყვარულში ვერ მიტყდებოდა, მაგრამ მეგობრებისგან ვიცოდი, ჩემს ფოტოებს აგროვებდა. მეც უზომოდ მიყვარდა, მაგრამ ამაში მხოლოდ საკუთარ თავს თუ გამოვუტყდებოდი. მახსოვს, ერთხელ ლექსო სიზმარში ვნახე: თითქოს, ჩემი სახლის აივანთან იდგა და მეძახდა. ამ დროს ვიღაცის ყვირილმა გამომაღვიძა, ფანჯრიდან გავიხედე და მღელვარებისგან კინაღამ გული ამომივარდა — ლექსო მართლა აივანთან იდგა, ოღონდ მე კი არა, მამამისის მეგობარს ეძახდა, რომელიც ჩვენს კორპუსში ცხოვრობდა. ლექსოს ერთი ფოტო მეც მაქვს — მაშინ 12-13 წლისანი თუ ვიქნებოდით, მეგობრებთან ერთად გადავიღეთ, სკოლის ეზოში. შავ-თეთრი ფოტოა, რომელსაც სიძველისგან ცოტა სიყვითლეც შეეპარა, მაგრამ ჩემთვის ძალიან ძვირფასია და ამიტომაც, რუდუნებით ვინახავ.

— ნანა, თუ შენ და ლექსოს ასე გიყვარდათ ერთმანეთი, რატომ არ შეუღლდით?

— ამაზე ყოველთვის ვოცნებობდი. სკოლაში წარჩინებით ვსწავლობდი და შესაბამისად, სწავლის გაგრძელების სურვილიც მქონდა. მხოლოდ ერთი რამ მაბრკოლებდა — თუ სასწავლებლად თბილისში წავიდოდი, ლექსოს ხშირად ველარ ვნახავდი. ის კი არა და, როცა ლექსომ სკოლა დაამთავრა, ვერ წარმოიდგენთ, როგორ გამიჭირდა იმის გააზრება, რომ იქვე, ჩემ გვერდით არ იყო. მახსოვს, საკლასო ოთახში, ფანჯარასთან შევარჩიე ადგილი და მთელი გაკვეთილის განმავლობაში სკოლისკენ მომავალ ქუჩას გავცქეროდი იმ იმედით, რომ ლექსო გამოჩნდებოდა. მართლაც, მოვიდოდა ხოლმე, ჩემი კლასის ფანჯრის გასწვრივ, სკამზე ჩამოჯდებოდა და ასე უსიტყვოდ, მხოლოდ თვალებით ველაპარაკებოდით ერთმანეთს. ის ერთი წელიც გაილია. როდესაც სკოლაში ბოლო ზარი დაირეკა და ლექსო კი არსად ჩანდა, შევშფოთდი. დანაღვლიანებული, კლასელებთან ერთად, შინ ვბრუნდებოდი. დავინახე, ლექსო ჩქარი ნაბიჯით მოდიოდა და დაღლილობისგან ქოშინებდა. ის ჩვენ წინ გაჩერდა და სკოლის დამთავრება მოგვილოცა. ცოტა ხნის შემდეგ, მისგან ასეთი რამ გადმომცეს: მე ნანას ვერ მივანიჭებ იმ ბედნიერებას, რასაც იმსახურებსო. არ ვიცი, ასე რატომ მომექცა ან ბედნიერებაში რას გულისხმობდა, რადგან ჩემთვის ერთადერთი ბედნიერება მასთან ერთად ცხოვრება იყო და მნიშვნელობა არ ჰქონდა, სად ან როგორ პირობებში... უნივერსიტეტში ჩავირიცხე და სასწავლებლად თბილისში ჩამოვედი. ყოველთვის, როდესაც სასწავლებლიდან გამოვდიოდი, მეგონა, ლექსო ჭიშკართან დამხვდებოდა, გულში ჩამიხუტებდა და მეტყოდა: ძალიან მომენატრეო, მაგრამ წელიწადი ისე გაილია, ლექსოს ნახვას კი არა, მის შესახებ რაიმეს გაგებას ვერ ვეღირსე. ერთ დღეს გადავწყვიტე, მისთვის დამერეკა. გამბედაობა მოვიკრიბე და ნომერი ავკრიბე. ყურმილი ქალმა აიღო და როცა ლექსო ვიკითხე, ცივად მიპასუხა: უკვე ექვსი თვეა, რაც მოსკოვში, სასწავლებლად გაემგზავრაო. მეგონა, ფეხქვეშ მიწა გამომეცალა. როცა ტირილით გული ვიჯერე, ბევრი რამ გავიაზრე და საკუთარი თავი დავაჯერე, რომ ეს სიყვარული თავად გამოვიგონე. ძალიან გამიჭირდა, მაგრამ ახალი ცხოვრების დაწყება ვცადე. მალე თაყვანისმცემელი გამომიჩნდა. თავი ვაიძულე, ჩემი ბავშ-

თავი ვაიძულე, ჩემი ბავშვობის სიყვარული გულის სიღრმეში შემენახა და სხვაზე გავთხოვდი

MK

ვობის სიყვარული გულის სიღრმეში შემენახა და სხვაზე გავთხოვდი. ლექსოს შესახებ, თითქმის ათი წლის განმავლობაში, არაფერი ვიცოდი. დროდადრო, როცა სახლში მარტო ვრჩებოდი, ბავშვობის დროინდელ ფოტოს გადმოვიღებდი და ვცდილობდი, გამომეცნო, როგორი იქნებოდა ჩემი ლექსო იმ დროს, რას საქმიანობდა, ჰყავდა თუ არა მეუღლე და შვილები? ამ ათი წლის განმავლობაში ერთი დღეც არ გასულა ისე, რომ მასზე არ მეფიქრა. მოგონებებს ბავშვობაში გადავყავდი, ზოგჯერ კი თავს ვერ ვერეოდი და აეროპორტში მივდიოდი იმ იმედით, რომ ლექსო მოსკოვიდან ჩამოვიდოდა და მას თვალს მაინც მოვკრავდი... შემდეგ ჩემს ცხოვრებაში რთული პერიოდი დაიწყო — ჩემსა და მეუღლეს შორის ურთიერთობა დაიძაბა. საღამოობით სახლში არ მოდიოდა, ალკოჰოლს მიეძალა და მსუბუქ ნარკოტიკებზეც არ ამბობდა უარს. ბავშვები უკვე წამოზრდილები იყვნენ და ჩვენს ჩხუბს მტკივნეულად აღიქვამდნენ. ამის გამო, სახლიდან წამოსვლაც კი ვცადე, მაგრამ ბოლო წუთას გადავიფიქრე და უფალს მივენდე. ერთ დღეს სასწაული მოხდა: საღამოს ტელევიზორს ვუყურებდი და ეკრანზე ლექსო დავინახე. მთელი ამ ხნის განმავლობაში, მოსკოვში მეგულებოდა, ის კი აქვე, თბილისში ყოფილა და ერთ-ერთ არასამთავრობო ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა. ათი წლის განმავლობაში ძალიან შეცვლილიყო, მაგრამ თვალები, გამოხედვა ისეთივე ჰქონდა, როგორიც ბავშვობისას. მისი ტელეფონი მოვიძიე და დავურეკე. მინდოდა, მხოლოდ მომეკითხა, მაგრამ ისე, რომ ჩემი ვინაობა არ გამემჟღავნებინა. როგორც კი ლექსომ ჩემი ხმა გაიგონა, მომახალა: რომ იცოდე, რამდენი რამ მაქვს შენთვის სათქმელიო. მეგონა, ბედნიერებისგან გული გამისკდებოდა. თითქოს ერთბაშად დამიბრუნდა ის, რაც დიდი ხნის დაკარგული მეგონა. მიწაზე კი არ დავდიოდი, დავფრინავდი. რამდენიმე დღეში ერთმანეთს შევხვდით და ვისაუბრეთ. მითხრა: მეგონა, მოვკვდებოდი, როდესაც საქართველოში ჩამოსულმა შენი გათხოვების ამბავი გავიგეო. მასაც, ჩემი არ იყოს, უფიქრია, რომ ჩვენი სიყვარული თავად გამოიხოლმე. მეც ვიჭერდი ამ წერილებს და სულმოუთქმელად ვკითხულობდი.

— საინტერესოა, რას გწერდათ?

— მისი ყველა წერილი დღემდე შენახული მაქვს. ამას წინათ, ეს სასიყვარულო ბარათები გადავიკითხე და კინაღამ

გულის სიღრმეში კვლავ ლექსოს სიყვარულს ვინახავ, მაგრამ ამ გრძნობას სძინავს და აღარასოდეს გავაღვიძებ

გონა. ჩემი ცხოვრების, პრობლემების შესახებ მოვუყევი. მეგონა, ძველებურად, ფრთებქვეშ შემიფარებდა და ჩემი წყენინების უფლებას არავის მისცემდა. ამაზე ფიქრის უფლებას ისიც მაძლევდა, რომ ლექსო ჯერაც არ დაოჯახებულიყო და როგორც ამბობდა, ვერც გულის სწორი ეპოვა. ამ ადამიანმა ჩემს ცხოვრებაში კიდევ ერთი დადებითი როლი შეასრულა, სულ ერთი წინადადება მითხრა და ამით ცხოვრების სწორ გზაზე მიმითითა: ოჯახი, შვილები და ზოგადად, მეუღლეებს შორის ურთიერთობა რთულია, ჭაობია, სადაც ძნელია, არ ჩაეფლო, მაგრამ მე ჭაობზე აშენებული ქალაქიც მინახავსო... მას შემდეგ ერთმანეთი აღარ გვინახავს. მე ყველაფერი გავაკეთე ოჯახის შესანარჩუნებლად და დღეს ბედნიერი ქალი ვარ. მართალია, გულის სიღრმეში კვლავ ლექსოს სიყვარულს ვინახავ, მაგრამ ამ გრძნობას სძინავს და აღარასოდეს გავაღვიძებ.

ქალბატონი თამარი, *62 წლის:*

— მას შემდეგ, ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა, მაგრამ ბავშვობის დროინდელი სიყვარული ჩემში კვლავ ცოცხლობს. ის სულ სხვა, წრფელი და ფაქიზი გრძნობაა, რომლის დავიწყებაც შეუძლებელია. მერაბი ჩემი ძმის კლასელი იყო. ჩვენი სიყვარულის შესახებ ჩემმა ძმამ არაფერი იცოდა, ამ ამბავს საგულდაგულოდ ვუმალავდით. დღე არ გავიდოდა, მერაბს რომ არ ვენახე — ჩვენთან მოდიოდა, ველოსიპედს ეზოში დააყენებდა, თანატოლ ბიჭებს ელაპარაკებოდა და თან, მზერა ჩემკენ ჰქონდა მომართული. ცოტა რომ წამოვიზარდეთ, ჩვენი გრძნობების გამჟღავნება წერილებით დავიწყეთ. მისი საკლასო ოთახი ჩვენი კლასის თავზე იყო. ჰოდა, როცა წერილს დაწერდა, ასანთის კოლოფში დებდა და ძაფით ქვემოთ ჩამოუშვებდა ინფარქტი მივიღე — გული ისე ამიჩქროლდა, როგორც ახალგაზრდობაში მემართებოდა და თავი ისევ პატარა, შეყვარებული გოგონა მეგონა. არადა, შვილების, შვილიშვილების პატრონი ვარ. ვიგრძენი, რომ ბავშვობის სიყვარული გამიახლდა და თავს თუ არ მოვერეოდი, ამ ხნის ქალი სიყვარულის მორევში გადავეშვებოდი. მას შემდეგ, საკუთარ თავს ამ ბარათების წაკითხვა ავუკრძალე და მათზე ლაპარაკიც არ მინდა. ბევრჯერ ისიც მიფიქრია, რომ წერილები დამეწვა, გამენადგურებინა, მაგრამ ვერ გავიმეტე. სხვათა შორის, მერაბს ძალიან ლამაზი კალიგრაფია ჰქონდა, ყველა მისი წერილი ნაქარგს ჰგავს, მე კი საშინელი ხელწერა მქონდა და ამიტომაც, წერილებს ჩემს საუკეთესო მეგობარს, ნათელას ვაწერინებდი. მოკლედ, ამ ჩვენმა საჰაერო მიმოწერამ სისტემატური ხასიათი მიიღო და მასწავლებლები დაგვემუქრნენ: თუ ამას არ შეწყვეტთ, სკოლაში მშობლებს დავიბარებთო! გამოსავალი მალე ვიპოვეთ — წერილებს მეგობრების ხელით ვუგზავნიდით ერთმანეთს. ერთხელ, მერაბმა ნათელას გამოატანა ბარათი. ჩემმა ძმამ დაინახა, რაღაც რომ მომცეს და დამედევნა: მაჩვენე, რა მოგცეს. იმ წერილში, მისი საუკეთესო მეგობარი სიყვარულს მეფიცებოდა და ჩემს ძმას რომ წაეკითხა, ამას არც მე მაპატიებდა და არც — მერაბს. მოკლედ, რაც ძალი და ღონე მქონდა, გავიქეცი, ოთახში ჩავიკეტე და ვიდრე ჩემი ძმა კარზე მთელი ძალით აბრახუნებდა, წერილში, სადაც კი მერაბს ჩემი სახელი ეწერა, წავშალე და ნათელა დავწერე. ღმერთო, რა სულელი ვიყავი, ასე ვაპირებდი ძმის მოტყუებას. ამ ამბის შემდეგ ჩვენი სიყვარულის ამბავი გამჟღავნდა და დედაჩემმა გულის წვეთები მოიმარაგა: მაგ ნიფხავგამოხეულს, გოგოს როგორ გავაყოლებო?! ჩემმა ძმამ მერაბს პირობა ჩამოართვა — ან ჩემი ძმა და შესაბამისად, ჩემი დის ძმა იქნები, ან საერთოდ, თვალით აღარ დამენახვოო. მოკლედ, იძულებულები გავხდით, ჩვენი გრძნობები დაგვემალა. ამასობაში, ჩემმა ძმამ სკოლა დაამთავრა და მისმა კლასმა ბანკეტი ჩვენს სახლში

გადაიხადა. წარმოიდგინეთ, რა დღეში ვიქნებოდი, როცა ვიცოდი, რომ მერაბი ჩემი სახლის მეორე სართულზე იყო, მე კი მშობლები ოთახიდან ფეხის გადგმის საშუალებას არ მაძლევდნენ. ფანჯრიდან ვხედავდი, თუ როგორ სცემდა მერაბი ბოლთას ჩვენი სახლის ეზოში. სულ მალე, ის ჯარში გაიწვიეს. გერმანიაში მსახურობდა და რამდენიმე წერილი იქიდანაც გამომიგზავნა. რა თქმა უნდა, მთხოვდა: დამელოდე, როცა ჩამოვალ, ცხოვრებას ავიწყობ და ყველას დავუმტკიცებ, რომ შენი ღირსი ვარო. ამ წერილების შესახებაც გაიგეს ჩემმა მშობლებმა და იმ შემთხვევაში, თუ შეყვარებულს პასუხს მივწერდი, სახლიდან გაგდებით დამემუქრნენ. რამდენიმე უპასუხო წერილის შემდეგ, ბარათების გამოგზავნა მერაბმაც შეწყვიტა, ხოლო როდესაც საქართველოში დაბრუნდა, მე უკვე დანიშნული ვიყავი... რამდენიმე წლის შემდეგ, მერაბმა ცოლად მეზობელი გოგო შეირთო, კარგი სამსახური იშოვა და ახლა წარმატებული ბიზნესმენია. დედულეთში ყოფნისას, მას რამდენჯერმე მოვკარი თვალი — დაკაცებულა, გასუქებულა, თმაში ჭაღარა შერევია, მაგრამ ჩემთვის მაინც ის პატარა მერაბია, რომელიც ჩემს სანახავად ველოსიპედით მოქროდა ხოლმე.

მარიკო, *40 წლის:*

— მინდა, ბაბუაჩემზე გიამბოთ. ის იყო ადამიანი, რომელმაც საყვარელი ქალის მიმართ გრძნობა მთელი ცხოვრება, სათუთად შეინახა. ბაბუა და მისი ბავშვობის მეგობარი — ივანე, სამამულო ომში ერთად იბრძოდნენ. თურმე, უამრავი გასაჭირი გამოიარეს, ერთმანეთზე ზრუნავდნენ და ომის დამთავრების შემდეგაც, სამშობლოში ერთად დაბრუნდნენ. ბაბუის მამა თავად ამილახვრებთან მსახურობდა, სახლიკაცად. მათ ერთგულ მსახურს გაწეული სამსახური დაუფასეს და ფრონტიდან დაბრუნებულ მის ვაჟს მშვენიერი გლეხის ქალი, ნატალია მიათხოვეს. ცოტა ხანში, ბაბუის მეგობარმა, ივანემაც ითხოვა ცოლი, სახელად — თამარა და ძმაკაცს სთხოვა, ქორწილში მათი მეჯვარე ყოფილიყო. ბებიაჩემი მაღალი, ახოვანი, ლამაზი ქალი იყო, მაგრამ თურმე, ბაბუას მეგობრის ცოლი, თამარა შეჰყვარებია და ისე ძლიერ მორევია გრძნობა, რომ ძილში, საყვარელი ქალის სახელს ხშირად წამოიძახებდა ხოლმე. სხვა რა გზა ჰქონდა და ბებიასაც გამოუტყდა, რომ სხვა უყვარდა, მაგრამ პირობა მიუცია — ეს გრძნობა ჩემშივე ჩაიმარხებაო. ამ სიყვარულის გამო, ბაბუა იშვიათად მიდიოდა თურმე ივანესთან და თუ თამარა სოფლის შარაზე გამოჩნდებოდა, უმალ სახლში შედიოდა. საოცარი ის იყო, რომ ბებიაჩემი ნატალია და თამარა მეგობრობდნენ. ქალები ისე დაბერდნენ, ბებიას არასდროს წამოუყვედრებია მისთვის: ჩემი ქმრის გული შენ დაიპყარიო. მოხუც მეგობრებს შორის, ყველაზე ადრე თამარა გარდაიცვალა. მისმა სიკვდილმა ბაბუაზე ძალიან იმოქმედა — წლები ერთბაშად დაეტყო და პირველად მაშინ დაიკავა ხელჯოხი. მხოლოდ მას შემდეგ შეიტყვეს ბაბუის სიყვარულის ამბავი, რაც მეგობრის ცოლის საფლავზე დამხობილი, არაერთხელ ნახეს. აი, ასეთი სიყვარული იცოდნენ საქართველოში — ძლიერი, წრფელი და უმწიკვლო!..

მამუკა, *60 წლის:*

— მე და ირინას აკვნიდანვე დანიშნულებს გვეძახდნენ, რადგან ერთმანეთი ძალიან პატარა ასაკში შეგვიყვარდა. ჩვენი სიყვარულის საწინააღმდეგო არც მშობლებს ჰქონდათ რაიმე და პირობას გვაძლევდნენ, — როგორც კი სკოლას დაამთავრებთ და უმაღლესში მოეწყობით, ქორწილს გადაგიხდითო. ხომ იცით, ბედი სწორედ მაშინ გიმუხთლებს, როცა ამას ყველაზე ნაკლებად ელი. სკოლა ახალი დამთავრებული მქონდა და მისაღები გამოცდებისთვის ვემზადებოდი, როდესაც მეგობარმა მთხოვა, ერთ საქმეზე გავყოლოდი. როგორც გაირკვა, „საქმის გარჩევაში“ უნდა მიმეღო მონაწილეობა. სკოლის სტადიონზე ათამდე ბიჭი შევიკრიბეთ, ლაპარაკი ყვირილში გადაიზარდა, შემდეგ — ჩხუბში, მერე დანამ გაიელვა და მახსოვს, როგორ ეგდო ჩვენი თანატოლი ბიჭი სისხლის გუბეში. დანით მიყენებულმა ჭრილობამ მას საძილე არტერია დაუზიანა და ვიდრე „სასწრაფო დახმარება“ მოვიდოდა, სისხლისგან დაიცალა. ამ ჩხუბში მონაწილეობის გამო, ციხეში ხუთი წელი გავატარე. დავწვებოდი ხოლმე „ნარზე“ და სულ იმაზე ვფიქრობდი, როგორ გამოვიდოდი ციხიდან, შევირთავდი ირინას, გვეყოლებოდა შვილები... მაგრამ განგება უმოწყალოდ მომექცა და ციხეშივე გავიგე, რომ ირინა ვილაც სვანმა მოიტაცა. მეგონა, დარდისგან მოვკვდებოდი — ეს ჩემთვის უდიდესი შვება იქნებოდა, მაგრამ სიკვდილმაც დამივიწყა. ერთხელაც გადავწყვიტე, ირინას სიყვარულზე უარი მეთქვა, ეს გრძნობა მიმეძინებინა, მიმეყუჩებინა. ციხიდან რომ გამოვედი, მეგონა, ახალი ცხოვრებისა და რაც მთავარია, ახალი სიყვარულის საპოვნელად მზად ვიყავი. ამასობაში, ირინას შვილი შეეძინა და ამან კიდევ უფრო გაამყარა ჩემი მიზნები. დაახლოებით 6-7 წელი ვებრძოდი საკუთარ თავს და ზოგჯერ, დარწმუნებულიც ვიყავი, რომ ირინას სიყვარული საბოლოოდ დავამარცხე, მაგრამ მერე ვხვდებოდი, მხოლოდ თავს ვიტყუებდი. შესაძლოა, ვილაცამ უპრინციპო, უნებისყოფოც მიწოდოს, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ ჩვენი სიყვარულისთვის ბოლომდე უნდა ვიბრძოლოთ... ერთ დღეს, მანქანაში ჩავჯექი და ირინას სანახავად გავემგზავრე. დამინახა თუ არა, ფერი დაკარგა, კინაღამ გული წაუვიდა, მე კი სიმშვიდეს ვინარჩუნებდი და მის ოჯახს ირინას ნათესავად გავეცანი. იმ ღამეს იქ დავრჩი, მეორე დღეს კი გარიჟრაჟზე, ირინაც და მისი შვილიც თან წამოვიყვანე. კაცს, რომელმაც სიყვარული მომტაცა, ორი სიყვარული — ცოლი და შვილი მოვტაცე. სვანები მოსაკლავად დამდევდნენ. ამიტომაც, ცოტა ხნით, მე, ირინა და მისი შვილი რუსეთში გავემგზავრეთ. დღეს ჩვენ ბედნიერი ოჯახი გვაქვს, ათ შვილს ვზრდით და ვლოცავ იმ ძალას, რომელმაც საკუთარ სიყვარულზე უარის თქმის უფლება არ მომცა. ■

ლუიზა შაკიაშვილი, ყოფილი პარლამენტარი:

– „გზას“ დროდადრო ვკითხულობ და ძალიან მომწონს, რადგან მდიდრულია, მრავალფეროვანი და საინტერესო სტატიებითაა დახუნძლული. რაც მთავარია, „ყვითელი“ არ არის. ალბათ, ამ გამოცემაში ჭორიკანა ჟურნალისტები არ მუშაობენ. ისე, კულტურასა და ხელოვნებაზე მეტი რომ იწერებოდეს, კარგი იქნებოდა. ქართველებს ძალიან საინტერესო ხელოვნება გვაქვს და ის უფრო მეტ ყურადღებას იმსახურებს ისეთი სერიოზული ჟურნალისგან, როგორიც „გზაა“.

წიგნი, რომელიც გია ცაგარეიშვილზე წარმოდგენა შთაბეჭდილება მოახდინა

ის ყველაზე ხშირად სამეცნიერო და იურიდიულ ლიტერატურას კითხულობს. ლევ ტოლსტოის „ომი და მშვიდობა“ კი ის წიგნია, რომელმაც მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. ბევრი საყვარელი მწერალი ჰყავს და პერიოდულად მათ ნაწარმოებებს უბრუნდება. კონსტანტინე გამსახურდიას „დავით აღმაშენებელი“ 4-ჯერ აქვს წაკითხული. ლიტერატურული პერსონაჟებიდან მეგობრად ვაჟა-ფშაველას ალუდა ქეთელაურს ირჩევს. კითხვაზე — ოდესმე წიგნი თუ მოგიპარავთ? — მცირე პაუზის შემდეგ ღიმილით მპასუხობს: — ერთხელ ბიბლიოთეკიდან ამერიკელი მწერლის ტოკვილის „ამერიკული დემოკრატია“ წამოვიღე; წაკითხვის შემდეგ მისი მისაკუთრებაც განვიზრახე, მაგრამ ბოლოს ცდუნებას მაინც ვძლიე და უკან დავაბრუნე. ასე რომ, წიგნი არასდროს მომიპარავს. მაშ ასე, „ერუდიტის“ სტუმარი — პოლიტიკოსი გია ცაგარეიშვილი გახლავთ.

თამუნა კვინიკაძე

— 1986 წლამდე, აფრიკის რომელი ქვეყანა ატარებდა სახელწოდებას — „სპილოს ძვლის ნაპირი“?

— კოტ-დ’ივუარი.

— რომელი გვირაბი აკავშირებს სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთს?

— როკის გვირაბი.

— რომელ ბრძოლაში დაამარცხა ნაპოლეონმა რუსეთ-ავსტრიის ჯარები 1805 წელს?

— აუსტერლიცის ბრძოლაში.

— რა ჰქვია სისხლის მიმოქცევის მთავარ არტერიას?

— ვენა.

— ცდებით, აორტა. ამოუცნობ მოვლენათა მკვლევრების აზრით, რა აფრთხობს ვამპირებს?

— (*ფიქრობს*) ვერ გეტყვით.

— მცენარის სუნი. იქნებ გამოიცნოთ, რომელია ეს მცენარე?

— ნიორი?

— დიახ. რა ჰქვია ავტომობილის სიჩქარისა და გავლილი მანძილის საზომ ხელსაწყოს?

— სპიდომეტრი.

— რა ეწოდება სახელმწიფოს, რომელიც ფორმალურად დამოუკიდებელია, მაგრამ სინამდვილეში, სხვა სახელმწიფოს ემორჩილება?

— სატელიტი.

— რომელი სახელმწიფოს ფულის ერთეულია იუანი?

— ჩინეთის.

— რომელი ქართველი საზოგადო მოღვაწე იყო, როგორც ელჩი, საფრანგეთის მეფე ლუი XIV-სთან?

— (*ფიქრობს*).

— მიგანიშნებთ...

— (*მაწყვეტინებს*) არ მინდა მინიშნება, სწორი პასუხია სულხან-საბა ორბელიანი.

— რომელ ქვეყანას ეკუთვნის ყირიმის ნახევარკუნძული?

— უკრაინას.

— რამდენი შავი კლავიშია ფორტეპიანოს თითო ოქტავაში?

— არ ვიცი, შემდეგი კითხვა დამისვით.

— 5 შავი კლავიში. რომელ ზღვაზე აქვს გასასვლელი აზერბაიჯანს?

— კასპიის ზღვაზე.

— რომელ ბრძოლაში დაიღუპა რუსეთის არმიის გენერალი, პეტრე ბაგრატიონი?

— ბოროდინოს ბრძოლაში.

— თამაშის დაწყების დროს, რამდენი პაიკია საჭადრაკო დაფაზე?

— ჭადრაკის თამაში არ მიყვარს.

— 16. რა ჰქვია სატყორცნ იარაღს, რომელიც აცდენის შემთხვევაში, მსროლელს უკან უბრუნდება?

— ბუმერანგი.

— რომელი ვულკანის ამოფრქვევამ გაანადგურა ქალაქი პომპეი?

— ვეზუვის ამოფრქვევამ.

— თავდაპირველად რომელ ქალაქში დაიწყეს სახლების დანომვრა?

— რომში.

— პასუხი არასწორია.

— აბა, ლონდონში?

— დიახ. რა ჰქვია სიცილიური მაფიის შემოღებულ დუმილის კანონს?

— ომერტა.

— რომელი დაბაა გუდამაყრისა და ფშავის არაგვის შესართავთან?

— ფასანაური.

— XVI საუკუნიდან, საქართველოს დაშლის შემდეგ, რამდენი სამეფო ჩამოყალიბდა?

— (*ფიქრობს*) 3 სამეფოა — ქართლის, კახეთისა და იმერეთის.

— რისი ერთობლიობაა არქიპელაგი?

— კუნძულების.

— რა ჰქვია დოკუმენტს, რომელიც საგამოძიებო ორგანოებს ჩხრეკის ჩატარების უფლებას აძლევს?

— ორდერი. ახლა მაგას „მოსამართლის ბრძანებას“ უწოდებენ.

— პირველად რომელ წელს გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში?

— 1928 წელს.

— ცდებით.

— მაშინ, 1930 წელს. ვიცი, რომ ეს ურუგვაიში მოხდა.

— რომელი სრუტე აერთებს შავსა და აზოვის ზღვებს?

— ქერჩის სრუტე.

— რომელია ყველაზე პატარა კონტინენტი?

— ავსტრალია.

— რა იყო ფაშისტური გერმანიის მიერ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ წამოწყებული ომის კოდური სახელწოდება?

— „ბარბაროსა“.

— 1921-39 წლებში, რომელ სახელმწიფოს ეკუთვნოდა დასავლეთ უკრაინა?

— პოლონეთს.

— რომელი სახელმწიფოსგან იყიდა აშშ-მა ლუიზიანა?

— საფრანგეთისგან.

— რომელმა სახელმწიფომ შექმნა პირველი ატომური ბომბი?

— აშშ-მა.

— რა ჰქვია ძაღლს ფილმში — „ოთხი ტანკისტი და ერთი ძაღლი“?

— (*ფიქრობს*) შარიკა, ხომ?

— დიახ. ამ უფრთო ფრინველსა და ტროპიკულ ხილს საერთო სახელი აქვს...

— (*ფიქრობს*).

— მიგანიშნებთ, ხილის სახეობა დასავლეთ საქართველოშიც მოდის.

— კივი.

— რატომ ედგა თავზე იულიუს კეისარს ყოველთვის დაფნის გვირგვინი?

— არ ვიცი.

— სიქაჩლის დასაფარავად. დავით აღმაშენებლის დროს, ამ თანამდებობის პირის დაქვემდებარებაში იყო საპოლიციო სამსახური და მსტოვართა მრავალრიცხოვანი ორგანიზაცია...

— ეს გახლდათ მანდატურთუხუცესი.

— ცნობილია, რომ იტალიური კინოს ლეგენდა, მარჩელო მასტროიანი ძალიან ბევრს ეწეოდა, რის გამოც ქრონიკული ხველებით იტანჯებოდა. შეწუხებულმა მსახიობმა ექიმს მიმართა. „დროა, მოწევას თავი დაანებოთ“, — ასეთი იყო ექიმის დასკვნა. მსახიობმა ამაზე უპასუხა: „ყველაფერი გასაგებია, დროა...“ — დაასრულეთ მსახიობის სიტყვები.

— ზუსტად არ მახსოვს, ალბათ ექიმს ჰკითხა, ჩემი სიკვდილის დრო მოვიდაო?

— „...დროა, ექიმი გამოვიცვალო“, — ასეთი იყო მასტროიანის პასუხი. რომელი ქართული ხალხური სიმღერა მიეძღვნა შალვა ახალციხელს?

— არ ვიცი.

— „შავლეგო“. რამდენი დისგან შედგებოდა იშხნელების ცნობილი ანსამბლი?

— 4 დისგან.

— რა ჰქვია კარდინალთა კრებას, რომელზეც რომის პაპის გარდაცვალების შემდეგ, ახალი პაპის არჩევა ხდება?

— კონკლავი.

— რაგბიში, ლელოს შემდეგ, დამატებითი დარტყმის წარმატებით შესრულებისას, გუნდს რამდენი ქულა ეწერება?

— როგორც ყოფილმა რაგბისტმა, შემიძლია გითხრათ, რომ ასეთ დროს გუნდს 2 ქულა ეწერება.

— სპორტის რომელ სახეობაშია მოასპარეზის აქსესუარები — თეთრი კოსტიუმი, ლითონისბადიანი მუზარადი და ხელთათმანი?

— ფარიკაობის.

— რა ჰქვია სცენის წინა ნაწილს?

— ავანსცენა.

— ჭოროხი, მტკვარი, ენგური, თერგი — ამ მდინარეებიდან, რომელი მიედინება მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე?

— ენგური.

— სად დაარსდა მსოფლიოში პირველი ბოტანიკური ბაღი: ინგლისში, იტალიაში, საფრანგეთსა თუ ესპანეთში?

— იტალიაში.

— ვინ ასრულებს ბიჭიკოს როლს ფილმში „ჭრიჭინა“?

— დოდო აბაშიძე.

— გერმანია, დანია, ესპანეთი, საფრანგეთი — ამ ქვეყნებიდან რომლის ჰიმნს არა აქვს ტექსტი?

— არ ვიცი.

— ესპანეთის. ამ ქვეყნის რომელ ქალაქში ტარდება ყოველწლიურად დალაქთა საერთაშორისო კონკურსი, რომელსაც როსინის ერთ-ერთი ოპერის პოპულარობას მიაწერენ?

— სევილიაში.

— რომელ ქვეყანაში მოხდა მოკრივეთა აჯანყება?

— კუბაში.

— ცდებით, ჩინეთში. გვირაბი — „ინგლიშ-ჩენელი“ რომელ სახელმწიფოს აკავშირებს დიდ ბრიტანეთთან?

— საფრანგეთს.

— „ასფურცელა“, „სამი გოჭი“, „კომბლე“, „წითელქუდა“. ჩამოთვლილთაგან რომელ ზღაპარში არ ფიგურირებს მგელი?

— (*იცინის*) „ასფურცელაში“.

— „ჩემო თვალნათელო, ჩემო სანატრელო,/ ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო./ ყოფილა დავით მეფე — აღმაშენებელი,/ ყოფილან ოპიზრები — გასაშტერებლები./ ყოფილა მოდრეკილი, ყოფილა ცურტაველი,/ რასაც მოჰყოლია შოთა რუსთაველი....“ — ვინ არის ამ სტროფის ავტორი?

— მურმან ლებანიძე.

— რომელ ბიბლიურ პერსონაჟს გადასცა ღმერთმა ქვის ფილებზე დაწერილი ათი მცნება?

— მოსეს.

— დაასრულეთ ედმონდის ცნობილი გამონათქვამი: „ისტორია ცივილიზაციისა 8 სიტყვით გამოითქმის, რაც უფრო მეტი იცი, მით...

— „...მით უფრო კარგია“.

— „...მით უფრო მეტი შეგიძლია“.

■

ერუდიტი +

კრეატურა *(ლათ.)* — *პირი, რომელიც დაწინაურებულია არა თავისი პირადი ღირსება-დამსახურების მიხედვით, არამედ გავლენიანი პირის, გავლენიანი წრეების წყალობით.*

კრიკი *(ინგ.)* — *ისეთი მდინარე ან ნაკადული, რომელიც პერიოდულად შრება.*

ავტორიტარიზმი *(ფრანგ.)* — *პოლიტიკური რეჟიმი, რომლის დროსაც მთელი სახელმწიფო ხელისუფლება კონცენტრირდება ერთი პროვინციის ხელში და თანდათან სახელმწიფო მმართველობაში უმნიშვნელო ხდება წარმომადგენლობითი ინსტიტუტის როლი (მაგ. პარლამენტის).*

გუფერული სახელმწიფო *(პოლიტიკ.)* — *პატარა სახელმწიფო, რომელიც ორ, ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილ სახელმწიფოს შორის არის მოქცეული და მათგან თითოეული, მის გამოყენებას მეორის საწინააღმდეგოდ ცდილობს.*

კონვენცია *(ლათ.)* — *სახელმწიფოთა შორის რაიმე სპეციალურ საკითხზე დადებული ხელშეკრულება.*

ფეხმძიმე მომღერალი, „საკუთარი“ ყავა და ნინი შერმადინის მიერ მომზადებული მწვანე ლობიო

ჟურნალი „გზა“ ახალ რუბრიკას იწყებს. მას „ერთი დღე“ დავარქვით, რადგანაც გადაწყვეტილი გვაქვს, ცნობილ, პოპულარულ ადამიანებს შინ ვეწვიოთ და ერთი დღე მათთან ერთად გავატაროთ, შემდგომ კი შეძლებისდაგვარად, ჩვენი შთაბეჭდილებები და სტუმრობის დეტალები შესაბამისი ფოტოილუსტრაციებით თქვენც შემოგთავაზოთ.

ჩვენი რუბრიკის პირველი სტუმარი ნინი შერმადინი გახლავთ.

ორსულობის პერიოდში ადრე მეღვიძება

ნინო მაისურაძე

მომღერალმა ერთი წლის წინ, ოჯახი შექმნა. მისი რჩეული — ფეხბურთელი (საბერძნეთის ერთ-ერთი საფეხბურთო კლუბის მოთამაშე) ვაჟა ციცაგი გახლავთ. ნინი რვა თვის ორსულია და ივლისის დასაწყისში პატარა გოგონას დაბადებას მოუთმენლად ელის. წყვილი ქალაქ რუსთავში ცხოვრობს. ჩვენც სწორედ იქ ვესტუმრეთ და ერთი დღე მათთან ერთად გავატარეთ. კარი ახალგაღვიძებულმა ნინიმ გაგვიღო...

დილა – 9.15 სთ.

— არ მელოდი?

— (*იცინის*) როგორ არ გელოდი, ვერ ხედავ, როგორი მოწესრიგებული დაგხვდი? ოთახებიც კი მივალაგე (*იცინის*)...

ნინიმ ჯერ სამზარეულოში შემიპატიჟა და თავის „საკუთრება“, უკოფეინო ყავაზე მიმიპატიჟა. სანამ ნინი გაზქურასთან ტრიალებდა, მისი მეუღლე, ვაჟაც შემოგვიერთდა.

ნინი:

— ეს ყავა ჩემმა დედამთილმა საბერძნეთიდან გამომიგზავნა და დილას ამ ყავით ვიწყებ ცხოვრებას. უკოფეინოა და ამავე დროს, ძალიან გემრიელიც. იმდენად მივეჩვიე, რომ ალბათ მშობიარობის შემდეგაც ვეღარ გავძლებ უკოფეინო ყავის გარეშე.

— ნინი, ასე ადრე იღვიძებ ხოლმე თუ ამჯერად ჩვენ დაგვდე პატივი?

— ორსულობის პერიოდში ადრე მეღვიძება. მაშინვე საბაზანოში შევდივარ და თავს ვიწესრიგებ. სამაგიეროდ, შემდეგ მთელ დღეს მთქნარებაში ვატარებ. ძილი არ მყოფნის, მაგრამ იმდენად ვარ დამძიმებული, რომ საწოლშიც ვეღარ ვჩერდები.

ვაჟა:

— მთელ დღეებს სააბაზანოში ატარებს. ხანდახან ვეხუმრები, ბარემ იქ დასახლდი-მეთქი (*იცინიან*).

ნინი:

— მოწესრიგების შემდეგ, სამლოცველო კუთხისკენ ვინაცვლებ და სანთელს ვანთებ.

მეუღლესთან ერთად

10.35 სთ.

ყავის სმას რომ მოვრჩით, ნინი მწვანე ლობიოს გარჩევას და კერძის მომზადებას შეუდგა.

ნინი:

— ძალიან მიყვარს სამზარეულოში ფუსფუსი, სხვადასხვა კერძის მომზადება...

ვაჟა:

— ნინის მართლაც, არაჩვეულებრივი

ნინიმ დაასრულა ლობიოს შეკაზმვა და ხმამაღლა გამოაცხადა, სადილის დროაო

გააწყო სუფრა და მიგვიწვია

ეს ყვავილები ბათუმში ვიყიდე და აქამდე დიდი წვალებით მოვიგანე

ხელი აქვს. მის მიერ მომზადებული ყველა კერძი მომწონს, განსაკუთრებით კი — ხორციანი „ბლუდები“.

— ნინი, სახლს შენ ალაგებ, თუ ვინ გეხმარება?

— ელემენტარულ რაღაცებს მე ვაკეთებ. თუმცა კვირაში ერთხელ, ერთი ქალბატონი მოდის, რომელიც „გენერალურ უბორკას“ გვიკეთებს. ამხელა მუცლით ჭაღებისა და ფანჯრების გაწმენდას ნადვილად ვერ შევძლებ. წარმოიდგინე, რვა თვეში 12 კილოგრამი მაქვს მომატებული.

შუადღე – 13.10 სთ.

ამ დროისთვის კი ნინიმ დაასრულა ლობიოს შეკაზმვა და ხმამაღლა გამოაცხადა, სადილის დროაო. გააწყო სუფრა და... მინდა, აღვნიშნო, რომ მას მართლაც გემრიელი კერძის მომზადება სცოდნია. მწვანე ლობიოს შეჭამანდი არაჩვეულებრივი იყო. სადილის შემდეგ, აივანზე, პატარა ორანჟერეაში გავედით.

ნინი:

— ეს ყვავილები ბათუმში ვიყიდე და აქამდე დიდი წვალებით მოვიტანე. მიუხედავად იმისა, რომ კარგად ვუვლი, ორი სახეობის ყვავილი მაინც გახმა. გული დამწყდა, მაგრამ შემოდგომაზე ახალ ყვავილებს ვიყიდი. მიყვარს ყვავილების მოვლა. ვწყნარდები.

— ნინი, შინ რითი ერთობი ხოლმე?

სხვათა შორის, ჩემს შვილს ძალიან მოსწონს პიანინოს ხმა

— ფორტეპიანოზე ვუკრავ, ვმღერი... ვოკალში მაინც ვმეცადინეობ. კარგია, რომ გამახსენე, წამოდი, პიანინოზე დავუკრათ...

15.40 სთ.

ნინიმ, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ სოლო კონცერტი ჩამიტარა...

ნინი:

— სხვათა შორის, ჩემს შვილს ძალიან მოსწონს პიანინოს ხმა. როდესაც ვუკრავ, ვგრძნობ, როგორ ყუჩდება და როგორ ისმენს ჩემს „შედევრებს“ (*იცინის*).

— ბავშვის სახელი შერჩეული გაქვს?

— რა თქმა უნდა. მარიამს დავარქმევ. ძალიან მომწონს ეს სახელი და სანამ გავთხოვდებოდი, სულ ვამბობდი, თუ გოგო შემეძინა, აუცილებლად მარიამს დავარქმევ-მეთქი.

— ალბათ, პატარისთვის საჭირო ნივთები უკვე შეძენილი გაქვს, არა?

— რაღაც-რაღაცები ვუყიდე. მაგალითად, „ბოდები“ და პერანგები. რომ ვუყურებ, მეცინება. ვფიქრობ, ნუთუ, მართლა ასეთი პატარა დაიბადება ჩემი შვილი-მეთქი (*იცინის*)?!

— რომელ სამშობიაროში აპირებ მშობიარობას?

— ღუდუშაურის კლინიკაში. მინდა, რომ ბუნებრივად ვიმშობიარო, რადგან ასეთი მშობიარობა როგორც დედის, ასევე შვილის ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა.

საღამო – 17:15 სთ.

— უჰ, რა დრო გასულა?! ვაჟა მთელი დღეები შენ გვერდით არის?

— რა თქმა უნდა. აბა, მარტო შინ რა გამაჩერებს? ერთად დავდივართ მეგობრებთან, ნათესავებთან... ერთი სული აქვს, როდის ვიმშობიარებ. მინდა, რომ მალე ჩავდგე ფორმაში და საბერძნეთში გავემგზავროთ...

— მშობიარობის შემდეგ, საბერძნეთში მიდიხართ?

— ვაპირებთ. ათენში, ერთ-ერთმა წამყვანმა პარფიუმერიულმა ფირმამ შემომთავაზა, რომ მათი სარეკლამო სახე გავხდე. ფოტოსესია უკვე გვქონდა. ახლა ჩემს ფორმაში ჩადგომასა და საბერძნეთში ჩასვლას ელოდებიან.

ამ დიალოგის შემდეგ კი ჩვენ შევედით ნინის მდგომარეობაში და ძალიან რომ აღარ შეგვეწუხებინა, წარმატება ვუსურვეთ და წყვილს დავემშვიდობეთ. ■

ვფიქრობ, ნუთუ, მართლა ასეთი პატარა დაიბადება ჩემი შვილი-მეთქი

18 წლის ტელეწამყვანი „მის მსოფლიოს“ კონკურსს აქცევს

ცოტა ხნის წინ, „რუსთავი 2“-ის დილის პროგრამას ახალი წამყვანი შეემატა. მოდელმა გვანცა დარასელიამ ეკა სამხარაძე შეცვალა. პირველი შექება მან პროდიუსერიგან დაიმსახურა, რამაც გვანცა დიდად გაამხნევა... ჟურნალისტობა მისთვის უკვე ახდენილი ოცნებაა, მოდელობა კი უბრალოდ — ჰობი. თუმცა ამ უკანასკნელმა მის ცხოვრებაში ბევრი რამ შეცვალა... პირველად პოდიუმზე იგრძნო, რომ ქალია, თანაც საკმაოდ მომხიბლავი. ამასთან, აპლოდისმენტიც უხვად მიიღო. „რუსთავი 2“-ის დილის გადაცემაში ნინო შუბლაძემ მიიყვანა, სადაც ასაკით ყველაზე უმცროსი აღმოჩნდა. გვანცა ჯერ მხოლოდ 18 წლის არის...

„ვცდილობ, თაყვანისმცემლებს უარი ვუთხრა ძვირფას საჩუქრებზე“

თამუნა პეტრიაშვილი

გვანცა დარასელია:

— მას შემდეგ, რაც დილის გადაცემაში დავიწყე მუშაობა, დილის 5 საათზე მიწევს გაღვიძება. თუმცა ისეთი შემართებით ვარ, სულაც არ მიჭირს. ეთერის შემდეგ, ვახერხებ, რომ ცოტა გამოვიძინო. შემდგომ კი საქმეებზე დავრბივარ. როგორი დაღლილიც არ უნდა ვიყო, მეგობრების მონახულებას მაინც ვახერხებ.

— როგორ მოხვდი ამ სფეროში?

— ჟურნალისტობაზე ბავშვობიდან ვოცნებობდი, რამაც განაპირობა ის, რომ მონაწილეობა მივიღე ახალგაზრდა ჟურნალისტების კონკურსში — „დუბლი 2“. შემდეგ კი უკვე „რუსთავი 2“-შიც აღმოვჩნდი. თეატრალურ უნივერსიტეტში ტელეწამყვანის პროფესიას ვეუფლები. ჩემმა ლექტორმა ნინო შუბლაძემ, რომელიც „რუსთავი 2“-ის საინფორმაციო სამსახურის უფროსია, იცოდა, რომ მუშაობის დაწყება ტელევიზიაში მინდოდა. როდესაც ეკა სამხარაძის დეკრეტში გასვლის დრო მოვიდა, ნინომ შემომთავაზა, მის ადგილზე ძალები მეც მომესინჯა. ჩემთან ერთად რამდენიმე ადამიანმა გაიარა შესარჩევი ტურები. ისე მოხდა, რომ მე გამიმართლა. სანამ ეთერში გავიდოდი, ორი თვე ჟურნალისტად ვიმუშავე.

— მოდელობას მეორე პროფესიად მიიჩნევ?

— კი. მოდელობა ბავშვობიდან დავიწყე. დავამთავრე სამოდელო სააგენტო „ნატალის“ სტუდია და სანამ კონკურსში — „მის საქართველო“ მივიღებდი მონაწილეობას, „ნატალის“ მოდელი ვიყავი. „მის საქართველოში“ მონაწილეობით კი ჩემს ცხოვრებაში რაღაც ახალი ეტაპი დაიწყო.

— პირველმა გადაცემამ როგორ ჩაიარა, გაგიჭირდა?

— რაც ყველაზე მთავარია, ნერვიულობა დავძლიე. პირველი გადაცემის შემდეგ, მთელი კოლექტივი დავსხედით, ვუყურეთ გადაცემას და ერთად შევაფასეთ. პროფესიონალებმა თქვეს, რომ ჩემი მუშაობა პირველი ეთერისთვის ცუდი არ იყო. ყველა ხელს მიწყობს. ვიცი, რომ ჯერ კიდევ ბევრი მაქვს სასწავლი. თუმცა დროთა განმავლობაში, გამოცდილებასთან ერთად, ალბათ, ყველაფერი მოვა. ამ ეტაპზე, ჩემთვის, ყველა შენიშვნა მისაღები და გასათვალისწინებელია.

— როგორც ვიცი, „მის მსოფლიოს“ კონკურსზე მიემგზავრები...

— დიახ, 11 ივნისს, „მის მსოფლიოზე“ ერთი თვით მივემგზავრები.

— კონკურსი ვიეტნამში ჩატარდება?

— კი. წინ საკმაოდ რთული დღეები მელის, კონკურსში ოთხმოცი ქვეყნის ულამაზესი გოგონები მონაწილეობენ და დიდი კონკურენცია იქნება. ჩემს ჩაცმულობაზე ძალზე ბევრი ადამიანი ზრუნავს: თეონა თავართქილაძე, ირაკლი ბოჭოიძე, მაღაზია


როგორც წესი, იშვიათად ვნანობ რაიმეს

„მარიონელა“... ყველანაირად ვეცდები, საქართველო არ შევარცხვინო. ვიბრძოლებ წარმატებისთვის. თან იქ მარტო რომ მივდივარ, ეს ცოტა არ იყოს, მაშინებს, მაგრამ გავუძლებ.

— როგორც ვატყობ, მოდელობას თავს არ ანებებ. როგორ აპირებ ამ საქმიანობის ჟურნალისტიკასთან შეთავსებას?

— ჯერ არ ვიცი, რა იქნება მომავალში, მაგრამ თუკი არჩევანის წინაშე დავდგები — მოდელობა თუ ჟურნალისტობა, ჟურნალისტობას ავირჩევ, რადგან მოდელობა ჩემთვის მაინც ჰობია.

— გვანცა, როგორ ფიქრობ, საზოგადოებისათვის ცნობილი სახე რომ არ ყოფილიყავი, ასე უპრობლემოდ მოხვდებოდი „რუსთავი 2“-ში?

— ის, რომ საზოგადოება გარკვეულწილად მიცნობდა, ალბათ დამეხმარა. თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ ჟურნალისტიკაში ამის გარეშეც მივაღწევდი წარმატებას.

— ამბობ, რომ ჟურნალისტიკა შენთვის პრიორიტეტულია, თუმცა ტოვებ გადაცემას და ერთი თვით „მის მსოფლიოზე“ მიემგზავრები...

— „მის მსოფლიოზე“ წასასვლელი კონტრაქტი მანამდე მქონდა გაფორმებული, სანამ „რუსთავი 2“-ში დავიწყებდი მუშაობას. კონტრაქტის დარღვევა კი ჩემი მხრიდან უპასუხისმგებლო საქციელი იქნებოდა და ამასთანავე, საკმაოდ სოლიდური ჯარიმის გადახდაც მომიწევდა.

— გვანცა, თითქმის ყველა ამბობს, რომ სააგენტო „ნატალი“ გაცილებით წარმატებულია ქართულ სამოდელო ბაზარზე, ვიდრე „იმიჯ-ცენტრი“. რა იყო შენი „ნატალიდან“ წამოსვლის მიზეზი?

— გეთანხმები, რომ „ნატალი“ ქართულ სამოდელო ბაზარზე მართლაც, პირველ ადგილზეა... „იმიჯ-ცენტრმა“ „მის მსოფლიოზე“ წასვლა შემომთავაზა და მეც დავთანხმდი ამ წინადადებას. რამდენად სწორი გადაწყვეტილება მივიღე, ამას დრო გვიჩვენებს.

— ხომ არ ნანობ?

— როგორც წესი, იშვიათად ვნანობ რაიმეს. ეს გადაწყვეტილება დიდი ფიქრის შედეგად მივიღე და არა მგონია, სანანებელი გამიხდეს....

— გვანცა, მას შემდეგ, რაც „რუსთავი 2“-ში დაიწყე მუშაობა, შენი თაყვანისმცემლების რიცხვი გაიზარდა?

— (*იცინის*). არ ვიცი, ალბათ კი. რამდენიმემ მითხრა: დილის 8 საათზე ვდგებით იმის გამო, რომ შენ გიყურეთო. ძალიან დიდი სურვილი მაქვს, ჩემი მაყურებლის რაოდენობა მხოლოდ თაყვანისმცემლებით არ შემოიფარგლოს...

— რომელიმე ცნობილი ადამიანი თუ არის შენს თაყვანისმცემლებს შორის?

— ახლა არ მახსენდება, ალბათ — კი. თუმცა დაკონკრეტებისგან მაინც თავს შევიკავებ.

— სიურპრიზებით ხშირად განებივრებენ?

— არის ასეთი შემთხვევებიც, თან არცთუ იშვიათად. ძირითადად ყვავილებს, სუნამოს ან სათამაშოს მჩუქნიან. ერთი-ორჯერ სერენადაც მიმღერეს. ყურადღება კარგია, მაგრამ არა — გადამეტებული. ვცდილობ, ძვირფას საჩუქრებზე უარი ვთქვა ხოლმე.

— შეყვარებული ხარ?

— არა. ჯერ არ განმიცდია, რა არის ნამდვილი სიყვარული... ასე რომ, ყველაფერი წინ მაქვს...

— უკარება ხარ?

— არა. ძალიან თბილი და კომუნიკაბელური ვარ. მთავარია, არ მომატყუო და არ მიღალატო, თორემ ბევრის მოთმენა და პატიება შემიძლია. წყენას გულში არასდროს ვიტოვებ, წონასწორობიდანაც იშვიათად გამოვდივარ, მაგრამ თუ გავბრაზდი... ხომ გაგიგონიათ, „ცხვარი ცხვარიაო, თუ გაცხარდა...“ ამიტომ, ვურჩევ, არავინ გამაბრაზოს (*იცინის*).

— გვანცა, ჭორების ეპიცენტრში ხშირად ხვდები?

— მაღიზიანებს ჭორები, მით უმეტეს, თუ ჭორი საფუძველს მოკლებულია. ყველაზე მეტად გული ერთმა ჭორმა მატკინა. „დუბლი 2“-ში რომ ვმონაწილეობდი, მომიგონეს, ვითომ მამაჩემმა მანქანა გაყიდა და ჩემი ნახევარფინალში გასვლა ჩააწყო. ეს ხომ სრული აბსურდია?! ვფიქრობ, იმ ადამიანებს, რომლებიც ასეთ ჭორებს ავრცელებენ, პირადი ცხოვრება არა აქვთ და სიმართლე გითხრა, მეცოდებიან კიდეც.

— შენ არ გიყვარს ჭორაობა?

— არც ისე. როდესაც მეგობრები ვიკრიბებით, რა თქმა უნდა,

ყველაზე მეტად გული ერთმა ჭორმა მატკინა

ვჭორაობთ, მაგრამ ისეთ თემებზე, რომ სხვას ზიანი არ მივაყენოთ.

— შენი ასაკისთვის ზედმეტად დატვირთული ცხოვრებით ცხოვრობ...

— საკუთარი თავის მიმართ ძალიან მომთხოვნი ვარ. საერთოდ, ყოველთვის ვცდილობდი, რამდენიმე საქმე ერთდროულად გამეკეთებინა. ამბობენ, პატარებს ერთი შეცდომის დაშვების უფლება აქვთო, თუმცა მე ყოველთვის ვცდილობდი, ეს „შანსი“ არ გამომეყენებინა.

— შენს უახლოეს სამომავლო გეგმებზე რას მეტყვი?

— წინ მელოდება კონკურსი — „მის მსოფლიო“. აი, ეს არის ის, რისი თქმაც დანამდვილებით შემიძლია.

■

„მის ბიკინი საქართველო 2008“
ფოტომოდელების და მანეკენების სტუდია
„ფავორიტი“

იწვევს 17-24 წლამდე სასიამოვნო გარეგნობის გოგონებს სილამაზის კონკურსში: „მის ბიკინი საქართველო 2008“ მონაწილეობის მისაღებად.
გამარჯვებული ორი გოგონა გაემგზავრება სილამაზის საერთაშორისო კონკურსებზე: „მის ბიკინი მსოფლიო“ და „მის დედამიწა“.
საკონტაქტო ტელეფონი:
893 955 622

ნიაზ დიასამიძის ძაღლი „ჩათლაუკა", კოსტა ხეთაგუროვის ძმაკაცი ვერაზე და ოპერის პალში მოთამაშე ზურაბ ანჯაფარიძე

...ძველი თბილისური ამბები, კოლორიტები, მათი თავგადასავლები და ქალაქური ცხოვრების ეპიზოდები მკითხველისთვის ჩვენმა რესპონდენტებმა: გოგი სარაჯიშვილმა, ომარ ანდრიაძემ და გივი როსტიაშვილმა გაიხსენეს. ყველანი ერთად კი სასაუბროდ ეროვნული ბიბლიოთეკის წინ მდებარე სკვერში შევიკრიბეთ. ჩვენს საუბარს გარშემო მყოფებიც დიდი ინტერესითა და სიამოვნებით ისმენდნენ.

თამუნა კვინიკაძე

— თქვენი ნებართვით, საუბარი ასეთი კითხვით დავიწყოთ: რით ერთობოდა ბავშვობაში თქვენი თაობა?

ომარ ანდრიაძე:

— „ავჭალურით" (*იცინის*). ნაჭრის „ჩულქში" სიმინდს ან ლობიოს ჩავყრიდით, ბურთის ფორმას მივცემდით და ისე ვთამაშობდით.

გივი როსტიაშვილი:

— აბა, ბურთი არ გვქონდა და რა გვექნა?! მოგვიანებით, ნაჭრის ბურთებზე გადავედით. გარდა ამისა, კოჭითა და ლახტითაც ვერთობოდით. ტანზე სულ „სინიაკები" მქონდა. „ავჭალურში" ვინც ბევრს ვერ აკენწლავდა, გამარჯვებული ბეჭებზე უნდა შეესვა და ეტარებინა. ამას „აჩი-კუდას" ვეძახდით.

გოგი სარაჯიშვილი:

— ჩვენი თაობის ერთ-ერთი საყვარელი თამაში „ფულაობა" იყო. გარკვეულ მანძილზე ვხაზავდით 5, 10 და 20-კაპიკიან წრეებს. როცა ქვას ისროდი და 20-კაპიკიანის ზოლში ჩავარდებოდა, ის, ვისაც ეთამაშებოდი, ვალდებული იყო შენთვის 20 კაპიკი მოეცა. „ფულაობა" ძალიან უყვარდა ზურაბ ანჯაფარიძეს. სათამაშოდ უმეტესწილად ოპერის ბაღში ვიკრიბებოდით. ერთ-ერთი თამაშის დროს, ზურას პეტრე ამირანაშვილმა მოაკითხა და უთხრა: „აქ რას თამაშობ, რუსეთიდან რომ „ქაღალდია" მოსული, გაეცანი და იმ საქმეს გაჰყევი, იქიდან კაცი ჩამოხვალო. ზურას მოსკოვიდან მიწვევა ჰქონდა, მაგრამ სამშობლოდან წასვლა ეძნელებოდა.

ნიაზზე დაუსრულებლად შემიძლია ვილაპარაკო

„ფულაობა" ძალიან უყვარდა ზურაბ ანჯაფარიძეს

ომარი:

— პეტრე ამირანაშვილის რჩევას, — აქ რომ თამაშობ, წადი და ივარჯიშეო, ზურა ყოველთვის ასე პასუხობდა, — ხვალ, ხვალო — და „ფულაობის" თამაშს აგრძელებდა. მას საოცარი იუმორის გრძნობა ჰქონდა. მოგეხსენებათ, ზურამ ასაკით ბევრად უმცროსი გოგონა შეირთო. თავად კი სიდედრზე 5 წლით უმცროსი იყო. ერთხელ, იმ ქალბატონისთვის ასე უთქვამს: მე რომ ნამუსიანი კაცი ვიყო, შენ უნდა იყო ჩემი ცოლიო (*იცინიან*).

გოგი:

— ჩემი და ზურას დაბადების დღე 12 აპრილსაა. ამ დღეს ყოველთვის ერთად აღვნიშნავდით. დილის საათებში, ერთმანეთს კოლმეურნეობის მოედანზე ვხვდებოდით და იქვე ცნობილ საკუპატეში შევდიოდით. დასაჯდომი სკამები არ იყო. მაგიდასთან, რომელზეც 5-6 კაცი ეტეოდა, ფეხზე მდგომი უნდა დანაყრებულიყავი. ერთხელ, ჩვენს სუფრასთან ვიღაც „ბომჟი" მოვიდა, დაუვარცხნელი თმით, ჭუჭყიანი ტანსაცმლით. შევწუხდით, ავირიეთ... ზურამ მითხრა: ჩქარა შევჭამოთ და გავიდეთო. იმ კაცმა კუპატი მოიტანა. მაშინ ხელსაწმენდების ნაცვლად, სასადილოებისთვის სტამბიდან დაჭრილი ქაღალდები მოჰქონდათ. „ბომჟმა" აიღო ეს ქაღალდი, სამ თითში მოიქცია და სამარილედან მარილი ისე გადმოიღო. მე და ზურამ ერთმანეთს გაკვირვებულებმა გადავხედეთ. მერე ამ ამბავს ყველას ვუამბობდით ხოლმე... სამწუხაროდ, ზურა თავის დაბადების დღეს გარდაიცვალა.

— როგორც ვიცი, თქვენ ნიაზ დიასამიძესთან მეგობრობდით...

გივი:

— ნიაზზე დაუსრულებლად შემიძლია ვილაპარაკო. ერთ დღეს, ქუჩაში რამდენიმე ბიჭთან ერთად ვდგავარ და მზესუმზირას ვჭამთ...

გოგი:

— (*აწყვეტინებს*) კარგი ახლა, ძალიან კულტურული ნუ გამოხვალ. შენ მაგას „სემიჩკას" ეძახი.

გივი:

— მოიცა რა, გოგი, „ნაციონალური" მიჭირავს (*იცინის*). რა არის, რას ჭამ, ამხელა კაცი ჩიტი ხომ არ ხარო? — „დამტუქსა" ნიაზმა. მალე ნიაზი ცუდად გახდა. საავადმყოფოში სანახავად მეგობრები მივიდნენ, მაგრამ ადმინისტრაციამ მათ შესვლაზე უარი უთხრა. იცოდნენ, რომ ნიაზის პალატა მესამე სართულზე იყო. ეზოდან შესძახეს: რა ვქნათ, ნიაზ, მოვედით, მაგრამ არ გვიშვებენო. — ვინ არ გიშვებთ, ბოთლი ამოიღეთ და ჩაარტყითო, — გადმოსძახა ნიაზმა მე-3 სართულიდან. — ბოთლი არ გვაქვსო, — შეწუხდნენ მეგობრები. — აბა, ბოთლი თუ არ გაქვთ, ისე რა გინდათ, რომ მოდიხართო?!

ომარი:

— ნიაზი სიმპათიური კაცი იყო. „ბუტილკა" შარვალი პირველად თბილისში მაგან შემოიტანა. ყოველთვის ორიგინალურად ეცვა, შარვლებს თავად იკერავდა.

გოგი:

— ბოლო წლებში ძაღლთან ერ-



მობილურები არ იყო. თუ ვინმეს ნახვა მოგინდებოდა, რუსთაველზე უნდა გასულიყავი

თად დადიოდა. სულ 3 ძაღლი ჰყავდა, საოცარი სახელები ერქვათ, გახსოვთ?

ომარი:

— როგორ არა! ერთს „ჩათლაშკა“ ერქვა, სულ დედალი ძაღლებისკენ იქაჩებაო, — ამბობდა ნიაზი და ეს სახელიც იმიტომ დაარქვა.

გოგი:

— კარგი დოგი ჰყავდა. ყოველ დილით როგორც თვითონ სვამდა „პივას“, იმ ძაღლსაც ისე ასმევდა.

ომარი:

— ჭადრაკის სასახლესთან ადრე პატარა „პივნოი“ იყო, სადაც ნიაზი „პახმელიაზე“ გამოსასვლელად მიდიოდა. ერთ დილას, მეც იქ დავხვდი. მოვიდა, „პივა“ დალია, თან ლაპარაკი დამიწყო. ძაღლი აწრიალდა, აღარ მოასვენა. — დაიცა, რა, დაჯექი, რა ბალერინასავით ტრიალებ, ახლავე დაგალევინებო. ამის თქმაზე ძაღლი გაჩერდა, ნიაზმა „პივა“ მოუტანა თუ არა, დალია და აღარც განძრეულა.

გოგი:

— იმის გამო, რომ ნიაზი ძაღლების ძალზე ერთგული იყო, თავად ძაღლებიც ერთგულობდნენ. მას რამდენი ალკოჰოლური სასმელიც არ უნდა დაელია, ფეხი არასდროს აერეოდა. როცა ნასვამი სახლისკენ მიდიოდა, წინ ყოველთვის ძაღლი მიუძღოდა. დოგი სამჯერ გაყიდა

(მარცხნიდან) გივი როსტიაშვილი, ომარ ანდრიაძე და გოგი სარაჯიშვილი

და სამჯერვე უკან მოუბრუნდა. თანაც, ის ძაღლი ორჯერ ერთი და იმავე ადამიანმა იყიდა და ორჯერვე გამოეპარა.

ომარი:

— თბილისის კოლორიტის ამირან დუმბაძის მამა, შალვა დუმბაძე ცნობილი ყომარბაზი იყო. ვაკეში ცხოვრობდნენ. ერთხელ, ღამის 12 საათზე ნიაზმა შალვას დაურეკა და უთხრა: ნარდს ვთამაშობ, დიდი ფულის მოგების შანსი მაქვს და შენი დახმარება მჭირდებაო. — მე რით დაგეხმაროო? — უკითხავს შალვას. — ქვების განლაგება ასეთია, ესა და ეს კამათელი მომივიდა და მირჩიე, როგორ ვითამაშოო. შალვას ნიაზისთვის რჩევა მიუცია. ამ დროს ის, თურმე მეგობრებთან ერთად სუფრასთან მჯდარა. მეორედ, შალვას ღამის 2 საათზე დაურეკა და კვლავ დახმარება სთხოვა. ზარი ღამის 4 საათზეც განმეორდა. დილის 6 საათზე კიდევ დარეკა და ჰკითხა: — შალვა, ამ პარტიას, მგონი, მოვიგებ; იაქეს კარში 4 ქვა მყავს, დუშაში მომივიდა, რა ვქნაო? — გამოდი, შენი!!! მთელი ღამე რომ არ დამაძინეო, — ბოლო ხმით უყვირია შალვა დუმბაძეს და მაშინ მიმხვდარა, მთელი ღამის განმავლობაში რჩევას ტყუილად რომ ეკითხებოდა.

გივი:

— ერთხელ ნიაზს სახლში რუსი გოგო აუყვანია. იცოდა, იმ დღეს მარტო იყო და... მოულოდნელად სახლში მისულს, დედა დახვედრია

— ვინ არის ეს გოგოო? — უკითხავს ნიაზისთვის. ნიაზი დაბნეულა — არ იცი? არ იცნობ? ეს ჩემი დეიდაშვილიაო.

ომარი:

— ნიაზ დიასამიძე, ქართლოს კასრაძე და გიგა ლორთქიფანიძე კლასელები იყვნენ. ქართლოსი და ნიაზი ერთ ქუჩაზე ცხოვრობდნენ. ქართლოსს ბევრი შვილი ჰყავდა. ღამის 12 საათზე ნიაზს მათ კარზე დაუკაკუნებია: — მუზა მომივიდა, მინდა რაღაც დავწერო და მელანს ვერ მათხოვებო? — არ მაქვსო, — უარით გამოუსტუმრებია ქართლოსს. ღამის 4 საათზე ისევ გაუღვიძებია. ქართლოსს კართან მდგარი ნიაზი რომ დაუნახავს, სანამ რაიმეს ჰკითხავდა, თავად დაუსწრია, — რა გინდა, კაცო, არ მაქვს მელანი და თავი დამანებეო. — მერამდენე ბავშვს აკეთებო? — მშვიდი ტონით უკითხავს ნიაზს. — მეხუთესო, — დარცხვენით ჩაულაპარაკებია ქართლოსს. — ჰოდა, აი, შენ, მელანი მოგიტანე, კარგად დახატეო.

გოგი:

— ნიაზი ტრანსპორტში არ ჯდებოდა, სულ ფეხით დადიოდა. სულ რუსთაველზე, ვერაზე ტრიალებდა. პლეხანოვზე გასულიც კი არ მინახავს. ტრადიციების მიმდევარიც იყო.

ომარი:

— ერთხელ ნიაზი ბაკურიანში წაიყვანეს. ნასვამი ყოფილა, თოვლში ვერ უვლია და წაქცეულა. — ადექი, ადექი, წავიდეთო, — ხან ერთი მასპინძელი ეუბნებოდა და ხან — მეორე. — რა დროს წასვლაა, მოდი, დასხედით, ვილაპარაკოთო: ვინაიდან ადგომის თავი არ ჰქონდა, ნიაზს მასპინძლები თავისთან „მიუპატიჟებია“.

გივი:

— ახლო ურთიერთობა გვქონდა ვარაზების ოჯახთან. ისინი პეროვსკაიაზე ცხოვრობდნენ. ავთოს ძმა, ლევანი სტომატოლოგი იყო. მთელი თბილისის ელიტა მასთან დადიოდა სამკურნალოდ. ავთოს და ლევანს ულამაზესი მშობლები ჰყავდათ. დედა ირანელი სომეხი იყო.

ომარი:

— ავთოს მამა — ვასო ვარაზი

MK

ინფორმაციულ-შეეცნებითი კოლაქი

ეოჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

1. ბაკლა მსხვილი ცერცვია.
2. ბაიათი აღმოსავლური ცალხმიანი ჰანგია.
3. მიწაზე დანარცხებამდე გალაკტიონმა 13 მეტრი იფრინა.
4. „ჩემ ვიშე ზაბორ, ტემ ლუჩშე სასედი“, — ირწმუნებიან რუსები.
5. პიპკი წმინდად დაფქული, საუკეთესო ხარისხის პურის ფქვილია.
6. სოფია როტარუს 9 ენაზე ნამღერი 400 სიმღერა აქვს ჩაწერილი.
7. „ბილ ბი ჩელოვეკ, სტატია ნაიდიოტსა“, — ამბობდნენ კომუნისტები.
8. ნორვეგიული ფულის ერთ-ერთ ბანკნოტზე ედვარდ გრიგი იყო გამოსახული.
9. ქათმის მკერდის ორტოტა ძვალს — ავქაში, მეორენაირად კი საწინწკარა ჰქვია.
10. ავტოსადგომის მრიცხველი პირველად, 1935 წელს, ოკლაჰომა-სიტიში შემოიღეს.
11. ევერესტი პირველად, 1953 წელს, ახალზელანდიელმა ედუარდ ჰილარიმ დაიპყრო.

12. სასიძოს მიერ საპატარძლოსთვის მირთმეულ საქორწინო საჩუქარს ალავი ერქვა.
13. ლონდონი ინგლისის ოფიციალურ დედაქალაქად XII საუკუნის დასაწყისში გამოცხადდა.
14. გამოთქმა — „სერიული მკვლელი“ FBI-ს თანამშრომლის, რობერტ რესლერის შემოღებულია.
15. I მსოფლიო ომის დროს რუსეთში შემოღებული მშრალი კანონი ბოლშევიკებმა გააუქმეს.
16. ყველა ადამიანის არომატი ისეთივე უნიკალურია, როგორიც მისი თითის ანაბეჭდები. ძაღლი პატრონს სწორედ ამ არომატის წყალობით აგნებს.
17. გენერალმა რობერტ ედუარდ ლიმ, რომელიც ამერიკის სამოქალაქო ომში სამხრეთელთა არმიას სარდლობდა, კაპიტულაცია 1865 წლის 9 აპრილს გამოაცხადა.
18. ბერლინში ჰიტლერის ბუნკერი აღარ არსებობს. იგი 1947 წელს, რუსებმა ააფეთქეს. ამჟამად, მის ადგილას ავტოსადგომია გაკეთებული.
19 დოდო აბაშიძემ, პატარაობისას, დედას ლექსი დაუწერა: „შეგისრულე წადილია, მოგიმზადე სადილია, მოგიხარშე კარტოფილი, დამირჩები კმაყოფილი“.
20. სელ კირკი მეზღვაური გახლდათ, რომელმაც წყნარი ოკეანის ერთ-ერთ კუნძულზე 4 წელი მარტოობაში გაატარა. მისი ამბავი საფუძვლად დაედო დანიელ დეფოს ნაწარმოების — „რობინზონ კრუზოს“ შექმნას, რომლის პერსონაჟმაც დაუსახლებელ კუნძულზე 28 წელი იცხოვრა.

ცნობილი ქიმიკოსი გახლდათ. ავთოს ცალკე ერთი ოთახი ჰქონდა, იქ საწოლის და ბოთლების მეტი არაფერი იყო. იმ ბოთლებს აბარებდნენ და ისევ ღვინოს ყიდულობდნენ. ლევანი ისე არ მუშაობდა, ერთი ჭიქა წითელი ღვინო რომ არ დაელია.

გივი:

— (*აწყვეტინებს*) ლევანთან დაკავშირებით ერთი ამბავი გამახსენდა: მასთან, როგორც პაციენტი, მეც დავდიოდი. ერთხელ მითხრა: ვერაზე, ბაზრის წინ, კოსტა ხეთაგუროვის ძეგლი რომ დგას, იქ კარგი ღვინო იყიდება და მომიტანეო. მისმა ნათქვამმა დამაბნია, მთელი ცხოვრება ვერაზე მაქვს გატარებული და იქ კოსტა ხეთაგუროვის ძეგლი სად არის-მეთქი? იმ ადგილზე ყოველთვის მილიციელი იდგა. მაშინ მილიციელთა უმეტესობა ოსი იყო და კოსტა ხეთაგუროვის ძეგლისთვის იმიტომ შეუდარებია.

ომარი:

— ერთხელ ავთო ვარაზი დაგვეკარგა, დიდი ხნის მანძილზე არსად ჩანდა. მე და გივი, შემთხვევით, მას საბურთალოზე შევხვდით. — სად ხარ, რატომ დაგვეკარგე-თქო? — ვკითხეთ. — სად ვარ და აქ ვარ, ცოლი მოვიყვანეო. — შვილიც გყავს-მეთქი? — 3 შვილი და 1 ცოლი მყავსო.

გივი:

— ავთო სულ პატარა ჭიქებით სვამდა, მთელი დღის მანძილზე 3 ბოთლს ცლიდა. არც სადღეგრძელოს ამბობდა და არც რაიმეს აყოლებდა. ერთხელ ლევანთან მივედი, ჩემ წინ პაციენტი ჰყავდა. დაველოდე. ხომ არ გტკივაო? — ეკითხება პაციენტს, თან თავის საქმეს აგრძელებს. — დიახ, ცოტა მტკივაო, — აკანკალებული ხმით პასუხობს ქალბატონი. — ნუ გეშინია, ახლა უფრო მეტად გეტკინებაო, — „ამშვიდებს“ ლევანი.

ომარი:

— ნიაზი და ავთო მეგობრები იყვნენ. ნიაზი სიკვდილის პირას რომ იყო, ახლობლებს სთხოვა: ავთო ვარაზი მომიყვანეთო. ავთო მთელი დღე ეძებეს და ვერსად ნახეს. ნიაზს უთხრეს: ვერ ვიპოვეთ, იქნებ საღამოს გამოჩნდესო. — საღამომდე მე ვერ ვიცოცხლებ, როცა ნახავთ, გადაეცით, კინოში ჩემი როლიც მაგან შეასრულოსო. ნიაზი სიკვდილის წინაც კი ხუმრობდა.

— ბიჭები ხშირად ჩხუბობდით? ჩხუბის შემდეგ როგორ რიგდებოდით?

გოგი:

— ჩვენ გვქონდა ადგილები, სადაც საქმეები ირჩეოდა. მსგავსი რამ სკოლაში არასდროს მომხდარა. მოზარდებში ისეთი აგრესია, როგორიც დღესაა, მაშინ არ იყო.

გივი:

— ცხელ გულზე შესაძლოა, გვეჩხუბა, მაგრამ აზრზე მოსვლისთანავე ვრიგდებოდით, ერთმანეთს გადავკოცნიდით და გულში ბოღმას არ ვიტოვებდით.

ომარი:

— დანას ხელში როგორ დავიჭერდით?! თუ საჩხუბარი იყო, მუშტით ვჩხუბობდით. რა დროც არ უნდა ყოფილიყო, თუ გოგონასთან ერთად მიდიოდი, შეურაცხყოფას არავინ მოგაყენებდა. ეს დაუწერელი კანონი იყო.

გოგი:

— ერთმანეთთან ვძმაკაცობდით, პლეხანოვსა და რუსთაველზე ვსეირნობდით. მაშინ ქალთა და ვაჟთა სასწავლებლები ცალ-ცალკე იყო. გაკვეთილების შემდეგ, ბიჭები ქალთა სასწავლებლის წინ ვიყავით ხოლმე ატუზულები, მაგრამ პირიქით — არასდროს მომხდარა.

ომარი:

— ისე, საგანგებოდ კი გაივლ-გამოივლიდნენ ხოლმე (*იცინის*).

გოგი:

— ყველანი სკოლის ფორმებით დავდიოდით. თეთრ პერანგს აუცილებლად შარვალში ვიტანიებდით. გვეკეთა ქამრები, რომლის ბალთებზეც იმ სკოლის ნომერი იყო ამოტვიფრული, რომელშიც ვსწავლობდით. გოგონებსაც თავიანთი ფორმები

— ცხელ გულზე შესაძლოა, გვეჩხუბა, მაგრამ აზრზე მოსვლისთანავე ვრიგდებოდით



— ერთხელ ივანე ჯავახიშვილს ჰკითხეს: — როგორ ბრძანდებით, ბაგონო ივანეო? — როგორ ვიქნები, „მიჩათლახებული“ ვარო

ჰქონდათ: კაბა, თეთრი ან შავი წინსაფარი და ბაფთა, რომლის ტარებაც ბევრს არ სიამოვნებდა.

— **გოგონებს თავს როგორ აწონებდით?**

გივი:

— პატიოსანი კაცის როლს კი არ ვთამაშობ, ამას გულწრფელად გეუბნებით: გოგოს რომ ველაპარაკებოდი, ვწითლდებოდი. მაშინ სხვაგვარი რიდი და კრძალვა იყო. ვცდილობდით, თავი დადებითი თვისებებით წარმოგვეჩინა. ზოგჯერ მათ თვალწინაც ვჩხუბობდით.

გოგი:

— ოღონდ ამ ჩხუბში მართალი უნდა ყოფილიყავი. მაშინ გასართობი ადგილი ასე მრავლად არ იყო. ერთმანეთს დაბადების დღეებზე თუ ვხვდებოდით. ცეკვით და სიმღერით თავს ვიწონებდით. თანატოლები რუსთაველზეც ხშირად ვსეირნობდით. ახალი წიგნი რომ გამოვიდოდა, ერთმანეთის ვთხოვდით. ასე წავიკითხე „დეკამერონი“. 1 კვირის ვადა მქონდა. დედაჩემს რომ არ ენახა, ლეიბის პირში მქონდა დამალული.

ომარი:

— დღეს თითქოს ახალგაზრდებმა სიყვარულიც გააუბრალოეს.

გივი:

— ერთხელ ივანე ჯავახიშვილს ჰკითხეს: — როგორ ბრძანდებით, ბატონო ივანეო? — როგორ ვიქნები, „მიჩათლახებული“ ვარო. რას ამბობთ, როგორ გეკადრებათო?! — არა, ეს ცუდი სიტყვა სულაც არ არის, დაჩაჩანაკებულს ნიშნავსო.

გოგი:

— ჩვენს ახალგაზრდობაში დედის გინებას იშვიათად გაიგონებდი. მაშინ ყველა უბანს თავისი ავტორიტეტი ჰყავდა. ჯიბგირები, უმეტესად ტროლეიბუსებში „მუშაობდნენ“. ნამდვილ ამბავს გეტყვით: ჩემმა ძმამ, ლევან სარაჯიშვილმა ცოლი რომ მოიყვანა, სტუდენტი ვიყავი. დედამ მას ე.წ. ოქროს „კაპიკიანი“ საათი აჩუქა. ერთ დღეს, სახლში დაბრუნებულს, რძალი ატირებული დამხვდა, — ტროლეიბუსით ვმგზავრობდი და ხელიდან საათი შემხსნესო. ნუ ტირი-მეთქი, დავამშვიდე და ცნობილ ქურდ ბებესთან წავედი. წლების წინ, ის ჩვენს მეზობლად ცხოვრობდა და კარგად ვიცნობდი. ბებემ მითხრა: რომელ ნომერ ტროლეიბუსში და რომელ საათზე მოხდა, ყველაფერი დაწვრილებით გაიგეო. როცა პასუხი ვუთხარი, მეორე დღისთვის დამიბარა და ჩემი რძლის საათი დათქმულ დროს დამახვედრა. მათაც თავიანთი წესები ჰქონდათ, რომელსაც ყველა იცავდა.

ომარი:

— ჩემს მეუღლეს ნახალოვკაში ხელიდან ჩანთა გამოსტაცეს. ვინ აღარ შევაწუხე, მაგრამ ვერ იპოვეს. 3-დღიანი ძებნის შემდეგ დაასკვნეს, მომთაბარეები არიან შემოპარულებიო. ბოლოს ის ჩანთა, 1 კვირის შემდეგ, მაინც ვიპოვეთ. შიგნით ყველაფერი ხელუხლებელი იყო.

გივი:

— მაშინ საბუთს არავინ გადაგდებდა. ხშირად მფლობელს ფოსტითაც უგზავნიდნენ.

გოგი:

— ეგეც ერთგვარი წესი იყო. გასაღებს და საბუთებს ხელს არავინ ახლებდა.

— **როგორია დღეს თქვენი თვალით დანახული რუსთაველის გამზირი?**

ომარი:

— ის აღარ არის. ყველას ცხვირ-პირი ჩამოსტირის. ჩვენი ახალგაზრდობის დროს მობილურები არ იყო. თუ ვინმეს ნახვა მოგინდებოდა, რუსთაველზე უნდა გასულიყავი. უფრო მეტსაც გეტყვით: სკოლის გამოსაშვები გამოცდების დროს, თუ რა თემა უნდა მოსულიყო ქართულ ენასა და ლიტერატურაში, რუსთაველზე სეირნობის დროს შევიტყობდით ხოლმე.

— **ყველაზე მეტად გული რაზე გწყდებათ?**

გოგი:

— იმაზე, რომ მოღიმარ სახეებს ვეღარ ვხედავ...

ომარი:

— კაცობა რომ დაიკარგა...

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალი

უბის წიგნაკიდან:

21. ლეგენდარულმა ამერიკელმა მფრინავმა ჩარლზ ლინდბერგმა, რომელსაც ჩვილი ბავშვი მოსტაცეს, სამი დღის განმავლობაში, დაახლოებით 2000-მდე წერილი მიიღო. აქედან, 500 ჭკუანაკლულთა დაწერილი იყო, 1500-მდე წერილში კი ავტორები საკუთარ სიზმარს აღწერდნენ: ძილში ვნახე, ბავშვი ამა და ამ ადგილას იმყოფებაო. რამდენიმე წერილის ავტორი, დაკარგული ბავშვის სანაცვლოდ, ლინდბერგს საკუთარ შვილს სთავაზობდა.

22. ერთ-ერთ რეპეტიციაზე სახელგანთქმულმა დირიჟორმა — არტურო ტოსკანინიმ შენიშვნა მისცა მომღერალ ქალს, რომელიც ორკესტრთან ერთად გამოდიოდა. „როგორ, თქვენ არ იცით, რომ მე დიდი მომღერალი ვარ?“ — აღშფოთდა პრიმადონა. „ნუ ღელავთ, მე არავის ვეტყვი ამის შესახებ!“ — დაამშვიდა იგი ტოსკანინიმ.

23. ერთხელ, მენატურე ქალმა, ედგარ დეგა საკუთარ ქორწილში დაპატიჟა. სტუმრად მისულმა მხატვარმა საპატარძლოს საჩუქარი გადასცა და ღიმილით შენიშნა: ჩაცმულიც ძალზე ლამაზად გამოიყურებითო.

24. აეროსტატის — ცხელი ჰაერით გაბერილი საჰაერო ბურთის გამომგონებელ ძმებ მონგოლფიერებს სიმაღლის პანიკურად ეშინოდათ. ამის გამო, საფრენი აპარატის პირველი მგზავრები იხვი, მამალი და ცხვარი იყვნენ. მოგვიანებით, საფრანგეთის მეფემ დააპირა, მონგოლფიერის მგზავრებად ორი ტუსაღი გაემწესებინა და შეემოწმებინა, თუ რამდენად სახიფათო იყო ეს გამოგონება ადამიანისათვის, მაგრამ ამის კატეგორიული წინააღმდეგი გახლდათ მარკიზი დარლანდი, რომელსაც არ სურდა, ადამიანის პირველი გაფრენის დიდება პატიმრებს ხვდომოდათ წილად. უშიშარმა მარკიზმა, ერთ-ერთ ოფიცერთან ერთად, თავად იმოგზაურა მონგოლფიერით და პირველი აერონავტის დიდებაც მას ხვდა წილად.

25. დაახლოებით ერთი წლის წინ, ინგლისელ ჯონ მეტიუსს ექიმებმა უკურნებელი სენის დიაგნოზი დაუსვეს და მაქსიმუმ, 6 თვის სიცოცხლე უწინასწარმეტყველეს. მეტიუსს ყურები არ ჩამოუყრია — იგი ტოტალიზატორში წავიდა და ფსონი დადო, რომ 6 თვის ნაცვლად, ერთი წელი იცოცხლებდა. ერთი წლის თავზე, მან მოგებული 5 ათასი გირვანქა სტერლინგი აიღო და იმავე ტოტალიზატორში ისევ დადო ფსონი, რომ კიდევ ერთი წელი იცოცხლებდა. მეტიუსს ნაძლევი ჯერაც არ წაუგია.

დასაწყისი იხ. „გზა“ №23

შეუჩიჩებელი ანა

დაბრუნება

ნაწილი მეორე

ინგა ჯაყელი

შეხვედრა გიგისთან

გიგი თეთრაძის ზარი კიდევ უფრო მოულოდნელი აღმოჩნდა ჩემთვის. მან მასთან, ოფისში მისვლა კი არ მთხოვა, მომთხოვა.

— საქმე თქვენ გაქვთ და სადაც გეტყვით, იქ მობრძანდებით. თანაც მაშინ, როცა მე მეცლება! — ვაგრძნობინე, რომ მის პრესცენტრში მომუშავე და მისი ხელების შემყურე ჟურნალისტი არ ვიყავი.

მგონი, დაიბნა. მცირე პაუზის შემდეგ, ჯერ სიცილი აუტყდა, მერე კი მითხრა:

— კარგი, კარგი. ისე, ანას მეგობრისგან სხვა რეაქციას არც ველოდი. ხვალ ერთად ვისადილოთ, ნაშუადღევს დაგირეკავთ...

გიგიმაც რესტორანში დამპატიჟა და არჩევანის უფლება მომცა:

— შეუკვეთეთ, რაც გნებავთ!

— მარხვაა და ბევრი არაფერი მინდა, — მივუგე მოკლედ.

— ე.ი. ღმერთის გწამთ. მაშინ მითხარით, — რა არ გასვენებთ? რას გადამეკიდეთ, ასე უღვთოდ რომ მჭრით თავს?! — გიგიმ ირონიაში საყვედური შეაზავა და ოფიციანტს საკმაოდ მსუყე სადილი შეუკვეთა. ახლაღა შევნიშნე, გასუქებულიყო. პერანგის ზედა ღილი აშკარად უჭერდა და ყელში წაჭერილი ჰალსტუხი ყბებს უმსხვილებდა. — ვერ გამიგია, რატომ მიყვარს ანა — ქალი, რომელსაც პრობლემების გარდა ჩემთვის არაფერი მოაქვს... როცა მის აღსარებას ვკითხულობდი, ასეთი აღიარებისთვის, ფაქტების ასეთი გაშიშვლებისთვის, ისე გავცოფდი, აქ რომ ყოფილიყო, შეიძლება, გონება გადამკეტვოდა და მეცემა კიდეც...

მის შუბლზე შემორჩენილ ნაიარევს გავხედე და გამეღიმა. არც ეს დარჩენია შეუმჩნეველი:

— მართალი ხართ, ისიც საკითხავია — ვინ ვის დაასწრებდა ცემას და იქნებ, მართლა ტყვია დაგვეხალა ერთმანეთისთვის. ახლა ბოღმამ გამიარა. თანაც, ჩემდა გასაოცრად, ბევრი ვერ მიხვდა, რომ იმ ამბის გმირი მე ვიყავი. მხოლოდ ძალიან ახლობელ ადამიანებთან ამემღვრა წყალი, მათ შორის, ლიკასთანაც.

— მისი აზრი ცოლის აზრზე მეტად გაღელვებთ?

— ცოლი ასეთ რაღაცებზე არც მელაპარაკება... პრინციპში, პრეტენზიებს ვერც ლიკა მიყენებს, მაგრამ მან თავის მოწამვლა სცადა, ძლივს გადაარჩინეს. ახლაც დეპრესიაშია და თითქოს, ჩემი დანახვა აღარ უნდა. არადა, თუ დარეკვა ან მისვლა დამაგვიანდა, ისევ თავის მოკვლით იმუქრება...

— ეგ ამბავი ნაკლებად მაინტერესებს, რატომ მიყვებით? — შევაწყვეტინე საკმაოდ უხეშად.

— წავიკითხე, რომ ამ ამბავს გაგრძელება ექნება და მაინტერესებს, ისევ უნდა იჭორაოთ ჩემზე?

— ჭორაობა რა შუაშია? — შეურაცხყოფად მივიღე კაცის ნათქვამი. — რაიმე ისეთი დავწერეთ, რაც სინამდვილეს არ შეეფერება?!

— არა, მაგას ვერ გისაყვედურებთ. პირიქით, იმის მეასედიც არ დაგიწერიათ, რაც ჩემსა და ანას შორის იყო, თორემ მერე გენახათ პორნოსერიალი...

— ეგ კაცებისთვის ჩვეული, უფრო სწორად, არაკაცური ლაზღანდარობაა. პირდაპირ მითხარით, ჩემგან რის გაგებას ცდილობთ?

— ანას მისამართი მომეცით, უნდა დავუკავშირდე და რაღაცები გავარკვიო. მისთვისაც ასე აჯობებს, თუ უნდა, რომ ცხოვრება არ გაირთულოს. ვიღაცები უკვე დაინტერესდნენ მისით.

— იმ ვიღაცებს ვერ ეტყვით, რომ ანა ჯაფარიძე გამოგონილი ლიტერატურული პერსონაჟია?!

— ეგ ზღაპარი მკითხველებს მოუყევით და საერთოდ, მაგაზე მაშინ უნდა გეფიქრათ, როცა საზოგადოებისთვის დახურულ-დაფარული საქმეების დეტალებზე წერდით. იმ ამბების შემსწრე ადამიანებმა ხომ იციან, რომ არაფერიც არაა მოგონილი და არც იმ ნაბიჭვარი კილერის მკვლელობით დამთავრებულა საქმე?.. ჩამოეთრია ის ბავშვი და ეცხოვრა წყნარად, მშვიდად — რას ლაქლაქებდა და იპყრობდა სხვების ყურადღებას!.. მოკლედ, აჯობებს, თუ მის კოორდინატებს მომცემ. ბედი მისი, რომ ისევ მიყვარს და ცუდისთვის არ მემეტება...

— ანას რომ ნდომოდა, თავად დაგიკავშირდებოდათ. მე მხოლოდ ერთი რამ შემიძლია: თქვენი დანაბარები გადავცე და თუ სურვილი ექნება, თავად მოგძებნით...

— ეგრე იყოს, — მითხრა გიგიმ და თავისი სავიზიტო ბარათი გამომიწოდა...

ანა, ანა-მარია და ჟანეტი...

ანასთან სტუმრად მიმავალი, ისე ვღელავდი, თითქოს პატარა გოგოს კი არა, ვიღაც არამიწიერ არსებას უნდა შევხვედროდი. კარი უცნობმა ქალმა გამიღო და დამტვრეული რუსულით მკითხა:

— Вы Инга?

— Да, — ვუპასუხე დაბნეულმა.

— მობრძანდით. ანა სააბაზანოშია, მე კი ჟანეტი ვარ...

— რუსული საიდან იცით? — ვერ დავიოკე ცნობისმოყვარეობა.

— ბებიაჩემი რუსი ემიგრანტი იყო. მართალია, ბავშვი გახლდათ, როცა სამშობლოდან წაიყვანეს, მაგრამ რუსეთი მაინც კარგად ახსოვდა, უყვარდა და ენატრებოდა. ენა რომ არ დავიწყებოდა, მე და ჩემს დას გვასწავლა. მერე კი ხშირად გველაპარაკებოდა.

ანა თმის მშრალებით შემოვიდა სასტუმრო ოთახში. თითქოს, პარიზული პეწი დასდებოდა. ერთმანეთს გადავეხვიეთ. ანამ ჟანეტს გახედა და მკითხა:

— უკვე გაიცანით ერთმანეთი?

— ჰო, და სასიამოვნო მოულოდნელობაა, რომ რუსულად ლაპარაკობს...

— ჰოდა, გაიხარეთ, ორივეს რუსული სისხლი გაქვთ და „აყივლეთ“, რამდენიც გინდათ...

ჟანეტს გაეღიმა, შემდეგ კი ოთახიდან გავიდა და მარტო დაგვტოვა.

— XIX საუკუნის „გუვერნანტკის“ მანერები აქვს და ამას ვერ ვეგეუები. მასთან საჭმელიც ვერ მიჭამია, მოსწავლე გოგოსავით დაძაბული ვარ... მაგრამ პატივისცემას ნამდვილად იმსახურებს და მეც ვცდილობ, თავი მოვაწონო. არადა, ბევრითაც არაა ჩემზე უფროსი, სულ რაღაც 36 წლისაა...

— ანა-მარია სადაა?

— სძინავს. წესით, მალე უნდა გაიღვიძოს და ნახავ, რა საოცრებაცაა.

— როგორ გავაგებინო რამე? — შევწუხდი.

— ქართული ესმის, მის ნათქვამს კი მე და ჟანეტი გითარგმნით...

— შენს ამბებს როდისღა მიამბობ?

— ლაპარაკში გავათენოთ ღამეები. ხვალაც დარჩი. იცი, მამამ დამირეკა და ახალ წელს სახლში გველოდებიან. ალბათ, წავალ. ანა-მარია საოცარ ძალას მაძლევს, მის გვერდით აღარც მშობლებთან შეხვედრის მეშინია...

— გიგი?!

— გუშინ მობრძანდა ვაუბატონი და ჟანეტი და ბავშვი რომ არა, ისევ „დავცხებდით“ ერთმანეთს...

ანამ კომპიუტერი ჩართო:

— სანამ თავს მოვიწესრიგებ, ჩემი გადაღებული პარიზი ნახე. ვიცი, იქ მოხვედრა შენი ოცნებაა...

— მართლა ისეთი საოცრებაა, როგორც ამბობენ?!

— პარიზი პარიზია და ამით ყველაფერია ნათქვამი. მეოცნების თვალით როცა უყურებ, მიწიერ სამოთხედ გეჩვენება იქაურობა, თორემ ნაკლს ყველას და ყველაფერს უპოვი...

სურათების თვალიერებით ისე გავერთე, ვერც კი შევნიშნე, ჩემ გვერდით როგორ აღმოჩნდა პატარა საოცრება.

— ბონჟურ, მადამ (გამარჯობათ, ქალბატონო!)!

— ბონჟურ, მა პტი (გამარჯობა, ჩემო პატარავ!)! — ერთბაშად დავხარჯე ჩემი მწირი ფრანგული ლექსიკონის მარაგი...

— ფრანგულად ლაპარაკობთ? — მკითხა გახარებულმა.

— ნო, ნო! — ვიუარე და ქართულად გავაგრძელე. — რა ლამაზი ხარ, ანა-მარია!

— მეღსი (გმადლობთ!)! — მითხრა და კომპიუტერს „გაუღიმა“. — ეს პარიზია...

ანა-მარიას პირისახე შაქრისფერი ჰქონდა, თმა — შავი და ხვეული, სავარცხელი რომ ვერაფრით დაიმორჩილებს — ისეთი; თვალები კი იმდენად მწვანე, რომ მათ ბუნებრიობაში ეჭვიც კი შემეპარა.

— Познакомились? — შემოგვიერთდა ჟანეტიც და ანა-მარიას ფრანგულად უთხრა რაღაც. მოგვიანებით, მითარგმნა:

— ვუთხარი, რომ დედამისის მეგობარი ხართ და თავი უნდა მოგაწონოთ...

— ასეთი გოგო ვის არ მოეწონება?! პატარა პრინცესაა! — სავარძლიდან ჩამოვცურდი და ანა-მარიას წინ ჩავიმუხლე, გულში ჩავიკარი. ისიც მომეფერა, მერე კი რაღაც მითხრა. ჟანეტს გავხედე, მოლოდინით შეპყრობილმა:

— მეგობრობას გთავაზობთ!

ანა-მარიამ გაშლილი ხელისგული დამანახვა და მეც შევაგებე მარჯვენა...

— საჩუქრები მოგიტანე — ქართული ზღაპრები!

ანა-მარიამ გაიხარა. დივანზე დასკუპდა და ლამაზ ნახატებს ინტერესით დააცქერდა.

— ახლა მართლა მშურს შენი! — შევაგებე ანას, როცა ოთახში შემოვიდა და წიგნებში ჩაფლულ ანა-მარიას თავზე აკოცა.

— მეც მშურს საკუთარი თავის და ისეთი ბედნიერი ვარ, მეშინია, სიზმარი არ იყოს ყოველივე... ჩამოვედი თუ არა, იმავე დღეს ეკლესიაში გავიქეცი და არც კი ვიცი, რამდენი სანთელი ავანთე. მერე დათოს საფლავზე გავედი, ბავშვთან ერთად.

— ანა-მარიამ იცის, რომ მამამისი მკვდარია?

— იცის, მაგრამ ჯერ პატარაა იმისთვის, რომ სიკვდილის მთელი საშინელება აღიქვას. დარწმუნებულია, რომ ანგელოზად ქცეული მამა, ადრე თუ გვიან, ისევ დაუბრუნდება. ძილის წინ სულ მამას ახსენებს...

ამასობაში, ჟანეტმა სუფრასთან მიგვიწვია. ვახშმობის შემდეგ, ანამ გოგონა დასაძინებლად წაიყვანა, მე კი ძიძასთან დავრჩი.

— დიდი ხნით აპირებთ საქართველოში დარჩენას?

— აუცილებლად უნდა დავბრუნდე სამშობლოში, იქ მოხუცი დედა მელოდება. ლამაზია საქართველო, მაგრამ ჩემი სამშობლო მაინც იქაა. ეჰ, არ ვიცი, ანა-მარიას გარეშეც როგორ ვიცხოვრებ — ორი თვის იყო, როცა ჩამაბრეს და კარგა ხანს დედა ვეგონე...

— საკუთარი ოჯახი რატომ არ შექმენით?

— გათხოვილი ვიყავი. ქმარი ძალიან მიყვარდა და როცა გავიგე, უნაყოფო ვიყავი, გავუშვი, რადგან ვიცოდი, ის ბევრ შვილზე ოცნებობდა... ახლა სამი შვილის მამაა და ისეთი ბედნიერია, არ ვნანობ, ასე რომ მოვიქეცი. ვმეგობრობთ. ბავშვები მეც ძალიან მიყვარს და ძიძის პროფესია ამიტომაც შევიყვარე.

— ანა-მარიას მამას იცნობდით?

— რა თქმა უნდა. ის არაჩვეულებრივი პიროვნება იყო, უმცროს ძმად მიმაჩნდა. მპირდებოდა, საქართველოში წაგიყვანო. სამწუხაროა, რომ აქ მხოლოდ მისი საფლავი დამხვდა...

— ანა-მარიას დედა ვინ იყო?

— არ ვიცი. დათო მას არასოდეს ახსენებდა... ანა-მარია დარწმუნებულია, რომ ანა მისი მშობელი დედაა და ამიტომაც მიიღო ასე უპრობლემოდ. თან, ანა ძალიან მოეწონა. ლამაზი დედა მყავსო! — ყველას ამაყად ეუბნებოდა.

— დაიძინა! — სამზარეულოში შემოიხედა ანამ.

— მეც დავისვენებ! — წამოდგა ჟანეტი და საძინებელ ოთახში გავიდა.

— ყავა დავლიოთ და ადვილად არ დაგვეძინება! — შემომთავაზა ანამ.

— მე არ მინდა, ჩაიც საკმარისია! — ვთქვი და უცებ, გიგი გამახსენდა: — რატომ იჩხუბეთ?

— საფრანგეთიდანვე შევეხმიანე. მეგონა, მართლა რაღაც მნიშვნელოვანი ჰქონდა სათქმელი.

— მე ასე მითხრა და...

— მე კი რაღაც სულელური პრეტენზიები წამომიყენა და იმის მტკიცება დამიწყო, რომ იმ დღიურების გამოქვეყნების უფლება არ მქონდა... თურმე, არც ღალატი უნდა გამებედა... იცი, რამ გააღიზიანა ყველაზე მეტად? იმან, რომ ამდენი ხანი საკუთრებად მივაჩნდი, მე კი სხვა შევიყვარე, თანაც ისეთი სიყვარულით, რომ ისიც დამავიწყა და მასთან ერთად, მთელი სამყაროც.

— გიგი რაღაც საშიშროებებზე მელაპარაკებოდა...

— ზღაპარია ეგ ყველაფერი. დათოს თემა დახურულია. გაქექავს ვინმე და კარგ ჩიტს დაიჭერს, ძმრად ამოვადენთ აღებულ მილიონებს. ფარული კამერით ყველა იმ ადამიანის სახეა დაფიქსირებული, ვინც გარიგებაში მონაწილეობდა და ამიტომაც, არათუ ანა-მარიასი, არამედ ჩემი თმის ბეწვის ჩამოგდებასაც ვერავინ გაბედავს... გიგისაც უცებ მოვაკეტინე.

— აბა, რაღაზე იჩხუბეთ?

— ანა-მარიაზე მითხრა, — ამ ნაბიჭვარს აქეთ რას მოათრევდიო! ზოგჯერ მართლა არ მესმის მისი და საკუთარ თავზე ვბრაზობ — როცა ასეთი კაცი გიყვარს, ალბათ, არც თავად ხარ უკეთესი... კმარა, ახლა ზუსტად ვიცი, რომ გიგი საბოლოოდ ამოვშალე ჩემი ცხოვრებიდან...

P.S. ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8.99.71-89-39

■

გამომძალველი „მედიამაგნატი“

მილიონერის სახელით შენიღბულმა უსახლკარო ამერიკელმა პოლ კრიუგერმა 13 ქალბატონს 100.000 დოლარი გამოსძალა. 50 წლის კრიუგერი მსხვერპლს მილიონერთა ნაცნობობის საიტზე milionairemalch.com ეძებდა. მაწანწალა ინტერნეტში საკუთარი ნოუტბუკის მეშვეობით შედიოდა და დაინტერესებულ ქალბატონებს „გრემის“ პრემიის ლაურეატ მედიამაგნატად აცნობდა თავს, რომელსაც ახალი პროექტისა და CD-ისა და DVD-ის გამოსაშვებად ფული სჭირდებოდა. საკუთარი პატიოსნების დასტურად კი მომავალ ინვესტორებს არარსებული ბიზნესის შემოსავლების ანგარიშებს წარუდგენდა. გაბრიყვებულმა ქალებმა „მედიამაგნატს“ მისი ყოფილი ცოლის მისამართზე 100.000 დოლარი გაუგზავნეს. ჯერჯერობით უცნობია, იყო თუ არა კრიუგერის ყოფილი ცოლი დანაშაულის თანამონაწილე. როდესაც პოლიციამ „მედიამაგნატი“ დააკავა, მას ჯიბეში მხოლოდ 1 დოლარი და 28 ცენტი უპოვეს. აღმოჩნდა, რომ უსახლკარო მილიონერი მთელ თანხას აზარტულ თამაშებში ხარჯავდა.

■



„ლანცერონი“ ქართულ-ევროპული ერთობილი და ლამაზმანი საქართველო მოუჯაჭრობა

„ბევრი ფულის გამო, სიყვარულის ახსნას ვერავის დავუწყებ“

ამ კვირის „სასიძო“ „ვარსკვლავების აკადემიის“ ყოფილი მონაწილე, თინეიჯერების ერთ-ერთი ფავორიტი, ლევან დოგაძიშვილია, რომელიც, როგორც თავად ამბობს, ამ ეტაპზე შეყვარებული არ გახლავთ. მას არ მოსწონს არც ზედმეტად აქტიური და არც — პასიური გოგონები. ასე რომ, ლევანის თაყვანისმცემლებო, იაქტიურეთ ზომიერების ფარგლებში, რათა მისი გული მოინადირეთ.

სოფო ჭონიშვილი

— ჩემი ოჯახი ოთხი წევრისგან შედგება: დედა, მამა, მე და ჩემი ძმა, რომელიც ჩემზე ერთი წლით უმცროსია. იგი პროფესიით მხატვარია. მამა თვითნასწავლი მუსიკოსია, ხალხურ საკრავებზე უკრავს, დედა კი ეკონომისტი გახლავთ. რაც შემეხება მე, ბავშვობიდან ვმღერი. ძალიან პატარა, დაახლოებით 3 წლის ვყოფილვარ, როცა პიანინოს მივჯდომივარ და რაღაც მელოდია დამიკრავს. მშობლებმა გადაწყვიტეს, ჩემი მუსიკალური მონაცემებისთვის შეეწყოთ ხელი და მუსიკალურ სკოლაში მიმიყვანეს. მიუხედავად იმისა, რომ დაკვრა და სიმღერა ძალიან მიყვარდა, მუსიკალურ სკოლაში არ ვსწავლობდი, ვზარმაცობდი, ნოტების მიხედვით დაკვრას ვერ ვიტანდი. მინდოდა, მხოლოდ ჩემი შექმნილი კომპოზიციები დამეკრა და ამიტომაც, მუსიკის გაკვეთილებზე სიარული შევწყვიტე. სახლში ვუკრავდი იმას, რაც მინდოდა და თან, ვმღეროდი.

— ლევან, რამდენი წლის ხარ?

— 22-ის.

— პროფესიით ვინ ხარ?

— თეატრალურ უნივერსიტეტში ვსწავლობ, მუსიკის და დრამის ფაკულტეტზე.

— შეგიძლია, შენი თავი დაგვიხასიათო?

— ოოო... საკუთარი თავის დახასიათება ცოტა რთულია, მაგრამ შევეცდები. პირველი, რაც დაუფიქრებლად შეიძლება ვთქვა, არის ის, რომ ძალიან მეგობრული, თბილი და მოსიყვარულე ვარ. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ უამრავი მეგობარი მყავს. არ არსებობს პიროვნება, რომელსაც ვერ გავუგებ. კარჩაკეტილი და რთული ადამიანი ნამდვილად არ გახლავართ. ამასთან, კონფლიქტურ სიტუაციას არასოდეს ვამძაფრებ. ვცდილობ, ყველაფერი წყნარად და მშვიდად მოვაგვარო.

— ეი. ფეთქებადი ხასიათი არ გაქვს?

— საერთოდ, თავშეკავებული ადამიანი ვარ. შემიძლია, ჯერ ყველაფერი გავაანალიზო და შესაბამისი ზომები შემდეგ მივიღო (*იცინის*). თუმცა, ისეთი შემთხვევებიც მქონია, როცა საკუთარი თავი ვეღარ გამიკონტროლებია...

— და ამ დროს რას აკეთებ?

— როგორც ყველა მამაკაცი, გამონაკლისი არც მე ვარ — შემიგინებია კიდეც და ხელიც დამირტყამს. როცა ადამიანი წონასწორობას კარგავს, საკუთარ ქცევას ვეღარ აკონტროლებს.

— გოგოს გამო თუ გიჩხუბია?

— შეყვარებულის გამო არასოდეს მიჩხუბია, მაგრამ ახლობელი გოგონასთვის — კი.

— ლევან, მოდი, ასევე გულწრფელად, შენს უარყოფით თვისებებზეც გვითხარი რამე.

— ვაიმეეე... ვერ დავკონკრეტდები, მაგრამ ზოგჯერ, საკუთრი ქცევები მართლა არ მომწონს და შენ წარმოიდგინე, ეს მაღიზიანებს კიდეც. მერე ვცდილობ, ყველაფერი გამოვასწორო, რაც ხან გამომდის, ხან — არა.

— მავნე ჩვევები თუ გაქვს?

— ერთადერთ მავნე ჩვევად მივიჩნევ იმას, რომ სიგარეტს ვეწევი და მისი გადაგდება ვერაფრით შევძელი... მგონი, სხვა მავნე ჩვევა არ მაქვს, ნარკოტიკებს არ ვეტანები...

— ალკოჰოლური სასმელი არ გიზიდავს?

— რომ გითხრა, ალკოჰოლის მიღება არ მიყვარს-მეთქი, მოგატყუებ. მას შემდეგ, რაც „ვარსკვლავების აკადემიიდან“ გამოვედი, ყოველდღე ვქეიფობ — მეგობრები ხან ერთ რესტორანში მივდივართ, ხან — მეორეში. „ვარსკვლავების აკადემიის“ ფინალის დღეს, კონცერტის შემდეგ, ანის სახლში წავედით და მთელი ღამე ქეიფში გავათენეთ.

— როგორი სიმთვრალე გაქვს?

— მშვენიერი (*იცინის*). სასმელს იმიტომ ვსვამ, რომ კარგ ხასიათზე დავდგე. აგრესიული და შარიანი ნამდვილად არ გახლავართ. ჩემთვის წყნარად ვარ და ვხალისობ.

— ლევან, დეპრესიული ადამიანი ხარ?

— მსგავსი რაღაც არ მჩვევია. სახლში არასდროს ვიკეტები და ცრემლებს არ ვღვრი. როცა რაღაც სერიოზული პრობლემა მაქვს, ამას მეგობრებს და ახლობელ ადამიანებს ვუზიარებ და ისინიც, შეძლებისდაგვარად მეხმარებიან. სხვათა შორის, საკუთარი თავის დამშვიდება და დაწყნარებაც შემიძლია.

— მშობლები რის გამო გსაყვედურობენ ხოლმე?

— მათ ჩემი ჩაცმის სტილი არ მოსწონთ და ხშირად, დედა მაძლევს რჩევას — ეს ჩაიცვი, ის არ გიხდებაო, რაც ძალიან მაღიზიანებს. არაერთგზის მითქვამს, რომ

ნოდარ გრიგალაშვილი, პოლიტიკოსი:

– კონკრეტულად ვერ გეტყვით, თქვენს ჟურნალში რა მომწონს ან რა – არა, მაგრამ თამამად შემიძლია, გითხრათ, რომ „გზა“ ქართულ პრესაში, თავისი პროფესიონალიზმით გამოირჩევა. მიუხედავად იმისა, რომ ინტენსიურად ვერ ვეცნობი, მასზე კარგი შთაბეჭდილება მაქვს. რამდენჯერმე ჩემი ინტერვიუც დაბეჭდეთ. შევნიშნე, რომ ტექსტი არ იყო დამახინჯებული. აზრი ზუსტად ისე იყო გადატანილი ფურცელზე, როგორც ვთქვი, რისთვისაც დიდი მადლობა მინდა, გითხრათ. სამწუხაროდ, ბოლო დროს, რესპონდენტის აზრის დამახინჯება ქართული პრესის ავადმყოფობად იქცა. თქვენ ეს საშიშროება არ გემუქრებათ.

ჩემს ჩაცმულობაში არ უნდა ჩაერიონ და ყოველთვის იმას ჩავიცვამ, რაც თავად მომწონს! ისინიც ხომ იყვნენ ახალგაზრდები და რაც სიამოვნებდათ, იმას იცვამდნენ.

— ლევან, შეყვარებული გყავს?

— ამჯერად, არა. მოწონებით ბევრი მომწონს, მაგრამ სერიოზულად არავისზე ვფიქრობ.

— შეყვარებული არასოდეს ყოფილხარ?

— უფ, როგორ არა! შეყვარებული ბევრჯერ ვყოფილვარ. პირველად, 3 წლის ასაკში მიყვარდა (*იცინის*).

— ბოლოს?

— ახლო წარსულში, „აკადემიაში“ შესვლამდე, მაგრამ მასთან ურთიერთობა ვერ ავაწყვე და საბოლოოდ, მეგობრებად დავრჩით.

— ყოფილ შეყვარებულთან მეგობრობა შესაძლებელია?

— (*იცინის*) ყოველ შემთხვევაში, რთულიც არაა.

— ლევან, შენს სიმპათიას როგორი გოგონები იმსახურებენ?

— ვერ ვიტყვი, — ქერა გოგოები უფრო მომწონს ან შავგვრემანები-მეთქი. ქერა შეყვარებულიც მყოლია და შავგვრემანიც (*იცინის*). კანის ფერს ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს. საერთოდაც, ქალს მარტო გარეგნული მონაცემებით არ ვაფასებ. თუ მისი ხასიათი და შინაგანი სამყარო არ მომეწონა, როგორი ლამაზიც არ უნდა იყოს, ჩემს გულს ვერ მოიგებს.

პირველ რიგში, მანდილოსანი თავშეკავებული, მაგრამ ყურადღებიანი უნდა იყოს

— ყველაზე მეტად, ქალში რა თვისებას აფასებ?

— პირველ რიგში, მანდილოსანი თავშეკავებული, მაგრამ ყურადღებიანი უნდა იყოს. როგორც მამაკაცებისგან სიამოვნებთ ყურადღება, ისევე გვსიამოვნებს ჩვენც, მაგრამ ეს ზედმეტობაში არ უნდა გადაიზარდოს.

— ანუ აქტიური გოგონები არ მოგწონს?

— ზედმეტად აქტიურები არ მომწონს, მაგრამ ვერც პასიურ გოგონებს ვუგებ. ქალს ზომიერების შეგრძნება უნდა ჰქონდეს.

— როცა მანდილოსანი შენი გულის მოსაგებად აქტიურობს, ამ დროს როგორი რეაქცია გაქვს?

— თუ მისი აქტიურობა ნერვების მომშლელი და მოსაბეზრებელი არაა, ეს არ მაღიზიანებს. გრძნობების გამოხატვის უფლება ყველას აქვს.

— საკუთარ თავს თანამედროვე ადამიანად მიიჩნევ?

— არც ევროპელი ვარ და არც — „აზიატი“.

— მოგწონს თუ არა, როცა გოგო სიგარეტს ეწევა?

— სიმართლე გითხრა, არ მომწონს. თუ ჩემი შეყვარებული მწეველი იქნება, მართალია, აკრძალვით ვერაფერს ავუკრძალავ, მაგრამ ვეტყვი, რომ არ მომწონს და გადაწყვეტილება თავად მიიღოს.

— ქართული ტრადიციები მოგწონს?

— ქართულ ტრადიციულ ოჯახში გავიზარდე და შესაბამისად, მათ პატივ ვცემ. მაგრამ არის რაღაცები, რასაც კატეგორიულად ვეწინააღმდეგები.

— ცოლს ქართული ტრადიციების დაცვით შეირთავ?

— მშობლებისთვის შეყვარებულის ხელის თხოვნა და მსგავსი რაღაცები, ცოტა არ იყოს ძველმოდურია, მაგრამ როცა ადამიანი გიყვარს და პატივს სცემ, მის გამო ყველაფერს გააკეთებ. მით უმეტეს, როცა იცი, რომ შენი საქციელით საყვარელ ადამიანს სიამოვნებას მიანიჭებ.

— შენს მშობლებს როგორი გოგო უნდათ სარძლოდ?

— ადრე დედა ვიღაცებზე მიმანიშნებდა, — აი, ასეთი უნდა იყოს შენი მეუღლეო, მაგრამ ამ ბოლო დროს, მსგავსი რამ აღარ უთქვამს. ისე, თუ მე მომწონს და მიყვარს, ვერავის აზრს ვერ გავითვალისწინებ. ჩემს რჩეულთან მე უნდა ვიცხოვრო და არა — ჩემმა მშობლებმა ან მეგობრებმა.

— ოდესმე, საკუთარ ქორწილზე თუ გიფიქრია?

— როგორ არ მიფიქრია! ძალიან მინდა, „დასტოინი“, ქართულ-ევროპული ქორწილი მქონდეს (*იცინის*). საქორწინო მოგზაურობაზეც მიფიქრია და დაგეგმილიც მაქვს, მეუღლესთან ერთად სად უნდა გავემგზავრო.

— სად?

— საერთოდ, მთაც მიყვარს და ზღვაც. ამიტომაც, გადავწყვიტე, ისეთ კუნძულზე გავემგზავრო, სადაც ორივე იქნება. ამ შემთხვევაში, თავს ძალიან კომფორტულად ვიგრძნობ.

— საკუთარი თავი მოწესრიგებულ მამაკაცად მიგაჩნია?

— რა თქმა უნდა, საკუთარი თავის მოწესრიგებას ყველანაირ სიტუაციაში ვახერხებ. შემიძლია, ტანსაცმელი გავრეცხო, გავაუთოო და ა.შ.

— კერძების მომზადება თუ გეხერხება?

— კი, და სხვათა შორის, რაღაც კერძებს თავადაც ვიგონებ ხოლმე. გემრიელი საჭმელები ძალიან მიყვარს.

— შენს მეუღლეს კერძების მომზადება თუ არ ეცოდინება, რას იზამ?

— რაც მე ვიცი, იმას ვასწავლი, მერე კი ალბათ, ამ საქმით თავადაც დაინტერესდება და შეეცდება, საოჯახო მენიუ გაამრავალფეროვნოს.

— ხშირ შემთხვევაში, მამაკაცები ფულიანი, მანქანიანი და გავლენიანი მამიკოს შვილებზე „ნადირობენ“...

— ანგარებით შექმნილი ოჯახი, დიდი შეცდომაა. ფული და ქონება დღეს გაქვს, მაგრამ შესაძლებელია, ხვალ პურის ფული აღარ გქონდეს. თუ ადამიანი მიყვარს, ვუყვარვარ და ამასთან ერთად, მზითევში ფულიც მოჰყვება და ქონებაც, ეს რა თქმა უნდა, საუკეთესო ვარიანტია. მაგრამ მხოლოდ ბევრი ფულის გამო, სიყვარულის ახსნას ვერავის დავუწყებ.

— შესაძლებელია, შენზე უფროსი ქალი შეგიყვარდეს?

— შეუძლებელი არაფერია, მაგრამ მიმაჩნია, რომ ოჯახი შესაფერისი ასაკის ადამიანთან უნდა შექმნა. 13 წლის ვიყავი, როცა 18 წლის გოგონა მიყვარდა. სხვათა შორის, მასაც ვუყვარდი, მაგრამ მერე, რაღაც მიზეზების გამო, ერთმანეთს დავშორდით.

— როგორ ფიქრობ, სანამ დაქორწინებას გადაწყვეტს, შეყვარებულმა წყვილმა, რაღაც პერიოდის განმავლობაში, ერთად უნდა იცხოვროს?

— ამის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ იმისთვის, რომ ადამიანი კარგად გავიცნო, აუცილებელი არაა, მასთან ვცხოვრობდე. ადამიანების ამოცნობის ნიჭი ნამდვილად მაქვს!

— თაყვანისმცემლებზე რას იტყვი? „ვარსკვლავების აკადემიიდან“ გამოსვლის შემდეგ, მათმა რაოდენობამ ალბათ, საგრძნობლად იმატა...

— რა თქმა უნდა, გოგონები ქუჩაში მაჩერებენ, ავტოგრაფს მთხოვენ, მეხვევიან. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი სასიამოვნოა.

— ინტერვიუს გამოქვეყნების შემდეგ, გოგონები შენთან შეხვედრის სურვილს გამოთქვამენ. შეხვდები თაყვანისმცემლებს?

— აუცილებლად. როცა ადამიანს უყვარხარ, პატივს გცემს, შენი გაცნობის სურვილი აქვს, მისთვის უარის თქმა ცუდ ტონად მიმაჩნია. „ვარსკვლავური ამბიცია“ ჯერ არ გამჩენია.

P.S. *ლევანის თაყვანისმცემლებო, იაქტიურეთ! გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.(98).23.09.21. საუკეთესო მესიჯის ავტორს ლევანი პირადად შეხვდება და გაესაუბრება. წარმატებებს გისურვებთ!* ■

„ყოფნა-არყოფნა — საკითხავი აი, ეს არის!..“

ინგა ჯაყელი

დიტო ჩემი კოლეგაა — ე.ი. ჟურნალისტია. უკვე 30 წლისაა. ვერ ვიტყვი, რომ თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმის რეალიზება მოახერხა. მე თუ მკითხავთ — ზარმაცია! თავად უიღბლოს უწოდებს თავს და მართალია, რედაქტორს პირისპირ ვერაფერს უპასუხებს (სამართლიან) შენიშვნებზე, მაგრამ ზურგს უკან ხშირად „ემუქრება“:

— გადავალ ჩვენს კონკურენტ ჟურნალში და მერე ნახავს, რა ოქროს ფასიც დამედება!..

არც ვამშვიდებ, რადგან ვიცი, წამსვლელი არსადაა...

სამსახურში ხომ სულ დაჩაგრულად გრძნობს თავს და ერთ დღესაც, შინიდანვე მოვიდა დაბოღმილი:

— შეკრეს პირი დედაჩემმა და ჩემმა ცოლმა... ცოლს ვინ ჩივის? დედაც „გაყრით“ მემუქრება! სხვა გზა არაა — თავი უნდა მოვიკლა და ასე უნდა ვიძიო შური. ეგენი აქ რომ დაიხეთქავენ ტირილით გულებს, მე ზეცაში ხელმეორედ მოვკვდები სიცილით!..

ისევ არ მივაქციე ყურადღება: რა თავის მოკვლა, რის თავის მოკვლა?! დიტო ნარცისივითაა — შეყვარებულია საკუთარ თავსა და სიცოცხლეზე...

წამოხტა და თავისი „კურტკა“ კი არ ჩამოხსნა საკიდრიდან, ძველ დაბამბულ ქურთუკს სტაცა ხელი, რომელიც დარაჯმა მოიტანა შინიდან და როცა ძალიან სცივა, მაშინ იცვამს ხოლმე. თუმცა, ეს იმდენად იშვიათად ხდება, ქურთუკს თაგვები უფრო „ხმარობენ“ — მის ჯიბეებში ერთხელ შვილებიც გაზარდეს და კბილებიც აილესეს, ძველი ქსოვილის ღრღნაში — აქა-იქ ამოჩრილი ბამბა მათი ნახელავია...

— წყალში უნდა გადავხტე და ამ ჩემს ახალ „კურტკას“ ხომ არ ჩავიყოლებ საფლავში?! ამით დამმარხეთ! — გაუყარა ხელები ძველ ქურთუკში და ქუჩაში გავარდა.

— მთვრალია?! — გაიკვირვა ეკამ.

ცნობისმოყვარეობამ არ მომასვენა და წამოვდექი:

— ყავის მოსატანად მივდივარ მარკეტში, კიდევ რამე ხომ არ წამოგიღოთ?!

ნანუკამ ხუთლარიანი გადმომიგდო:

— სიგარეტი და „ნაბეღლავი“ გამოაყოლე...

დიტოს მალე წამოვეწიე. ხეს მიჰყრდნობოდა და სიგარეტს ეწეოდა:

— რას ჰგავხარ, შე უპატრონო, არც შეიმჩნიო, რომ მიცნობ, წადი და დაიმალე! — შევუღრინე.

— არ გჯერა, ხომ, თავს რომ ვიკლავ?!

წავიდა და არც კი ვიცი, რატომ მივყევი უკან... მდინარესთან მისულმა, თავი მოიქექა და საბოლოოდ, ხიდისკენ აიღო გეზი, ასწია სხეული და მოაჯირს ზემოდან მოექცა...

შემეშინდა...

თავადაც მაგარი შიში ჭამა, აშკარად. მაშინვე დაჯდა და რკინის ბოძს მოეხვია.

მივვარდი და კისერში ვუთაქე:

— ჩამოეთრიე, მართლა არ გადავარდე! —

— ნელა, არ გადამაგდო! — შემომხედა შიშისგან გაფართოებული თვალებით და მივხვდი, იმ ბოძს დამხმარე ძალის გარეშე ვერ ავაგლეჯდი. ქვემოთ მღვრიე ტალღები ავის მომასწავებელ მორევად ტრიალებდა...

— ჩამოეთრიე, თორემ პატრულს გამოვუძახებ! — დავემუქრე.

— საქვეყნოდ ნუ მომჭრი თავს! — შემეხვეწა და დავიბენი.

— აბა, რა ვქნა?

...მოხუცი, ხელჯოხიანი პაპა მოგვიახლოვდა:

— ეგ რა თამაშია?! — გაგვიწყრა.

— არ ვთამაშობთ, მართლა გაიჭედა და ვერ ჩამოდის! — მაინც დავაბეზღე დიტო.

— როგორ გაიჭედა? ფეხები მისი არაა? ნელა მოტრიალდეს და...

ამასობაში, დიტომ თვალებიც დახუჭა. ეტყობა, ტალღებმა თავბრუ დაახვია.

— იქ რატომ ავიდა? — დაიბნა პაპა.

— თავის მოკვლა უნდოდა! — დავიბენი მეც.

— უნდოდა და აღარ უნდა?! — ისეთი სულელური კითხვა დასვა მოხუცმა, ნერვებმა მიმტყუნა და დიტოს ვუყვირე:

— ჩამოეთრიე, თორემ დედას ვფიცავარ, ხელს გკრავ და გადაგაგდებ!

— მათხოვარია?! — დიტოს ქურთუკს ეჭვით შეხედა პაპამ.

— ჰო, მათხოვარია, იდიოტი, ქალაჩუნა!..

— ილოცე, რომ არ გადავრჩე, თორემ ენას ამოგგლეჯ! — წაისისინა დიტომ და მოულოდნელობისგან ადგილს მივეჯაჭვე. მოხუცი კი რატომღაც ისე დაფრთხა, რომ გაიქცა...

ხიდზე ურიკას მოაგორებდა ბაზრის მუშა:

— რა მოხდა? — შემოგვხედა გაკვირვებულმა.

— თავის მოკვლა უნდოდა და გადაიფიქრა! — ვთქვი ზიზღში „ათქვეფილი“ ირონიით.

— ვეღარ ჩამოდის?! — რატომღაც არ გაჰკვირვებია ზორბა ახმახს.

— გაიჭედა!

კაცმა დიტოს თავისი დიდი ხელები იღლიებში ამოსდო, მოქაჩა, ტომარასავით დაითრია და ურიკაზე დადო, გაშეშებული...

დიტო ისევ ვერ ბედავდა თვალის გახელას.

„მაშველმა“ ჯიბიდან იაფფასიანი არყის ბოთლი ამოიღო, თავი წააძრო და მიაწოდა:

— ჰა, გადაკარი, სისხლს აგიმოძრავებს...

როგორც იქნა, მოძრაობის უნარი დაიბრუნა დიტომ და წამოდგა.

— გმადლობთ! — უთხრა მუშას და ხელი ჩამოართვა.

— „ყოფნა-არყოფნა — საკითხავი აი, ეს არის!“ — მიუგო კაცმა და მხარზე დაუტყაპუნა მძიმე მარჯვენა.

— „ყოფნა, წრუწუნ-ჯან, ყოფნა!“ — დავცინე დიტოს, რომელმაც უცებ მხრებში წამავლო ხელი და დამემუქრა:

— თუ სადმე გაგიმხელია, რაც მოხდა, იცოდე, ახლავე წყალში მოგისვრი!..

— გეკადრება?! — გავერიდე შარს.

დიტომ ძველი ქურთუკი გაიხადა და რატომღაც მდინარეში მოისროლა. მერე სირბილით გაეშურა რედაქციისკენ...

მარკეტში გავიარე და რომ დავბრუნდი, დიტო გამალებული კრებდა კომპიუტერში რაღაც ტექსტს...

ყავა მოვადუღე და მეც კომპიუტერს მივუჯექი იმ მასალის საწერად, რომელსაც ახლა კითხულობთ.

P.S. თუ ამის შემდეგ ჩემი ხელმოწერილი სტატია ვეღარ ნახეთ ჟურნალში, ე.ი. დიტომ ცხოვრებაში ერთხელ მაინც გამოიჩინა „ვაჟკაცობა“ და წყალში გადამაგდო... ■

რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამაცაშვილი

გახსოვდეთ საკუთარი გული!

იცით თუ არა, რომ სწორი კვება მარტო ჩვენს გარეგნობაზე კი არ აისახება დადებითად, არამედ სიცოცხლესაც საგრძნობლად გვიხანგრძლივებს? გულის და შესაბამისად, მთელი ჩვენი ორგანიზმისთვის ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა სახის ცხიმები ჭარბობს თქვენს რაციონში.

გული ერთდროულად ძლიერი და ნაზი ორგანოცაა და ამიტომ, განსაკუთრებულ ზრუნვასა და ყურადღებას იმსახურებს. ალბათ, მარტო იმის წარმოდგენაც კი ძნელია, რომ ის დღეში 100000-ჯერ, წელიწადში 35-მილიონჯერ და მთელი სიცოცხლის მანძილზე 2,5-მილიარდჯერ 7600 ლიტრამდე სისხლის გადაქაჩვითაც კი არ იღლება. არადა, ზომით გული ჩვენი მუშტისხელა ძლივსაა.

გასული საუკუნის შუა ხანებში დანიელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ გრენლანდიის ესკიმოსებს შორის, გულის დაავადებათა რეკორდულად მცირე შემთხვევა იმით აიხსნება, რომ ისინი დღენიადაგ, ომეგა 3 და ომეგა 6 ცხიმმჟავებით ბუნებრივად მდიდარი, ცხიმიანი თევზით იკვებებიან.

ცხიმები ენერგიის წყაროა, გარდა ამისა, ისინი ჩვენი სხეულის უჯრედების საშენ მასალაც წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, მათ მაინც „სასარგებლო“ და „საშიშ“ ცხიმებად ყოფენ. „საშიში“ (ე.წ. გაჯერებული) ცხიმები სისხლში ქოლესტერინის დონის მომატებას უწყობს ხელს, რის შედეგადაც ირღვევა სისხლის მიმოქცევა და იზრდება გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკი. ამ ცხიმებს ძირითადად, ცხოველური წარმოშობის და ჭარბი ცხიმის შემცველი, ისეთი პროდუქტები შეიცავს, როგორიცაა ცხიმიანი ხორცი, კარაქი, არაჟანი და სხვა. „სასარგებლო“ (გაუჯერებელი) ცხიმები კი პირიქით, სისხლძარღვებისა და გულის ჯანმრთელობის გაფრთხილება-შენარჩუნებაში გვეხმარება. მათ ორ ჯგუფად — პოლიგაჯერებულ და მონოგაჯერებულ ცხიმებად ყოფენ. პოლიგაჯერებულ ცხიმებს (მაგალითად, ომეგა 3-სა და 6-ს) „შეუცვლელ“ ცხიმებსაც უწოდებენ, იმიტომ, რომ მათ ჩვენი ორგანიზმი არ გამოიმუშავებს და ამდენად, ასეთი ცხიმები იქ უთუოდ, საკვებთან ერთად უნდა მოხვდეს. ამისთვის კი ჩვენს მენიუში ცხიმიანი თევზის, ავოკადოს, ნიგვზის, ზოგიერთი სახეობის თხილის და მთელ რიგ მცენარეულ (მზესუმზირის, ზეთისხილის, სელის) ცხიმებზე მომზადებული პროდუქტების ჩართვაა საჭირო.

ომეგა 3 და 6 მჟავები მარტო ჯანმრთელი გულის შესანარჩუნებლად კი არა, ზრდის პროცესის ნორმალური მიმდინარეობისა და აგრეთვე, ვიტამინებისა და მინერალური ნივთიერებების ნორმალურად ასათვისებლადაცაა საჭირო. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია გაჯერებული („საშიში“) ცხიმების გულისთვის სასარგებლო, გაუჯერებელი ცხიმებით შეცვლას გვირჩევს.

აი, რამდენიმე რჩევა, რომელიც გულისთვის სასარგებლო პროდუქტების შერჩევაში დაგეხმარებათ:

- შეზღუდეთ კარაქისა და სხვა, ცხიმის ჭარბად შემცველი რძის პროდუქტების მოხმარება. ამის ნაცვლად, ქოლესტერინის დაბალი შემცველობის და პოლიგაჯერებული ომეგა 3 და 6 ცხიმების მაღალი შემცველობის ისეთი პროდუქტები მიირთვით, როგორებიცაა: მცენარეული (მზესუმზირის, ზეთისხილის, სელის) ცხიმები, ავოკადო, ნიგოზი, თხილი და მზესუმზირა;
- უარი თქვით ცხიმიან რძეზე, მეტი რაოდენობით მიირთვით ომეგა 3-ით ბუნებრივად მდიდარი ისეთი ცხიმიანი თევზი, როგორებიცაა: სკუმბრია, ორაგული, ქაშაყი, სარდინი, კალმახი, თინუსი;
- მიირთვით მეტი (დღეში არანაკლებ 400 გ-სა) ხილი და ბოსტნეული;
- საკუთარი კვების საფუძვლად, სახამებლის შემცველი პროდუქტები: პური, ბურღულეული, ბრინჯი, მაკარონის ნაწარმი და კარტოფილი აქციეთ;
- არ დაივიწყოთ პარკოსნები (მუხუდო, ლობიო);
- ეცადეთ, ნაკლები (დღეში არაუმეტეს 6 გრამისა) მარილი მიირთვათ;
- სვით მეტი (დღეში 6-8 ჭიქა) წყალი;
- მოერიდეთ სპირტიანი სასმელების გადამეტებულ მოხმარებას.

რა თქმა უნდა, საკუთარი ჩვევების კარდინალურად შეცვლა არ ღირს. მით უმეტეს, რომ სასურველი შედეგის მისაღწევად, მენიუს ახალი, გემრიელი კერძებით გამრავალფეროვნებაც კი სავსებით საკმარისია. ჯანსაღი კვება ჯანმრთელი გულისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯია. კვლევებით დადასტურებულია, რომ იშემიური დაავადება ქალებზე ხშირად, მამაკაცებს იმიტომ აწუხებს, რომ ქალები, მამაკაცებისგან განსხვავებით, თავიანთ კვების რაციონს მეტ ყურადღებას უთმობენ. ამიტომაც, თუ გინდათ, რომ რაც შეიძლება დიდხანს გაგყვეთ ჯანმრთელი გული, საკუთარ რაციონში „სასარგებლო“ ცხიმების რაოდენობას სათანადო ადგილი უნდა დაუთმოთ. ■

 აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად
ინტერნეტ მაღაზია
www.elva.ge
წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 ეგზ. ფასი	6 თვე
1. ოჯახის ჟურნალი	0.80	11.2
2. ЗДОРОВЬЕ	6.00	36.0
3. КАРДИОЛОГИЯ	14.00	84.0
4. КЛИНИЧЕСКАЯ МЕДИЦИНА	11.00	66.0
5. ЛЕКАРСТВЕННЫЕ ТРАВЫ	9.55	57.3
6. МЕДИЦИНА ТРУДА	14.00	84.0
7. МЕДИЦИНСКИЙ БИЗНЕС	50.95	305.6
8. НОВЫЕ ЛЕКАРСТВЕННЫЕ ПРЕПАРАТЫ	9.55	57.3

პრესის გავრცელების საagენტო ELVA

ქ. თბილისი
ოთხმალის ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kvirispalitra.com

აგრეთვე ნებისმიერი სხვა
დასახელების ჟურნალ-გაზეთები

კონტრაცეფციამ და აბორტმა ბრიტანელი ჩვილის გაჩენას ხელი ვერ შეუშალა

როგორც ინგლისური Daily Mail იუწყება, ნოტინგემშირის საგრაფოს ქალაქ სატონ-ინ-ეშფილდის მკვიდრი, 25 წლის ჯოდი პერსივალი, ჩასახვის საწინააღმდეგო აბების მიღების მიუხედავად, მესამედ დაფეხმძიმდა. წინა ორ ბავშვს დედისგან მძიმე დაავადება — თირკმლის პოლიკისტოზი შთამომავლობით გადაეცა, რის გამოც პირველი, დაბადებიდან 20 წუთში დაიღუპა, მეორემ კი ერთი თირკმელი დაკარგა. ამის შემდეგ, ჯოდიმ და მისმა მეუღლემ, ბილი კრემპტონმა მტკიცედ გადაწყვიტეს, რომ ბავშვი აღარ გაეჩინათ. ამიტომ, როცა ჩასახვის საწინააღმდეგო აბების მიღების მიუხედავად, ქალი მაინც დაფეხმძიმდა, ცოლ-ქმარი ფეხმძიმობის შეწყვეტაზეც ერთხმად შეთანხმდა. მაგრამ აბორტის გაკეთებიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, ჯოდიმ მუცელში უცნაური რხევა იგრძნო და მაშინვე ექიმს მიაკითხა. ულტრახმოვნმა გამოკვლევამ უჩვენა, რომ ქალი 18 კვირის ფეხმძიმე იყო. შარშან ნოემბერში, ვადამდე 3 კვირით ადრე, ჯოდი პერსივალმა ბიჭი გააჩინა. ექიმების თქმით, ბავშვს თირკმლები შედარებით მსუბუქად აქვს დაზიანებული, რაც მას ნორმალურ ცხოვრებაში ხელს თითქმის არ შეუშლის.

ჩრდილოეთკორეელი ბავშვები იდუმალი სენისგან იხოცებიან

როგორც მასმედიის სხვადასხვა საშუალება იუწყება, ჩრდილოეთ კორეის იმ რაიონებში, რომლებიც ჩინეთს ესაზღვრება, გაურკვეველი ავადმყოფობის ეპიდემია მძვინვარებს. ეპიდემიის რაიონში მომუშავე ჩრდილოეთკორეული ჰუმანიტარული ჯგუფის — „კეთილი მეგობრების“ მონაცემებით, ამ გადამდები დაავადებით 27 აპრილიდან მოყოლებული, დღე-ღამეში 5-6 ბავშვი მაინც იღუპება. ჩრდილოეთკორეელი ექიმები ჯერჯერობით ვერც ეპიდემიის გავრცელების შეჩერებას და ვერც მისი გამომწვევი მიზეზების დადგენას ახერხებენ. ვარაუდობენ, რომ ის შეიძლება, ფრინველის გრიპის ვირუსით ან ენტეროვირუსით იყოს გამოწვეული.

დაავადება უპირატესად, საბავშვო ბაღების აღსაზრდელებში ვრცელდება. მოზრდილთა დასნებოვნების შემთხვევები ცნობილი არ არის. პაციენტებს ძირითადად, გაცივების სიმპტომები — ციება, ხველა, ყელის წვა და უმადობა აღენიშნებათ.

სიახლე! ჩანართი მათთვის, ვისაც სახლში პატარა ჰყავს

პედიატრიული ჩანართი თქვენს ჟურნალში

შეაგროვე და აკინძე

ოჯახის პედიატრი

შეკითხვები პედიატრს

0-დან 1-მდე

ბავშვის ფსიქოლოგია

როგორ შევურჩიოთ ბავშვს ფაფა

ცხოვრება



თქვენთვის, ქალბატონებო!

„...თითქოს ის ამბავი მე გადამხდა...“

იმედი გვქონდა, რომ რუბრიკას — „ცხოვრება“ ბევრი მკითხველი გამოეხმაურებოდა. ჩვენი ვარაუდი გამართლდა. მკითხველები „გზის“ გამოსვლისთანავე შეგვეხმიანნენ და თავიანთი ემოციები გაგვიზიარეს.

„ისე გამიხარდა ლიზის სიყვარულის დაგვირგვინება, თითქოს ის ამბავი სრულიად უცხოს კი არა, მე გადამხდა ან ჩემთვის ძალიან ახლობელ ადამიანს. სამწუხაროა, რომ ლიზისა და კახას სიყვარულს ჩრდილი ახლავს, რომელსაც მზის სხივი ვერასოდეს გაანათებს, მაგრამ ეს ხომ მათი ბრალი არაა. ლიზის თქმის არ იყოს, შეყვარებულ წყვილს შორის არავინ უნდა ჩადგეს. ასეთი „სამკუთხედი“ ყოველთვის ცუდად მთავრდება; თუ სამივესთვის არა, ერთ-ერთისთვის მაინც საბედისწეროა. ყველამ უნდა იცოდეს და ყველამ გაითვალისწინოს, რომ ფულით სიყვარულის შეძენა შეუძლებელია. ნანა, თბილისი“.

„მსგავსი ამბავი ჩემი მეგობრის მშობლებს გადახდათ. ლიზისა და კახას მსგავსად, იმათაც ბევრი დაბრკოლება გამოიარეს, მაგრამ დღეს ერთად არიან. იცით, რატომ? წრფელი სიყვარული არ ხუნდება და იმიტომ; დიდი გრძნობა დაუკითხავად მოდის, მაგრამ ასევე დაუკითხავად რომ არ წავიდეს, გაფრთხილება და მოვლა სჭირდება.

გამიხარდა, რომ „გზაში“ ცხოვრებისეული ამბების ბეჭდვა დაიწყეთ. სამწუხაროდ, „კვირის პალიტრას“ არ ვკითხულობდი, ასე მეგონა, გაზეთში მხოლოდ პოლიტიკური ამბები იბეჭდებოდა. თურმე იქაც იბეჭდება „სასიყვარულო ამბები“. ამიერიდან „კვირის პალიტრასაც“ წავიკითხავ აუცილებლად, მით უმეტეს, რომ იქ დაწყებული ამბავი ჩემს საყვარელ ჟურნალში გაგრძელდება. ლიზის და კახას სიყვარულის ამბავმა საღერღელი ამიშალა და მეც მომინდა, გული გადაგიშალოთ. დიდი კაცი არ გეგონოთ, 18 წლის ბიჭი ვარ, მაგრამ ბოლო ხანს იმდენი რამ გამოვიარე, იმდენი რამ ვნახე, 50 წლის ადამიანი ვერ დაიტრაბახებს. როდესაც ესპანეთიდან ჩამოვედი (ესპანელებთან ნათესაური კავშირი მაქვს და ხშირად დამისვენია იქ), სრულიად შემთხვევით გავიცანი გოგო, რომელიც ნახვისთანავე შემიყვარდა. გადავწყვიტე, ყველაფერი გამეკეთებინა იმისთვის, რომ მასაც შევყვარებოდი და მთელი ცხოვრება ერთად ვყოფილიყავით. უბედნიერესი ვიყავი, როცა ჩემმა გულის სწორმაც სიყვარულით მიპასუხა. ასე მეგონა, მთელი ცხოვრება ბედნიერი ვიქნებოდი. არ ვიცოდი, შინ რა უბედურება მელოდა! ზამთარში ბაკურიანში წავედი დასასვენებლად. იქ შელაპარაკება მომიხდა ერთ ბიჭთან. ცოტა ფეთქებადი ხასიათი მაქვს, უცებ გამოვდივარ მოთმინებიდან, მაშინაც ასე დამემართა და ის ბიჭი დავჭერი. რა თქმა უნდა, დამაპატიმრეს და ახლაც პატიმრობაში ვარ. როდესაც ჩემმა შეყვარებულმა ეს ამბავი გაიგო, კინაღამ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაამთავრა. მეგონა, ის მე არ დამელოდებოდა, მაგრამ შევცდი. ის მოთმინებით ელის ჩემს გათავისუფლებას და ყოველი დღე საუკუნედ ეჩვენება. გული მწყდება, რომ იმედი გავუცრუე, მაგრამ ჩვენ მაინც უსაზღვროდ გვიყვარს ერთმანეთი. ყველა პატიმრის ახლობელს გაძლებას და ყველაფერ საუკეთესოს ვუსურვებ. მინდა, შემთხვევით ვისარგებლო და თქვენი მეშვეობით მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც დამეხმარა, ღირსეულად გადამეტანა რთული პერიოდი. კარგი ადამიანები აქ მრავლად ყოფილან და მათგან ძალიან ბევრი ვისწავლე. მე სულ სხვანაირი გამოვალ აქედან და ჩემს შეყვარებულთან ერთად, ტკბილ ოჯახს შევქმნი. ხორხე“.

„ლიზი, ჩემო საყვარელო, წმინდა ანგელოზო, გისურვებ ბედნიერებას და ულევ სიყვარულს! ღმერთი იყოს შენი მფარველი, გკოცნი. შენთვის უცნობი, მაგრამ შენი დიდი გულშემატკივარი დეა“. ●

ქორწილში შემოქრილი საცვირთო და... ორი სამკუთხელი

ამ სიყვარულის შესახებ ჩემმა რესპონდენტმა 2003 წელს მიამბო და რა თქმა უნდა, დაიბეჭდა კიდეც ამავე წლის 10 მარტს („კვირის პალიტრა“, რუბრიკა „თქვენთვის, ქალბატონებო“). გულისშემძვრელი ამბის მოსმენის შემდეგ ვერ ვიჯერებდი, რომ ასეთი რამ შეიძლებოდა მომხდარიყო რეალურ ცხოვრებაში. ეს ჩემს რესპონდენტსაც არ დავუმალე. ნაღვლიანად გამილიმა და მიპასუხა: ამქვეყნად თურმე ყველაფერი ხდება და არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ ცხოვრებამ წარმოუდგენელი რამ „შემოგვთავაზაო“...

ამ წყვილის სიყვარულის ამბავს დღემდე იხსენებენ იმ რაიონში, სადაც ქალ-ვაჟი დაიბადა და გაიზარდა.

მარინა ბაბუნაშვილი

თავი პირველი:

ვაჟა და ნატო, ნატო და გელა...

ვაჟა და ნატო ჯერ კიდევ ძალზე პატარები იყვნენ, როცა ერთმანეთი შეუყვარდათ. ფიცი დადეს, სიკვდილამდე არ ვუღალატოთ ერთმანეთსო და ასრულებდნენ კიდეც ამ ფიცს.

ლამაზ გოგოს ყოველთვის ჰყავს თაყვანისმცემლები. ნატოც ბევრს მოსწონდა. გელა კი როგორც იტყვიან, ყურებამდე შეყვარებული გახლდათ. იმ პერიოდში ვაჟა თბილისში იყო წასული ბედის საძიებლად. უნდოდა, სწავლის პარალელურად სამუშაოც ეშოვა, ნატო თავისთან რომ წაეყვანა. გელამ ოჯახში გამოაცხადა, ცოლი უნდა შევირთოო. არც ის დაუმალავს, რომ ნატო უყვარდა, ის კი უარზე იყო. — იმ ოჯახის შვილთან სახვეწარი რა გაქვსო? — წარბი შეკრა ბატონმა კაკომ (გელას მამამ). „ის ოჯახი“ უბრალოდ, შეძლებულთა რიცხვს არ მიეკუთვნებოდა, თორემ შერცხვენილი სულაც არ იყო. ბატონი კაკო პოლიციის უფროსი გახლდათ და იმ რაიონში „წონიან“ პიროვნებად ითვლებოდა. ამიტომ ვერ მოიხიბლა „ჩვეულებრივი ოჯახის“ შვილის რძლობით.

გელამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა: ან ნატო, ან — არავინო. კაკომ გადაწყვიტა, სარძლო ენახა და გზაზე „ჩაუსაფრდა“. მისი დანახვის შემდეგ აღიარა, ჩემს შვილს გემოვნება ჰქონიაო. ცოტა ხანში თავისიანები მიუგზავნა ნატოს მშობლებს — თითისტოლა გოგოს ვინ ეკითხება, მთავარია, უფროსები შევთანხმდეთო. შეთანხმდნენ კიდეც. ნატოს მამა, თემური, კაკოს დახმარებით სამსახურში დაწინაურდა და მადლიერი, კაკოს დაჰპირდა, შვილს უსათუოდ დავითანხმებო.

არც ისე იოლი აღმოჩნდა ნატოს დათანხმება. გოგომ ხან თავის მოწამვლა სცადა, ხან ოთახში ჩაიკეტა და შიმშილობა დაიწყო. დედამ მოთმინება დაკარგა, შვილს ცინგლიანი ეძახა, — იმ „მუდრეგში“ როგორ ცვლი მამაშენს და ოჯახის კეთილდღეობასო?! დაფიქრდა ნატო. ვაჟაც არ ჩანდა. ისეთი რა საქმე აქვს, რომ ორი თვეა, არ მომიკითხაო?! რაღაცნაირად, შეურაცხყოფილიც კი დარჩა ბიჭის უყურადღებობით. ცხელ გულზე მიიღო გადაწყვეტილება და თავისიანებს გამოუცხადა, თანახმა ვარ, გელას მივთხოვდეო.

ამონარიდი წერილიდან: „იჯდა ულამაზესი ნატო გრძელი სუფრის თავში. გელაც და მისიანებიც თავს დასტრიალებდნენ პატარძალს, მაგრამ უკვე ყველაფერი სულერთი იყო... მერე, ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდა. საცეკვაო დასცხეს თუ არა, რკინის ალაყაფი შემოანრგია სატვირთომ. კაბინიდან ვაჟა გადმოხტა. ნასვამი იყო. ნეფეპატარძლისკენ ნელი ნაბიჯით წავიდა. ყველანი ენაჩავარდნილები მისჩერებოდნენ ვაჟას. ბიჭი ნატოს წინ შეჩერდა. ცოტა ხანს მდუმარედ უყურა, მერე ხმადაბლა უთხრა: „ნატო, მიყვარხარ“... ამ სიტყვებმა თითქოს გამოაფხიზლა სიძე. „ბიჭო, რას ბედავ, აზრზე მოდი!“ — გამოცრა კბილებში, მაგრამ ვაჟამ მუსიკოსს მიკროფონი გამოსტაცა ხელიდან და ხმამაღლა ჩასძახა: „ნატო, მიყვარხარ, მოვკვდები უშენოდ, გამომყევი ცოლად!“

გელამ და მამამისმა ვაჟაზე გაიწიეს. წინ ვაჟას მეგობრები გადაეღობნენ, მთვრალია და აპატიეთ, ქორწილს ნუ ჩაიშხამებთ, ამას ჩვენ მივხედავთო. ბიჭებმა ვაჟა „უიგულიში“ ჩასვეს. ის-ის იყო, მანქანა უნდა დაძრულიყო, რომ ნატოს კივილიც გაისმა: „არ წახვიდეთ!“ ნატომ საპატარძლო კაბის კალთები აიკეცა, მაგიდას თვალის დახამხამებაში გადაევლო და ვაჟასკენ გაქანდა.

შოკის გამო ერთმანეთში გადალაპარაკებასაც ვერავინ ახერხებდა. გონს მოსული გელა სუფრას დასწვდა და ჭურჭლიან-საჭმელებიან-ტორტიანად დაითრია...

ბატონმა კაკომ ერთხანს იბღბოქრა, ვაჟას დაჭერით იმუქრებოდა. ბოლოს, სამაგიერო იმით გადაუხადა ნატოს ოჯახს, რომ ცოტა ხნის წინ დაწინაურებული თემურიც კი არ ჩამოაქვეითა, საერთოდ გაათავისუფლა სამსახურიდან.

ნატო და ვაჟა თბილისში დასახლდნენ. ქალ-ვაჟი შეეძინათ, ცხოვრება ააწყვეს და თავს ბედნიერად გრძნობდნენ.

იმ დღეს, ნატოს და ვაჟას შვილების მეგობრის 12 წლის იუბილე იყო და მშობლებმა და ბავშვებმა კარგად მოილხინეს. როცა მოსაღამოვდა და დაიშალნენ, ნატომ ქუჩაში ნაცნობ სილუეტს მოჰკრა თვალი და ქმრისკენ გაემართა. ვაჟა ისეთი აღფრთოვანებით შესცინებდა ვიღაც უცნობ ქალს, რომ მის ირგვლივ ვერაფერს ხედავდა. ნატო წინ დაუდგა. ვაჟამ ახედა და... ღიმილი ტუჩზე შეეყინა. შეცბა. ნამდვილად არ ელოდა ცოლს. ნატომ მშვიდად ჰკითხა — დაგაგვიანდება სახლში მოსვლაო? — ორ საათში მოვალ და ყველაფერს დაწვრილებით აგიხსნიო, — უპასუხა ვაჟამ. ორ საათში შინ დაბრუნებულმა ვაჟამ ხან რა თქვა, ხან — რა; ღობე-ყორეს მოედო, პატარა ბიჭივით იქცეოდა. ნატო „ოლიმპიური“ სიმშვიდით უსმენდა... მიხვდა, რომ მისი ქმარი შეყვარებული იყო. როგორც თავად ამბობდა, ჩხუბს ხომ არ დაუწყებდა კაცს, რატომ აღარ გიყვარვარო? ორი თვე დუმილში გაატარეს, მერე კი ნატომ გადაწყვიტა, რომ მოჩვენებითი ურთიერთობისთვის წერტილი დაესვა.

ამონარიდი წერილიდან: „მის შემხედვარეს გული მიკვდებოდა. იმიტომ კი არა, რომ სხვაზე ფიქრობდა; მენანებოდა, ასე რომ იტანჯებოდა. ვუთხარი — მართალია, ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი, მაგრამ ყველაფერი ხდება და თავს ნულარ იტანჯავ, შეგიძლია, წახვიდე-მეთქი. თავისუფლად ამოისუნთქა. ასეთი რამ ჯერ არასოდეს განმიცდია, ის ქალი არც გარეგნობით, არც განათლებით არ გჯობს, მაგრამ უცნაური ხიბლი აქვს, რითაც არავის ჰგავსო, — მითხრა. — მაშინ, ჩვენს სიყვარულს რა ერქვამეთქი? — ლამაზი ზღაპარიო“.



ვაჟა წავიდა. ნატოს მისთვის შვილების ნახვა არ აუკრძალავს. ბავშვები მამის მეორე ცოლსაც საკმაოდ ხშირად სტუმრობდნენ.

ნატოს ვკითხე, გულის სიღრმეში ხომ არ ნანობ იმ ჩაშლილ ქორწილს-მეთქი?

— ჩემს მეგობრებსაც არაერთხელ უკითხავთ, უთქვამთ კიდეც, გელასთან უფრო ბედნიერი იქნებოდიო. როგორ ვიქნებოდი ბედნიერი, როცა ვაჟა მიყვარდა? არ ვნანობ, რადგან ჩემი საქციელით სიყვარულს გავამარჯვებინე. რა ვუყოთ მერე, რომ ოჯახი დაგვენგრა? თავიდან რომ ვიწყებდე ცხოვრებას და ვიცოდე, რა მელის მომავალში, მაინც იმავეს მოვიმოქმედებდი“.

თავი მეორე: „მეორე დედა“...

ქმრის სიყვარულს მასთან მეგობრობა ვერ ჩაენაცვლა.

ნატო სიმშვიდეს ინარჩუნებდა, მაგრამ ეს სხვების დასანახავად ხდებოდა. გულის სიღრმეში კი უსაშველოდ უჭირდა. ხვდებოდა ქალი, რომ ვაჟა საბოლოოდ დაკარგა. უჭირდა ამასთან შეგუება, მაგრამ რა ექნა? განა შეიძლება, ერთმა მეორეს „ომი“ გამოუცხადოს — რას ჰქვია, სხვა შეგიყვარდაო?

აღარ უნდოდა ნატოს თავის პროვინციულ ქალაქში ჩასვლა. ერიდებოდა მოსეირეებს, მათ მითქმა-მოთქმას, მაგრამ მშობლები და და-ძმა მაინც ხომ უნდა მოენახულებინა ხანდახან? ვაჟას მშობლებს მზე და მთვარე ამოსდიოდათ შვილიშვილებზე. სულმოუთქმელად ელოდნენ არდადეგებს, რომ ბავშვები გულში ჩაეხუტებინათ. ერთხელ, შვილებმა ნაღვლიანად უთხრეს დედას, ბებო ავად არის, წევსო. ვერ მოითმინა ნატომ, მერე რა, რომ მათ ყოფილი დედამთილ-მამამთილი ერქვათ? მოხუცებს თვალები გაუფართოვდათ ყოფილი რძლის დანახვაზე. ავადმყოფ ქალს ცრემლები წასკდა. მოხუცი ცუდად ახველებდა, სუნთქვა უჭირდა, სიცხე ჰქონდა. ბერიკაცი იქვე, კუთხეში მიმდგარიყო უსუსური ბავშვივით და აღარ იცოდა, რა გაეკეთებინა. ნატომ თავის ექიმ დაქალს დაურეკა, რომელიც იმ რაიონის საავადმყოფოში მუშაობდა და სთხოვა, ვაჟას მშობლებთან მოდიო. ავადმყოფს ფილტვების ანთება აღმოაჩნდა. — ამას მარტო წამლები არ უშველის, ნემსები სჭირდება, დღეში სამჯერო. ნატომ დაქალს წამლების სია გამოართვა და აფთიაქში გავარდა. ნემსიც თავად გაუკეთა. დაამშვიდა მოხუცები, — არ ინერვიულოთ, შორს ხომ არ ვცხოვრობ, ოთხ საათში ერთხელ მოვალ და ნემსს გავუკეთებო. წამოსვლისას ხელები დაუკოცნა მამამთილმა, ოქროს გული გქონია, შვილო. ვენაცვალე შენს გამზრდელსო...

ვაჟას და, ორი დღის შემდეგ ჩავიდა მშობლებთან. ვაჟა და მისი მეუღლეც მოგვიანებით მივიდნენ. სწორედ იმ დროს, როცა ნატოც იქ იყო. ვაჟა მის დანახვაზე გაფითრდა. ნატომ კვლავ შესაშური სიმშვიდე გამოიჩინა. ყოფილი მეუღლე დაკვირვებით შეათვალიერა, მერე მზერა „იმ ქალზე“ გადაიტანა. ახლა მეორედ ნახა სესილი. ეტყობოდა, ნერვიულობდა. მიხვდა ნატო, რომ ყველა

იქ მყოფზე ერთი საფეხურით მაღლა იდგა. ახალმოსულებს მიუტრიალდა და უთხრა: ახლა უკვე აღარაფერი უჭირს, გამოკეთდა, აწი თქვენც მიხედავთო.

ამ შემთხვევის მერე, როცა ვაჟა შვილების მოსანახულებლად მივიდა, ნატოს დიდი თაიგული და სუნამო მიართვა.

— ეს საჩუქარი მხოლოდ იმის „საფასურია“, დედაშენს რომ მოვუარე? — თვალი თვალში გაუყარა ნატომ და გაიღიმა. — მადლს იმიტომ არ აკეთებენ, ჩემო ვაჟა, რომ მერე რაღაცა მოითხოვონ, — თქვა ნატომ და გაიღიმა. ეს ღიმილი აგიჟებდა ვაჟას, ნერვები ეშლებოდა, რომ უმძიმეს წუთებში ქალი მშვიდად იღიმებოდა, ვაჟა კი ერთიანად ცახცახებდა...

ამ საუბრის მერე, ნატო და ვაჟა ერთმანეთს აღარ შეხვედრიან. მხოლოდ ბავშვებთან დაკავშირებდით კონტაქტობენ ტელეფონით.

გავიდა დრო, სესილს შვილი არა და არ უჩნდებოდა. ძალიან უნდოდა, დედა გამხდარიყო და საყვარელი მამაკაცისთვის შვილი გაეჩინა. კარგა ხნის მკურნალობის მერე, 38 წლის ასაკში გოგო შეეძინა. ნატოს შვილები ისედაც ხშირად სტუმრობდნენ მამას, ახლა კი, დღე არ გავიდოდა, ის პაწაწინა, საყვარელი არსება არ მოენახულებინათ. სოფო და გიო დაუსრულებლად ლაპარაკობდნენ ახალშეძენილ დაიკოზე.

დაგვიანებულმა და მძიმე მშობიარობამ თავისი კვალი დატოვა. სესილი ხშირად ავადმყოფობდა, 3 წლის შემდეგ კი ექიმებმა ვაჟას ურჩიეს, მოსკოვში წაიყვანე და იქაურ ექიმებსაც აჩვენეო. სოფო და გიო იმ საღამოს დარდიანი ეჩვენა ნატოს. რა მოხდაო? — ჰკითხა შვილებს. უამბეს, სესილი მოსკოვშია წასაყვანი, მაგრამ არ მიდის, მარის ვერავისთან ტოვებსო. მიხვდა ნატო, რომ სოფო და გიო მთავარ სათქმელს ვერ უბედავდნენ.

— მარი სულ ორჯერ მყავს ნანახი; ისიც, თქვენ მომიყვანეთ, ცოტა ხნით. შეიძლება, ჩემთან გაჭირვეულდეს, მაგრამ სამაგიეროდ, თქვენთანაა შეჩვეული. შეუთანხმდით ვაჟას და სესილს, ჩაულაგონ პატარას თავისი „ბარგი-ბარხანა“ და ჩვენთან წამოიყვანეთ, — უთხრა შვილებს.

მეორე დღესვე მოაცუნცულეს პატარა. და-ძმამ საძინებელ ოთახში, თავიანთ საწოლებს შორის მარის საწოლი დადგა. მარიც მეცხრე ცაზე იყო, სიხარულით. ნატოსაც მალე შეეჩვია.

წასვლის წინ სესილმა ნატოს დაურეკა და გულისხმიერებისთვის მადლობა გადაუხადა. ვაჟა კი მადლობის თქმასაც ვერ ახერხებდა, ისე იყო აღელვებული.

სესილს მოსკოვში მძიმე ოპერაცია ჩაუტარდა. მთელი ორი თვე დაყვეს იქ. ამასობაში, მარი ისე შეეჩვია ნატოს, რომ თავისი და-ძმასავით, ისიც დედას ეძახდა ქალს. როცა ვაჟა და სესილი მოსკოვიდან დაბრუნდნენ, მშობლებს შინ არ მიჰყვებოდა, ტიროდა, „დედა ნატოსთან“ მინდაო. გადაწყვიტეს, სოფო გაჰყოლოდა და რამდენიმე დღე მათთან დარჩენილიყო, ბავშვს რომ არ ედარდა...

მალე ყველაფერი კალაპოტში ჩადგა. ცხოვრება გაგრძელდა. დღეს მარი 5 წლისაა. ისევ ისე უყვარს „ნატო დედა“. მისი პატარა გული ყველას სიყვარულს იტევს და უსაზღვროდ ბედნიერია. სოფო და გიოც კარგად გრძნობენ თავს. ნატოს გაწონასწორებულმა ხასიათმა, მიტევებისა და სიკეთის ნიჭმა განაპირობა ის, რომ შვილები დღეს მშვიდ გარემოში, ურთიერთსიყვარულით ცხოვრობენ; ისინი ამაყობენ დედით... რატომაც არა? როგორ შეიძლება, ასეთი ადამიანით არ იამაყო, მით უფრო მაშინ, როცა ის შენი დედაა!

P.S. კვლავ ველით თქვენს გამოხმაურებებს. ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელ.: 8.99.27.25.61.

რიჩარდ სიყვარულმა ქლავს

...როგორც იქნა, სასტუმრო „რიც-ჯარლტონის" მერვე სართულზე ლიფტის ჯარი გაიღო და ელიზაბეტი გამოვიდა. ის მარტო იყო, ღია ყვითელი, ღრმად ამოღებული, შიფონის სარაფანი ეცვა. 32 წლის საპატარძლო ძალიან ლამაზად გამოიყურებოდა. ელიზაბეტს გაუჭირდა ისეთი მამაკაცის მოძებნა, რომელიც მის ადრინდელ, 4 ქორწინებას ყურადღებას არ მიაქცევდა და ბედნიერ ქალად აქცევდა. ცერემონიას სულ 10 წუთი დასჭირდა. რიჩარდ ბარტონი ფეხზე ჯი იდგა, მაგრამ დროდადრო ქანაობდა. მაგრამ, პატარძალს ეს არ აღიზიანებდა და სახეზე ბედნიერი ღიმილი დასთამაშებდა.

„ბედნიერებისგან მეცხრე ცაზე ვარ, მე და ბარტონი სიცოცხლის ბოლომდე ერთად ვიქნებით", — განუცხადა ქუჩაში მომლოდინე ჟურნალისტებს ბედნიერმა ელიზაბეტმა.

წყვილი მანქანაში მოთავსდა.

— ძალიან ვინერვიულე, — თქვა ბარტონმა.

— სულელო, რა განერვიულებდა? ჩვენ ხომ უკვე 2 წელია, ერთად გვძინავს? — წასჩურჩულა ელიზაბეტმა და ხელზე ხელი მოუჭირა.

ისინი ერთმანეთს რომში, „კლეოპატრას" გადაღების დროს შეხვდნენ. ცოტა ხნით ადრე ელიზაბეტმა „ბატერფილდ 8"-ში შესრულებული მეძავის როლისთვის ნანატრი „ოსკარი" მიიღო. ეგვიპტელი დედოფლის როლის შესრულებისთვის მას იმ დროისთვის არნახული ჰონორარი, მილიონი დოლარი შესთავაზეს. ფილმში მას მექალთანედ აღიარებულ ინგლისელ რიჩარდ ბარტონთან ერთად უნდა ეთამაშა.

როდესაც გადასაღებ მოედანზე ელიზაბეტი პირველად ნახა, ყურში წასჩურჩულა: „მსუქანია ხარ, მაგრამ ლამაზი ცხვირ-პირი გაქვს". საღამოს კი მეგობრებთან ერთად ბარში მყოფმა ბარტონმა ელიზაბეტს გამოაჯავრა, ხმა დაიწვრილა და ოფიციანტს შეკვეთა გინებით მისცა. ყველანი ხმამაღლა ხარხარებდნენ. ცნობილია, რომ ანგელოზისსახიანი ელიზაბეტი ისე იგინებოდა, ტაქსის მძღოლსაც კი აჯობებდა. ბარტონს მისი საქციელი მოსწონდა. „ფრთხილად, რიჩი, ანკესზე არ წამოეგო", — ეხუმრებოდნენ მეგობრები. „ნუ ინერვიულებთ, ის ისეთი შავია, რომ ალბათ ულვაშსაც კი იპარსავს", — პასუხობდა ბარტონი. შავგვრემან ელიზაბეტს მართლაც ჰქონდა ულვაშთან დაკავშირებული პრობლემები — დროგამოშვებით მისი მოპარსვა სჭირდებოდა.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, ფილმში ნათამაშები პირველივე სასიყვარულო სცენები მოწმობდა, რომ მსახიობებს ურთიერთლტოლვისა და ვნების თამაში არ უხდებოდათ. ისინი იმას აკეთებდნენ, რასაც სინამდვილეში გრძნობდნენ. კამერის წინ ისე დიდხანს კოცნიდნენ ხოლმე ერთმანეთს, რომ რეჟისორი ხშირად აჩერებდა. გადაღებების შემდეგ ელიზაბეტი და რიჩარდი „რეპეტიციას" ელიზაბეტის საგრიმიოროში განაგრძობდნენ. მათი კვნესა მოსვენებას არ აძლევდა მუშებს, რომლებიც დეკორაციებს ცვლიდნენ.

არ არის გასაკვირი, რომ პრესამ მაშინვე იყნოსა ახალი რომანის შესახებ და ეს ამბავი მთელ მსოფლიოს მოსდო. ბარტონის მეუღლე, სიბილი ამ სიახლეს საოცარი სიმშვიდით შეხვდა: „ჩემი ქმარი სასქესო ორგანოს კუნთებს კიდევ ერთხელ ავარჯიშებს", — განუცხადა მან ჟურნალისტებს. ხოლო ელიზაბეტის მეუღლე, მომღერალი ედი ფიშერი დიპლომატიურად დუმდა. რომში იმყოფებოდა, მაგრამ ცდილობდა, თვალი დაეხუჭა იმაზე, რაც მის ცხვირწინ ხდებოდა.

ასე გრძელდებოდა მანამ, ვიდრე ბარტონმა არ განუცხადა:

— მგონი, შენ უნდა იცოდე, რომ შენი ქალი მიყვარს.

— ის ჩემი ქალი კი არა, ცოლია.

— რა მნიშვნელობა აქვს? მაშინ, გამოდის, რომ შენი ცოლი მყვარებია.

იმავე საღამოს, ელიზაბეტთან ხმაურიანი საქმის გარჩევის შემდეგ, ფიშერმა ჩემოდნები ჩაალაგა და სამშობლოში გაემგზავრა. ელიზაბეტმა კი ამერიკაში, თავის ადვოკატთან დარეკა და დაავალა, რომ განქორწინების პროცესი წამოეწყო. ის დარწმუნებული იყო, რომ სულ ცოტა ხანში რიჩარდიც მას მიჰბაძავდა. თუმცა, ბარტონი საყვარლის აზრს არ იზიარებდა.

— მე არ მივატოვებ სიბილს. მას ვუყვარვარ და ჩემი ესმის, — რიჩარდმა უკანალზე ხელი

მოსცხო ქალს და ეშმაკურად გაიღიმა, — თანაც, ძვირფასო, სიბილი ხელს არ გვიშლის, რომ ერთურთით დავტკბეთ და იმ საქმით დავკავდეთ, რომლის კეთებაც ასე გვიყვარს.

რიჩარდი მართალი იყო. 12 წლის მანძილზე სიბილი მას ყველაფერს ჰპატიობდა და მის ერთგულ და თავგამოდებულ მეგობრად რჩებოდა. თუ საჭირო იყო, ძიძის მაგივრობასაც კი უწევდა. ის გმირულად ითმენდა, როცა რიჩარდი თავის საყვარლებს — ბრილიანტისთვლიან ბეჭდებს, მას კი მოკრძალებულ საჩუქრებს უძღვნიდა. ერთადერთი, რითიც სიბილს თავის მოწონება შეეძლო, ნაცრიფერი წავის ქურქი გახლდათ, რომელიც მის ნაადრევად გაჭაღარავებულ თმას ძალზე უხდებოდა.

ბარტონის ასეთმა გადაწყვეტილებამ „ნახევრად განქორწინებული“ ელიზაბეტი აღაშფოთა. მან განაცხადა, რომ ფილმში გადაღებას წყვეტდა და თავის ნომერში ჩაიკეტა. „ეშმაკსაც წაუღიხართ, იმ ნაძირალას კი გადაეცით, რომ მოვა დრო, როცა ჩემს დაკრულზე იცეკვებს“, — ყვიროდა ელიზაბეტი, თუკი კარზე დაუკაკუნებდნენ.

ბარტონი ამ დროს ბარში იჯდა, ტეკილას მიირთმევდა და ამაყი გამომეტყველებით დასძენდა, რომ ამ „სტერვას“ ყველაფერი მალე გაუვლიდა. თუმცა, იმან, რომ ელიზაბეტმა მთელი მუჭა საძილე საშუალებები დალია და თავის მოკვლა სცადა, მის სახეზე სიამაყის გრძნობა გააქრო და საავადმყოფოში ნაცემი ძაღლივით მივიდა. ელიზაბეტმა საავადმყოფოში ერთი კვირა დაყო. ამ ამბავს ვატიკანიც კი გამოეხმაურა. კათოლიკურმა ეკლესიამ შეაჩვენა ის აღვირახსნილობა, რომელიც რომში, მათ ცხვირწინ ხდებოდა. ხოლო ერთერთმა იტალიურმა გაზეთმა ელიზაბეტი გაუმაძღარ ნადირად შერაცხა, რომელიც ოჯახებს ანგრევს და სხვის ქმრებს ისაკუთრებს.

ამ დროისთვის „კლეოპატრას“ გადაღებები სრულდებოდა და რომანის კვანძის გახსნაც ახლოვდებოდა. ნებსით თუ უნებლიეთ, ბარტონი თავის გრძნობებში უნდა გარკვეულიყო და გადაწყვეტილება მიეღო — ლონდონში, ცოლთან დაბრუნებულიყო თუ ელიზაბეტთან ერთად შტატებში გამგზავრებულიყო. ამ ამბის გამო გადამღებ ჯგუფში ნაძლევსაც კი დებდნენ. წინდახედულმა პროდიუსერმა გადაღების ბოლო დღეს „სასწრაფო დახმარების“ მანქანა გამოიძახა, რომელიც გადასაღები პავილიონის გვერდით მორიგეობდა.

ექიმების დახმარება არ დასჭირვებიათ, ელიზაბეტმა ჭირვეული ინგლისელის მორჯულება შეძლო. ის რიჩარდს ერთი ნაბიჯითაც არ შორდებოდა. ბარტონის ნომერში, ბუხრის თავზე ვან გოგის ტილო ეკიდა, რომელიც ელიზაბეტის ნაჩუქარი გახლდათ. ნახატის ღირებულება 250 ათასი დოლარი იყო. ზუსტად ამდენი ჰონორარი გადაუხადეს ბარტონს „კლეოპატრაში“ შესრულებული როლისთვის. სკანდალური წყვილი ამერიკაში ერთად გაემგზავრა. ბარტონმა განქორწინების პროცესი წამოიწყო და ჟურნალისტებს განუცხადა: „მე მინდა დავქორწინდე ელიზაბეტ ტეილორზე და მე მასზე ვიქორწინებ. არავითარი „თუ“ და არავითარი — „მაგრამ“.

მას შემდეგ, რაც ელიზაბეტი მისის ბარტონი გახდა, ცდილობდა, ფილმში, სადაც თვითონ თამაშობდა, მამაკაცის მთავარ როლზე მისი ქმარი დაემტკიცებინათ. ამგვარად, ერთგვარი ოჯახური წყვილი დაიბადა, რომელიც რეჟისორებსა და პროდიუსერებს ხელს აძლევდა. მეუღლეები ერთად 11 ფილმში გადაიღეს და 50 მილიონი დოლარი გამოიმუშავეს.

ელიზაბეტისთვის, რომელ-

თუ გინდა, 4 ადამიანის მაგივრად იმუშავე, ოღონდ, ამის შესახებ მათ ნუ ეცოდინებათ.

მაც მსახიობობა 9 წლის ასაკში დაიწყო, ხოლო ვარსკვლავი 15 წლის ასაკში გახდა, ფული თვითმიზანს არ წარმოადგენდა. სამაგიეროდ, ბარტონი, რომელიც ღატაკი ოჯახიდან იყო, სიმდიდრის წინაშე ქედს იხრიდა. ის ინგლისელი მაღაროელის მე-12 შვილი იყო. დედა ადრე გარდაეცვალა. „ის 10 გირვანქა სტერლინგი, რომელიც დედის დაკრძალვისთვის ვისესხეთ, წლების განმავლობაში მძიმედ გვაწვა ზურგზე", — იხსენებდა მსახიობი მოგვიანებით. „ვალის გადახდის დღე ჩვენთვის ნამდვილი ზეიმი იყო. იყო წლები, როცა თავი უფასო წვნიანით გაგვქონდა".

მილიონიანი ჰონორარების წყალობით, წყვილი თავს ხელგაშლილი ცხოვრების უფლებას აძლევდა. ბარტონმა რეაქტიული თვითმფრინავი იყიდა, რათა მოგზაურობა შესძლებოდათ. ისინი ყველაზე ძვირფას სასტუმროში ჩერდებოდნენ. ელიზაბეტი 150 ჩემოდნის, ბავშვების, ძიძების, 3 მდივნის, პარიკმახერის, 4 ძაღლის, მოახლეების, კუს და 2, ბრილიანტისსაყელურიანი, სიამის კატის თანხლებით მოგზაურობდა.

ბარტონზე გათხოვებისას, ელიზაბეტს წინა ქორწინებიდან 3 შვილი — 2 ვაჟი და ქალიშვილი ჰყავდა. მას შვილები ყველგან თან დაჰყავდა, მაგრამ გადაღებების დროს მათი არსებობის შესახებ თითქმის ავიწყდებოდა. „ელიზაბეტს ძალიან დაძაბული გრაფიკი ჰქონდა. პარიზში, გადაღებების დროს, მისი შვილები სასტუმროში ერთი სართულით ქვევით ცხოვრობდნენ, მაგრამ ბავშვებს დედის ნახვის საშუალება კვირების განმავლობაში არ ეძლეოდათ", — იხსენებდა ერთ-ერთი პროდიუსერი.

იმისათვის, რომ „ახალი" ქმრისთვის ესიამოვნებინა, ელიზაბეტი ყველა როლზე თანხმდებოდა, რომლის ჰონორარიც ექვსნულიანი ციფრით განისაზღვრებოდა. ეს კი წყვილის ურთიერთობაზე აისახებოდა. რაც დრო გადიოდა, ნეგატიური გამოხმაურებები ელიზაბეტის ნამუშევრების შესახებ პრესაში უფრო და უფრო ხშირად ჩნდებოდა. მსახიობი მიხვდა, რომ რეპუტაციის გადასარჩენად „შედევრში" თამაში იყო საჭირო. ასეთ შედევრად „ვირჯინია ვულფი" მოევლინა, სადაც 36 წლის მსახიობმა 45 წლის, ბუზღუნა ქალის როლი ითამაშა. მან როლისთვის 10 კილოგრამი მოიმატა და რეჟისორმა გრიმის საშუალებით ულამაზესი ქალისგან ფეთხუმი და შეუხედავი სახე შექმნა. ცოლის მორჩილი, დოყლაპია ქმრის როლზე ბარტონი მიიწვიეს. რეჟისორმა აიძულა ელიზაბეტი, იმ სცენის უამრავი დუბლი გადაეღოთ, სადაც ცოლი ქმარს სახეში აფურთხებს, რითიც იმის მიღწევა სურდა, რომ მაყურებელი დარწმუნებულიყო, როგორ ეზიზღებოდა ფილმის გმირ ქალს ქმარი. მსახიობებს გმირების „სენი" შეეყარათ. მათ ზიზღი გადაღები მოედნიდან რეალურ ცხოვრებაში გადაიტანეს. „ვირჯინია ვულფში" შესრულებული როლისთვის ტეილორს მეორე „ოსკარი" მიანიჭეს, მაგრამ ჯილდოს მისაღებად არ გაემგზავრა — ქმარმა გადააფიქრებინა. კინოაკადემიის პრიზზე ბარტონიც იყო წარდგენილი, მაგრამ ჯილდო სხვას ერგო. ამის გამო ის დათვრა და ცოლს ეჩხუბა.

მეორე „ოსკარი" ელიზაბეტის კარიერას სასიკეთოდ არ წასდგომია. „ვირჯინია ვულფი" მისი შემოქმედების პიკი იყო, რომლის შემდეგაც მისი წარმატების მრუდი დაბლა დაეშვა. 1968 წელს ტეილორი ყველაზე პოპულარული ვარსკვლავების ათეულში თავის ადგილს გამოემშვიდობა. მისი სახელი ფილმის წარმატებასთან აღარ ასოცირდებოდა. თუმცა, მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ რიჩარდთან ერთად აღარ იღებდნენ. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მის ქმარს ახალგაზრდა პარტნიორი მსახიობი ქალები გამოუჩნდნენ და ქმრის გაკონტროლებას ვეღარ შეძლებდა.

ბარტონმა ძველი დრო გაიხსენა და ხელიდან შანსს არ უშვებდა, ახალგაზრდა მსახიობებთან რომანი რომ არ გაება. ინტრიგები ხანგრძლივად არ გრძელდებოდა, რადგან ელიზაბეტი ის ქალი არ გახლდათ, ვისთვისაც ქმრის წართმევა იოლი იყო. რიჩარდი ყოველი გამჟღავნებული „გადახვევის" შემდეგ, ელიზაბეტს შერიგების სანაცვლოდ, ბრილიანტისთვლიან ბეჭედს ჩუქნიდა. ხშირად, ეს მსოფლიოში ცნობილი ქვები იყო.

ბრილიანტი ელიზაბეტის სუსტი წერტილი იყო. ერთხელ მან ფურორის მოხდენა გადაწყვიტა და ყველა სამკაული

ერთდროულად გაიკეთა: თითებზე — ბეჭდები, მაჯებზე — სამაჯურები, წელზე „ბრილიანტის“ ქამარი შემოირტყა, საყურე და ტიარაც დაიბნია და არც ის დავიწყნია, რომ მშვენიერ მკერდზე მილიონ-დოლარიანი გულსაბნევი დაემაგრებინა. ჰოლივუდში მას ვულგარული უწოდეს. „ვიცი, რომ ვულგარული ვარ, მაგრამ ნუთუ-გინდათ, რომ სხვანაირი ვიყო?“ — გაიკვირვა ელიზაბეტმა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ მისი რისხვის განელება ხანდახან ბრილიანტსაც კი არ შეეძლო. ის ქმარს რამდენიმე კვირის განმავლობაში არ ელაპარაკებოდა იმის გამო, რომ ერთ-ერთ საღამოზე მას ცოლის სახელი დაავიწყდა. ეს ის დრო იყო, როცა ბარტონების ოჯახში სკანდალმა ყოველდღიური ხასიათი მიიღო. რიჩარდი თავის ოთახში იკეტებოდა და ელიზაბეტს შესვლის უფლებას არ აძლევდა.

ელიზაბეტის მოთმინების ფიალა ერთ საღამოს აივსო, როდესაც ქმართან ერთად ინგლისის ელჩთან იყო მიწვეული. ვახშმობისას რიჩარდი ელჩის ცოლის გვერდით აღმოჩნდა. მთვრალმა ბარტონმა ქალს მუხლისთავზე ხელი დაადო და უთხრა: „ფისო, ალბათ მოხარული ხარ, მე რომ გამიცანი“... ელიზაბეტმა ქმარი არჩევანის წინაშე დააყენა — „ან მე, ან — სასმელი“. ბარტონი შეეპირდა, რომ აღარ დალევდა, მაგრამ სულ რამდენიმე დღე შეძლო თავის შეკავება და ელიზაბეტმა მეხუთედ წამოიწყო განქორწინების საქმე. განსხვავება მხოლოდ ის იყო, წინათ ქმრებს ახალი სიყვარულის გამო შორდებოდა, ამჯერად კი მას ბარტონი უყვარდა, მაგრამ მასთან ცხოვრება აღარ შეეძლო.

მომხდარს ყველა თავისებურად ხსნიდა. პრესკონფერენციაზე ბარტონს ხელში არყის ჭიქა ეჭირა: „ქალები უცნაური არსებები არიან. წინასწარ არავინ იცის, რა მოუვათ თავში“, — ამბობდა ის.

„შესაძლოა, ჩვენ ზომაზე მეტად გვიყვარდა ერთმანეთი და არასოდეს ვშორდებოდით. შესაძლოა, ჩვენი განშორების მიზეზი სწორედ ეს გახდა“, — დასძენდა თავის მხრივ ელიზაბეტი.

ყველაფრის მიუხედავად, გარშემო მყოფებს ისეთი შეგრძნება ჰქონდათ, რომ ყველაფერი ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული. რიჩარდი და ელიზაბეტი ერთად აღარ ცხოვრობდნენ, მაგრამ ერთმანეთს ყოველ საღამოს ურეკავდნენ. ელიზაბეტი დიეტაზე დაჯდა და ძველი შარმი დაიბრუნა. რიჩარდი ჭრილობებს შვეიცარიაში იშუშებდა და მავნე ჩვევისგან გათავისუფლებას ცდილობდა. სატელეფონო საუბრებში ყოფილ ცოლს არწმუნებდა, რომ ყველაფერი კარგად იყო. ცოტა ხანში კი ის თავისთან მიიწვია, რომ სიმართლეში დაერწმუნებინა.

მკლავებგაშლილი რიჩარდის დანახვისას ელიზაბეტი ყოფილ ქმარს გულში ჩაეკრა. ამ დროს ორივე ტიროდა.

ელიზაბეტს თვე-ნახევარი დასჭირდა საიმისოდ, რიჩარდი რომ ხელმეორედ ქორწინებაზე დაეთანხმებინა. საქორწინო ცერემონიის ჩასატარებლად ისინი აფრიკაში წავიდნენ და რიტუალი მდინარის ნაპირზე, ადგილობრივი ტომის ბელადის თანხლებით შედგა. 2 კვირის შემდეგ კი ორივემ გააცნობიერა, რომ გატეხილი ფინჯნის გამთელება შეუძლებელია. გარკვეული დროის მანძილზე ოფიციალურ ცოლ-ქმრად დარჩნენ, მაგრამ ერთმანეთს აღარ ეკონტაქტებოდნენ. მეორე განქორწინებამ ჩუმად ჩაიარა. რიჩარდ ბარტონი 1984 წელს გარდაიცვალა. ის ჯერ კიდევ არ იყო 60 წლის. ელიზაბეტ ტეილორმა თავისი 75 წლის იუბილე აღნიშნა და განაცხადა, რომ ჯერ კიდევ მშვენივრად გამოიყურება. ბარტონთან განქორწინების შემდეგ, ის კიდევ რამდენჯერმე გათხოვდა. ●

საჭმე ადამიანს ღვიძავს, ოსაჭმელობა კი ამუდნიერებს.

როდესაც ქალი და მამაკაცი ერთმანეთს ბედს უკავშირებენ, ფიქრობენ, რომ მათ ცხოვრებაში ყველაფერი სხვაგვარად იქნება და არა ისე, როგორც სხვა, ჩვეულებრივ ოჯახებში. ცხოვრებას ვარდისფერი სათვალით უყურებენ და ბედნიერ მომავალზე ოცნებობენ, მაგრამ ქორწინების შემდეგ ათასი პრობლემა იჩენს ხოლმე თავს. მეუღლეებს ეიფორიის გავლის შემდეგ ერთმანეთზე წარმოდგენაც ეცვლებათ. იდეალური ვარიანტია, თუ ისინი ერთმანეთში საუკეთესო თვისებებს აღმოაჩენენ, მაგრამ სამწუხაროდ, ყოველთვის ასე არ ხდება.

ვინ ვინის დამნაშავე?

ჩემი პირველი რესპონდენტი ახალგაზრდა ქალია, რომელიც ნარკომანი ქმრის მხრიდან განხორციელებული ძალადობის გამო ოჯახიდან წამოვიდა.

— როცა გავთხოვდი, მეგონა, ჩემზე ბედნიერი არავინ იქნებოდა, მაგრამ ცხოვრებამ მაჩვენა, რომ თურმე, ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც შენ გინდა. თავიდან ჩემი ქმარი კარგად მექცეოდა, თან მყვებოდა, მაგრამ პირველი შვილი რომ შეგვეძინა, რუსეთში წასვლა გადაწყვიტა. იქ 2 წელი დაყო. ფულს სისტემატურად გვიგზავნიდა და ოჯახს შეძლებისდაგვარად ინახავდა, მაგრამ მოულოდნელად ჩამოსვლა გადაწყვიტა. ვეუბნებოდი, ნუ ჩამოხვალ, შიმშილით დავიხოცებით-მეთქი, მაგრამ არ დამიჯერა. ჩამოსვლისთანავე შევნიშნე, შეცვლილიყო. მომეჩვენა, რომ ნერვიული გამხდარიყო. იმავე საღამოს ვიკამათეთ.

— რის გამო იკამათეთ?

— ეჭვიანობდა, რატომ არ გინდოდა ჩემი დაბრუნებაო, მეჩხუბებოდა, აღარ გიყვარვარო და იმ დღეს პირველად გამარტყა ხელი.

— აპატიეთ?

— მთელი ღამე ტირილში გავათენე. ძალიან განვიცდიდი. ჩემს მეზობლად „ბომჟი“ ცოლქმარი ცხოვრობდა და ის კაცი ცოლს ყოველდღე სცემდა ხოლმე. ისინი დამიდგნენ თვალწინ. საკუთარი თავიც შემეზიზღა და ქმარიც. რამდენიმე კვირის შემდეგ მივხვდი, რატომ იყო ლევანი ასე შეცვლილი. თურმე, წამალზე იჯდა და იმიტომ. რუსეთში ყოფნის დროს ისეთ ადამიანებთან მოხვედრილა, რომლებიც კაიფში კვდებოდნენ და ამანაც ცდუნებას ვერ გაუძლო და წამალზე შეჯდა.

— წასვლამდე არ კაიფობდა?

— არა. ყოველ შემთხვევაში, მე არ შემინიშნავს. თუ წამლის ფულს იშოვიდა და „გაიჩხერდა“, ხომ ყველაფერი კარგად იყო. თუ არა და, მეც და ბავშვსაც გვკლავდა. წამლის ფულს კი ასე იოლად ვერ შოულობდა. სიკვდილს ვნატრობდი. მასთან დალაპარაკებაც არ მინდოდა, ის კი სექსსაც მაიძულებდა. ფაქტობრივად, მაუპატიურებდა. რომ დავფეხმძიმდი, მიბრძანა, ბავშვი უნდა გააჩინოო, მაგრამ მტკიცედ გადავწყვიტე, რომ ბავშვი მომეშორებინა და ასეც მოვიქეცი. ეს რომ შეიტყო, ისევ მეჩხუბა და მაგრად დამალილავა.

მანამდე ყველასთან ვმალავდი, რომ ქმარი ასე სასტიკად მექცეოდა, მაგრამ იმ საღამოს გადავწყვიტე, რომ არ მომეთმინა და სასწრაფოდ პატრულში დავრეკე. მათ მოსვლამდე კიდევ მოასწრო ჩემი ცემა და პოლიციელებს ისეთ მდგომარეობაში დავხვდი, რომ ჩემს დანახვაზე ლამის იტირეს. ბავშვი ჩემ გვერდით იჯდა და ტიროდა. ლევანი წაიყვანეს და მისი ჩამოსვლის შემდეგ ეს იყო პირველი ღამე, როცა მშვიდად დავიძინე. ლევანი 1 თვით საპატიმროში მოათავსეს და მაშინ მივხვდი, რა მშვენიერია ცხოვრება. აღარ ვიყავი დაძაბული და მოსაღამოების აღარ მეშინოდა. იმასაც მივხვდი, რომ თუ ლევანთან დავრჩებოდი, აუცილებლად დავიღუპებოდი და შესაძლოა, ხელშიც კი შემოვკვდომოდი. მასთან ცხოვრება აღარ მინდოდა, მაგრამ გადაწყვეტილებას ვერ ვიღებდი და ვყოყმანობდი.

— რატომ? ხელს რა გიშლიდათ?

— მე უმუშევარი ვიყავი და ბავშვს ვერ შევინახავდი. ლევანი რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ ტაქსიზე მუშაობდა და ასე თუ ისე, პურის ფული მაინც გვქონდა.

— როგორ მიიღეთ საბოლოო გადაწყვეტილება?

— ლევანის გამოსვლამდე 3 დღე იყო დარჩენილი. დრო ცოტა იყო და რაღაც უნდა მეღონა. რომ წარმოვიდგინე, მისი გამოსვლის შემდეგ რაც მოხდებოდა, ლამის შუაღამისას, თავქუდმოგლეჯილი გავიქეცი იმ საზიზღარი სახლიდან, სადაც არასოდეს ვყოფილვარ ბედნიერი. ჩავალაგე ჩემი და ბავშვის ნივთები და დილით ჩემს მეგობართან წავედი. რამდენიმე დღე მასთან დავყავი. ლევანმა გამოსვლისთანავე ძებნა დამიწყო და სადაც ვიყავი, იმ ოჯახშიც დარეკა, მაგრამ დაუმალეს, იქ რომ ვიყავი. ჩემი აქ გაჩერება არ შეიძლებოდა. ლევანი აუ-

ცილებლად მომაგნებდა და ვინ იცის, რას მოიმოქმედებდა. ჩემს მეგობარს (ვის ოჯახშიც ვცხოვრობდი) დასავლეთში, ერთ-ერთ სოფელში დაკეტილი სახლი ჰქონდა. იქ წასვლა შემომთავაზა და მეც სიამოვნებით დავთანხმდი. რამდენიმე დღის შემდეგ ხარაგაულის რაიონში, ერთ ლამაზ სოფელში ჩავედი და კითხვა-კითხვით მივაგენი მეგობრის სახლს. იქაურობა აბლაბუდებით იყო სავსე. ყველაფერი დავაწკრიალე და ცხოვრებას შევუდექი. გაზაფხული იყო და მიწის სამუშაოები იწყებოდა. თავიდან გამიჭირდა ცხოვრება და ისევ ჩემი მეგობარი მეხმარებოდა, მაგრამ ზარმაცი ადამიანი ნამდვილად არ ვარ, შრომა დამიფასდა და ახლა უკვე საკუთარი მეურნეობა მაქვს. ქათმებიც მყავს, ძროხაც, ღორიც და ხილ-ბოსტნეულიც. უკვე 7 წელია, აქ ვცხოვრობ, ბედს არ ვუჩივი. გარშემო გულისხმიერი ადამიანები ცხოვრობენ და მათი შემწეობითა და ღვთის მადლით, თავს ცუდად არ ვგრძნობ. ახლა, აქვე ახლოს, ერთ პატარა, კოხტა სახლს ყიდიან და თუ მისი შეძენა მოვახერხე, უკვე საკუთარი კერაც მექნება.

— თქვენი ყოფილი მეულლე სად არის?

— როგორც ვიცი, დაჭერილია და სასჯელს იხდის. მისი ამბავი აღარ მაინტერესებს.

რამდენიმე ხნის წინ ახალგაზრდა მამაკაცი დამიკავშირდა და შეხვედრაზე შემითანხმდა. შეხვედრისას მითხრა, რომ თავისი მეგობრის შესახებ უნდოდა ლაპარაკი და საინტერესო ამბის მოყოლას აპირებდა. თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ დათო (სახელი შეცვლილია) საკუთარ თავგადასავალს მიყვებოდა.

— ჩემი მეგობარი დედის რჩევით დაქორწინდა. ის რაიონში ცხოვრობდა და დედამისმა ქალაქში მცხოვრები, დედისერთა გოგო გაურიგა. ჰოდა, წავიდა დათო ქალაქში, ზედსიძედ. თავიდან სიდედრ-სიმამრთან ცხოვრობდა, შემდეგ კი ქირით გადავიდა. როდესაც მისი ცოლი სოფელში ჩამოდიოდა, ისე ვულგარულად ეცვა ხოლმე, რომ სოფლის ბიჭები უკან დასდევდნენ და მისი მსუქანა და თეთრი ფეხების ყურებაში ნერწყვს ყლაპავდნენ. არავის მოსწონდა ახალი რძალი და მგონი, არც თვითონ დათოს, მაგრამ რას იზამდა? წყნარი, ბუნჩულა ბიჭი იყო და არც დედას უწევდა წინააღმდეგობას და არც ცოლს. მშრომელიც გახლდათ და თავისი ხელობით ფულსაც შოულობდა. გავიდა წლები. 1 შვილი შეეძინათ, დათო მუშაობდა, ცოლი კი შინ იჯდა. ერთ მშვენიერ დღეს დათომ აღმოაჩინა, რომ ცოლი ღალატობდა და გადაირია. შინ სცენები მოაწყო, ერთი ამბავი ატეხა და მაგიდაზე 1-2-ჯერ მუშტიც დასცხო, მაგრამ ამაზე შორს არ წასულა.

მეორე დღეს, სამსახურიდან დაბრუნებულს სახლში უცხო მამაკაცი დახვდა. ვინ ხარო? ჰკითხა. — ვინ ვარ და ის, ვინც შენს ცოლს ხმარობსო. შეხლა-შემოხლა მოუვიდათ და დათო გაილახა. ერთი სიტყვით, იმ კაცმა მაგრად „დააჩმორა“ და თან დაემუქრა, თუ ხმას ამოიღებ, იცოდე, ისეთ რამეს გაგიკეთებ, გარეთ ცხვირი ვეღარ გაყოო. რაღას იზამდა? შეურიგდა ბედს და როცა შინ მისულს ცოლის საყვარელი დივანზე წამოგორებული ხვდებოდა, სამზარეულოში ფეხაკრეფით შედიოდა და უხმაუროდ ვახშმობდა, რომ „მონსტრი“ არ გაეღვიძებინა. თუ ოდნავ ხმამაღლა დაილაპარაკებდა ან რაიმეს აახმაურებდა, აუცილებლად გაილახებოდა. ასეთ ცხოვრებას დიდხანს ვერ გაუძლებდა. ადგა და საბერძნეთში წავიდა. ცოტა ხნის წინ კი დაბრუნდა, მაგრამ ოჯახს ამის შესახებ არ შეატყობინა. ახლა ნაქირავებში, მარტო ცხოვრობს და მუშაობს. ყველას ჰგონია, რომ წასულია, ის კი ვირთხასავით იმალება და გარეთ უსაქმოდ გამოსვლასაც ერიდება. როდემდე გაძლებას ასე, არ ვიცი.

— გაეყაროს ცოლს, არ შეიძლება?

— კი, მაგრამ ამბობს, რომ თუ მისი აქ ყოფნის შესახებ გაიგებენ, ისევ იმ ქალთან ცხოვრებას აიძულებენ და ამას სიკვდილი მირჩევნია... ასე იმან თქვა, მირჩევნიაო...

ჩვენი საუბარი აქ დასრულდა. მინდა, ჩემს რესპონდენტს ვუთხრა, რომ თუ ცოტა გამბედაობას გამოიჩენს და ნამდვილი მამაკაცის პოზიციას დაიკავებს, ვფიქრობ, ვერავინ ვერაფერს დააკლებს. ახლა კი ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებით გრაფის კონსულტაციას გევეცნოთ.

●

როდესაც „ოჯახური ძალადობის“ შესახებ ვისმენთ, ჩვენს გონებაში ასეთი სურათი იხატება: სადღაც, ბინძურ, ჩამონგრეულ სახლში, უმუშევარი და გალოთებული მამაკაცი ფეთხუმ, ჩამოძონძილ ცოლს სცემს.

ყველაფერი ირღვევა მაშინ, თუ ვიგებთ, რომ ძალადობის მსხვერპლი მეცნიერი მუშაკი ან რომელიმე ფირმის ხელმძღვანელია და ვინ იცის, უკვე მერამდენედ ამბობს, რომ თვალქვეშ გაჩენილი სილურჯე კიბიდან დაგორების შედეგია.

რატომ იჩენენ მამაკაცები აგრესიას და რატომ არ მიდიან ცოლები იმ სახლიდან, სადაც მათზე ძალადობას ახდენენ?

გრაფი თარხანი

მამაკაცის მხრიდან აგრესიის გამომჟღავნების მიზეზი შესაძლოა, დაბალი თვითშეფასება ან სისუსტე იყოს. ასეთი მამაკაცი პარტნიორის დამცირებას თავისი უპირატესობის დასამტკიცებლად ცდილობს ან უბრალოდ, გაბრაზებულს აგრესია იმ ადამიანზე გადააქვს, ვინც წინააღმდეგობას ვერ გაუწევს, რადგან აგრესიის გამომწვევს საკადრისი პასუხი ვერ გასცა.

ოჯახური ძალადობა განათლების დონესა და მატერიალურ კეთილდღეობასთან პირდაპირ კავშირში არ არის. აგრესორი ხშირად არაკომუნიკაბელური ტიპია, რომელიც ადამიანებთან საერთო ენას ვერ პოულობს და ცემის გარდა სხვა არაფერი შეუძლია. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში აგრესიის გამოვლენა შესაძლოა

ძალადობის ჩაკეტილი წრე

და რომანტიკული შერიგება

არაჯანსაღი ფსიქიკის ბრალი ან ალკოჰოლის შედეგი იყოს.

რა აკავებს ქალს ისეთ ოჯახში, სადაც ამცირებენ და მისი სიცოცხლე უბრალოდ, საფრთხის ქვეშ დგას?

1. მატერიალური დამოკიდებულება („წასასვლელი არსად მაქვს“);
2. შვილები („ბავშვს მამა უნდა ჰყავდეს“);
3. ოჯახის შესახებ პარტიარქალური წარმოდგენა („უკაცოდ ცხოვრებას ასე სჯობია“, „მამაკაცი ოჯახის უფროსია“)
4. და ბოლოს და ბოლოს — სიყვარული.

ოჯახური ძალადობა 3 ფაზისგან შემდგარ ჩაკეტილ წრეს წარმოადგენს.

პირველი ფაზა — აგრესიისა და გაღიზიანების მოზღვავება;

მეორე ფაზა — აგრესიის გამოვლინება.

მესამე ფაზის დროს აგრესორი თავის ქმედებას ინანიებს და დანაშაულის გამოსყიდვას სიტყვითა და საქმით ცდილობს. ცემას მოსდევს ლამაზი სიტყვების კორიანტელი, თაიგული და ფიცი — რომ იგივე აღარასოდეს განმეორდება.

ქალს სწორედ მესამე ფაზა — მოკლე „თაფლობის თვე“ (მართალია, ტონალური კრემით დაფარულია სილურჯეების თანხლებით) აკავებს და ისიც გულს იმით იმშვიდებს, რომ ქმარს უყვარს.

წრე კი შემდეგი ფაზით იკვრება — აგრესია მატულობს, გროვდება და ურთიერთობა კვლავ იძაბება. თუ ქალი ასეთ ურთიერთობას რომანტიკულად მიიჩნევს, არ ღირს იმის დავიწყება, რომ შესაძლოა, აგრესიით დაბრმავებული „ვაჟკაცის“ დარტყმამ წარუშლელი კვალი დატოვოს ან უკანასკნელი აღმოჩნდეს. კრიმინალური სტატისტიკა ამის შესაძლებლობას ამტკიცებს.

აგრესიული ქმრის გვერდით კიდევ უფრო მყარად ცხოვრობს ის ქალი, რომელსაც შვილი ჰყავს. ჯერ ერთი, ის უფრო მეტადაა მატერიალურად დამოკიდებული და მეორეც — ფიქრობს: „რაც უნდა იყოს, მაინც მამაა“. ნურავის ეგონება, რომ ბავშვს ოდესმე დაავიწყდება ის აყალმაყალი და ცემა-ტყეპა, რასაც საკუთარი თვალით იხილავს.

ისეთ ოჯახში აღზრდილი ბავშვები, სადაც ძალადობას ჰქონდა ადგილი, პასიურ მსხვერპლად ან აგრესორებად ყალიბდებიან.

დღეს უკვე აღარავინ ამბობს, რომ თუ სცემს, ე.ი. უყვარს. ეს წარმოდგენა სხვა, ქალურმა სიბრძნემ შეცვალა: თუ ერთხელ დაგარტყა, აუცილებლად სხვა დროსაც გცემს, თანაც, გაცილებით დაუნდობლად.

იმისათვის, რომ მამაკაცმა საყვარელ ქალზე ხელი ასწიოს, გარკვეული ბარიერი უნდა გადალახოს. ამ ბარიერის ხელახლა აღმართვა კი თითქმის შეუძლებელია.

ასეთი სიტუაციისთვის უნივერსალური რჩევები არ არსებობს. უმეტეს შემთხვევაში, პირველი ცემის ფაქტის შემდეგ აგრესია მატულობს და ღრმავდება. იშვიათად — პირველი შემთხვევის შემდეგ, აგრესორი ჭკუას სწავლობს და მსგავს სიტუაციაში მოხვედრას გაურბის. ასე რომ, უმჯობესი იქნება, პირველივე შემთხვევის შემდეგ ქალმა თავის უსაფრთხოებაზე იზრუნოს. სიტუაცია რთულდება მაშინ, როცა ქალი მის მიმართ განხორციელებული აგრესიის დამალვას ცდილობს. ჯობს, ამის შესახებ მეგობრებს, ოჯახის წევრებსა თუ მეზობლებს შეატყობინოს და მოემზადოს, რომ განმეორების შემთხვევაში შინიდან წავიდეს. მთავარი მიზეზი, რის გამოც ქალი ცემის ფაქტს მალავს, სირცხვილია. „პატრიარქალური წყობის“ ქალს რცხვენია, რომ ქმარი გააბრაზა და დამნაშავეა. უფრო ცივილიზებულ ქალს კი ერიდება აღიაროს, რომ პირველყოფილი ადამიანის მდგომარეობაში აღმოჩნდა. სინამდვილეში ქალს არაფრის არ უნდა რცხვენოდეს. შეცდომა ყველას მოსდის და იოლი შესაძლებელია, ადამიანის ამოცნობა ვერ შეძლო. ტინა ტერნერი ყველა დამცირებული და განაწყენებული ქალისთვის სამაგალითია. მან მიატოვა ქმარი, რომელიც ამავდროულად მისი პროდიუსერიც იყო და ხშირად სცემდა კიდეც. ამით მან თავისი, როგორც მომღერლის კარიერა რისკის ქვეშ დააყენა. და რა მიიღო? მისი აგრესორი ქმარი მხოლოდ ზოგიერთ მელომანს ახსოვს, ტინას კი ყველა იცნობს...



პროტოტიპი

„ალენა მართლა მაგარი ტიპია. ლამის, მეც შემიყვარდეს. ანას კეთილ მგზავრობას ვუსურვებ და ამბის გაგრძელებასაც მოუთმენლად ველი“.

„მარ, არ შეიძლება, რომ ანას სურათი დაგვიბეჭდო? მაინტერესებს, გარეგნულად როგორ გამოიყურება. როგორც ვხვდები, კარგი ტიპი უნდა იყოს. ანა, მიეცი მარის შენი სურათის გამოქვეყნების უფლება“.

„მაგდას არა და, ანას კი სიამოვნებით გავიცნობდი. მაგარი ქალი ჩანს. ანა, არ გაინტერესებს, ნამდვილი მამაკაცი როგორ გამოიყურება? ალენას ათასი თავით ვჯობივარ. ფულიც მაქვს, სამსახურიც და საზოგადოებრივი მდგომარეობაც. გამოართვი მარის ჩემი ნომერი და შემამოწმე“.

დასაწყისი — „გზა“, №11-23

მარი ჯაფარიძე

ახლა კი ანას ამბავს განვაგრძობთ, რომელიც იმ მომენტში შევწყვიტეთ, როცა აეროპორტში ალენა შენიშნა და თვითმფრინავში ასული, თავის ადგილს ეძებდა.

როგორც იქნა, ბორტგამყოლის დახმარებით ჩემი ადგილი მოვძებნე. გამიხარდა, რომ ილუმინატორთან მოვხვდი. სავარძელზე დავეშვი და აეროპორტის შენობას გავხედე. თითქოს, თვალებით ალენას ვეძებდი. ბოლომდე დარწმუნებული არ ვიყავი, დარბაზში ნამდვილად ის ვნახე თუ არა, მაგრამ თვალი და გუმანი არასოდეს მატყუებს და რაღა ახლა შევცდებოდი? ნამდვილად ის იყო! — დავასკვენი და დავიძაბე.

თვითმფრინავი ნელ-ნელა დაიძრა. გარეთ ყველაფერი ამოძრავდა და ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს თვითმფრინავი გაჩერებული იყო და აეროპორტის შენობა დაიძრა, მერე აჩქარდა, თითქოს „სირბილს“ მოუმატა და ბოლოს, უკან დარჩა. მიწიდან მოწყვეტის დროს გული ისე შექანდა, თითქოს მიწასთან განშორება არ უნდოდა და დაბლა დარჩენა სურდა. თვალები დავხუჭე. ორიოდე წუთში, ღამის თბილისს უკვე ზემოდან დავყურებდი. მერე ქალაქიც დაპატარავდა და გაქრა. კარგი იქნებოდა, დღე ყოფილიყო — თვითმფრინავით დღისით მგზავრობა ერთი სიამოვნებაა. როცა ხომალდი ღრუბლების საუფლოში გზას მიიკვლევს, ასე გგონია, სამყაროს მბრძანებელი ხარ. ღრუბელსა და ღრუბელს შორის კი მზის სხივები სვეტებად დგას და თითქოს ზედა ფენა, ქვედას მისი საშუალებით ეყრდნობა.

— ცუდად ხომ არ ხართ? — ვიღაცის სიტყვებმა გამომაფხიზლა.

შევხედე. ჩემ გვერდით ძვირფას პიჯაკში გამოწყობილი, დაახლოებით, ჩემი ასაკის მამაკაცი იჯდა. მანამდე არ შემინიშნავს. მოურიდებლად შევათვალიერე. სიმპათიურად გამოიყურებოდა, მაგრამ რაღაც არ მომეწონა. თვალები! თვალები არ მომეწონა, მისი. რაღაცნაირი, წვრილი თვალები და გამჭოლი მზერა ჰქონდა.

— არა, ცუდად არ ვარ, — მოკლედ ვუპასუხე და ისევ ფანჯარაში გავიხედე.

— აფრენის დროს იცის ხოლმე, მე ყოველთვის გულის რევის შეგრძნება მაქვს.

უპასუხოდ დავტოვე. მხოლოდ მხრები ავიჩეჩე, რაც ნიშნავდა — რაში მაინტერესებს? ჯანდაბამდე გზა გქონია-მეთქი.

ამ დროს ჩემი ყურადღება წინა სავარძელზე მჯდომმა ქალბატონმა მიიპყრო, რომელიც სტიუარდესას უხმობდა. ახალგაზრდა გოგონა ღიმილით მიუახლოვდა.

— გისმენთ, ქალბატონო.

— გოგონა, მე ამ ზანგის გვერდით ვერ ვიმგზავრებ, — მიუთითა გვერდით მჯდომ, შავკანიან მამაკაცზე, — რაიმე იღონეთ და ადგილი სხვაგან მომიძებნეთ.

ქალს ხმა უთრთოდა და ეტყობოდა, რომ ძალიან ნერვიულობდა.

— შეგაწუხათ, ქალბატონო?

— არა, მაგრამ არ შემიძლია, შავკანიანის გვერდით ჯდომა. რა ბედი მაქვს, მთელ თვითმფრინავში ერთადერთი ზანგია და მაინცდამაინც მე მოვხვდი მის გვერდით.

— მე გავუცვლი ადგილს, თუ ნებას დამრთავთ, — ვთხოვე ბორტგამყოლს.

— ერთი წუთით, — გამიღიმა გოგონამ და თვითმფრინავის წინა ნაწილში, ფარდის მიღმა გაუჩინარდა.

ცოტა შეაგვიანდა. ქალი კი ძალზე ნერვიულობდა. უკმაყოფილებას ხმამაღლა გამოთქვამდა.

— ქალბატონო, ნუ ნერვიულობთ, შავკანიანებიც ისეთივე ადამიანები არიან, როგორიც ჩვენ, — ვცადე მისი დამშვიდება.

— კი, ასეა, არაფერს დაგიშავებთ, — ქართულად უთხრა ქალს ზანგმა.

მის მაგივრად მე შემრცხვა. ოფლმა დამასხა. ისეთი უხ-

ერხულობა ვიგრძენი, თითქოს დანაშაულზე წამასწრეს.

ამასობაში სტიუარდესაც მოვიდა.

— ქალბატონო, დიდ ბოდიშს მოგიხდით, მაგრამ ერთი თავისუფალი ადგილი მხოლოდ ბიზნესკლასის სალონშია, თქვენ კი ეკონომკლასით მგზავრობის საფასური გაქვთ გადახდილი. ბორტის კაპიტანს ვესაუბრე თქვენი მოთხოვნის შესახებ და ნება დამრთო...

— დიდი მადლობა! — თქვა ქალმა და სავარძლიდან გველნაკბენივით წამოხტა. — საით უნდა წავიდე?

— არა, ქალბატონო, თქვენ ვერ გამიგეთ. არსად წახვალთ, ადგილზე დარჩით. ბიზნესკლასით თქვენ გვერდით მჯდომი მამაკაცი იმგზავრებს. მისტერ,

ლაფერზე ერთბაშად ვფიქრობდი. გონება დამეძაბა. აშკარად ვგრძნობდი, ძარღვებში სისხლი როგორ მოძრაობდა. წყალი მოვითხოვე და დამამშვიდებელი აბი დავლიე. ცოტა ხანში ჩამეძინა და მხოლოდ მაშინ გავიღვიძე, როცა ჩემმა მეზობელმა მამაკაცმა მხარზე ხელი დამადო და შემანჯღრია.

— ძალიან ხმამაღლა ხვრინავთ, ყველანი შევწუხდით, — მითხრა სერიოზული სახით.

— მართლა? საერთოდ, არასოდეს ვხვრინავ... — თითქოს მოვუბოდიშე, რადგან ძალიან შემრცხვა და სავარძელზე შევსწორდი.

— გეხუმრეთ, სადაცაა, თვითმფრინავი დაეშვება და უნდა ჩავიდეთ, ამიტომ გაგაღვიძეთ.

— მეხუმრეთ? — თვალები დავაჭყიტე

— ჰო, გეხუმრეთ, უფრო სწორად, წეღანდელი უხეში საქციელისთვის სამაგიერო გადაგიხადეთ.

გთხოვთ, გამომყვეთ, — ინგლისურად მიმართა შავკანიან მამაკაცს და წინ გაუძღვა.

მან ქალს ბოდიში მოუხადა და გამყოლს მიჰყვა. მგზავრები ახმაურდნენ და სტიუარდესას საქციელით კმაყოფილნი, ქალს ქოქოლას აყრიდნენ.

ცოტა ხანში ყველა ჩაწყნარდა.

— ეს რომ საბჭოთა დროს მომხდარიყო, კომუნისტები ამ ქალს სამაგალითოდ დასჯიდნენ, — მომიბრუნდა ისევ ჩემი მეზობელი.

— ლაპარაკის გუნებაზე არ ვარ, თუ არ გაჩუმდებით, თქვენც ბიზნესკლასით მოგიწევთ მგზავრობა, — „დავემუქრე“, პროტესტის ნიშნად სავარძელზე ოდნავ შევბრუნდი და ზურგი ვაქციე.

თვალები დავხუჭე და დაძინება გადავწყვიტე, მაგრამ თავში ათასი ფიქრი აირია. ყვე-

— მეხუმრეთ? — თვალები დავაჭყიტე.

— ჰო, გეხუმრეთ, უფრო სწორად, წეღანდელი უხეში საქციელისთვის სამაგიერო გადაგიხადეთ.

— ეს ცუდი ხუმრობა იყო.

— ვიცი. თქვენ სამუშაოდ მიდიხართ პარიზში?

— არა, სამდღიანი, საქმიანი ვიზიტი მაქვს, — მორჩილად ვუპასუხე.

— მართლა? მეც 3 დღეში ვბრუნდები. ალბათ უკანა გზაზეც ერთად მოგვიწევს მგზავრობა.

— ჰოდა, ძალიანაც ცუდი.

— რატომ? — წარბები ასწია.

— იმიტომ, რომ ნერვებს მიშლით და უკანა გზაზეც ნერვებს მომიშლით.

— თქვენი თბილისის ტელეფონის ნომერი მომეცით და ნახავთ, რა კარგი ბიჭი ვარ.

— ჰმ, — მხოლოდ ეს ვთქვი და მხრები ავიჩეჩე.

— მაძლევთ? — არ მომეშვა.

— რას? — თვალები მოვწკურე და ისე შევხედე.

— ჯერჯერობით, ტელეფონის ნომერს.

— არა! — მოჭრით ვთქვი და გულში გადავწყვიტე, რომ საერთოდ აღარ გამეცა ხმა. საკუთარი თავისთვის მიცემული პირობა შევასრულე და ყველა მის შეკითხვას დუმილით ვუპასუხე.

ამასობაში თვითმფრინავი დაეშვა და მეც შვებით ამოვისუნთქე. აეროპორტის დარბაზში შევჩერდი და იქაურობას თვალი მოვავლე. ირენის მოძებნას აზრი არ ჰქონდა, რადგან მაინც ვერ ვიცნობდი. ჯობდა, ერთ ადგილზე გავჩერებულიყავი და დავლოდებოდი.

ცოტა ხანში საკმაოდ ლამაზი, ტანმაღალი ქალი მომიახლოვდა და ფრანგულად დამელაპარაკა.

— ანა ხართ?

— დიახ, თავი დავუქნიე.

— ირენი, — ხელი ჩამომართვა, — გარეთ ტაქსი გველოდება, — მითხრა და წინ გამიძღვა. დარბაზს თვალი მოვავლე. რატომღაც ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ალენა აქაც დამხვდებოდა.

სასტუმრომდე ისე ვიმგზავრეთ, რომ ირენს ხმა არ ამოუღია. სასტუმროს ნომერშიც ამომყვა და მხოლოდ ამის მერე დამელაპარაკა.

— ჩემთან რაც გამოგატანეს, ის მომეცით და ამით თქვენი საქმე დამთავრდება. შეგიძლიათ, გამგზავრებამდე ქალაქი დაათვალიეროთ და გაერთოთ.

— თქვენ აღარ მოხვალთ?

— მხოლოდ გამგზავრებისას.

ფრანგულ სიტყვებს ნამდვილი ფრანგივით არ გამოთქვამდა. მივხვდი, რომ ის ადგილობრივი არ იყო. „ან ქართველია, ან პროვინციელი“, — გავიფიქრე და ამის გამო ცოტა „დავიგრუზე“.

ირენი წავიდა, მე კი ფანჯარასთან მივედი და პარიზს გადავხედე. ამ ქალაქში მეორედ ვიყავი. თენდებოდა და ცას

ალიონი შეჰპარვოდა. თბილისში სხვანაირად თენდებამეთქი, გავიფიქრე. სააბაზანოში შევედი, წყალი გადავივლე და იქიდან გამოსულმა პირდაპირ ლოგინში ვდურთე თავი.

რომ გამეღვიძა, უკვე შუადღე იყო. ღია ფანჯრიდან ხმაური შემოდიოდა. ვერ გავიხსენე, როცა ვიძინებდი, ფანჯარა ღია იყო თუ არა.

საოცარი შიმშილის გრძნობა მქონდა. უცებ მოვწესრიგდი და სასტუმროს რესტორანში ჩავედი. სადილის შემდეგ კი ქალაქში გასეირნება მქონდა დაგეგმილი.

რამდენიმე კერძი შევუკვეთე და ის იყო, წვნიანის ჭამა უნდა დამეწყო, რომ რესტორნის ერთ-ერთ მაგიდასთან ჩემი „თვითმფრინავის მეზობელი“ მამაკაცი შევნიშნე. მოსალმების ნიშნად ხელი ამიწია. ნაძალადევად გავუღიმე და ჭამა განვაგრძე. უეცრად, დათოს კაბინეტში ნანახი თვითმფრინავის 2 ბილეთი გამახსენდა და გონება გამინათდა. როგორც ჩანს, სწორედ ეს მამაკაცი იყო მეორე ბილეთის პატრონი. გადავწყვიტე, ბოლომდე დავრწმუნებულიყავი ჩემს ეჭვში და „მეზობელს“ კიდევ ერთხელ, ამჯერად გულიანად გავუღიმე. მაშინვე წამოდგა და ჩემკენ გამოემართა.

— თქვენც აქ გაჩერდით? შეიძლება, დავჯდე?

— კი, რა თქმა უნდა, — ისევ გავუღიმე.

— ეტყობა, უძილობა თქვენზე ცუდად მოქმედებს.

— საიდან დაასკვენით?

— თვითმფრინავში ძალიან ცუდ გუნებაზე იყავით, სულ მიბღვერდით, ახლა კი გეტყობათ, რომ გამოძინებული ხართ და კეთილად მიღიმით.

— ეს იმის ბრალია, რომ ახლობლებთან მცირე ხნით განშორებაც კი ცუდად მოქმედებს.

— აეროპორტში რომ გაცილებდათ და გადაგკოცნათ, ის თქვენი მეუღლე იყო?

— არა, არც მეუღლე იყო და არც საყვარელი, — ვუთხარი და გამომცდელად შევხედე.

— არ გყავთ?

— ვინ?

— ან მეუღლე, ან საყვარელი...

— ჩემს პირად ცხოვრებაში უცხო ადამიანებს არ ვახედებ. თქვენი კითხვებით თუ ვიმსჯელებთ, დიდი ტაქტიანობით არ გამოირჩევით.

— იმის თქმა გინდათ, რომ თავხედი ვარ?

— ჰო, დაახლოებით მაგის თქმას ვცდილობ.

— კარგი, სასეირნოდ ხომ არ წამოხვალთ?

— რა თქმა უნდა, წამოვალ, — ისევ ალალად გავუღიმე და მივხვდი, რომ ჩემი პასუხით მოსაუბრე გავაოცე.

— ჰო, მართლა, მე გაბრიელი მქვია, ახლობლები კი გაბოს მეძახიან.

— კარგი, მეც გაბოს დაგიძახებთ.

— თქვენს სახელს კი საიდუმლოდ დატოვებთ?

— ჩემი სახელი 4 ასოსგან შედგება, თავსა და ბოლოში ერთნაირი ხმოვნები აქვს, შუაში კი ერთნაირი თანხმოვნები, — თავსატეხი გავუჩინე.

— მაია? — უცებ „გამოიცნო“.

— სკოლაში ალბათ ქართულს ყველაზე კარგად სწავლობდით, არა?

— კი, — გაიბღინძა და კმაყოფილმა შემომხედა, აქაოდა ნახე, რა მაგარი ვარო...

— ჰოდა, ძალიანაც კარგი. თუ ფრანგულიც ისევე იცით, როგორც ქართული, მაშინ გავისეირნოთ და გიდობაც გამიწიეთ.

— ფრანგული არ ვიცი, — ბოდიშივით ჩაიბურტყუნა.

— არა უშავს, ნიჭიერი ჩანხართ და იოლად აითვისებთ, — არ ვისვენებდი და დაცინვას განვაგრძობდი.

— ნიჭიერი კი არა, ნიჭიანი, — შემისწორა ქართულში „ფრიადოსანმა“.

— ნიჭიანი? სვანი ხართ?

— არა, მეგრელი, — არ ვიცი, ხუმრობას ვერ მიხვდა თუ წაუყრუა.

— აა, მაშინ ნიჭინავა ყოფილხართ, — სერიოზული სახით ვუთხარი და გასასვლელისკენ გავწიე.

უეცრად, უკნიდან ხარხარის ხმა შემომესმა. მივიხედე. გაბო იქვე იდგა, სადაც დავტოვე და ხმამაღლა იცინოდა. მოვბრუნდი და წინ დავუდექი.

— რა მოხდა? — გაოცებულმა ვკითხე.

— ახლა მივხვდი, წეღან რატომ მკითხეთ — სვანი ხარო? მაგარი იყო, კარგა ხანია, ასე არ მიცინია, — მიპასუხა მას შემდეგ, როცა სული მოითქვა.

მთელი დღე ქალაქში ვიხეტიალეთ. ეიფელის კოშკზე ასვლა მეორე დღისთვის გადავდეთ და საღამოს კვლავ სასტუმროს რესტორანში შევხვდით ერთმანეთს.

— ხვალ მუზეუმებში წავიდეთ, — მითხრა მას შემდეგ, რაც ოფიციანტს შეკვეთა მივეცით.

— კი, მაგრამ აქ რისთვის ხართ? საქმე არ გაქვთ?

— არა, რამდენიმე დღით დასასვენებლად ჩამოვედი. ყოველდღიური ცხოვრება რომ მწყინდება, ვცდილობ, დავისვენო ხოლმე.

— აწყობილი გქონიათ საქმე და ისაა, — ცოტა კი შემშურდა ამ ადამიანის.

— პირველ რიგში, ადამიანმა საკუთარ თავს უნდა მიხედოს და მერე — საქმეს. თუ ასე არ მოიქცევა, საქმე ისე შეჭამს და შეყლაპავს მის დროს, რომ წლების მერე მიხვდება, დრო კი არ დახარჯა, დაკარგა.

— თქვენს ნათქვამში სიმართლის მარცვალი ნამდვილად დევს, მაგრამ თუ იმდენი საქმე გაქვს, რომ საკუთარი თავისთვის ვერ იცლი?

— უნდა მოიცალო!

— ვეცდები, ამის მერე მოვიცალო ხოლმე, — შევპირდი და გულში გავიფიქრე — თბილისში რომ დავბრუნდებოდი, დათოს მადლობას ვეტყოდი, ამ მოგზაურობისთვის.

ძილის წინ ბევრი ვიფიქრე, ვინ იყო გაბო და რა უნდოდა ჩემგან, მაგრამ ისეთი ხელმოსაჭიდი, რითაც ჩემს ეჭვს გამართლებას მოვუძებნიდი, ვერაფერი ვნახე, გარდა იმისა, რომ ისიც ჩემსავით 3 დღით იყო ჩამოსული და მისი არგუმენტი, რომ ისვენებდა, უნდობლობას იწვევდა.

●

ექიმეთ, ეარ ბილეა გეპიცთ?



მაგდას მკითხველი უკვე იცნობს. ეს ის გამბედავი გოგონაა, რომელიც „გზის“ შეთავაზებას დათანხმდა და ჩვენი საშუალებით ბედის ძებნა გადაწყვიტა. მას ამ კვირაში ახალი თაყვანისმცემლები შეეხმიანნენ. მანამდე ერთ-ერთი ჩვენი მკითხველის მესიჯს გაგაცნობთ და იმედი მაქვს, მომდევნო ნომერში მის ინტერვიუსაც შემოგთავაზებთ.

„მარი, მთელ გამომცემლობას მადლობას ვუხდი ჩემი დაოჯახებისთვის. ულამაზესი, ცისფერთვალება სნაიპერი მაპოვნინა. გმადლობთ და წარმატებას ვუსურვებ მაგდას, თქვენი წყალობით გაბედნიერებული. მარი, შენ უკეთ იცი, ამ მესიჯს დაბეჭდავ თუ არა, მაგრამ ამ გზავნილით მინდა მაგდა გავაფრთხილო: ძალიან ბევრი მამაკაცი გამოეხმაურება, მათ შორის, ბევრი მატყუარა. გულის ხმას მიენდოს და არა — სიტყვებს“.

ახლა კი მაგდას სახელზე მოსულ მესიჯებსა და მათზე დართულ მაგდას პასუხებს გავეცნოთ.

„ვარ 39 წლის, სიმპათიური მამაკაცი. თავს არ ვიქებ. ძალიან მინდა თქვენი გაცნობა. იქნებ ერთმანეთის ბედი ვართ? ბინა მეც მაქვს. სამსახური მაქვს უშიშროებაში. გელი. გამომეხმაურე“.

— მდაა, უშიშროების თანამშრომელი თაყვანისმცემელი ჯერ არ მყოლია. ნეტავ, თქვენც ჩვეულებრივი ადამიანები ხართ? თუ არ დაიკარგები, იმედია, დავრწმუნდები, რომ — კი. ალბათ უშიშროების თანამშრომლისგან საშიშროებას არ უნდა ველოდე, არა? :))

„გამარჯობა. მე თქვენი მესიჯის 100%-ით დამაკმაყოფილებელი ადამიანი ვარ, 40-წლამდე, კარგი სამსახურით, მანქანით, სახლით თბილისში, სიმპათიური, კარგი ტიპი. თუ სურვილი გაგიჩნდებათ, დამიკავშირდით. ნამდვილად არ წააგებთ“.

— 40 წლამდე? 30-ის? 25-ის? თუ 39,5-ის? ისე, 39,5-ზე გამახსენდა, ახლა სიცხიანი ვარ და იმედია, მალე გამოვჯანმრთელდები. ერთი თხოვნა მაქვს, იქნებ ნიკი შეირჩიოთ, თორემ ძალიან მიჭირს, გავარკვიო, ვინ ვინ არის.

„თუ გესიმპათიურები, შეგიძლია, მიიღო ჩემი ნომერი. მე თანახმა ვარ, მიეცით ჩემი საკონტაქტო ნომერი. თუ გათიშული იქნება, შეგიძლია, დატოვო შეტყობინება. ისე, სიტყვაძუნწი არ გეგონო, საკმაოდ მხიარული და იუმორით სავსე ვარ. ველი გამოხმაურებას. ზაზა“.

— ვვარაუდობ, რომ ცოლიანი ხარ და საიდუმლო ნომერს მაწვდი. სწორედ ამიტომაც იქნება გათიშული, რომ შემთხვევით იმ დროს არ დავრეკო, როცა შინ იქნები. ნათელმხილველი არ ვარ, მაგრამ კარგად ვიცნობ თქვენს მოდგმას.

„თუ მოისურვებს მაგდა ჩემს გაცნობას, მე თანახმა ვარ, გავიცნო; ოჯახის შექმნის მიზნით. ვარ 31 წლის, ნასწავლი, ვმუშაობ კიდეც. ლევანი“.

— ლევან, ნასწავლ მამაკაცს რა სჯობს, მაგრამ იქნებ ჯერ მოთელვა აქ გავიაროთ?

„ექიმო, არ გინდა, გამიცნო?“

— სულ ეს არის? იქნებ გეთქვა, ვინ ხარ და რა გინდა? ან იქნებ, ორიგინალური ნიკი შეგერჩია?

„O.K. შენი პასუხი მიღებულია, ჩემო კარგო. მაშინ მითხარი თუ შეიძლება, რატომ აირჩიე ეს გზა, ადამიანის გასაცნობად? მაპატიე, მაგრამ ცოტათი უცნაურია და ძალიან მაინტერესებს. ს.ც“.

— ს.ც, შესაძლოა, ეს მართლაც უცნაურია, მაგრამ ალბათ ყველა დამეთანხმება, რომ საკმაოდ საინტერესოა. ვფიქრობ, სწორად მოვიქეცი, როცა მარის შემოთავაზებას დავთანხმდი. იმედი მაქვს, ჩემს შესაფერის მამაკაცს ვიპოვი. ნუთუ ჩემი საქციელი იმაზე უცნაურია, ვიდრე ტელევიზიით ნაჩვენები რომელიმე რეალითი შოუ? მეჩვენება, რომ ჩემი და თქვენი ურთიერთობა უფრო და უფრო საინტერესო ხდება. ასე არ არის?

„მაგდა, გილოცავ ამაღლებას და ყველაზე მთავარს გისურვებ ცხოვრებაში — ნამდვილ და გულწრფელ სიყვარულს. არც მე მემეტები დასაკარგავად და იცი, რატომ? ოჯახი რომ გინდა, იმიტომ. მოსიყვარულე ოჯახი ხომ ყველა წესიერ და პატიოსან ქალს უნდა?!

— რა თქმა უნდა, ოჯახი ხომ უპირველესია, მაგრამ ვიდრე ამ მნიშვნელოვან ნაბიჯს გადადგამ, მანამდე კარგად უნდა დაფიქრდე. მე შეცდომა ერთხელ უკვე დავუშვი და არ მინდა, კიდევ ერთხელ შევცდე. სიყვარულის გარეშე ერთი დღეც ნუ მაცოცხლოს ღმერთმა, ე ხალათი დამიჭერს? :)))

„მე 38 წლის მისტერ „დ“ გახლავართ. ვეხმაურები მაგდას. ბინით, მანქანით და სამსახურით მეც უზრუნველყოფილი ვარ. ვეძებ სერიოზულ, თბილისელ მანდილოსანს“.

— მისტერ „დ“, სასიამოვნოა თქვენი გაცნობა. სერიოზული ვარ, თბილისელიც, კიდევ რა მოთხოვნები გაქვთ სუსტი სქესის მიმართ?

„მე დათო მქვია. ვარ მაღალი, ქერათმიანი, სიმპათიური და გულადი მამაკაცი. ვმუშაობ და მაქვს სტაბილური შემოსავალი. სურვილი მაქვს, გავიცნო მაგდა“.

— არ მეგონა, თბილისში ამდენი შემოსავლიანი, ბინიანი, სიმპათიური და თანაც გულადი მამაკაცი თუ არსებობდა. ვიმესიჯოთ, ვნახოთ, რა გამოვა... დაგიდგეთ თვალები, ქალებო, რად ვერ ამჩნევთ ასეთ კაცებს, ა?

„გამარჯობა, მაგდა. მომეწონა შენი თამამი ნაბიჯი. სიამოვნებით გაგიცნობდი. ისე, თუ მოგეწონები, შემხვდები კიდეც? პატივისცემით, გინეკოლოგი“.

— გამარჯობა, გინეკოლოგო. ერთი შეკითხვა მაქვს. თუ იცი, რით განსხვავდება გინეკოლოგი მამაკაცი დანარჩენი მამაკაცებისგან? ალბათ, არ იცი. მე გეტყვი — გინეკოლოგი პრობლემებს ეძებს იქ, სადაც სხვები სიხარულს ეძებენ... იმედია, არ გეწყინება. :)))

„მაგდას მინდა ვუთხრა, რომ მართლაც ისეთივე სიმპათიური ვარ, როგორიც გულადი. მართლა მინდა შენი გაცნობა. იცი, მიზიდავენ ჩემზე უფროსი მანდლოსნები. სხვანაირ პონტში არ მიიღო, ჯიგრულად გეუბნები. არ ვარ მართლა ცუდი ტიპი. ერთი ეგაა, ცოტა პატარა ვარ, :) ოღონდ, წლოვანებით, რა თქმა უნდა. ყოფილი სპორტსმენი ვარ და მაღალი. მაფიოზა“.

— „ცოტა პატარა“ ჩემს ინტერესებში არ შედის. ან რატომ მიმწერე? წადი, დედა გენაცვალოს, ფია ქამე და დაიძინე, დილით საბავშვო ბაღში არ დაგაგვიანდეს.

„მარი, შენი მეშვეობით მივესალმები მაგდას. არ ვიცი, რამდენად სიმპათიური ვარ და არც ჯიბესავსე დავდივარ, მაგრამ რაც შეეხება გამბედაობას, ის იმ ორწლიანმა ომმა შემმატა, რომელიც ავღანეთში გადავიტანე. თბილისში ვცხოვრობ და შემოქმედებით საქმიანობას ვეწევი. ადამიანი ბედნიერი რომ გახადო, ამისთვის სურვილია საჭირო და არა — ფული. გოგი“.

— შემოქმედი ადამიანები რომანტიკულები არიან. ვფიქრობ, საინტერესო პიროვნება იქნები. რამდენი წლის ხარ?

„გამარჯობა, მარი. დიდად დამავალებთ, თუ ამ მესიჯს მაგდას მიაწვდენთ. მაგდას გაცნობის მსურველი მამაცი გიო“.

— კარგი ნიკია. სახელი ყველაფერს სჭირდება და მათ შორის — თქვენც, მამაკაცებო. მამაცო გიო, მესიჯი მომაწოდეს და აბა, პასუხიც!

„კაი ტიპი ამ ქალაქში ცოტაა, სამწუხაროდ. წავიკითხე მანდილოსნის წერილი და მესმის მისი. ლ.28“.

— კაი ტიპი ცოტაა, გეთანხმები, მაგრამ ვერ მიგხვდი, ამით რისი თქმა გსურდა. იმის, რომ კარგი ტიპი ხარ და საკუთარ კანდიდატურას მთავაზობ, თუ იმის, რომ კარგ ტიპს ვერ ვიპოვი და ტყუილად ვირჯები?

გზა ჟურნალები

12.06. – 18.06.2008

გამოუსწორებელი შეცდომა

„ნოჩურა“, „მამა სვინია“ და გამოსწორებული შეცდომები

ვფიქრობ, ჩვენს ერთ-ერთ მკითხველს შემოთავაზებულმა თემამ გაუჩინა გულახდილობის სურვილი და ასეთი მესიჯი გამომიგზავნა: „გამარჯობა, მარი. მე პირველად გიმესიჯებ. ყოველთვის ვკითხულობდი „გზას“, მაგრამ რაღაც პრობლემების გამო ვერ გწერდი. მარი, მე მინდა, რომ ჩემი ცხოვრების რაღაც ნაწილი მოგიყვე და გამოაქვეყნო. ვფიქრობ, საინტერესო იქნება და თქვენს მკითხველს ბევრ რამეზე დააფიქრებს. დარწმუნებული ვარ, რომ ჩემნაირ გოგოს არასდროს დაუმესიჯებია შენთვის. მე ყოფილი პატიმარი ვარ. 15 წლის ვიყავი, იქ რომ მოვხვდი და 16 წელიც იქ შემისრულდა. ნაღდ სახელს ვერ გეტყვი. ბარტყი დამიძახე“. დიდი სიამოვნებით ჩავწერდი ბარტყთან ინტერვიუს, მაგრამ სამწუხაროდ, მისი ტელეფონის ნომერი უნებლიეთ წამეშალა. თუ არ გადაუფიქრებია და ხელახლა დამიკავშირდება, ალბათ ბევრ საინტერესო ამბავს მოგვიყვება. ასე რომ, ბარტყო, შემეხმიანე. ახლა კი თქვენს მესიჯებს გავეცნოთ.

მარი ჯაფარიძე

ვირს ხედავ?

„გამოუსწორებელი შეცდომა სააკაშვილის პოლიციამ ჩემ მიმართ ჩაიდინა, როცა სიყვარულის ქალაქ სიღნაღიდან დეპორტი გამიკეთა. 3 თვის წინ, მეზობელმა ხელოსნებმა სიღნაღში სარესტავრაციო სამუშაოზე წამიყვანეს. ბრიგადაში 4 ახალგაზრდა ვიყავით. ერთ მშვენიერ დღეს გადავწყვიტეთ, იმ „ღირსშესანიშნავი“ ვირის ქანდაკება გვენახა, სამმართველოს პირდაპირ რომ იწონებდა თავს და მასზე ამხე-

დრებულებს, სამახსოვრო ფოტოები გადაგვეღო. ასეც მოვიქეცით და როცა ჩემი ჯერი დადგა და ვირზე შევჯექი, — და ფეხქვეშ გამიგდეს. მერე მაჯაზე 9 წლის წინანდელი სვირინგი მინახეს, რომლითაც პოლიციის მიმართ ჩემს

2 ქურდი

„არ ვიცი, იქნებ მოყოლა არ ღირს, მაგრამ ჩემი ამბავი ზედგამოჭრილია შემოთავაზებული თემისთვის. ბავშვობაში კარი ჩამეკეტა და ფანჯრიდან გადავძვერი. ოთახში კი ქურდი დამხვდა. ძალიან შემეშინდა, მაგრამ უცებ მოვიფიქრე და ხმის კანკალით ვუთხარი: — ეე, ბიჭო, მეც დამიტოვე წასალები-მეთქი და დედაჩემის „შუბა“ ჩავჩურთე ჩანთაში. მერე იქ ბაზარი წავიდაა... თუმცა, „ნაქურდალი“ ძმურად გავიყავით (მე მაშინ 14 წლის ვიყავი, ის — 16-ის). უკან ისევ ფანჯრიდან გადმოვძვერი, ის კი კარიდან გავიდა. მე ბებიაჩემთან წავედი (დედაჩემის დედასთან), ის კი... მერე გავიგე, დედა ჰყოლია ავად... თქვენ იცით, ახლა რა მაგარი კაცია? ასეე... ვარგა? ისე, გოჩას მეძახიან და ბავშვობაში ძალისძალად შემათრიეს მუსიკაზე. მაშინ დაიწყო ჩემთვის გოლგოთა. ფორტეპიანოს გაკვეთილებმა გამაგიჟა. ჰოდა, მარჯვენა ხელის თითები „ბრიტვით“ გადავისერე. შედეგი? გამირთულდა ჭრილობა და ერთი თვე ცხარე ცრემლებით ვბლაოდი. ახლაც მახსენებს თავს მე-3 თითი, როცა ინსტრუმენტს მივუჯდები.

2 პოლიციელი გამოვიდა და თითქოს სიღნაღის „ამშენებლები“ კი არა, დამაქცევრები ვყოფილიყავით, დაგვიჭირეს და ნარკოლოგიურ ტესტზე შესამოწმებლად წაგვიყვანეს. რაკი „სუფთები“ ვიყავით და პირში ჩალაგამოვლებულები დავტოვეთ, ისევ სამორიგეოში მოგვაბრუნეს და რომელიღაც ოთახში ჭკუის სასწავლებლად სათითაოდ შეგვიყვანეს. ბიჭები ღიმილით შედიოდნენ და მჟავე და ცრემლიანი სიფათებით გამოდიოდნენ. მეც ღიმილით შევედი. კაიფით შემხვდნენ — რაო, ბიჭო, ვირი არ გინახავსო? ფანჯრიდან იმ წყეული ვირის ქანდაკება ჩანდა და ვუპასუხე: — როგორ არა, ბატონო, ამ წუთშიც ვხედავ-მეთქი. სიტყვა არ მქონდა დამთავრებული, რომ — რომელი ვგავართ ვირსო? ანტიპათიას გამოვხატავდი და — ვაა, ესე იგი, ბლატაობო? — მკითხეს, მუშტების „აკომპანიმენტით“. აქ კი ჩემი „მე“ აღშფოთდა და — მე კი არა, თქვენ ბლატაობთ-მეთქი, ვუთხარი. მოკლედ, ორთქლის გამოშვებით რომ დაიღალნენ და „ბატარეა“ მეც დამისვეს, შემრიგებლურ-პოლიციური ულტიმატუმი წამიყენეს — თუ მუშაობა გინდა, შენი ბრიგადის წევრებზე კომპრომატები გვითხარი, თუ არა და, დილას ობიექტზე არ გნახოთო. მოკლედ, ბინის პატრონიდან დაწყებული, მთელი ბრიგადა გვერდით დამიდგა და ქებით ძირი გამაგდებინეს, მაგრამ ჩემსა და პოლიციას შორის ტოლერანტობა და ზავი ვერ დაიდო და გულცივი მკვლელივით გამომაძევეს „სიყვარულის ქალაქიდან“. მიზეზი კი დღესაც არ ვიცი. იმიტომ, რომ მათ საამაყო ვირზე შევჯექი თუ იმიტომ, რომ არ „გავბოზდი“? იმ დღიდან ველარც პოლიციას ვიტან და ველარც ვირებს. არა, მაინც რას გვიშვრება ეს სააკაშვილი, პოლიცია „აბსურდის თეატრად“ არ გვიქცია? გაგიუდები კაცი! განძის მაძიებელი“.

აღარ მიყვარს

„შეცდომაო? თანაც — გამოუსწორებელიო? ეს რა გამახსენე, ქალო (დავივიწყე, რო?)? და იდგა წელი 1905... რაის 905, 2006 წელი იყო. ჰოოდა, ერთ ბიჭს ვუყვარდი, სოფლის ბედნიერი მომავლით. თანაც, ჩემზე დაბალი იყო. ამიტომ გამუდმებით დავცინოდი, საზიზღრად ვექცეოდი. მასაც ჩემი დევნა მოჰბეზრდა და დამივიწყა. მერეღა მივხვდი, რომ მიყვარდა, მაგრამ რაღა დროს? დამაგვიანდა... ახლა უკვე აღარ მიყვარს, მაგრამ მინდა, რომ მაპატიოს, რადგან სინდისი მაწუხებს. მართლა შევიცვალე და მინდა, ეს იცოდეს. კახელო-616“.

გაწბილებული მთხოვნელები

„ჯონდოს შვილი ჰყავდა — ნანა. ერთხელ ვიღაც სოფლელები მიადგნენ ჯონდოს. არ იცოდნენ, რომ ჯონდო ნანას მამა იყო. ჯონდო თავის ეზოსთან, სკამზე იჯდა. ჰკითხეს — აქ რომ ერთი ნანა ცხოვრობს, ჩვენს ბიჭს მოსწონს ძალიან და როგორი გოგოაო? ჯონდომ ცერად ახედა მთხოვნელებს და უთხრა — გოგოსი რა მოგახსენოთ და დედამისს მე ვხმარობო. მთხოვნელები თავქუდმოგლეჯილები გაიქცნენ. უკან აღარც მოუხედავთ. კახელი სალომე“.

მოტაცება წყნეთურად

„ეს ამბავი დაახლოებით 3 თვის წინ მოხდა: ერთმა შორეულმა ნათესავმა დამ-

ირეკა და მითხრა: გიო, გოგო მოვიტაცე და წყნეთში ვარ, არ ვიცი, რა ვუქნა, თან ისეთი გამწარებულია, ღამის თვალები დამთხაროს, 3 კაცი ვერ ვამაგრებთ და რამე მირჩიე ან მოდიო. — მალე მანდ ვიქნებიმეთქი, ვუთხარი და მართლაც, ერთ საათში, ძმაკაცთან ერთად უკვე მინიშნებულ მისამართზე ვიყავი. პატარძლის სანახავად მეორე ოთახში გავედით და... ჰოი, საკვირველებავ, მოტაცებული გოგო ძმაკაცის „ლოვე“ აღმოჩნდა. იქ ამბავი დატრიალდაა... ბევრი რომ არ გავაგრძელო, ძმაკაცმა სამივე ტიპი თვალის დახამხამებაში „მიაწყო“ ერთმანეთზე, მოჰკიდა გოგოს ხელი და სახლში წაიყვანა. დღეს კი ბედნიერი და საოცარი ოჯახი აქვთ და ბავშვსაც გეგმავენ. აპოლონი“.

„შეცდომა დაუშვა ირაკლიმ, როცა ერაყში წავიდა, ობოლი და-ძმების ცხოვრება უკეთესობისკენ რომ შეეცვალა. შეცდომა სიცოცხლის ფასად დაუჯდა. ზუსტად იმ დღეს, როცა თქვენ ამას წაიკითხავთ, ანუ ხუთშაბათს, დაკრძალავენ 4 ივნისს ერაყში დაღუპულ ქართველს, სერჟანტ ირაკლი კორძაიას, რომელიც შინ 10 ივნისს უნდა დაბრუნებულიყო“.

ტარზანა

„ერთი მეზობელი მყავს, რომელსაც თავისი გიგანტური აღნაგობის გამო ტარზანა შევარქვით, მაგრამ ჩვენი ტარზანა მარტო თავისი აღნაგობით კი არა, სუსტი ჭკუითაც გამოირჩევა. თავისი მოკლე ჭკუის გამო კი ბევრჯერ მოხვედრილა საინტერესო სიტუაციებში. ამას წინათ, ბიჭები უბანში ვაბირჟავებდით და ტარზანაც ჩვენთან იყო. უეცრად თავისი „ლოვე“ გაიჩითა ვიღაც ბიჭთან ერთად, მხარზე ხელგადადებული. ჩვენმა ტარზანამ კი არც აცია, არც აცხელა, საწყალი ბიჭი „გაიფინა“ და იმდენი ურტყა, ცხრა თაობა ინვალიდ შთამომავლობას დატოვებს. ვერც გოგოს კივილმა — „ეს ის არ არის, რაც შენ გგონია“ — და ვერც ჩვენმა ჩარევამ გაჭრა. საბოლოოდ, საწყალი ბიჭი ძლივს გამოვგლიჯეთ ხელიდან ტარზანას და სიტუაციაში გარკვევა ვცადეთ. აღმოჩნდა, რომ ბიჭი გოგოს ძმა იყო და სასეირნოდ გამოსულან, მაგრამ ვაი ასეთ გასეირნებას. ტარზანამ შეყვარებული დაკარგა, ჩვენ — ტარზანასთან მეგობრობის სურვილი. საწყალმა ბიჭმა 3 კბილი დაკარგა და მრავალი მოტეხილობა „შეიძინა“. ეჰ, რატომ არ შეიძლება, რომ ყველა ამბავი კარგად მთავრდებოდეს? აპოლონი“.

რკინისებური ლოგიკა

„ლევანს მეტისმეტად უყვარს სასმელი და ნასვამს აეშლება ხოლმე მანქანით ნავარდობის სალერწელი. ერთხელ ცოტა მეტი მოუვიდა და სურამიდან ხაშურში გაინავარდა. ღამის 3 საათი იქნებოდა, რომ მის ზოლში მომავალი ავტომანქანა დალანდა. როგორლაც მანქანა დაამუხრუჭა და სიგნალით ანიშნა — გააჩერეო. წინიდან მომავალმა კი სანამ შეჯახება არ იგრძნო, არ გააჩერა. დასძინებოდა. ორივე გადმოვიდა მანქანიდან. ლევანის გასაკვირად, მძღოლი მისი მეგობარი აღმოჩნდა. ლევანმა ვაი-ვაგლახით აუხსნა — ჩემს სავალ გზაზე მოდიოდიო. — მე ფხიზელი ვარ, ეი. მართალიც! — აღშფოთდა დათო, — შენ, ძმაო, ხომ იცი, რომ საჭესთან დალევა აკრძალულიაო? — შენი ცოლიც კი გიკრძალავს დალევას, მაგრამ ღამის სამ საათზე ლოგინში რომ შეუძვრე ნასვამი და იქ მე აღმომაჩინო, თუნდაც ფხიზელი, მართალი ვიქნებიო? — გაიკვირვა ლევანმა. ლოგიკა რკინისებური იყო. ამიტომ ორივე მანქანა დათომ გააკეთა. ლუნა“.

გამოსწორებული

„ჩვენს სოფელში ცხოვრობდა მეტისმეტად მსმელი კაცი, რომელსაც საშინელი სიმთვრალე ჰქონდა. დალევდა გემრიელად ანუ ჩაიხეთქავდა გასასკდომ მუცელს (როგორც მისი მეუღლე ჩიოდა), მივიდოდა სახლში და იწყებოდა ჯოჯოხეთი ცოლისთვის. სხვებს არ სჯერათ მფრინავი თეფშების არსებობის, ივანეს ცოლი კი ყოველდღე ხედავდა. რა არ სცადა ქალმა ქმრის გამოსასწორებლად; ბოლოს მოჰბეზრდა და ბევრი ფიქრის შემდეგ გადაწყვიტა, მთვრალი დახვედროდა ქმარს სახლში. გადაწყვიტა და აასრულა კიდეც. ერთ საღამოს, როცა ჩვეულებრივად შებანცალდა ივანე შინ, ასეთი სურათი დახვდა: მისი მარო დაქროდა ოთახებში და იქაურობას ლეწავდა. — რრრაა მოგივიდა, ქალო? ჩაიდუდღუნა კაცმა.

— რა მომივიდა და აგრემც სიკვდილი გეტაკა, დავლიე და დავთვერი, ახლა მიყურეო უთხრა მარომ და ნათქვამს თეფში მიაყოლა. ასე მეორდებოდა მთელი კვირა. დათვრებოდა ივანე, დათვრებოდა მაროც. იცით, რა შედეგი მოჰყვა ამას? ივანემ უყურა ცოლს, უყურა და მიხვდა, ასე აღარ შეიძლებოდა. — ქალო, მეცა ვლეწო ე ჭურჭელი და შენცა, ბოლოი რაღა დაგვრჩებაო? და მას მერე ივანე მთვრალი აღარავის უნახავს".

რატომ არ გააკეთე?

„გამოუსწორებელი შეცდომა ჩემმა უტამ დაუშვა, როცა ჩემზე თქვა, დასავით მიყვარსო... ჩვენ ვმეგობრობდით და ყველას ეგონა, რომ დაძმურად გვიყვარდა ერთმანეთი, მაგრამ ჩვენს გულებში სულ სხვა ცეცხლი გიზგიზებდა. ამას კი არამცთუ ერთმანეთს, საკუთარ თავსაც კი არ ვუმხელდით. აგვისტოს ერთ ჩვეულებრივ საღამოს ჩვენს საერთო დაქალს გამოვუტყდი, რომ უტა მიყვარდა. დაქალმა მას ჰკითხა, ხომ არ ვუყვარდი. მან კი თავი გაიგიჟა, ეგ როგორ იფიქრე, მე ხომ ის დასავით მიყვარსო. ამ დღეს დამთავრდა ყველაფერი. სამწუხაროდ, გრძნობების მართვა შემიძლია და გულს ვუბრძანე, დაევიწყებინა. წლების მერე, უკვე ის მეფიცებოდა სიყვარულს, მე კი უკვე აღარ მქონდა მასთან ყოფნის უფლება. ვიცი, ის ამ შეცდომას მთელი ცხოვრება ინანებს. უტა, ბოლოს რომ მელაპარაკე, მითხარი, თუ ბიჭს გოგო უყვარს და გრძნობს, რომ მის გარეშე ვერ იცოცხლებს, უნდა მოიტაცოსო. შენ თვითონ რატომ არ გააკეთე ეს? ესეც შენი მეორე, გამოუსწორებელი შეცდომა. თურმე წელიწადზე მეტია, არ მინახავხარ. მენატრები. ჩხავანა ბალღი".

საწყალი ბებო

„არ ვიცი, ეს გამოუსწორებელი შეცდომაა თუ არა, მაგრამ პატარაობისას მეზობლის მოხუც ქალს თმაში კევი ჩავაწებე. ჰოდა, 80 წლის ნადია ბებო ჩემი წყალობით სიბერეში თმაგადახოტრილი დადიოდა. სტუმრები რომ მოუვიდოდა, თავს გვარდიელის ბენდენით იკრავდა. ამის გამი გვარდიოლას ვეძახდით. :) ისე მოკვდა, თმა აღარ ამოსვლია. ნეტავ, რას ვერჩოდი? :) Green Girl".

ღალატი

„ჩვეულებრივი ოჯახი მქონდა. მეუღლე, შვილები... თითქოს ყველაფერი ნორმალურად მიდიოდა, რომ არა ის ავად სახსენებელი დღე. სახლში მარტო ყოფნისას მეუღლის გარდერობიდან ნივთები გადმოვაწყვე, ჩემს ნივთს ვეძებდი. ფეხებთან რვეული დავარდა. გამიკვირდა და კითხვა დავიწყე. გაირკვა, რომ მეუღლეს დიდი სიყვარული დაუკარგავს და თვალცრემლიანი მისტიროდა თავის წარსულს. დამამშვიდა, ეს წარსულია და დავიწყებულიო. რამდენიმე წლის შემდეგ საზღვარგარეთ ცხოვრებისას შევესწარი ამაზრზენ ფაქტს: მეუღლე და მისი ძველი სიყვარული ერთ ოთახში ვნახე. ვერ მოვითმინე და ორივე ვცემე. ექვსთვიანი პატიმრობის შემდეგ დავშორდი. ახლა ვცხოვრობ მარტო და ხშირად ვფიქრობ, რომ სწორედ იმ დღეს დავუშვი გამოუსწორებელი შეცდომა, მისი ახსნა-განმარტება რომ დავიჯერე. მოხუცი".

ახლა კი მოკლე მესიჯებს გავეცნოთ.

კვირაში შვიდჯერ

„ერთ-ერთმა ბანკმა ვაკანსიები გამოაცხადა და სამსახურის მაძიებელი ხალხი მიაწყდა. მათ შორის იყო უაღრესად წესიერი, მაგრამ ცოტათი დაბნეული, 40 წლის მერაბი. როგორც იქნა, მოუწია რიგმა. მინის მიღმა მჯდარმა გოგონამ ანკეტის ფურცელი მიაწოდა, შეავსეთო. მერაბმა დიდი გულმოდგინებით შეავსო ყველა გრაფა. ერთ-ერთზე კი კარგა ხანს შეჩერდა, რადგან ფიქრობდა, რა ჩაეწერა. სქესი — ეწერა ფურცელზე. მერაბმა კი, რომელსაც სათვალე შინ დარჩენოდა, სექსი ამოიკითხა. ცოტა არ იყოს, გაუკვირდა, ბანკში მუშაობის დასაწყებად ვის უნდა აინტერესებდეს ჩემი სექსუალური მონაცემებიო. მერე კი იფიქრა, რა იცი, რა ხდება, ალბათ ეს მონაცემიც საჭიროაო და გადაწყვიტა, თავი მოეწონებინა. ამიტომ ამ სიტყვის გასწვრივ ჩაწერა — „კვირაში შვიდჯერ". დანარჩენი გრაფები მალე შეავსო და ფურცელი ისევ იმ გოგონას გადააწოდა. გოგონამ ფურცელი გამოართვა და ისე, რომ შიგ არც ჩაუხედავს, უთხრა: ხომ ყველა მონაცემი ზუსტად ჩაწერეთ? გადახედეთ, თორემ კომისია ყველაფერს დაწვრილებით ამოწმებს, თუ რაიმე მოიტყუეთ და ბანკი შეცდომას აღმოაჩენს, თქვენი ანკეტა გაუქმდებაო. სახეაწითლებულმა მერაბმა ფურცელი გამოართვა, კუთხეში მიდგა, აქეთ-იქით ქურდულად გაიხედ-გამოიხედა, მერე „კვირაში შვიდჯერ" წაშალა და გვერდით მიუწერა — „კვირაში ერთხელ" და ფურცელი ისევ იმ გოგონას გადააწოდა. ცხადია, სამუშაოდ არ მიუწვევიათ. თხერე".

ნუ დაგვჩაგრავთ პაწაწინებს

„მარ, გუშინ „ჟურნალი ჟურნალში“ გადავშალე და თვალებს არ დავუჯერე, პირველ გვერდზე „გზავნილები“ რომ ვერ ვნახე. მეგონა, გაბრაზდი ძველ მგზავნელებზე და „გზავნილები“ მიატოვე. გულში რაღაც სიცარიელე და სინანული ვიგრძენი. გთხოვ, გადმოიტანე ისევ პირველ გვერდზე „გზავნილები“ და გპირდები, ისევ ვიაქტიურებთ „ძველები“. ჰო, მართლა, „დიდების ზღაპარი“ არაჩვეულებრივია, მეც იქ მინდა ვიყო... ასაკი არ მიწყობს ხელს, თუ? :) „ვადაგასული თინეიჯერი“ ვარ, უკვე 2 წელზე მეტია. :) კიდევ მინდა ვთქვა, რომ გული დამწყდა, თითქმის არავის რომ არ ახსოვდა უგზო-უკვლოდ დაკარგული კანიბალკა. თუმცა, ვის გავახსენდებოდი? ძველები აღარ არიან. კანიბალკა“.

„შეცდომა იმ მგზავნელებმა დავუშვით, ვინც „გზიდან“ წავედით, მაგრამ ეს არაა გამოუსწორებელი... მომბაძეთ, ძველებო და დაუბრუნდით „გზას“. მენატრებით ყველანი. კანიბალკა“.

„ვაუუ, მაგარია, დაგლიჯა დიდების ზღაპარმა. მე მზად ვარ, მათი გზავნილები სჭარბობდეს ჩვენსას. მათგან უფრო ცხოვრებისეულ ამბებს ვიგებთ და გამოცდილებას ვიზიარებთ, მაგრამ სულ მთლად ნუ დაგვჩაგრავთ პაწაწინებს. თაისი“.

„ჩემი გამოუსწორებელი შეცდომა ის არის, რომ ჩემზე 10 წლით პატარა ბიჭი შემიყვარდა და თან შვილიც გავუჩინე. ახლა ეს სერიოზული ქალი ორი თინეიჯერის აღზრდით ვარ დაკავებული“.

„მესტუმრა ძმაკაცი. შეყვარებულთან უჩხუბია და მაგრად დამთვრალა. ჯერ ლაპარაკით არ დაიღალა, მერე ათჯერ ყავა მომადუღებინა. ვაა, კიდევ არ აპირებს, წასვლას-მეთქი? მივედი და სკამზე ჭიკარტი დავუდე. დაჯდა და მოკურცხლა მაშინვე სახლისაკენ. ძლივს არ გავაგდე? ემი“.

„მე მაშინ დავუშვი შეცდომა, 4 წლის წინ რომ წავედი საბერძნეთში, შევეჩვიე იქაური ცხოვრების დონეს და ახლა აქ, ჩემს ქუთაისში ვეღარ ვეჩვევი ჭუჭყიან ავტობუსებს, გადაჭედილ „მარშრუტკებს“, მარკეტში, უგულო მომსახურებას, აფთიაქში — გაყინულ სახეებს, ქართულ სატელევიზიო არხებს (სერიალებს), ჩემს გოგონასაც, რომელსაც სულ მამა აკერია პირზე. ამ 4-მა წელმა თითქოს დაგვაშორა. ერთი სიტყვით, ყველაფერს ძალიან განვიცდი. გერასიმე“.

„გამოუსწორებელი შეცდომა მაშინ დავუშვი, როცა უსიყვარულოდ გავთხოვდი. ქმარს ძალიან ვუყვარვარ, მაგრამ მე ისევ ჩემს დაუვიწყარ სიყვარულზე ვფიქრობ. დღემდე მეხვეწება, გაშორდი ქმარს და მე გამომყევიო, მაგრამ ვერ ვბედავ. გკოცნი, შენი ერთგული მკითხველი ლიკა“.

ყველაფერზე, თემის გარდა

ხუმარა პატრული

„სურამს ისეთი პატრული ჰყავს, ჭკუიდან გადაგიყვანს. გაიხედავ — ზემოდან ჩაგიშხუილებს, გამოიხედავ — ქვემოდან. ბედი ჩვენი, იუმორზე „აცრილები“ არ არიან, თორემ რა გაუძლებდა მაგათი მინგრეული „როჟების“ ყურებას? ერთ დღეს, დედაჩემი გარეთ იდგა. ჰოდა, პატრულმა გამოიარა და ბოლო ხმაზე გაჰყვიროდა — არ შეგცივდეს, არ შეგცივდესო. დედაჩემს ეგონა, არიქა, მე მეძახის, მაგრამ რატომ უნდა შემცივდეს, ამდენი ტანისამოსი მაცვიაო.

მეგობრის შეცდომა

„იმ დილით საშინელი ჭექა-ქუხილი იყო. გიგას კი დიდი გზა ჰქონდა ფეხით გასავლელი, სანამ „მარშრუტკასთან“ მივიდოდა. სოფლის ალმართზე მიმავალი, პორტფელს საგულდაგულოდ მალავდა, რომ წვიმას არ დაესველებინა. შიგნით რამდენიმე ათასი დოლარი ჰქონდა. ზამთრის დილა იყო და ჯერ ისევ ბნელოდა. ჭექა-ქუხილის ხმა და თოფის გავარდნა ერთი იყო. გიგამ მხარში ძლიერი ტკივილი იგრძნო და იქვე ჩაიკეცა. ისიც იგრძნო, პორტფელი როგორ გამოეგლიჯეს ხელიდან და გაიქცნენ. საავადმყოფოში მას გვერდიდან არ მოსცილებია მისი ძმა და მეგობარი დათო (სახელები შეცვლილია). ექიმებს ეხვეწებოდა, ოღონდ გადაარჩინეთ და არაფერს დავიშურებო, მაგრამ ტყვიას ფილტვი გაეგლიჯა და საოპერაციოდან უკვე მკვდარი გამოიყვანეს. ამ ამბავმა დათო შეძრა და თავიც მალე გამოამეღლავნა. მასზე ეჭვს არავინ მიიტანდა, რომ არ გაქცეულიყო. თუმცა მალე პოლიციას ჩაებარდა და აღიარა, რომ გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა. მას მხოლოდ შეშინების მიზნით უნდოდა ესროლა. მოკვლა რომ ნდომოდა, მეორე ტყვიასაც გაიმეტებდა. ფული კი მართლა ძალიან სჭირდებოდა. ალბათ. ყველაფერს რაღაც ეშველებოდა, გიგა რომ გადარჩენილიყო. ორივენი ხომ ასეთი ახლობლები იყვნენ ჩემთვის და სამუდამო ტკივილად დარჩნენ. აბლახანუმი“.

არადა, დედაჩემს კი არა, წინ მიმავალ მანქანაში მჯდომს ეძახდა თურმე. ამ კაცს მანქანის ყველა ფანჯარა ღია ჰქონია, თან მელოტი ყოფილა. მზრუნველი პატრული ჰყავს სურამს, მზრუნველი... ლუნა“.

ძროხის მონატრება

„ჩემს სოფელში ცხოვრობს ერთი კეთილშობილი მოხუცი, იაშა, რომელიც ძალზე განათლებული და საოცარი სულის ადამიანია. იაშამ ერთხელ ძროხა გაყიდა. რამდენიმე დღის შემდეგ ძალიან მოენატრა ძროხა და მის სანახავად წავიდა. ძროხის ახალ პატრონს უთხრა — ჩემს ძროხას სურათი უნდა გადავუღო და როცა მომენატრება, აქ აღარ მოვალ, სურათს დავხედავო. კიდევ — იაშას დიდი უბედურება დაატყდა თავს. საყვარელი მეუღლე დაკარგა და ისე განიცდიდა და ტიროდა, რომ თვალები ასტკივდა. ექიმმა უთხრა, ორივე თვალი საოპერაციო გაქვს, თორემ დაბრმავდებიო. გერასიმე“.

კანიბალკური

„მგზავნელებს ჩემი გულთბილი სალამი. ჟურნალ „გზას“ დაარსებიდან ვკითხულობ. ასე ვთქვათ, მე და „გზა“ პერანგის ამხანაგის მეგობრები ვართ, მაგრამ რაღაც არ მახსოვს, რომ მომეწეროს (იმედია, ეს სკლეროზი არაა). მოკლედ, დღეიდან მეც მინდა, მგზავნელი გავხდე და გთხოვთ, მიმიღოთ თქვენს „სასტავში“. :) ვკითხულობ თქვენს მესიჯებს და ყველანი ძალიან მიყვარხართ. ისე, არ დაგიმალავთ და ძველი მგზავნელები უფრო მიყვარხართ. :) მაშინ სულ სხვა დრო იყო... ჟურნალის გვერდებზე ერთმანეთის გვერდიგვერდ წერდნენ მონასტრის ბიჭი, მგლის და, სტიქია, კაკუ, ილინი, ოლეგარიო, ნელკა, სესი, მუკობაზიერი, ელისო, გერასიმე, კიბორჩხალას ცოლი, პარიჟანკა, ჩუქჩა... იმ მეგრელ გოგოს რა ერქვა? ჰო, კანიბალკა და ა.შ. მაშინ „გზა“ უბრალოდ სამოთხის პატარა ბაღი იყო, ძალიან სადა და ჯადოსნური. ახლა კი ცივილიზაციამ თავისი ქნა... მგზავნელები აღარ იზმანებიან ლეღვის ფოთლებით, ფოთლებს „ბუტილკამ“ მოუჯოკრა, აღარც ხის ძირში ვცხოვრობთ, აქ უკვე მრავალსართულიანი ცათამბჯენები წამოჭიმეს და რაც მთავარია, წერილებს გრაგნილებზე ბუმბულითა და მელნით აღარ ვწერთ. არც მტრედებს ვატანთ მარისთან. უკვე არსებობს მობილური. ეჰ, გული არ ბერდება... თქვენი ახალი, „ცინცხალი“ მგზავნელი — კანიბალკა. მარი, მე მოვედი... აწი ისევ თქვენთან ვიქნები. ამ კვირაში ბევრს მოგწერ, აქაც და მეილზეც. დამაბრუნე „გზაში“ აქტიურად და კანიბალკურად, :) არ მინდა, ჩუმად დავბრუნდე. მპუა!“

საწყალი პუსკა

„ვანოს სურამში ყველა იცნობს. ნუ... ყველა არა, მაგრამ ვინც იცნობს, კარგად იცის მისი „ფრთებშესხმული“ იუმორისა და „წვეტიანი“ აზრების შესახებ. ნეტავ განახვათ, როგორ გლოვობს „ახურებას გადაყოლილ“, მეზობლის ძაღლს. — ძალიან პატარა იყო, საცოდავი, პუსკას ვეძახდი, ერთ დღეს, საცოდავს, კოპლას მეცხვარე ძაღლი გამოეკიდა. მესამე დღეს გავიგე მისი სიკვდილის ამბავი. ეჰ... უბედური, შეეწირა ახურებასო. ლუნა“.

შემდეგი გაჩერება — „ქისტაური“

„ქისტაურში არის რაფიელ ერისთავის სახლ-მუზეუმი. ჰოდა, მნახველები რომ არ შემცდარიყვნენ, გზაზე საგზაო ნიშანი, ასო „მ“ დაამატეს, ხოლო ასოს აქეთ-იქით საგზაო ნიშნის გასალამაზებლად პატარა ტირეებიც ჩაუმატეს. მოკლედ, ეს ასო „მ“ მეტროს იმიტაციას ახდენდა. ეს წინასიტყვაობა იმიტომ დავურთე, რომ მეტრო პირდაპირ კავშირშია ჩემს ამბავთან. წინასაარჩევნოდ ბატონი გია არსენიშვილი მატანში ჩავიდა და როგორც ხდება ხოლმე, ხალხს შეეპირდა, 180 გრადუსით ყველაფრის უკეთესობისკენ შეცვლიდა, მაგრამ რად გინდა? ხალხი პირდაღებული უსმენდა და ხმას არ იღებდა. ბოლოს, ბატონი გიაც დაიღალა ლაპარაკით და ხალხს ჰკითხა — კი, მაგრამ, ხალხო, მაშ დავიჯერო, არაფერი გიჭირთ? რატომ ხართ ჩუმად, ხმა ამოიღეთ, რამე მითხარით, იქნებ რამეში დაგეხმაროთო. ბოლოს, ხნიერი კაცი გამოეყო ხალხს და როგორც იქნა, მიაღწია ბატონ გია არსენიშვილთან. გიას გაუხარდა და ჰკითხა: — აბა, უფროსო, რითი დაგეხმაროო? კაცმა უთხრა: — შვილო, ხომ ამდენი ილაპარაკე, ძალიანაც გვიჭირს, ვითმენთ, მაგრამ ქისტაურში რომ აქვთ მეტრო, თუ ჩვენც აგვიშენებთ, მატნელები მხოლოდ ამ შემთხვევაში მოგცემთ ხმასო. P.S. ნეტავ, ეს მოთხოვნა შესრულდება? გრუზინკა“.

კლუბ „ბათუმელების“ ახალი წევრები

„ნოჩურა“

„ჩემი სოფლელების რუსულზე უნდა გითხრათ ორიოდ სიტყვა. ისეთი რუსული იციან, მიმიქარავს მიშა ქარელი. მათ ენაზე თურმე ღამურას „ნოჩურა“ ჰქვია, დედა ღორს — „მამა სვინია“; ადამიანის წლისთავი „გოდ ნა გალავა“ ყოფილა. იცოდით ვინმემ? ერთი გვყავს, მთლად „ანტიკვარი“. ტბაზე იყო წასული და დაუნახავს, რომ რუსი ბავშვისკენ ძაღლი მიდიოდა. იფიქრა, რომ უკბენდა და ყვირილი მორთო: — ეეე, ბავშვი „საბაკა“ კიჭით... ვისაც რუსეთში წასვლა გინდათ, ენის შემსწავლელი კურსები ბნავისში გაიარეთ“.

გარღვეული

„ეს ამბავი ამ ზამთარს მოხდა. დედაჩემი დამპირდა, თუ კარგად მოიქცევით, შენ და შენს დას კაფეში წაგიყვანთო და ერთი კვირა მოგვცა გამოსაცდელად. გავიდა საცდელი ვადა და მოვიდა კაფეში წასვლის დღეც. დედაჩემი და ჩემი და დილით წავიდნენ საქმეზე და შუადღისთვის კაფესთან უნდა შევხვედროდი. წასვლის დრო რომ მოვიდა, ჩავიცვი ჩემი „აღკაზმულობა“ და ფეხსაცმლის თასმებს რომ ვიკრავდი, შარვალი ორ ნაწილად გაიხლიჩა და დავრჩი უშარვლოდ. ხან იქით ვეცი, ხან — აქეთ და მთელი ტანსაცმელი გადავქექე, მაგრამ ვერც ერთი შარვალი ვერ ვნახე. დედაჩემს ყველა გაერეცხა. ბოლოს, საზაფხულო შორტი ვიპოვე. სხვა რა გზა მქონდა, ის შორტი ჩავიცვი და ისე წავედი. გარეთ მზე იყო, მაგრამ წარმოიდგინეთ, იანვრის ბოლოს ქუჩაში შორტით გავიჩითე და ყველა მე მიყურებდა გაშტერებული. აბა, რა უნდა მექნა? ერთი კვირა მაგ დღეს ველოდი. კოზანოსტრა“.

„სექსი“ მცხობელი

ჩემს უბანში ერთი სახაჭაპურეა, რომელიც თითქმის ყოველთვის კლიენტებითაა სავსე. განსაკუთრებით მაშინ, როცა უფროსკლასელებისათვის გაკვეთილების დამთავრების მაუწყებელი ზარი დაირეკება და ჩვენც ვგრძნობთ, რომ ჩვენი „მოღვაწეობა“ დამთავრდა და დამშეულები მივაწყდებით ხოლმე სახაჭაპურეს, რომლის გამყიდველიც მოხდენილი ტანის, 40 წლამდე ასაკის ქალია. ერთხელ, ჩვეულებისამებრ გავვარდით მე და ჩემი სვანი ძმაკაცი, რიგში დგომა არ მოგვიწიოს-თქო და ჰოი, საოცრებავ, იმ გამყიდველი ქალის ნაცვლად ახალგაზრდა ბიჭი არ გაიჩითა დახლთან? ხმა გავინაზე და მივმართე:

— ორი ხაჭაპური, თუ შეიძლება.

— გენაცვალე, — დაიწყო ბიჭმა, — ნანა (გამყიდველი) გასულია.

ის-ის იყო, გაწბილებული გამობრუნებას ვაპირებდი, რომ შემაჩერა:

— შედებული აქვს, გოგონა, დაელოდეთ.

— ჰმ, — წაიბუტბუტა ჩემმა ძმაკაცმა, — ეგ როდის გამოიღებს, წამო, სხვაგან ვიყიდოთ.

ჩვენ უკან ხარხარი ატყდა. ყველა იცინოდა, მხოლოდ მე, სვანი და ის ბიჭი ვიყავით განცვიფრებული სახით და... ლამის ჩვენც ჩავბუირდით, რომ მოვწვით, რა აცინებდა ხალხს... წიკვინე“.

ამ კვირაში „დიდებმა“ პასიურობა გამოიჩინეს და არ დამიმესიჯეს. ამიტომ, „დიდების ზღაპრის“ გარეშე დავრჩით. რა ხდება? იქნებ მომდევნო თემამ აგიშალოთ მესიჯის წერის საღერღელი? თემა კი ასეთი იქნება: თაღლითობის მსხვერპლი. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com კითხვა მოკლე ჩართვისთვის: რა მოხდებოდა, თუ დედამიწაზე მხოლოდ ქალები იცხოვრებდნენ?

დააკვირდი ფოტოებს და გაიხსენე, საბაზანოში ყოფნისას სხეულის რომელ ნაწილს იბან პირველ რიგში. შემდეგ ტესტის პასუხები ნახე.





დააკვირდი ფოტოებს და გაიხსენე, საპასუხოში ყოფნისას სხეულის რომელ ნაწილს იბან პირველ რიგში. შემდეგ ტესტის პასუხები ნახე

1. თუ ი არ-ჩევანი ხელებზე გააკეთე, არცთუ ნიჭიერი ადამიანი ხარ, სამაგიეროდ, შრომისმოყვარეობით გამოირჩევი. ადამიანების დახმარება გიყვარს, რის გამოც უდიდეს პატივისცემას იმსახურებ. სიყვარულში იშვიათად გიმართლებს.

2. თუ მუერდი აირჩიე, საქმიანი ადამიანი ყოფილხარ. მიზნისკენ პირდაპირი გზით მიდიხარ და შენი დევიზია – მივედი, ვნახე, გავიმარჯვე! გაღიზიანებენ ის ადამიანები, რომლებიც ვერ გიგებენ. საპირისპირო სქესის დიდი სიმპათიით სარგებლობ.

3. თუ ი არჩევანი სახეზე გააკეთე, სავარაუდოა, რომ შენს ცხოვრებაში მთავარ როლს ფული თამაშობს. გარშემო მყოფთა აზრი არ გაინტერესებს. არადა, შენზე ამბობენ, რომ საპირისპირო სქესთან ურთიერთობისას მეტოქეობას ვერავინ გაგიწევს.

4. თუ პირველ რიგში, თმას იბან, ავტორიტეტული ადამიანი ყოფილხარ. ოცნება შენი ჰობია, მაგრამ რეალურ ცხოვრებაში ყოველთვის გამოგდის ის საქმე, რომელიც სხვებს არ გამოსდით. მიზნის მიღწევას ჯიუტად ცდილობთ. მეგობრობა შემოქმედებით ადამიანებთან ხელგეწიფებათ.

5. თუ ი სხეულის ყველაზე ნაზი ადგილები აირჩიე, მორცხვი ადამიანი ყოფილხარ და საკუთარ თავს სათანადოდ ვერ აფასებ. ცოტა მეგობარი გყავს და ისინიც მოსაწყენ ადამიანად მიგიჩნევენ. თუმცა, ამის გამოსწორება სულ იოლადაა შესაძლებელი.

6. თუ არჩევანი სხეულის იმ ნაწილებზე შეაჩერე, რომლებიც ჩვენ მიერ არ არის ჩამოთვლილი, სავარაუდოა, რომ „საშუალო" ადამიანი ხარ. არის შენში რაღაც ჯარგი, მაგრამ მის წარმოჩენას ვერ ახერხებ. როგორღაც უნდა მოახერხო, საკუთარი ღირსებები ყველასთვის თვალსაჩინო გახადო. ●

მოკლე ჩართვა

რა არის ეგოიზმი?

• ეგოიზმია, როცა სხვისი კარგად ყოფნა ცუდად გხდის. ბოხო.

• ეგოისტი ჭაში დიდხანს მჯდომ ადამიანს ჰგავს. დეა-25.

• ეგოიზმი მხოლოდ საკუთარი თავისთვის ცხოვრება, სხვისი ინტერესის იგნორირებაა. მიუხედავად იმისა, რომ ნანატრი და განებივრებული გოგო ვარ, ეგოიზმი ჩემგან შორსაა. თამუნა.

• როცა რაღაც გტკივა, ვერ იძინებ და მთელ ოჯახს არ აძინებ... რეკავ მეგობრებთან, შეყვარებულთან, ნათესავებთან, წუწუნებ იმაზე, რომ რაღაც გტკივა და მათაც უფრთხობ ძილს, ეს ყველაფერი ეგოიზმია? თუ — კი, მე ეგოისტი ვყოფილვარ. რა ვქნა, აბა? ვერ ვიტანდ, როცა მე რამე მტკივა და სხვა არ წუხს ამის გამო. მეგრელი კანიბალკა.

• ეგოიზმი ისაა, ნ კილოგრამ მარწყვს რომ იყიდი, თითო-თითოს რომ აჭმევ შვილებს და მერე რომ ეტყვი, დანარჩენსაც ასეთი გემო აქვსო და სულ რომ თვითონ შეჭამ. კახელი სალომე.

• ეგოიზმი არის ცუდი სენი. ადრე მაგ სენის მსხვერპლი მეც ვიყავი, მაგრამ ახლა — ძირს! ეკალა.

• ეგოიზმი სულაც არ არის ისეთი საშინელება, როგორც ახლა დაახასიათებენ. დარწმუნებული ვარ, ყველას ერთხელ მაინც უნატრია — ეგოისტი ყოფილიყო. ასე გულს ვეღარ ატკენდნენ. ეგოისტკა.

>>> 32

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილიზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

ყურადღებას!

გთხოვთ, ნუ ეცდებით საყვარლისა თუ სექსუალური პარტნიორის მოძებნას ამ რუბრიკის მეშვეობით. ამ რუბრიკაში მხოლოდ დაოჯახების მსურველთა განცხადებები გამოქვეყნდება.

ქალები



1. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 45 წლამდე ასაკის მამაკაცს, სერიოზულს და სამსახურით უზრუნველყოფილს. ვარ იმერეთიდან, 39 წლის, 160 სმ სიმაღლის, ტექნიკური განათლებით, სერიოზული ქალბატონი.

2. ვარ შავგვრემანი, ლამაზი, 21 წლის გოგო. ვცხოვრობ დასავლეთის მთიან რეგიონში. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ სერიოზულ, 22-27 წლის მამაკაცს.

3. ვარ 35 წლის, სასიამოვნო გარეგნობის, სიმპათიური, სუფთა წარსულის მქონე მანდილოსანი. მყავს ორი შვილი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობდი სერიოზულ, სიმპათიურ მამაკაცს.

4. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 45 წლამდე ასაკის, ქვრივ ან განქორწინებულ მამაკაცს. ვარ 30 წლის, განქორწინებული.

5. გამარჯობა. მინდა გავიცნო მხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით, დასაქმებული, ქვრივი ან ოფიციალურად განქორწინებული, 35-40 წლის მამაკაცი. ვარ 28 წლის, განათხოვარი.

6. მინდა გავიცნო სერიოზული მამაკაცი, 36-45 წლამდე, ვისაც კარგი ოჯახი უნდა. ვარ განქორწინებული და მყავს ერთი შვილი. მაქვს ბინა.

7. მყავს სიმპათიური, 40 წლის ახლობელი ქალბატონი. გთხოვთ, გამომეხმაუროს დასაქმებული, სერიოზული, 40-50 წლის, სიმპათიური მამაკაცი.

8. ვარ 32 წლის, სასიამოვნო გარეგნობის, სუფთა წარსულის მქონე, მავნე ჩვევების გარეშე ქალბატონი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ დასაქმებულ, სერიოზულ მამაკაცს, 40 წლამდე.

9. ვარ 25 წლის, კეთილი, მხიარული და ვნებიანი ქალი, ქმარს გაცილებული. მყავს შვილი. გავიცნობ 30-45 წლის მამაკაცს, მხოლოდ და მხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით. მია.

10. ვარ 44 წლის. მსურს ოჯახის შექმნა იმ მამაკაცთან (48 წლამდე), ქალში გარეგნობის გარდა პატიოსნებას და ჭკუას რომ აფასებს და უზრუნველყოფილია ბინით და სამსახურით.

11. გავიცნობ ოჯახის შექმნის მიზნით 50-55 წლამდე ასაკის მამაკაცს. ვარ 45 წლის მანდილოსანი.

12. მყავს 34 წლის, მომხიბვლელი მეგობარი, სუფთა წარსულის მქონე. დაუმესიჯოს ოჯახის შექმნის მსურველმა, 42 წლამდე ასაკის, ქალაქელმა, სერიოზულმა მამაკაცმა.

13. ვარ 32 წლის ქალიშვილი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 35 წლამდე მამაკაცს. სამაიმუნოდ ნუ გამომეხმაურებით.

14. ვარ 25 წლის, გასათხოვარი გოგო. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 40 წლამდე ასაკის მამაკაცს. შემეხმიანეთ. თამუნია.

15. ვარ 37 წლის მანდილოსანი. გავიცნობ 45 წლამდე ასაკის მამაკაცს, ოჯახის შექმნის მიზნით.

16. ვარ 34/161/60, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობდი 40 წლამდე ასაკის, უცოლო და დასაქმებულ მამაკაცს, რომელსაც ნამდვილად სურს ოჯახის შექმნა და არა — გართობა. ჯკ77.

მამაკაცები

17. ვეძებ 40 წლამდე ასაკის, სიმპათიურ და სერიოზულ, სუფთა წარსულის მქონე ქალბატონს, ვისთან

ერთადაც მინდა შევქმნა თბილი ოჯახი.

18. გავიცნობ 40 წლამდე ასაკის, პატიოსან, მომხიბვლელ მანდილოსანს, თუნდაც განათხოვარს, ოჯახის შექმნის მიზნით. ვარ 43 წლის. გთხოვთ, დამიმესიჯოთ.

19. ვარ 33 წლის მამაკაცი. ვცხოვრობ თბილისში. ვმუშაობ ერთ-ერთ ფირმაში. გავიცნობ ოჯახის შექმნის მიზნით ბინით, მანქანით, კარგი სამსახურით უზრუნველყოფილ, 25-40 წლის მანდილოსანს.

20. დაოჯახების მიზნით გავიცნობ ბინით უზრუნველყოფილ, თბილისელ მანდილოსანს, 40 წლამდე. ვარ რაიონიდან, ვმუშაობ თბილისში.

21. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 35 წლამდე ასაკის მანდილოსანს. ვარ 40 წლის, დამოუკიდებელი მამაკაცი. გთხოვთ, გამომეხმაუროთ.

22. ვარ 37/170/60, დასაქმებული, ბინით უზრუნველყოფილი მამაკაცი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ერთგულ მანდილოსანს, რომელიც ცხოვრებას გამილამაზებს.

23. ვარ 25 წლის, სერიოზული, დასაქმებული მამაკაცი. ვისაც სურს მშვიდი და სამაგალითო ოჯახის შექმნა, დამიმესიჯოს. გიო.

ბიჭები



24. ვეხმაურები ლარისა ვარსიმაშვილის მძებნელს. მე მისი ბიძაშვილი ვარ. ლარისა ამჟამად საქართველოში არ იმყოფება. უმორჩილესად გთხოვთ, თქვენი ასაკი გამოაქვეყნეთ.

25. ვეძებ დიდი ხნის უნახავ მეგობარს, მადონა კორძაძეს, მცხოვრებს ვანის რაიონის, სოფელ მუქედში. გთხოვთ, თუ ვინმემ რაიმე იცის მის შესახებ, დამიკავშირდით. თამილა. თელავი.

სალაღობანი

• ჩორი-ჩორი და ashley pcd, მაგრები ხართ, გენაცვალეთ. საერთოდ, ყველანი მაგრები ხართ. მგზავნელებო, დამიკავშირდით. მაგრად მიყვარხართ. თქვენი ახალი მეგობარი. მინდა, კლუბ „ბათუმელებში“ გაწევრება. ნინკა-კუსკა.

• გაუმარჯოს ხალხს. რავა ხართ, ადამიანებო? კარგად? კაია! ჰოდა, საქართველო რომ მენატრება, იცოდით? ახლა დამსვა ქუთაისში და მერე გავქვავდე, აღმაშენებელივით. ვარდენა.

• რახდება „გზაში“, ყველა ათენით რომ ამესიჯებთ? ჯერ იყო და გუ-ათენი გამოჩნდა, მერე ათენი-50, ახლა კიდევ ათენი82. ხალხო, სხვა ნიკს ვერ იგონებთ? ვიხუმრე რა, ყველანი მიყვარხართ. მე რომ არა, რას მოიფიქრებდით? :-) ათენი-23.

• ჩემი შეცდომა ის იყო, წუხელ „განსხვავებულები“ რომ დავლიე. რა ჩემი საქმეა ყანწი? მაგრამ ფელამუშა მაძალებდა. ბევრი ველაპარაკე, მანქანით ვარ და ვერ დავლევ-მეთქი, მაგრამ... :) ქეიფი ერთი ვაუკაცის დალოცვით დავიწყეთ და კარგად შევთვერით. მართალია, ნადიმი ვირტუალური იყო, მაგრამ სამადლობელს ფეხზე ადგომით ვიხდიდი. მესიჯებით დაფრინავდა ტორტები და შამპანურის ბოთლები. სულ გადაიღე-მიირთვის გავიძახოდით. ნუ, ახლა ფელამუშა კი დავათვრე, მაგრამ მეც კარგად შევჭიკჭიკდი. :) არც სიმღერების შეკვეთა დაგვიწყნია. მხოლოდ ცეკვა ვერ მოვახერხეთ. გამოუსწორებელი არაფერია. წავალ ახლა, ლუდის ბოთლს ჩავეხუტები და ყველაფერი გამოსწორდება. :) ფელამუშ, გადასარევი თამადა ხარ. როდის გავიმეოროთ? დედა, როგორ გამალოთე, ანგელოზივით ბავშვი?! p.s. ილინ, თუ კაი „ცხვარია“, არ გამომაპარო, რა ჯიშია? წარმატებები. პარიჟანკა.

• რაია ეგი, ჟურნალი „გზაა“ თუ დაოჯახების სააგენტო? მილოცვის დაბეჭდვისთვის მადლობა, მარი. სხვა რავა ხართ, მგზავნელებო? გუ-ათენი.

• იმდენი ქართველი ვართ ამ დალოცვილ საბერძნეთში, თურმე თბილისში აქედან ერთ-ერთ ჩასულს ვიღაცისთვის შემთხვევით ფეხი დაუბიჯებია მეტროში და ბერძნულად უთქვამს, აჰ, სიგნომიო (ბოდიშიო). იმასაც ბერძნულად უპასუხია, დენ ბირაზი, დენ ბირაზიო (არა უშავსო).

• დღეს ძველ „გზავნილებს“ გადავავლე თვალი, ო, რამდენი ხალხი წავიდა და უგზო-უკვლოდ დაიკარგა?! დაბრუნდით ნელკა, ნიკოლ, ზაზუნა22, მონასტრის ბიჭი, სტიქია, პლიიზ... 13.07.

• ჩვენი ჟიური უკვე დაკომპლექტდა. მე, ლიმონა, დუჩი, ილინი, ჩორი, თოჯინა და ვერმახტი გამოვავლენთ თვის მგზავნელს, თვის დებიუტანტს და თვის გზავნილის ავტორს. აპოლონი.

• კეთილი იყოს ჩემი მესიჯი „მობილი-ზაციაში“. მიყვარს რეპი, ფეხბურთი და „გზა“! მოვიკითხავ განძის მაძიებელს. ყველანი მიყვარხართ, სიხარულებო! გაკოცეთ. crazy girl.

• მხოლოდ მანაველისთვის და მგზავნელებისთვისაა

სოფლელი მაძალადენები ქალებს სიგარეტის მარაგებით იცვლიან, ქალები მაძალადენები კი „ჯიფებს“ ამ ეზვიანენ.

ჩემი ნომერი. იმედია, შიდსიან, აზიატ, ძალად გრუზინკას არავინ ზედმეტად არ შემაწუხებს. გკოცნით, მიყვარხართ. გრუზინკა.

• დიდი მადლობა, რომ გიყვარვართ. თაკლო, გაიხარე! კახეთში მე ვითავებ თანხის აკრებას. მერე კი ჩემი სოსოიაც მაპოვნინეთ. ვხუმრობ, ღმერთმა დამიფაროს ამისგან. გრუზინკა.

• ჩემი გზავნილი იყო — „დედაა, მიყვარხარ“, და არა ის, წინ რაებიც ეწერა. ჩემი მშობლები 17 წელია, რაც ერთად არიან და არა — 20! თან არც სოსო და მაია ჰქვიათ. :) პატარა მავნე.

• ილინ, შემამჩნიე? ჩაიყლაპა ძველი ნიკი. :) შენ გარდა ნეტავ კიდევ ვინ მიცნო? :) პატარა მავნე.

• მარტო ვალიკო კი არა და გიოც უნდა ვეძებოთ. ეს ორი მამრი მაგარი პოპულარულია. ვარდენ, ქალო, ვაბოდებ შენზე. მინდა, მოხუცს ბოდიში მოვუხადო, „პივის“ გამო. გრუზინკა.

• ილინ, რად მიკალქალ ასე მაგრად? რათაო? გაიხარე! პატარა მავნე და ბაო, ჩაგეხუტეეთ! :) p.s. სოფის (ვასასის) გაცნობა მინდა ძალიან. ვასას, გამეცნობი? გთხოვ... ნიკოლი.

• მეზობლის ქალს ხელს ნუ ახლებო, წინაპრებმა დამიბარეს და ნუ გადამახვევინებ ახლა ამ ტრადიციების მოყვარულ ბიჭს, ეთიკის ნორმებიდან და შემეშვი. განძის მაძიებელი.

• ილინ და პარიჟანკა, როცა თქვენისთანა ლამაზი და ჭკვიანი გოგონები მამჩნევენ, მიმაჩნია, რომ სამყარო მიღიმის. გაიხარეთ, ჯიგრები ხართ! განძის მაძიებელი.

• უცნობო, ავი მულები რა შუაშია? უბრალოდ, მე და გრუზინკას განძის მაძიებელი გვიყვარს და მის ავტორიტეტს ვუფრთხილდებით. გაიგე? მგელო, ბალი ჩართე, რა. ლუნა.

• გრუზინკა, გმადლობთ, ახლა უკვე თავს კარგად ვგრძნობ და ენერგიას ვიკრებ, რომ „გზავნილებსა“ და მობილიზაციაში ხშირად ვამესიჯო. ქუთათური.

• მიხარია, ჩემი ქუთაისელი ხალხი ასე რომ აქტიურობს. გეხუტუნოთ თქვენი ქუთათური. როგორც კი უკეთ ვიქნები, ყველას გაგიცნობთ. ქუთათური.

• ჩემო უსაყვარლესო მეგობარო, მ ა ნ ა ვ ე ლ ო, მალე ჩამოდი. ქუთაისი და ქუთაისელი მეგობრები გელოდებიან. ღმერთს ვთხოვ, იმრავლონ შენნაირმა ადამიანებმა. ქუთათური.

• რა არ ხდება ამ ქვეყნად? ვერ წარმოვიდგენდი, თუ ისევ შემიყვარდებოდა ვინმე, მაგრამ... ძალიან, ძალიან მიყვარს. მერე რა, თუ ჩემები წინააღმდეგი არიან? ლორელაი.

• ჩემო სიცოცხლევ და სიყვარულო, მიყვარხაარ, მიყვარხაარ! მინდა, ყველამ გაიგოს, რომ ჩემი ჯარისკაცი ძალიან მიყვარს. მამი და ბიძია, გაიგეთ, მიყვარს! თამთა-ლორელაი.

• მის რეალის, განძის მაძიებლის, თეთრი ვარდის და ყველა თელაველის (და არა მართო თელაველის) გაცნობა მინდა. შაბათს 2 საათზე ერეკლეს ძეგლთან. ok? გელით, კახელო-616.

• გამარჯობა მარი, პირველად გწერ და გთხოვ, არ გამიტეხო. მოვიკითხავ ლავრენტიას, გარაჟის მამას.

• ახალი ვარ და მესიჯს „გზის“ საგამომცემლო ჯგუფთან შეკითხვით ვიწყებ: არ აპირებთ, ჟურნალის ტირაჟის გაზრდას? სულ გაყიდული მხვდება. :(მგზავნელებო, მეთანხმებით? ეკო.

• გურიაში მოხუცი კაცი სკამზე დამჯდარი შეშას ჩეხდა, მისი შვილები კი ჩრდილში ნარდს თამაშობდნენ. ჩამოიარა ერთმა მეზობელმა და დაუძახა: — ოყოფი, რას შობი კაცო, დამჯდარი მუშაობ? ამან მიაძახა: — აბა ძამა, დაწოლილი რო ვიმუშავე, ეგერ არიან ჩრდილში და ნარდის თამაშით თეძოები აქვთ ამოვარდნილიო. ჯეჯე.

• რაჭაში მიწისძვრა იყო და ქვე დააზანზარა რაჭა. ვალიკო ურეკავს არისტოს: — არისტო, წუხელის მიწისძვრა გეიგე? — ქვე რავა ვერ გევიგე ბოშო, ძლივს შევასწარი სახლში. ჯეჯე.

• მაფიოზ, შემოგევლოს დეიდა ლუნა (ცოტა მაკლია, დეიდობას). რას უწუნებ მგზავნელებს? ისა, შენი ნომერი როგორ გავიგო? ან თუ შეგიძლია, თვითონ დამიკავშირდი. ლუნა.

• მაგრად მიყვარხაააართ! გამოვჯანმრთელდი. აღარ გეკითხებით, მიმიღებთ თუ არა, რადგან ვიცი, რომ საყვარლები ხართ და უარს არ მეტყვით. ხომ ასეა? გაკოცეეეეეთ! ცირა.

• აფხაზეთის პრინცესა, დაბადების დღეს გილოცავ, დაიკ. ყველაფერს საუკეთესოს გისურვებ, ცხოვრებაში. უფალი გფარავდეს. ყველა ივნისში დაბადებულებს გილოცავთ. non stop.

• გამარჯობა. ახლა ერთ-ერთი მგზავნელის სურათს დავყურებ და თვალს ვერ ვწყვეტ, ისეთი კარგია. თან წვიმს და მისი ერთ-ერთი მესიჯი გამახსენდა — „პატარა ჯადოქარი“. მგზავრი.

• ოლაააა! გამარჯობაათ! როგორ ვართ? ვასასი თქვენთანაااა. :):)

• ვინმე, არ გრცხვენია? ვის ეპადხალიმები? რამ შეგაყვარა ეგ განძის მაძიებელი? ჩემი დევიზია: დებილები რომ არ იყვნენ ამქვეყნად, შავად მოგვეჩვენებოდა, ყველაფერი.



ადამიანებს მხოლოდ სიყვარული ეს ამა, გადაგვეშალა ღმერთსაც ამ ხალხებს.

• გრუზინკა, ცუდია, ფეხი რომ გტკივა. მალე გამოჯანმრთელებას გისურვებ. მე 2 წლის წინ მუხლში დანა ჩავირტყი და 1 თვე ვერ დავდიოდი. „მანჩესტერი“ მაგარია! რაის „რეალი“? მაფიოზა.

• გრუზინკა, კარგია, „პივით“ რომ მლოცავ. გვესტუმრე იმერეთში და იმერული, ოჯახის ღვინით დაგლოცავ. ქუთაისსაც დაგათვალიერებინებ. გაიხარე, მეგობარო, მაგარი ხარ. მოხუცი.

• ხალხო, მეც ზესტაფონელი ვარ. ნუ, მართალია თბილისში დაბადებულ-გაზრდილი ვარ, მაგრამ ფესვები იქიდან მოდის. ტრაგიკოსა და შავტუხა, შემეხმიანეთ. ჭრიჭინა.

• ჯეჯე, როგორ გეტყობა ქუთაისელობა... განვადებით და „პოსლეზე“ ვერა, რა... :) კაკი, მიყვარხარ. ქუთაისი, ფორევერ! **green girl.**

• სოს! 15 ივნისს მარი ჯაფარიძის დაბადების დღეა! მარ, არ მინდა, გაცვეთილი ფრაზებით მოგილოცო. უბრალოდ, მინდა, დიდხანს იცოცხლო და ბედნიერი იყო. შენ ამას იმსახურებ. **green girl.**

• ლომუა, მობრძანდი, მე მთელი გულითა და სულით გეპატიჟები, გზავნილორკში. ილინ, მეც მინდა, ბედნიერი იყოს ბურძგლიანი და სულელი გოგო. ვარდენასა და ბოტოტას მოკითხვა. ლუნა.

• მგზავნელებო, რა ლამაზები ყოფილხართ, ჰა? ისა და მეგრელი მგელოს საყურადღებოდ! შენი გაცნობა მინდაااა! რა ვქნა, ჰა? ვერმახტ, ჩასაყლაპი ბიჭი ხარ. **avril-lavigne.**

• მიყვარს ეს ჟურნალი.

• მგზავნელები ცოტა ლამაზი ხალხი მეგონა. სილამაზე რა შუაშია, სულია მთავარი, მაგრამ ეს კანიბალკა — ნამეტანია. დატანჯული გოგო.

• ეძღვნება ლუნას და გრუზინკას. რა მოგწეროთ, აღარ ვიცი, რომ მიყვარხართ, ეს ხომ იცით? თქვენ შეგჭამათ ტარაკანამ, ხან დიდმა და ხან — პატარამ! დაგინებულია, დაბეჭდე, მარი.

• საქვეყნოდ ვაღიარებ, **non stops** უსამართლოდ ვაგინე. მარი, შენც უსამართლოდ გექცევი და დამპალი ვარ, მაგრამ რა ვქნა? საზიზღარი ვარ. კომენტარებისგან თავი შეიკავეთ! ეთო.

• ჩემი ჭკუით თუ ვიმსჯელებთ, ათენი23 და ათენი50 დედა-შვილია. მოგიკითხავთ, ძვირფასებო. აბა, თქვენ იცით. გამაგრდით. თქვენი საქართველო გელოდებათ. ჭრიჭინა.

• აუ, ძალიან გთხოვთ, ვიღაცა ჩემი ნიკით ამესიჯებს და იქნებ შეიცვალოთ ნიკი? თუ არ გჯერათ, ძველ მგზავნელებს გადახედეთ. ფისო.

• წინასწარ ვაცხადებ, ჩემ შესახებ ვინ რა აზრის იქნება, სულ მკიდია, 100 წელი. მარტო მარის რომ წარმოდგენა შევუცვალე ჩემზე, იმაზე მწყდება გული. ჯაფარიძეზე ვამბობ.

• ნინო სურმავა, ხინკალი ცოტა ნელა ჭამე, ხალხი სულ ჩვენ მოგვჩერებია, გოგო! რა არის, არაფერს გაჭმევენ, სახლში? რა გენაღვლება ეთოს ფულები, არა? ღმერთმა შეგარგოს. ეთო.

• მოგესალმებით ყველას! მე არა ვარ ბიჭიკო, მე არა ვარ ჭიჭიკო, მობილურზე გირეკავს, პრეზიდენტი მიშიკო!

ალექსანდრა



• იცი, რაზე ვფიქრობ? შენს ლამაზ თვალებზე. იცი, რა მინდა? მინდა, გაკოცო. იცი, რა მომდის? გული მებზარება. უშენოდ ყოფნა და სიცოცხლე მეზარება. მამუკა მუკბანიანო, მე ყოველთვის დაგელოდები. მიყვარხარ. ბარტყი.

• მარი ბალახაძე, უსაზღვროდ მიყვარხარ. ჩემი იმედი ხარ, შემოგევლე. გიო ღარიბაშვილი.

• ბალუ, ძაან მიყვარხარ და მენატრები, ჩემი სიცოცხლე და სიხარული ხარ. უსაზღვროდ მიყვარხარ. შორიდან გკოცნი ბევრს. კუსკუსა.

• დედიკო და მამიკო, მენატრებით. ნათ და ლალი, ჩემი დაიკოები ხართ. ნეტავ თქვენთან ჩამახუტა. თქვენთან მინდაااა... თქვენი მონატრებით გადარეული უკარება.

• ნინო ყარყარაშვილო, უზომოდ მიყვარხარ, ჩემი პრინცესა და ჩემი ოცნება ხარ. მალე დაბრუნდი, უშენობა ჯოჯოხეთია. მიყვარხარ ძალიან, ჩემო სიცოცხლევ. საზიზღარი პუჩი.

• თამუნა, შენ კი იცი, მაგრამ „გზის“ ფურცლებზეც მინდა, გაგიმეორო, რომ ჩემთვის ძვირფასი ადამიანი ხარ. მიყვარხარ სიხარულო და მადლობა უფალს, რომ არსებობ. ბიძინა.

ანონიმი



• ჩემო შვილო, ზურა, იგივე — ათენი-23, გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ, ყოველი დღე სიყვარულითა და ბედნიერებით გაჯერებული გაგითენოს ღმერთმა. სითბო და სიყვარული არ მოგკლებოდეს, ამ უცხო ქვეყნის ცის ქვეშ. ათენი-50.

ალეკოჰოლი ამ ჯნეშს!
შეუძლებელია, მილიონობით
მაამყალი ღუოდეს!

• ჩემო გიორგი, გილოცავ დაბადების დღეს, გისურვებ ჯანმრთელობას და ბედნიერებას. გიო, მომიკითხე ნათელა, ელგუჯა და დიდი სიყვარულით, მამუკა, ხათუნა და პატარა ხატია. შენი ბიცოლა, ნაზი. იგივე ათენი-50.

• ჩემო სანატრელო ზაზა, 8 ივნისს გილოცავ ქალიშვილის, იას დაბადების დღეს, ბედნიერი და ჯანმრთელი გიმყოფოს ღმერთმა. ყოველთვის გახარებული მენახე.

• ირაკლი და ლედი ბიბილეიშვილებს ვულოცავ დაბადების დღეს. მრავალს დაესწარით, ჩემო სიხარულებო. მიყვარხართ. ლონდა.

• ჩემს მონატრებულ შვილს, ქეთი ცალუღელაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 6 ივნისს. სიხარული და ბედნიერება მისურვებია. იყავი ბედნიერი. გფარავდეს ღმერთი. ვენერა.

• ათენი 23-ს ანუ ზურას ვულოცავ დაბადების დღეს. მრავალს დაესწარი, მეგობარო და გაიხარე იმასთან ერთად, ვინც გიყვარს. შენ კი, ჩვენო სარძლოვ, რომ იცოდე, ზურიკელას მაგრად უყვარხარ და მალე ჩამო, ერთი იმერული პურიჭამა გავაკეთოთ. აუ, რას ჩავთვრები?! ვარდენა.

• გაგა და ინგა, გილოცავთ ბედნიერებას. ბედნიერება და სიყვარული ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების თანამგზავრი. გაიხარეთ, გკოცნით თქვენი ეთერი დეიდა.

• ნუგო, ჩემო სევდიანო სიყვარულო, გილოცავ დაბადების დღეს. ჯანმრთელობა მინდა გისურვო, ნანიკოს წარმატებებით გახარება და ალბათ დროა, პირად ბედნიერებაზეც იზრუნო. გკოცნი უთვალავს.

• 17 ივნისს იუბილეს ვულოცავ მამიდას, ციური ჭიკაიძეს. ღმერთმა დაგლოცოს. სიკეთით სავსე გული გაქვს. როცა გაიგებ, ვინმეს რამე უჭირს, შეწუხდები, გულთან მიიტან და ცდილობ, ყველას დაეხმარო. ღმერთი დაგინახავს. გახარებული იყავი, შენი ლამაზი შორენათი და მისი ოჯახით. ყველას ძალიან გვიყვარხარ და გვახარებ. მაია.

• ციური ჭიკაიძეს ვულოცავთ დაბადების დღეს. იყავი ბედნიერი, მეუღლესთან, ერთადერთ შორენასა და პატარა ხატიასთან ერთად. ძმები და ძმისშვილები.

• მზია გაგაძე-კანდელაკს ვულოცავთ დაბადების დღეს. ღმერთი გფარავდეთ მუდამ. ციური და იზა.

• დაბადების დღეს ვულოცავ სიყვარულში დამწვარ ბიჭს, ათენი23-ს! მრავალს დაესწარი, ჩემო კარგო, შენს საყვარელ ხალხთან ერთად. ღმერთი გფარავდეს! გუ-ათენი.

• პრივეტ, მარიკუნა, იცი, მეორე გზავნილ-შვილი გვეყოლა. თან, მასაც გიო დაარქვეს. ფახუცანა, სიხარულო, გილოცავ! სასახელო, ჯანმრთელი და დიდი ბიჭი გაიზარდოს. გაკოცე. ბოტოტა.

• ჩემს დას, მარინა ქვათელაძეს მინდა მივულოცო ნახევარსაუკუნოვანი იუბილე. ღმერთი იყოს შენი მფარველი. გისურვებ მალე დაბრუნებას.

• ათენი-23, გილოცავ დაბადების დღეს. მრავალს დაესწარი, ჯანმრთელი, ბედნიერი და მუდამ გახარებული ყოფილიყავი. ღმერთი იყოს შენი მფარველი. ლია, ქუთაისიდან.

• ათენი-23-ს ვულოცავ დაბადების დღეს. სიხარულო, დაესწარი მრავალს, ყოველივე კარგს გისურვებ. მიყვარხარ ძალიან. გუდუნა.

• ათენში ციური ჭიკაიძეს ვულოცავთ. შენი მონატრებული ოჯახი იუბილეს გილოცავს, დედიკო. ძალიან გვენატრები და გვიყვარხარ. უამრავ კოცნას გიგზავნით.

• ათენში ციური ჭიკაიძეს ვულოცავ. ჩემო ლამაზო ბებიკონა, გილოცავ დაბადების დღეს. ბევრ, ბევრ კოცნას გიგზავნი და გულში გეხუტები. შენი ხატია.

• ჩემს შვილს, ლუკას 9 ივნისს ვულოცავ დაბადების დღეს. სასახელო ბიჭი გაზრდილიყავი, დედას სიხარულო. ფისო.

ყურადღება!

„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა **guli** გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში აკრიბეთ: **guli 18-10** და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

ქართველი მამაკაცების რჩევები ამერიკელ მამაკაცებს

რიტმი უნდა დავლიოთ...

ვფიქრობ, ქართველი მამაკაცის დამოკიდებულება სასმლის მიმართ, ბიოლოგიურ თავისებურებებთან კი არა, ტრადიციებთანაა დაკავშირებული.

ბევრ ქართველს მიაჩნია, რომ უცხოელებმა სმა არ იციან. ისინი სვამენ და არაფერს აყოლებენ, კოქტეილებს ერთმანეთში ურევენ, არაყს კი „ზალპით" კი არ სვამენ, არამედ წრუპავენ. შესაძლოა, ეს სასმლის სიძვირესა და უცხოელების სიძუნწესთან იყოს დაკავშირებული. ქართველი მამაკაცები სვამენ იმდენს, რამდენიც „ჩაეტევათ" და მაინც ცოცხლები რჩებიან.

აი, ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც უცხოელებმა სმის დროს უნდა გაითვალისწინონ:



ქეიფის დაწყებამდე 1 საათით ადრე (ვარიანტები)

1. შეჭამე კარტოფილის პიურე.

2. გადაყლაპე 1-2 უმი კვერცხი.

3. გადაყლაპე 1-2 ყლუპი ზეთი ან 50 გრამი კარაქი.

ეს გარანტიას მოგცემს, რომ ფხიზელი დარჩე, თუნდაც 5 ლიტრი ღვინო ან 1 ბოთლი არაყი დალიო. ეს ხუმრობა არ გეგონოთ. უმი კვერცხი ყველაზე უებარი საშუალებაა.

ქეიფის დროს

1. თუ ღვინის სმა დაიწყე, მხოლოდ ღვინო უნდა დალიო, არავითარი წვენი. განსაკუთრებით მოერიდე გაზიან სასმელს.

2. თუ არაყს სვამ, არ მოწრუპო, „ზალპით" დალიე.

3. დალევის შემდეგ საჭმელი მიაყოლე.

ძალზე მნიშვნელოვანია ალკოჰოლის განეიტრალება. ამის გაკეთება მარილიანი საკვებითაა შესაძლებელი (მწნილი, ხიზილალა პურითა და კარაქით, მოხარშული ჭარხალი მაიონეზით, „ოლივიე").

4. აუცილებელია მხოლოდ პირველი 3 ჭიქის დალევა. ამით სუფრის წევრებს აჩვენებ, რომ კომუნიკაბელური და მეგობრული ადამიანი ხარ. შემდეგ 1-2 ჭიქა შეგიძლია, გამოტოვო და უბრალოდ თქვა — „ამ ჭიქას ვტოვებ". ეს იმას ნიშნავს, რომ სმას კი არ წყვეტ, არამედ, როგორც სმაში სუსტი უცხოელი, ძალების მოკრებას ცდილობ.

საქართველოში მიღებულია, რომ სასმლის შესმის წინ თამადა სადღეგრძელოს ამბობს, შემდეგ სუფრის რომელიმე წევრთან ალავერდს გადადის და ყველანი სვამენ. სასმელს ჭიქებში თამადა არ ჩამოასხამს. ამას სუფრის ერთი ან რამდენიმე წევრი აკეთებს. სასმლის თავად დასხმა და დალევა უტაქტობად მიიჩნევა. თუ სადღეგრძელოს თქმა გსურს, საამისოდ ნებართვა თამადისგან უნდა აიღო.

5. სალათებს, როგორც წესი, ქეიფის დაწყებიდან 1 საათის განმავლობაში მიირთმევენ. შემდეგ ცხელ კერძს შემოიტანენ (ამ დროისთვის უკვე 3-4 ჭიქა გექნება შესმული) და აუცილებლად უნდა მიირთვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასმელი აუცილებლად მოგეკიდება.

6. აქტიურად ჩაერთე ინტელექტუალურ საუბრებში და არ გაჩუმდე, როცა პოლიტიკაზე ილაპარაკებენ. უცხოელის აზრი ყველას აინტერესებს. თანაც, ეს დაგეხმარება, რომ ტვინი მუშა მდგომარეობაში შეინარჩუნო.

7. ქეიფის ბოლოს აუცილებლად მოგართმევენ დესერტს — ყავას ან ჩაის და ტკბილეულს. არც ეს გამოტოვო. ამით მასპინძელს მოაჩვენებ, რომ ფხიზელი ხარ და მისი სტუმართმოყვარეობით — კმაყოფილი.

ასე რომ, 4-5 საათის განმავლობაში დიდი რაოდენობით სასმელს მიიღებ და ცოცხალი დარჩები.

ქეიფის შემდეგ

- ეცადე, მაცივარში ერთი ბოთლი ლუდი შემოინახო. დილის 5 საათზე გაიღვიძე და დალიე. შემდეგ კვლავ საწოლს დაუბრუნდი და ძილი განაგრძე. ეს „პახმელიისგან" დაგიცავს.
- თუ ეს არ გიშველის, 1 ჭიქა მარილიანი წყალი დალიე. ქართველი მამაკაცები ამ დროს მწნილის წვენს სვამენ ხოლმე.
- ქართველი მამაკაცების უმეტესობა „პახმელიაზე" ხაშითა და არყით გამოდის. ეს მეთოდი მხოლოდ ალკოჰოლიკებს შველის.

ასე რომ, დალიე ბევრი და დარჩი ცოცხალი. ისევე, როგორც ქართველი მამაკაცები!

საჯარიმე

რამდენიმე კვირის წინ საფრანგეთის ქალაქ ანგუმელაში პოლიციამ სატვირთო ავტომობილის მძღოლი იმის გამო დააჯარიმა, რომ საჭესთან ნორმით დაშვებულ დროზე მეტხანს იჯდა. ის-ის იყო, პოლიციელები ჯარიმის ქვითრის გამოწერას აპირებდნენ, რომ მძღოლმა მათ ხელიდან ის დისკები გამოსტაცა, რომელზეც მისი დანაშაული იყო დაფიქსირებული, პირში ჩაიტენა და დაღეჭა.



• ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქში პოლიციამ ახალგაზრდა ქალი მეტროში მობილურზე ხმამაღალი ლაპარაკის გამო დააჯარიმა. თუმცა, აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა ხმის ტემბრსა და დეციბალებს კი არა, საუბრის შინაარსს ჰქონდა. ის თავის საქმროს უშვერი სიტყვებით ლანძღავდა.

• კიდევ ერთი ქალბატონი დააჯარიმეს იმის გამო, რომ მეტროში კანფეტს ჭამდა; 12 წლის გოგონა კი — შემწვარი კარტოფილის ჭამის გამო.

• საჭესთან ჭამა მიუღებელია. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ რძეში ჩაყრილ სიმინდის ბურბუშელას მიირთმევ. გერმანიაში ქალბატონი სწორედ ამის გამო დაეჯახა გაჩერებულ მანქანას და ახლა დაზარალებულს 20 ათასი ევრო უნდა გადაუხადოს.

• ქალი მოიტაცე? 1.000 დოლარი გადაიხადე! ასეთი გადაწყვიტილება მიიღეს გროზნოელმა უხუცესებმა. მოტაცების თანამონაწილენი კი გაცილებით მკაცრად — 5-5 ათასი დოლარით დააჯარიმეს.

• ჩინელი მძღოლი იმის გამო დააჯარიმეს, რომ ცოლს საბარგულში ჩაჯდომის და ასე სეირნობის უფლება მისცა. პეკინის პოლიციაში ტაქსის მძღოლმა დარეკა, რომელმაც სამართალდამცველებს შეატყობინა, რომ საკუთარი თვალით ნახა, საბარგულიდან გადმოკიდებული ადამიანის ხელი.

• კიდევ უფრო საშიშია საბარგულით ცხოველების გადაყვანა. მძღოლი, რომელსაც საბარგულით მაიმუნი გადაჰყავდა, იმის გამო დააჯარიმეს, რომ ცხოველს არასაკადრისად მოექცა.

• კომპანია „ჰოტელსს“ ყოველდღიურად ერთი ათასი ევროთი აჯარიმებენ იმის გამო, რომ თავისი პროდუქციის რეკლამირებას გზის პირას მობალახე ცხვრებით ეწევა. რეკლამა ქსოვილზეა დახატული და ცხვრებს „აცვიათ“. ქვეყანაში კი გზის ნაპირზე სარეკლამო ბილბორდების განთავსება აკრძალულია.

• გერმანიაში იმ მშობლებს აჯარიმებენ, ვინც შვილებს ჯიბის ფულს არ აძლევენ. ქვეყანაში არსებული კანონის თანახმად, 15 წლის მოზარდი მშობლისგან კვირაში 15-20 ევროს უნდა იღებდეს. თუ ბავშვი შესაბამის თანხას არ იღებს, შეუძლია, შესაბამის ინსტანციაში იჩივლოს.

• თუკი შვეიცარიაში მოხვდები და სურვილი გაგიჩნდება, რომ თავი ნამდვილ შვეიცარიელად იგრძნო, კილტი უნდა იქირაო და ჩაიცვა. ოღონდ, მის ქვეშ ტრუსის ჩაცმა არ დაგავიწყდეს. მართალია, ეს ტრადიციას ეწინააღმდეგება, მაგრამ კილტის ქვეშ ტრუსის ჩაუცმელობის გამო სოლიდურ ჯარიმას გადაგახდევინებენ.

• ბრიტანელ ფერმერებს კანონი ავალდებულებს, რომ თავიანთ ღორებს სათამაშოები უყიდონ. მიზანი — „ღორების ბედნიერება“. ღმერთმა ნუ ქნას, რომ ფერმერებმა ეს ყველაფერი ხუმრობად ჩათვალონ. თუ ისინი თავიანთი „ბინადრების“ ცხოვრების გალამაზებაზე უარს იტყვიან, 1 ათასი გირვანქა სტერლინგით დაჯარიმდებიან ან სამთვიან პატიმრობას მიუსჯიან. ●

<<< 25

მოკლე ჩართვა

რა არის ეგოიზმი?

• ეგოიზმია, როცა გინდა, სულ შენთან იყვნენ მეგობრები, ყოველ წუთს გამოხატავდნენ სითბოს; როცა გინდა, ყველაზე მეტად უყვარდე მათ. ამას არ ვითხოვ. უბრალოდ, ვიმსახურებ და ამაში არაფერია გასაკვირი, რადგან თავადაც ვაღმერთებ თითოეულ მათგანს. თქვენი ეგოისტი პარიჟანკა.

• ეგოიზმი რა არის და — 10 წლის წინ, როცა ჩემი ძმა დაოჯახდა, ლამის გავგიჟდი. არ მინდოდა, ვინმესთან გამეყო მისი სიყვარული. მაგარი ეგოისტი ვიყავი. მდედრი ვიკინგი.

• ეგოიზმი ის არის, როცა გიყვარს თავდავიწყებით და არაამქვეყნიურად. ჭკუას კარგავ მის გამო, ეს ოხერი სიამაყე კი არ გაძლევს უფლებას, მიხვიდე და ყველაფერში გამოუტყდე. თუმცა, არც სხვისთვის გემეტება ეს მიუღწეველი სიყვარული. რა ვქნა, ხალხო, მიყვარს და ეგოიზმმა შემომიტია. იკუშკები. ●

„დაჯარგული თაობის“ სევდა

„სკოლაში შეხვედრამ ჩაგვახუტა და მას შემდეგ ერთმანეთს არ მოვცილებივართ“

ირმა ხარშილაძე


ლევან ერისთავი

დათო ყიფიანის წასვლით ეპოქა დამთავრდა ჩემთვისო, — ამბობს ჩემი რესპონდენტი, ქართველ გულშემატკივართათვის კერპად ქცეული ფეხბურთელის თანაკლასელი და უახლოესი მეგობარი, კინორეჟისორი ლევან ერისთავი. ზუსტად 40 წლის წინ, 1968 წელს დაამთავრეს თბილისის პირველი საშუალო სკოლა, თუმცა ბატონი ლევანის თქმით, დათო ყიფიანის ამბავი ცოტათი კურიოზული იყო — მათ სკოლაში 53-ე სკოლიდან მეორე კლასში გადასულა და მეცხრე კლასში კვლავ 53-ეს დაჰბრუნებია, ამიტომ დათოს ორი კლასი აქვს გამოცვლილი, მაგრამ მაინც განუყრელად სულ ერთად ვიყავითო, — დასძენს.

— მიუხედავად იმისა, რომ სტალინი მავზოლეუმიდან უკვე „გამოყვანილი“ ჰყავდათ, ჩვენს დროს პირველი საშუალო სკოლა ისევ ბელადის სახელობის იყო. მესამე-მეოთხე კლასში ვსწავლობდით, როცა სკოლას ეს წოდება „ჩამოართვეს“. ყველას ფორმა გვეცვა — ვაჟებს თბილისის ფაბრიკის შეკერილი ერთღილიანი ნაცრისფერი ან მოსკოვში შეკერილი. მე მოსკოვიდან ჩამომიტანეს და ძალიან ვამაყობდი ამით (*იცინის*). ისე, უფორმოდ სკოლაში ვერ მიხვიდოდი, ამას თავისებური დატვირთვა ჰქონდა — არავისგან არ უნდა გამორჩეულიყავი. თუმცა... დათო ყიფიანი როგორც ფეხბურთში გამოირჩეოდა, სკოლაშიც ყველასგან ყველაფრით გამორჩეული იყო. ერთმანეთს სკოლამდეც ვიცნობდით, რადგან ჩვენი მამები მეგობრობდნენ, მაგრამ სკოლაში შეხვედრამ ჩაგვახუტა და მას შემდეგ ერთმანეთს არ მოვცილებივართ.

— როგორი ბავშვები იყავით?

— ნუ მიწყენენ თანამედროვე ახალგაზრდები და მათგან განსხვავებით, ბევრ წიგნს ვკითხულობდით, ეს კარგ ტონად მიიჩნეოდა, თითქოს მოდური იყო.

— მოსწავლე დათო ყიფიანს როგორ დაახასიათებთ?

— ძალიან კარგად სწავლობდა, მაგრამ ამავე დროს, ძალიან ცელქიც იყო. სწორედ სიცელქის გამო გააგდეს ჩვენი სკოლიდან მეცხრე კლასში. მერე კიდევ, უყისმათო იყო, ყველაფერი მაგას ემართებოდა. მაგალითად, ვიღაცას „კისტის“ თოფი გაუვარდა და მაინცდამაინც დათოს მოხვდა თვალში, გუგაში. დედამისი თვალის ექიმი იყო, სასწრაფოდ საავადმყოფოში გააქანა და ძლივს გადაურჩინეს თვალი, თორემ ფეხბურთი უკან დარჩებოდა. საერთოდ, ფეხბურთი უზომოდ გვიყვარდა, ფეხბურთელები ლამის ღმერთებად მიგვაჩნდნენ, მათზე დაწერილი ლექსები ზეპირად ვიცოდით.

— დღევანდელ ლექსიკას გამოვიყენებ — რომელი გუნდის ფანები იყავით?

— ჩვენთვის ერთადერთი გუნდი არსებობდა — თბილისის „დინამო“. დათო დიდი ფეხბურთელი რომ გახდა და ჩემს შვილს გავაცანი, გაშეშებული, გაოგნებული უყურებდა და ბავშვობის დროინდელი განცდა გამახსენდა, როდესაც მამაჩემმა და ცხონებულმა გივი კარტოზიამ ჩვენთან შინ მიშა მესხი მოიყვანეს. გივი მამიდაჩემის — მომღერალ ნიაზ დიასამიძის ბებიის მეორე მეუღლე გახლდათ. ნიაზის მამა — თემურ დიასამიძე კი ჩემი მამიდაშვილიც იყო და კლასელიც, ერთ სახლში ვიზრდებოდით. თემური მიშას სტუმრობისას შინ არ იყო და ეს ამბავი რომ გაიგო, გაგიჟდა. მე კი, ეს ლეგენდად ქცეული კაცი ჩემს სახლში რომ დავინახე, დავმუნჯდი და ისე ცუდად გავხდი, სიცხემ ამიწია. წასვლისას მიშა მესხი დამპირდა, კიდევ მოვალო და ლამის ერთი წლის განმავლობაში ჭიშკარს თვალს არ ვაცილებდი, ველოდი, როდის შემოაღებდა კარს. ჩვენც, ბავშვებიც, დილიდან საღამომდე ფეხბურთს ვთამაშობდით. მე, რა თქმა უნდა, დათოს გუნდში ვიყავი, რადგან მისი გუნდი ყოველთვის იგებდა.

მოედანზე გაცემა უყვარდა, პასს არ დააყოვნებდა და ვინმეს მიაწვდიდა, არც არასდროს არავისი შეშურდებოდა

— ბატონი დათო კაპიტანი იყო?

— ყველაფერი იყო. კაპიტნობა რად უნდოდა, ყველას ატყუებდა და გოლი გაჰქონდა — ჩვენ გინდ ვყოფილიყავით მოედანზე, გინდ — არა. სულ ვჩიოდი, პასს არ მაძლევს-მეთქი, მაგრამ ანკი რატომ უნდა მოეცა პასი, უჩემოდაც ყველაფერს ბრწყინვალედ აკეთებდა (*იცინის*)! ვიღაცებს ენაძლევებოდა, ხუთ ფორას მოგცემთ, ექვსამდე ვითამაშოთ, მარცხენა ფეხით შევაგდებ ბურთსო. რა თქმა უნდა, სანაძლეოს ყოველთვის იგებდა. დიდ ფეხბურთში ძალიან გამოიცვალა, მოედანზე გაცემა უყვარდა, პასს არ დააყოვნებდა და ვინმეს მიაწვდიდა, არც არასდროს არავისი შეშურდებოდა. ბავშვობიდან როგორი ტიპი იყო, იცით? თუკი შენიშნავდა, რომ ვინმეს რამე არ ჰქონდა ან მისი ჩასაცმელი მოსწონდა, იმწამსვე გაიხ-



დათოს ულამაზესი კალიგრაფია ჰქონდა... ერთმანეთს ხშირად ვწერდით წერილებს

დიდა და მისცემდა: საათს, პერანგს, შარვალს, ფეხსაცმელს. კიდევ მახსენდება, რომ დათოს ულამაზესი კალიგრაფია ჰქონდა. იცით, რატომ დამამახსოვრდა ასე კარგად? ერთმანეთს ხშირად ვწერდით წერილებს.

— ვერ გვიჩვენებთ ამ წერილებს?

— სამწუხაროდ, არ შემინახავს. დღეს მხოლოდ ინტერნეტით წერენ წერილებს ან მესიჯებს გზავნიან. აბა, ჰკითხეთ რომელიმეს, თავისი მეგობრის ნაწერს თუ ამოიცნობს?

— თქვენს მასწავლებლებს არ გაიხსენებთ? ალბათ, ზოგიერთი ძალიან გიყვარდათ, ზოგი კი — პირიქით.

— საძულველს ვერც ერთს ვერ ვუწოდებ. პატარები რომ ვიყავით, ყველაფერი სხვაგვარად გვეჩვენებოდა, დღეს კი ამაზე მეცინება. მაშინ სკოლის დირექტორი — კიკვიძე, სტალინის დონის, ქვეყანაში ყველაზე დიდი კაცი მეგონა. მისი მოადგილე სევერიან ვაშაძე კი ყველას შიშის ზარს გვცემდა. ბატონ სევერიანს წლების შემდეგ რომ შევხვდი, აღმოვაჩინე, რომ ძალიან თბილი და მოსიყვარულე ადამიანი ყოფილა. როგორც ჩანს, მაშინ სკოლა, სტალინის ეპოქიდან გამოყოლილ შიშსა და დისციპლინაზე იყო აგებული. თუმცა ახალგაზრდა მასწავლებლებს სისხლს ვუშრობდით. მახსოვს, ინგლისურის მასწავლებლად ახალგაზრდა გოგონა შემოვიდა კლასში და ისე მოვიქეცით, ტირილამდე მივიყვანეთ. ახლა კი ვნანობ, მაგრამ მაშინ სად გვქონდა ამდენი ჭკუა! მაგალითად, ხომ გითხარით, დათო ძალიან ცელქობდა-მეთქი, თითქოს ჩარჩოებში ვერ ეტეოდა, ინდივიდუალისტი იყო. მეცხრე კლასში შუშა ჩაამტვრია თუ შტეფსელი დააზიანა და ამის გამო სკოლიდან გააგდეს. არადა, ახლა რომ ვუფიქრდები, ისეთი ნიჭიერი იყო, ნებისმიერ დარგში შეძლებდა წარმატების მიღწევას. იმდენად კარგად სწავლობდა, ოქროს მედლის აღებაც შეეძლო, მაგრამ არ მოისურვა. ფეხბურთზე სიარული ადრე დაიწყო, ჯერ კიდევ სკოლაში ვსწავლობდით, ის რომ ხელფასს იღებდა. იცით, როგორ ვამაყობდით მისი თამაშით?!. მახსოვს კიდევ, განსაკუთრებულად გვიხაროდა 7 ნოემბრისა და 1-ელი მაისის დადგომა, რადგან ამ დროს ჩვენს სახლთან, კიროვის ქუჩაზე ჩიხი იყო, ლენინის მოედნიდან მოყოლებული, ქუჩები იკეტებოდა და ჩვენ ველოსიპედით „საკატაოდ“ უზარმაზარი ტერიტორია გვითავისუფლდებოდა. ბედნიერებისგან ჭკუაზე არ ვიყავით, ღამის ვკასკადიორობდით კიდეც.

სხედან — ციფო გვინჩიძე; მე-5 — დავით ყიფიანი; მე-7 — თემურ დიასამიძე; დგანან — მე-2 — დავით ბექაური; მე-3 — ლევან ერისთავი

— აღლუმზე არ გამოჰყავდით?

— ცოტათი რომ წამოვიზარდეთ, კი. მახსოვს, ერთხელ პოლიტბიუროს წევრის, ვინმე შვერნიკის სურათი მარტოს მომქონდა. მერე, მგონი, სამი გამომყვა რაღაც საგანში, „დამაქვეითეს“ და უკვე პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის თუ ვიღაც მაგდაგვარის, ვინმე პოლიანსკის სურათი მომქონდა. თუ კოლექტიურად გვეკავა სურათი, ესე იგი, სამოსნები ვიყავით და ასე შემდეგ.

— ყიფიანს ალბათ, ყოველთვის ვინმე მაღალჩინოსნის სურათი მოჰქონდა, არა?

— დათო ყიფიანს არასდროს არაფერი მოჰქონდა, საერთოდ არ მახსენდება დემონსტრაციებზე. მაგ დროს ფეხბურთს თამაშობდა, სკოლაში კი ჯანმრთელობის ცნობა მოჰქონდა, თითქოს ფეხი იტკინა და ასე შემდეგ... ერთი რამ გამახსენდა კიდევ: ჩვენს სკოლაში თავშეყრის ორი ადგილი გვქონდა — სკოლის ტუალეტი და ბუფეტი. რატომღაც, მაინცდამაინც ტუალეტში ვიკრიბებოდით სიგარეტის მოსაწევად და... სამღერლად, ეტყობა, კარგი აკუსტიკა იყო (*იცინის*). პირველად ფილტრიანი სიგარეტი დათომ მოგვიტანა, მისი გემო დღესაც მახსოვს. არც ჩვენი ბუფეტის საჭმელების გემო მავიწყდება — არ ვიცი, ის დრო მომენატრა თუ მართლა ასეთი გემრიელი იყო ყველაფერი!.. მერე ნელ-ნელა სასიყვარულო თავგადასავლებიც დაგვეწყო. მე უფრო უმცროსკლასელებზე ვიყავი ორიენტირებული, დათო კი სკოლაში საერთოდ არ „მუშაობდა“ (*იცინის*).

— თქვენი გოგონები როგორები იყვნენ? თურმე, ცნობილი საოპერო მომღერალი — მაია თომაძე თქვენს კლასში სწავლობდა.

— მისი სიმღერა სკოლაში არასდროს გამიგონია, აი, ფეხბურთს კი ხშირად თამაშობდა ჩვენთან ერთად (*იცინის*). საკმაოდ ხალისიანი და აქტიური გოგო იყო, ძალიან ვმეგობრობდით. ცნობილი რეჟისორი ქეთინო ხარშილაძეც ჩვენი კლასელი იყო.

— პატარაობისას უფროსებს ან ერთმანეთს ოინებს არ უწყობდით?

— ოინებს როგორ არ ვუწყობდით! ერთი ამბავი გამახსენდა — ჩვენს კლასში სწავლობდა ციფო გვინჩიძე, გოგლა ლეონიძის შვილიშვილი. ყოფილი კიროვის, ახლანდელი ლეონიძის ქუ-



მხატვარ ვახტანგ გაბუნიას მეგობრული შარჟი

ჩაზე, დიდ ბინაში ცხოვრობდა. მეორე კლასში ვსწავლობდით, დაბადების დღეზე რომ დაგვპატიჟა მთელი კლასი. იმ დღეს გოგლა ბაბუაც ეწვია. ბავშვებმა ისეთი საშინელებები ჩავიდინეთ, ხან შეშა ჩავჭედეთ ტუალეტში, ხან პომიდვრების სროლა დავიწყეთ, ლამის მთელი სახლი დავამტვრიეთ (*იცინის*). ბატონი გოგლა გაგიჟდა — ეს ვინ იზრდებიან, ამათგან არაფერი გამოვაო! მერე კი დავჭკვიანდით, მაგრამ მას შემდეგ ბაბუა შვილიშვილის დაბადების დღეზე, ყოველ შემთხვევაში, ჩვენთან ერთად, აღარ გამოჩენილა. არადა, ისე კარგად დაგვამახსოვრდა ის დღე! მაგარი დრო გავატარეთ (*იცინის*)...

— მშობლებთან როგორი ურთიერთობა გქონდათ?

— მერვე კლასში ვიყავი, მამა რომ გარდამეცვალა და დათოს მამასთან — უფროს დავით ყიფიანთან ვმეგობრობდი. არა მარტო მე, დათოს მამა თითოეული ჩვენგანის მეგობარი იყო, მასთან ერთად ვქეიფობდით კიდეც, ვმღეროდით, ვილხენდით, ოღონდ... დათოს გარეშე. მის მიმართ დათო ბიძია განსაკუთრებულად მკაცრი იყო. ყიფიანებთან სკოლის პერიოდში იმ დროს ვქეიფობდით, როცა დათო ვარჯიშზე იყო. თუ შეაგვიანდებოდა, შემოსვლისთანავე მამა გაუწყრებოდა ხოლმე, — სად იყავი ამდენ ხანსო? იმ მომენტში დათო ვერ გვიტანდა, რადგან მამამისი ჩვენთან არ დასვამდა. კიდევ კარგად მახსოვს, ტყუილები უყვარდა, რა თქმა უნდა, უბოროტო ტყუილები. მაგალითად, რომ ვკითხავდი, რა გაქვს დალეული-მეთქი, მეტყოდა — კონიაკიო, არადა, არაყი ჰქონდა დალეული. არ ვიცი, ამას რატომ აკეთებდა. ერთხელ ჩემთან მოვიდა, მაშინ მამაჩემი ცოცხალი იყო და სახლში დარეკა. მამამისმა ჰკითხა, სად ხარო? ამან მოიტყუა, ზემელზე ვარო. დათო ბიძია მიუხვდა ტყუილს და უთხრა, აბა, თუ ზემელზე ხარ, დროს დავინიშნავ და ხუთ წუთში შინ იყავიო. დათომ ისკუპა ფანჯრიდან და გავარდა. მერე მამაჩემმა დაურეკა მამამისს, არ გაუბრაზდე, ჩვენთან იყოო, მაგრამ ის მაინც ბრაზობდა, — რატომ მატყუებსო (*იცინის*).

— თქვენი აზრით, რატომ ატყუებდა, შიშის გამო?

— არა მგონია, უბრალოდ, იტყუებოდა, თორემ საბოლოოდ ხომ მაინც თვითონ ზარალდებოდა! მერე კი ამან გადაუარა... ძალიან უბედო კაცი იყო... ბევრი დარტყმა მიიღო ცხოვრებაში — მამამისის სიკვდილიც კი თვითმფრინავში ყოფნისას გაიგო, გაზეთში წაიკითხა.

— ბევრი ამბობდა მასზე, მძიმე ხასიათი ჰქონდაო...

— იმდენი ცუდი რამ მოხდა მის ცხოვრებაში, ხასიათიც დაუმძიმა, თორემ ბავშვობაში რატომ იქნებოდა ცუდი? საამისო საბაბი არ ჰქონდა. ცოლიც ძალიან ადრე მოიყვანა, სკოლა ახალი დამთავრებული გვქონდა. ქეთინო — მისი თანაკლასელი 53-ე სკოლიდან ჩვენ მოვატაცებინეთ. ძალიან ბედნიერები ვიყავით და გვეგონა, მუდამ ასე იქნებოდა... ძალიან კარგი ბავშვები ვიყავით და გვქონდა ილუზია, რომ ეს ბავშვობა უსასრულოდ გაგრძელდებოდა. ჩვენი დროის დადგომასაც იმედიანად ველოდით, აგერ, თურმე, 40 წელიწადი გასულა, ჩვენი დრო კი არა და არ დადგა. ჩემს თაობას მე „დაკარგულ თაობას“ ვუწოდებ. ჩვენ საკუთარი თავის რეალიზაცია ვერ შევძელით, ადრე ვერ მოვასწარით, დღეს კი არავის ვჭირდებით. დათო გამოირჩეოდა და სანამ ცოცხალი იყო, კიდევ მაგის იმედი მქონდა, მაგრამ რაც ის გარდაიცვალა, დავრწმუნდი, რომ უფუნქციო თაობა ვართ. არადა, ამ ხალხმა შეიძლება კომპიუტერი არ იცის, სამაგიეროდ, მონტენი და მონტესკიე აქვს წაკითხული, ხვალ კომპიუტერი და ინგლისური ეცოდინებათ ისე, როგორც ჩვენ რუსული და მანქანის ტარება ვიცოდით. მაგრამ გეოლოგი აღარ ეყოლებათ, ინჟინერი და ქიმიკოსი. ხოლო როცა მათ საჭიროებას იგრძნობენ, ძალიან გვიან იქნება... ჩემს მოგონებებშიც სევდა ჭარბობს, ბევრი თანაკლასელი გარდაგვეცვალა და... განა შეკრებას ვერ მოვახერხებთ, მაგრამ ხალისი არ გვაქვს. ბოლოს 20 წლისთავი აღვნიშნეთ — ყველა ცოცხალი და ჯანმრთელი იყო. დღეს ზოგიერთს ალბათ, ვერც ვიცნობ.

— არ გაინტერესებთ მათი ნახვა?

— როგორ არ მაინტერესებს?! ისე, ვისთანაც განუყრელად ვმეგობრობ — დათო ბექაურს და თემურ დიასამიძეს ვგულისხმობ, — იმას გუშინაც შევხვდი და გუშინწინაც. დანარჩენებსაც სიამოვნებით შევხვდებოდი, მაგრამ... დათოს შეეძლო დღესასწაულების მოწყობა, ნაძალადევად კი დღესასწაული არ გამოვა. თუ შევიკრიბებით, რა თქმა უნდა, მოგონებებით დაიწყება: ეს გახსოვს? ის გახსოვს? ამას მოჰყვება: შენ რას შვრები? როგორ ცხოვრობ? მერე კი ვიკითხავთ, — როგორ ხარ? და დაიწყება, — ფეხი მტკივა, წელი მტკივა, შაქარი მაქვს... მერე დავთვრებით და ვეღარც ვიმღერებთ, რადგან ამის ხალისი არც ერთს აღარ გვექნება!.. ■

უჩვეულო პაციენტი

ტაივანური ანტინიკოტინური სარეკლამო პლაკატი

ტაივანის ერთ-ერთ სარეაბილიტაციო ცენტრს უჩვეულო პაციენტი — 4 წლის მწეველი ბიჭუნა მოევლინა. ნორჩი ტაივანელი და მისი 10 წლის ძმა მამას სიგარასა და სიგარეტებს რეგულარულად ჰპარავდნენ. მამამ, რომელიც თავადაც გამოუსწორებელი მწეველია, შვილებს დანაშაულზე წაასწრო და ბიჭები სარეაბილიტაციო ცენტრში მიიყვანა. ცენტრის სპეციალისტები მამას მკაცრად აკრიტიკებენ, რადგან იგი შვილებთან ერთად მხოლოდ ორ სამკურნალო სეანსს დაესწრო; ცენტრის თანამშრომელთა აზრით, მავნე ჩვევისგან ბავშვების დასახსნელად საუკეთესო გზა — პირადი მაგალითია! ■

მორიელის ხიმინი



დასაწყისი

სვეტა კვარაცხელია

დილის ათი საათი იქნებოდა, ზარის ხმა რომ გაისმა. ირაკლიმ თვალები გაახილა, საბანი სწრაფად გადაიხადა, ფეხები ჯერ შარვალში, მერე ფლოსტებში ჩაყო, კიბეზე ჩაირბინა და შემოსასვლელი კარი გამოაღო.

— გიო? — გაკვირვებულმა შეხედა ზღურბლზე მდგარ ოდნავ წვერმოშვებულ, გამხდარ და მაღალ კაცს, შემდეგ კი მის თანამგზავრს გადახედა. ქერათმიან და ცისფერთვალება უცნობს, რომელსაც ჩაცმულობაზე ეტყობოდა, რომ საკმაოდ შეძლებული იყო, პირველად ხედავდა.

— გამარჯობა, ირაკლი, როგორ ხარ? შენთან საქმე მაქვს. — ღიმილით მიესალმა გიო.

მასპინძელმა სტუმრები მისაღებში მიიპატიჟა, სასმელი შესთავაზა და თვითონაც იქვე ჩამოჯდა.

მოსულმა ირაკლის სიტუაცია აუხსნა. ცდილობდა, თავდაჯერებელი ყოფილიყო.

— ვწუხვარ, მაგრამ ტყუილად გარჯილხარ, მე ასეთებს არ ვიცნობ, — ფეხზე წამოდგომით მიმართა მასპინძელმა სტუმარს, როდესაც მისი თხოვნა მოისმინა.

— სხვა არც მინდა, მე შენ მინდა ამ საქმეს მიხედო.

— ხომ იცი, მე საქმეებს თავი დავანებე, უკვე დიდი ხანია.

— შენ ჩვენ გვჭირდები, შეშინებულია კაცი. ჰო, მართლა, გაიცანი, გურამ ბიწაძე, ბიზნესმენი, ალბათ გსმენია, ამ ბოლო დროს ბევრს წერენ მასზე.

— კი, რაღაც მსმენია, ის კი არ ვიცოდი, ბევრი მტერი თუ ჰყავდა.

— საკმარისი. უკვე ორი მანქანა აუფეთქეს და სახლში ოთხჯერ მიუცვივდნენ მოკვლის მიზნით. ახლა ამასაც არ დასჯერდნენ და ოჯახის წევრებზე მიიტანეს იერიში. ქალიშვილი ჰყავს, ანი, ოცდაერთი წლისაა, სტუდენტი, სამხატვრო აკადემიაში სწავლობს. ამას წინათ კი გურამის მეუღლეს დახვდნენ ქუჩაში, სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს. უკვე აღარ ვიცით, როგორ მოვიქცეთ, შენი იმედიღა გვაქვს.

— დევნის მიზეზი რა არის?

— წილების გადანაწილება, სხვა არაფერი.

— პოლიცია საქმის კურსშია? — დაინტერესდა ირაკლი.

— აზრი არა აქვს, მათი „კრიშა“ იქ ზის, სულ მაღლა. თუ ფაქტზე არ დავიჭირეთ, ისე ვერაფერს გავაწყობთ.

— მართალია, დაცვა უკვე მყავს, მაგრამ გიომ მითხრა, ერთიც ეყოფა, თუ პროფესიონალიაო, — ლაპარაკში გურამი ჩაერია და აშკარად გადაუხვია თემას...

წინადადება დამთავრებული არ ჰქონდა, რომ კარი გაიღო და გოგონა გამოჩნდა.

— უკაცრავად, მორიელო, არ ვიცოდი, თუ სტუმრები გყავდა. მოკლედ გეტყვი, ზეგ ჩემი დაბადების დღეა, გაგახსენე და არ დაგავიწყდეს, რასაც შემპირდი. მე კლუბში მივდივარ და ალბათ, გვიან დავბრუნდები, ნახვამდის. — სხაპასხუპით მიაყარა და სტუმრებს ყურადღებით გადახედა. მზერა გურამზე შეაჩერა და გაუღიმა, „ამ კაცში რაღაც არის“, თავისთვის გაიფიქრა და კარისკენ შეტრიალდა. ირაკლიმ შეაჩერა.

— ხომ გითხარი, მაგაზე ფიქრიც კი დაივიწყე-მეთქი, შენგან „ორდე“ არ გამოვა.

— რატომ, რა, ცუდად ვმუშაობ? კარგი ერთი. — გოგონამ ხელი ჩაიქნია და კარში გაუჩინარდა.

— რა ჯიუტია, ღმერთო ჩემო, ნამდვილი სასჯელია ასეთი ახლობელი, — თავი გააქნია ირაკლიმ.

— „ორდე“ რა არის? — ცნობისმოყვარედ იკითხა გურამმა.

— „ორდე“ ნიშნავს მცველ ქალს; აი, თითქმის იმას, ვისაც თქვენ ეძებთ.

— ქალი?! — სახეზე უსაზღვრო გაოცება აღებეჭდა გურამს.

— დიახ, და არ დავმალავ, რომ ისინი კაცებზე უკეთესადაც მუშაობენ.

— შენი ნათესავია?

— დისშვილია, ერთი კვირის წინ ჩამოვიდა მოსკოვიდან, იქ სწავლობს. ცოტა ხანს დარჩება. თავი მომაბეზრა, გინდა თუ არა, იარაღი მიყიდეო, შენსავით პირადი მცველი უნდა გავხდე, მოსკოვში ეს ერთობ საჭირო პროფესიაოო.

— შენ კი თქვი, ასეთებს არ ვიცნობო.

— მარი? თქვენი საქმისთვის? არა, რას ამბობ! ჯერ ერთი, დროებით არის ჩამოსული, მეორეც... ასეც რომ არ იყოს, საკუთარ დისშვილს ვერ გავწირავ, გამორიცხულია. მთლად ბავშვია, ამას არ დავუშვებ, მას მშვენიერი პროფესია აქვს, პირადი მცველობა მისი საქმე არ არის. — კატეგორიულად იუარა ირაკლიმ.

— მორიელს რატომ გეძახით? — კვლავ დაინტერესდა გურამი.

— ჩემი ზოდიაქოა, — გაიცინა ირაკლიმ. — მხარზე კი მორიელის ტატუ მაქვს ამოსვირინგებული. ამის გამო არა მარტო ის, სხვებიც მეძახიან.

— აბა? რა ვქნათ, ბატონო მორიელო? — თვალები მოჭუტა გიომ.

— ვიფიქრებ და საღამოს დაგირეკავ. ცოტა არ იყოს, ჩემს ასაკში ძნელი იქნება ძველი პროფესიის გახსენება, ჩვეულ ფორმაში არა ვარ.

— კარგი, რა, არ გიხდება ეგრე ლაპარაკი. კაცი ავღანეთში იბრძოდი, მერე ლამის განგსტერის სახელი გქონდა გავარდნილი მთელ რუსეთში და ახლა გაიძახი...

— ეჰ, ჩემო გიო, მაშინ ახალგაზრდა ვიყავი, ახლა კი... ერთი სიტყვით, საღამოს დაგირეკავ და პასუხსაც გეტყვით.

— უარს არ მივიღებ, იცოდე, — თითი დაუქნია ხუმრობით გიომ.

— ვნახოთ, ვნახოთ... პრინციპში, ასეთი ადამიანის დაცვა ნამდვილად ღირს.

— ჩემსას არა, ჩემი ქალიშვილის დაცვას გთხოვთ... მე სამ დღეში ერთი წლით მივემგზავრები მეუღლესთან ერთად შტატებში. თაკო ვერ მიმყავს. ჯერ ერთი, სწავლობს, ოცდაერთი წლისაა, მეორეც, თავადაც არ უნდა წამოსვლა. ჩემს მეუღლეს ვერა და ვერ შეეგუა.

— რას ნიშნავს, ვერ შეეგუა? — ცალი წარბი აზიდა ირაკლიმ. — რაღაც ვერ გავიგე.

— იცით, ის პირველ ცოლთან შემეძინა. სალომე კი... სულ ერთი წელია, რაც დავქორწინდით. — უხერხულად შეიშმუშნა გურამი.

— ა-ა-ა! გასაგებია, ასე გეთქვათ, თქვე კაი ხალხო, — ხელები გაშალა ირაკლიმ. — ო! ეს ცოტათი ართულებს საქმეს, პატარა გოგონები არასდროს დამიცავს.

— ჰოდა, ახლა დაიცავ, ძმაო, შენ მაგარი ხარ, მე ხომ ვიცი! — წამოიძახა მხიარულად გიომ და მხარზე ძმაკაცურად დაჰკრა ხელი. — ძალიან გთხოვ, უარი არ მითხრა, ჩვენი ძველი მეგობრობის ხათრით.

— ჰმ, — ჩაიცინა ირაკლიმ. — რა გაეწყობა, მაჯობე. ოღონდ ორი დღე უნდა მაცალოთ, ბავშვს დაბადების დღე აქვს და მერე თქვენს განკარგულებაში ვიქნები. მოკლედ... ხვალ მოვალ ასე, სამი საათისთვის და ყველაფერზე შევთანხმდეთ.

— ასე, შე კაცო! ჯიგარი ხარ. ვიცოდი, რომ დამთანხმდებოდი, — გაუხარდა გიოს და წამოდგა, — დიდი მადლობა, მეგობარო, ამას არ დაგივიწყებ.

— შენ გამო ნამდვილად არ ვაკეთებ, გიო, არ გეწყინოს. რახან იმ გოგოს დედა არ ჰყავს და მამაც ასე შორს მიემგზავრება, კრიტიკულ მომენტში მარტო ხომ არ დავტოვებ. ბოლოს და ბოლოს, თითქმის ჩემი დისშვილის ტოლია.

— რა უნდა მეწყინოს, თუ ძმა ხარ! მადლობელი ვარ შენი. ჩვენ ყველაფრით დაგეხმარებით. ხვალ თანხასაც მიიღებ ავანსის სახით. აბა, ხვალამდე. — მამაკაცებმა ხელი ჩამოართვეს მასპინძელს, დაემშვიდობნენ და წავიდნენ.

ირაკლიმ თვალი გააყოლა მიმავალთ, მერე კარი გადაკეტა, ფანჯარას მიუახლოვდა და ღრმად ჩაფიქრდა.

კარი გაიღო. მარი ჩანთაჩამოშვებული შემოვიდა ჰოლში და დაბღვერილმა პირდაპირ საძინებელს მიაშურა. ირაკლი მიხვდა, რომ დისშვილი ცუდ ხასიათზე იყო. უკან მიჰყვა.

— მე კარგი ამბავი მაქვს, — ოთახში შესვლისთანავე უთხრა და საწოლის კიდეზე ჩამოუჯდა. მარი პირქვე იწვა.

— მე კიდევ — ცუდი, — თავი წამოსწია დანაღვლიანებულმა. — გუგა ვერ მოდის ჩემს დაბადების დღეზე, გასვლითი თამაში აქვს და...

— სამაგიეროდ, მე მაქვს კარგი ამბავი, ერთი საქმე შემომთავაზეს, — ფეხზე წამოდგა ირაკლი. — კარგ საჩუქარს გიმზადებ. გრანდიოზულ დაბადების დღეს გადაიხდი.

— მართლა? რა საქმეა ასეთი? — საწოლზე წამოჯდა თვალებგაბრწყინებული მარი...

— შენნაირი მეტიჩარა უნდა დავიცვა ბოროტი ძიებისგან, — თავზე ხელი გადაუსვა ბიძამ.

თაკო კაფეში მარტო იჯდა და ყავას სვამდა. მოულოდნელად თავში იდეა მოუვიდა. ჩანთიდან ბლოკნოტი და კალამი ამოიღო, ყავის ფინჯანი გვერდზე გასწია და კაბის ესკიზის ხატვას შეუდგა. გამუდმებით იმაზე ოცნებობდა, რომ დაამთავრებდა თუ არა სამხატვრო აკადემიას, მის ნიჭს დააფასებდნენ და რომელიმე სერიოზულ მოდელიერთან მოხვდებოდა

სამუშაოდ, მაგალითად, ლადო ბოდაველთან.

ამ დროს ზურგიდან ჩრდილი დაეცა. ვიღაცამ უკანიდან მის ბლოკნოტს ცნობისმოყვარედ ჩახედა. თაკომ გაკვირვებით ახედა არამკითხე უცნობს, რომელსაც ხელში ანანასის წვენით სავსე ჭიქა ეჭირა.

— ვა, რა მაგარია! — თქვა მან. — განსაკუთრებით ეს პარალელური ხაზები. — მამაკაცმა წვენიანი ჭიქა ანის თავს ზემოთ ასწია და საჩვენებელი თითი ბლოკნოტისკენ მიმართა, ჭიქა ანაზდად გადაიხარა და წვენის ერთი წვეთი გოგონას ლოყაზე დაეცა. — შლაპა, ლიფი, შემდეგ ერთმანეთზე გადადებული ქსოვილი. აღბათ, ეს ადგილი ქინძისთავით უნდა დამაგრდეს, რომ ქარმა არ ააფრიალოს, არა? მართალი ვარ?

გოგონა გაოგნდა. ეს რა ხდება? ის სრულიად შემთხვევით ზის ერთ უბრალო კაფეში და ესკიზებს ხატავს... ამ დროს მასთან სრულიად შემთხვევით მიდის ამ ადგილას სრულიად შემთხვევით მოხვედრილი ვიღაც მოდელიერი და მის ნამუშევარს აქებს? მოდელიერი, რომელთანაც სამი წელია, ვერ მოხვდა მამის სიჯიუტის წყალობით? ნუთუ მართლა ასეა? არა, არ სჯერა თაკოს, ასე არ ხდება, ეს ხომ ზღაპარი არ არის, ეს ცხოვრებაა, რეალური ცხოვრება!

— იცით, რა დაარქვათ თქვენს მოდელს? „ქარწაღებულნი“. — გაიღიმა უცნობმა და უხეში სახე გაუკეთილშობილდა.

გოგონამ პირდაპირ გადაწყვიტა „იერიშის“ მიტანა.

— თქვენ მოდელიერი ხართ?

— არა.

აი, ხომ ხედავთ, არაო. მართალია, არ არის მოდელიერი. ხომ გაიფიქრა წეღან, ასეთი რამეები არ ხდებაო.

— მაგრამ ამ სფეროში ერკვევით, არა? — ირონიული ტონით ჩაეძია თაკო, თუმცა გულში მაინც იტოვებდა იმედის ნაპერწკალს, რომ ასე იქნებოდა.

— სამწუხაროდ, „გაგნებაში“ არა ვარ, — გაისმა მის თავს ზემოთ. — უბრალოდ, ჩემი ყოფილი საყვარელი, მანეკენი იყო, ამიტომ რაღაც-რაღაცები ვიცი. თქვენი ესკიზები კი ძალიან მომწონს. პროფესიონალსაც მოეწონება, დარწმუნებული ვარ. გულწრფელად გეუბნებით.

როგორც იქნა, მათ ერთმანეთს შეხედეს. თაკომ თავს ზემოთ კიდევ ერთხელ აიხედა, უცნობი კი მისკენ დაიხარა. გოგონას კისრის კუნთები დაეჭიმა და ეტკინა. როგორც ჩანს, ზედმეტად მოუვიდა თავის გადახრა. თითქოს მიხვდაო, უცნობი მის ზურგს მოშორდა და წინიდან მოუარა. კვლავ შეხედეს ერთმანეთს. მამაკაცი დაახლოებით ორმოცი წლის იქნებოდა, სიმპათიური, მკაცრი ნაკვთებით, შავგვრემანი, ნაცრისფერი თვალებით. ლურჯი, სახელოებაკაპიწებული პერანგი ეცვა და ჯინსის შარვალი. კუნთები ბატიბუტივით ეყარა მკლავებზე. „გადამდგარი“ სპორტსმენის შთაბეჭდილებას ტოვებდა. თაკო კი... თაკო მშვენიერების განსახიერება იყო, გამხდარი, მაღალი, ქერა თმით, შავი თვალებით, გრძელი ფეხებით, მკვრივი მკერდითა და წვრილი წელით. თმა ცხენის კუდივით ჰქონდა უკან შეკრული. ეს კიდევ უფრო ბავშვურ იერს აძლევდა. მამაკაცმა მის თვალებში ადვილად ამოიკითხა ტკივილიც და სევდაც, საოცრად მეტყველი თვალები ჰქონდა გოგონას.

მიუხედავად დაუდევარი ჩაცმულობისა, უცნობის ტანსაცმელი ხარისხიანი იყო, სოლიდური ფირმის, ეს გოგონას მხედველობიდან არ გამოჰპარვია. მამაკაცი თავდაჯერებული ჩანდა. ასე საკუთარ თავში დარწმუნებული ადამიანები ან მთლად სულელები არიან, ან ისეთები, ყველაფერს რომ მიაღწიეს ცხოვრებაში, კომპლექსებისგან გათავისუფლებული მდი-

დარი ბიძები. „სულელს ნამდვილად არ ჰგავს, უფრო ალბათ, მეორე ვარიანტია“, — გაიფიქრა თაკომ და შეუმჩნევლად ჩაიღიმა.

მამაკაცი მის წინ მოკალათდა. თაკომ ყურადღებით შეათვალიერა. უცნაური არსებები, ნამდვილი ჭინკები უთამაშებდა მამაკაცს თვალებში. სწორედ ამ ჭინკებმა დააინტრიგა.

— გული დაგწყდათ, არა? მე კი, არ დაგიმალავთ და, მიხარია, რომ ასეა, თორემ ვინ იცის... — გამოაცხადა უცნობმა და ეშმაკურად შეხედა.

— რა თორემ? — ვერ მიუხვდა თაკო.

— გამეპრანჭებოდით, — ორივე მხარი ერთდროულად ასწია მამაკაცმა.

„რა თავხედია, ამას ვინ ვგონივარ!“ გოგონას სახე აელეწა შეურაცხყოფისაგან, თუმცა პასუხი არ გაუცია, მხოლოდ წარბები შეკრა.

მამაკაცმა წვენი მოსვა.

— მგონი, გაგანაწყენეთ... — ღიმილით თქვა მან და თაკოსკენ გადაიხარა.

— თქვენ... თქვენ... უბრალოდ, თავხედი ხართ. — ვეღარ მოითმინა და პირში მიახალა უცნობს, თან გამალებით დებდა ბლოკნოტს და კალამს ჩანთაში.

მამაკაცმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

— გეთანხმები. არ გინდა, შენი ტელეფონის ნომერი მომცე? — მოულოდნელად გაუშინაურდა უცნობი.

თაკო დაიბნა. რა უცნაური ტიპია, რას გადაეკიდა?

— თუ ჯერ შეურაცხმყოფელ სიტყვებს ამჯობინებ?

— თქვენ ასეთი სიტყვები უკვე გამოიყენეთ... ჩემი მისამართით. — ცივად უპასუხა გოგონამ.

— რას ამბობ, მართლა? ცდები, პატარავ. ჩემი რა ბრალია, როცა ცხოვრებაა ასეთი?! განა შენნაირი გოგონები არ წვანან კარიერის გულისთვის მდიდარ კაცებთან? მე, უბრალოდ, ფაქტის კონსტატირება მოვახდინე, მეტი არაფერი.

თაკომ არ იცოდა, რა ეპასუხა. რატომ ელაპარაკება ასე? სულაც არ აპირებს, კისერზე ჩამოეკიდოს მას. მერე რა, თუ ზოგიერთები ასე აკეთებენ, თაკო ხომ „ზოგიერთი“ არ არის, მას ფული არ აკლია და თუ მოინდომა, კარიერასაც მშვენივრად აიწყობს მამამისის წყალობით. ამან რა იცის, თაკო ვინ არის?!.

— დიდი ხანია, შენს ზურგს ვაკვირდები და ძალიან მომწონს. ახლა შენს სახეს ვუყურებ და უნდა გამოგიტყდე, რომ აღფრთოვანებული ვარ. არა, არ იფიქრო, რომ „გაბამ“, არ ვაპირებ და არც დავაპირებ. ჯენტლმენის სიტყვას გაძლევ, არასდროს, არასდროს მოვინდომებ ამას. უბრალოდ, მინდა, ერთმანეთს ვიცნობდეთ. ამიტომ, ახლა გავცვალოთ ტელეფონის ნომრები, მერე კი პაემანი დავთქვათ და კიდევ ერთხელ შევხვდეთ ერთმანეთს.

— რისთვის? — მშვიდი ხმით იკითხა გოგონამ — და საერთოდ, ვინ ხართ თქვენ?

— აჰა, როგორც ვხედავ, შენ უკვე იწყებ ჩემს გაცნობას. ძალიან კარგი, დიდი სიამოვნებით წარმოგიდგები: ირაკლი მეუნარგია, მეტსახელად მორიელი. პატარა კონკიას ვახლავარ. — თქვა მამაკაცმა და მარჯვენა მკლავზე სახელო კიდევ უფრო აიკაპიწა.

თაკომ თავი ასწია. ახალგამოჩეკილი ნაცნობის მხარზე სვირინგი შენიშნა... მორიელის გამოსახულებით.

ბანალური გაცნობა იყო.

— აბა, რას იტყვი, ვცვლით ნომრებს თუ არა? — არ ეშვებოდა მამაკაცი.

— მე არა მაქვს ტელეფონი, — იცრუა თაკომ.

— ანუ ცხოვრობ სადღაც კონიაკის დასახლებაში ან გლდანის მეშვიდე მიკრორაიონში, რომელიღაც ერთ საკანივით ბნელ ოთახში, რომელიც შინაბერა დედაბერმა მოგაქირავა... ფული არ გაქვს, არც სამსახური, მამაკაცი არ გყავს და არც ტელეფონი მოგეპოვება. იქნებ, ჩაწერილიც არ ხარ თბილისში? — ირაკლი გამომცდელად მისჩერებოდა გოგონას. ჭინკები ერთმანეთის მიყოლებით დახტოდნენ მის თვალებში. რომ არა ისინი, თაკო კარგა ხნის წინ მოიშორებდა ამ ვიგინდარას თავიდან.

— ვარ და ვეძისში ვცხოვრობ, ბოლოში...

— გმადლობ, დაკონკრეტებისთვის. თუმცა ეს არაფერს ცვლის, შენ ნამდვილი კონკია ხარ, რომელსაც დაცვა სჭირდება. არ გინდა, დაგიცვა?

— თქვენ... თქვენ მამაჩემის მტერი ხართ? — გაფითრდა უეცრად თაკო.

— მტერი? მამაშენის? ღმერთმა დამიფაროს! მამაშენს სულ არ ვიცნობ და სურვილიც არ მაქვს, გავიცნო. — სიცილი აუტყდა უცნობს.

როგორც ჩანს, მოგზავნილია, თორემ ეს გაცნობის რა მეთოდია? ძველმოდური, გოიმური, მას სულაც არ ხიბლავს ასეთი სვლები, თანამედროვე ბიჭები მოსწონს, უფრო ზრდილობიანები და უფრო დახვეწილები. დროზე უნდა წავიდეს, რამე ხიფათს არ გადაეყაროს.

— იცი, რა? ზღაპრები ხომ წაგიკითხავს? გინახავს ოდესმე მოძალადე პრინცი? ისინი ყოველთვის კეთილშობილები არიან.

— თქვენ გგონიათ, რომ პრინცი ხართ?

— ამ შემთხვევაში, კი.

— ძალიან თავდაჯერებული ხართ.

— ჰო, დიდი წარმოდგენა მაქვს საკუთარ თავზე, მაგრამ სრულიად დამსახურებულად, — ღიმილი არ შორდებოდა ირაკლის სახიდან.

თაკოს უკვე აღიზიანებდა მისი ტონი.

— და კონკიებს ეძებთ, არა?

— ჰო, ერთი შენნაირი უკვე მყავს სახლში.

— მერე? არ გრცხვენიათ, ქალიშვილის ტოლა გოგოს ასე რომ ელაპარაკებით?

— როგორ, ასე? — გაიღიმა მამაკაცმა.

— როგორ და... — თაკო დაიბნა.

— არ გაქვს პასუხი ამ კითხვაზე? გამოდის, რომ სულაც არა ვარ თავხედი და უზრდელი.

— მაშინ ისღა დაგრჩენიათ, ჩემი ფეხის ზომა იკითხოთ.

— ისედაც ვიცი — ოცდაჩვიდმეტ-ნახევარი. ჩემი საყვარელი ზომა.

— ოცდათექვსმეტი რომ აღმოჩნდეს?

— შენი სიმაღლის გოგოს არაფრით ექნება ოცდათექვსმეტი, მაშინ გამოდის, რომ უპროპორციო ყოფილხარ. მე კი ძალიან არ მინდა, ასე იყოს.

მამაკაცის თვალებში ჭინკები სიცილით კვდებოდნენ, არადა, უცნობს სახეზე სრულიად სერიოზული გამომეტყველება აღბეჭდვოდა, — ამასთან, ერთი წყვილი კარგი იტალიური ფეხსაცმელი მაქვს შენთვის მომზადებული საჩუქრად, ზუსტად ოცდაჩვიმეტ-ნახევარი.

— ყოფილი საყვარლისგან დაგრჩათ? — უკბინა თაკომ და დამცინავად შეხედა.

— მანეკენისგან? რას ამბობ, პატარავ, მას ორმოცდაერთი ზომის ფეხი ჰქონდა. არა, იმის წინა საყვარლისგან, ოღონდ არ სცმია, დამიჯერე. მანამდე დავშორდით, ვიდრე ვაჩუქებდი. სულ ახალია.

— მე წავედი, — გოგონა წამოდგა და წასასვლელად გაემზადა.

— მოიცა, ჯერ არ დამიმთავრებია. ჩემი ტელეფონის ნომერს მოგცემ, კარგი?

— არ მჭირდება, თქვენთვის დაიტოვეთ.

— მამაშენის მტრებს მართლა არ ვიცნობ, თაკო, გეფიცები, — თქვა მოულოდნელად უცნობმა.

გაგიჟდა თაკო, საიდან იცის მისი სახელი? მართლა მის მოსაკლავად გამოგზავნეს? მერედა, რას უცდის? მკვლელები ასე არ იქცევიან, ისინი უცებ ასრულებენ

დავალებას. ვინ არის? რა უნდა?

— ვინ ხართ? — გოგონამ ჩანთა მხარზე გადაიკიდა და თვალები დააკვესა.

— კარგი, კარგი, გვეყოფა ეს კომედია. მამაშენის მეგობარი ვარ, მთხოვა, შენთვის თვალყური მედევნებინა.

— აჰა, მაკონტროლებს, არა? — უფრო გაბრაზდა თაკო. — ურჩევნია, თავისი „სტერვა“ გააკონტროლოს. მისნაირებს ერჩიან და არა — ჩემნაირებს.

— დაჯექი ერთი წუთით, სალაპარაკო მაქვს; დამშვიდდი, რა საჭიროა ასეთი ლაპარაკი? — ირაკლი წინ გადაიხარა და მაჯაში ჩაავლო ხელი. — დაჯექი, დაჯექი, მოასწრებ შინ წასვლას. არ გშია? გინდა, რამე შევუკვეთო?

— გმადლობ, არ მინდა. უნდა წავიდე.

მამაკაცს წინააღმდეგობა არ გაუწევია, თვითონაც წამოდგა და თითები ერთმანეთში გადახლართა.

— შენი ნებაა, წადი, მაგრამ დაიმახსოვრე, ჩვენ კიდევ მოგვიწევს შეხვედრა და მაშინ უკვე ვერ გამექცევი.

— მანიაკი ხართ, ნამდვილი მანიაკი, — ზიზღით წამოიძახა გოგონამ და ცივად გატრიალდა.

ირაკლის გაეღიმა, თავი დახარა და თმაში შეიცურა მარცხენა ხელი.

ზუსტად სამ საათზე ირაკლი გურამის სახლში გამოცხადდა. საუბარი თითქმის ერთ საათს გაგრძელდა. მოილაპარაკეს და საბოლოოდ შეთანხმდნენ. გურამის ჩამოსვლამდე ირაკლი თაკოს პირადი მცველი იქნებოდა. ამისთვის მას ყოველი თვის ბოლოს სოლიდურ თანხას გადაუხდიდნენ. თანხის გადაცემაზე გიო იზრუნებდა.

— სხვათა შორის, არა მგონია, საკმარისად ზრუნავდეთ თქვენს ქალიშვილზე, — თქვა ბოლოს ირაკლიმ და გურამს თვალი თვალში გამომცდელად გაუყარა.

— რას ნიშნავს საკმარისად?

— იმას, რომ გოგონა მარტო დაეხეტება ქალაქში, არავინ დაჰყვება. ხომ შეიძლება, სწორედ ამ დროს დაესხას ვინმე თავს?

— მას ჩემი ბიჭები შორიახლო დაჰყვებიან, — დაიბნა ბიზნესმენი.

— მეეჭვება. ზუსტად ორი საათის წინ თქვენი ქალიშვილი კაფეში გავიცანი, ზომაზე მეტად თავხედურად მივაჭერი და მის თვალში გარეწარი ადამიანის შთაბეჭდილება დავტოვე. სამწუხაროდ, არავინ გამოჰქომაგებია.

— როგორ, ბიჭები იქ არ იყვნენ? გიო! — აჭარხლებული გურამი გიოს მიუბრუნდა.

ამ უკანასკნელმა ხელები შეატყუპა, თვალები დახარა, საჭირო სიტყვებს ეძებდა, რომ თავი ემართლებინა.

— გოგი ქორწილში წავიდა, პაპუნამ კი — დღის მეორე ნახევარში მოვალო. სხვა არავინ იყო, რა უნდა მექნა? მე აქ მოვდიოდი ირაკლისთან შესახვედრად.

— რას ჰგავს ეს, გიო, არ გრცხვენია? არ იცი, რა ხდება, თუ თავს ისულელებ? ბავშვს რომ რამე მოსვლოდა, ხომ იცი, რომ თავს წაგაცლიდი?

— მაპატიე, შეფ.

— დაისჯები ამისთვის, დაიმახსოვრე, — თითი დაუქნია გურამმა პარტნიორს.

— ახლა სად არის „ბავშვი“? — ირონიით იკითხა ირაკლიმ, რათა სიტუაცია განემუხტა.

— თავის ოთახშია, სად იქნება? კიდევ კარგი, არაფერი დაუშავდა.

— იქნებ გამაცნოთ?

— აკი გავიცანიო? — გაიკვირვა ბიზნესმენმა.

— მან ხომ არ იცოდა, ვინ ვიყავი... ისე, მინდა გითხრათ, რომ საუცხოო ქალიშვილი გყავთ, ჭკვიანი, ლამაზი, გონიერი და ფრთხილი, რაც მთავარია.

— გმადლობთ, გმადლობთ. ეს ყველაფერი დედამისის დამსახურებაა. ის იყო ასეთი. ბარბალე! თაკოს უთხარი, ჩამოვიდეს! — გასძახა გურამმა, სამზარეულოში მოფუსფუსე მოსამსახურეს. — ჩვენ კი თითო ჭიქა მარტინი მოგვიტანე. მაგარი მარტინი მაქვს. — მერე ირაკლის მიუბრუნდა ოჯახის უფროსი.

— ეჭვიც არ მეპარება, — გაუღიმა ირაკლიმ.

— ახლავე, ბატონო გურამ, — ხანში შესული ქალი ახალგაზრდული ნაბიჯებით აუყვა მეორე სართულზე ამავალ კიბეს.

მამაკაცებმა მოსამსახურეს თვალი გააყოლეს.

— ორი წელია, ჩვენთან მუშაობს, არაჩვეულებრივი ადამიანია, — თქვა გურამმა. — უერთგულესი.

— მერედა, ვინ მოგიძებნა? — ამაყად განაცხადა გიომ.

— შენ ეგეთები არ გეშლება, ჩემო გიო, მაგრამ ხანდახან იჭრები რაღაცრაღაცებში.

— დამნაშავე ვარ, მაპატიე, — ხელები გაშალა გიომ.

— რა გამიჭირეთ საქმე, ჩემს გემოზე ვერ დამისვენია, ახლა რაღა გინდათ? — ბუზღუნით ჩამოირბინა საფეხურები პეპისავით ნაწნავებსა და ჭრელ ბრიჯში გამოწყობილმა თაკომ და უკმაყოფილო სახით მიუახლოვდა მამაკაცებს.

— გაიცანი, შენი პირადი მცველი, ბატონი ირაკლი მეუნარგია, — თქვა გურამმა.

ის იყო, თაკო რაღაცის თქმას აპირებდა, რომ თვალებგაფართოებულს სათქმელი პირზე შეაშრა.

— თქვე-ენ?

ირაკლი წამოდგა, გოგონას ხელი ჩამოართვა და გაუცინა.

— თაკო, ბოდიშს გიხდით იმ სპექტაკლისთვის, მაგრამ იმედია, გამიგებთ, — დარცხვენით წარმოთქვა მამაკაცმა.

თაკომ თვალები წუპაკი დედაკაცივით მოწკურა და კბილებში გამოცრა:

— ნამდვილი მორიელი ხართ, შხამიანი მორიელი, — მერე მამას მიუბრუნდა: — უფრო ახალგაზრდა ვერავინ გამონახეთ? როგორც ვხედავ, მოსაწყენი ცხოვრება მელის. — ამოიოხრა, ხელები გადააჯვარედინა და ნიშნის მოგებით გადახედა პირად მცველს.

ირაკლიმ ნაძალადევად გაიღიმა, წარბზე გადაისვა ხელი და ირიბად გახედა გოგონას.

— მწარე რეალობაა, მაგრამ დროებით მოგიწევთ ჩემი ატანა. როგორც ვხედავ, დრო არ იცდის, ამიტომ საქმეს ხვალიდანვე შევუდგები. — გაბზარული ხმით თქვა და წამოდგა. — მოხარული ვარ, რომ გაგიცანით. ახლა კი წავალ, მოვემზადები.

— ეს — დასაწყისისთვის, — გურამმა გულის ჯიბიდან გრძელი, ვარდისფერი კონვერტი ამოიღო და ირაკლის გაუწოდა. — აქ ათასი ლარია.

— გასაგებია. აბა, კარგად მეყოლეთ, — თავი დაუკრა ოთახში მყოფთ, თაკოს ამრეზით გახედა, აქაოდა, ხვალიდან სეირს გიჩვენებო და გასასვლელისკენ გაემართა. გიო უკან მიჰყვა.

ერთი სიტყვით, ყველაფერი გადაწყდა. ირაკლი გურამის სახლში გადავიდოდა დროებით. მარიმ საიუბილეოდ, ბიზნესმენისგან საჩუქარიც კი მიიღო — ლამაზი ყუთი ლაპლაპა რევოლვერით. ირაკლი ძალიან გაბრაზდა, მაგრამ რას გააწყობდა?! თავად, დისშვილს სამასი ლარი ჩაუთვალა, როგორც გაგიხარდება, ისე გაატარე დაბადების დღეო და დილითვე გაეშურა ბიწაძეების მშვენიერი ორსართულიანი სახლისკენ, რომელიც მართლა ვეძისის დასახლებაში, უბნის ბოლოში მდებარეობდა. თაკოს არ მოუტყუებია ირაკლი. კარი ბარბალემ გაუღო.

— მობრძანდით, — მიესალმა მოსამსახურე. — ბატონი გურამი ბაღში სეირნობს. თქვენს ოთახს გიჩვენებთ. ნახევარ საათში კი საუზმეზე ჩამობრძანდით.

ქალმა ირაკლი მეორე სართულზე აიყვანა, მისი ოთახი გურამის საძინებლის პირდაპირ მდებარეობდა. ოთახში შევიდა და საწოლზე გადაწვა. ჭერს შეხედა, მერე აქეთ-იქით გაიხედა. ფართო ფანჯრიდან ცხენის ჭიხვინი შემოესმა. პატარა ბიჭივით წამოხტა, ფანჯარა გამოაღო და ეზოს გადახედა. თეთრი ცხენი მსუბუქად მიაჯირითებდა მხედარს. ირაკლიმ ღიმილით იცნო, ეს თაკო იყო, რომელიც ლურჯი ფილებით მოპირკეთებულ აუზს მიუახლოვდა და ცხენი ვიღაც ახმახ მამაკაცს გადააბარა. ირაკლი შემობრუნდა, თავისი ჩანთა საწოლის ქვეშ შეაცურა, ჟილეტი გაიხადა, სკამზე მიაგდო და დაბლა ჩავიდა. ჰოლში გურამი შეეჩეხა.

— გამარჯობა, ირაკლი!

— გაგიმარჯოს! — საქმიანად ჩამოართვეს ხელი ერთმანეთს.

— რითი დაიწყებთ? — მრავალმნიშვნელოვნად ჰკითხა გურამმა.

— ჯერ აქაურობა და აქაურები უნდა გავიცნო, — ასევე მრავალმნიშვნელოვნად უპასუხა ირაკლიმ და ორივენი სასადილო ოთახში გავიდნენ. სუფრა უკვე გაეწყოთ.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ეროვნების საკითხიერ

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი.

1. ტიბეტელ დიდებულ ქალბატონს ყოველთვის თან ახლდა ქალიშვილების ამალა. სტუმრად ყოფნისას ქალიშვილები ტანსაცმელს რამდენჯერმე იცვლიდნენ. რისი დემონსტრირება ხდებოდა ამით?

2. დაასრულეთ ოვიდიუსის სიტყვები: „ქალთა უმრავლესობა თეატრალურ სანახაობებზე მხოლოდ იმიტომ დადის, რომ...“

3. დაასახელეთ გალაკტიონის ლექსი, რომელსაც თუკი შუაზე, ვერტიკალურად გავყოფთ, თითოეული ნახევარი ცალკე ლექსად წაიკითხება.

4. რას ეძახდნენ მეორენაირად წყალჯომარდობის დარბაზს?

5. ჭაკი ცხენისა და მამალი ვირის ნაჯვარს ჯორი ჰქვია. რა ჰქვია ულაყისა და დედალი ვირის ნაჯვარს?

6. „ეს არის ფითილი, რომლის ერთ მხარეს ცეცხლია, ხოლო მეორე მხარეს — სულელი“, — რის შესახებ ამბობდა ამას ბერნარდ შოუ?

7. ლენინგრადში, 1925 წელს ყველა შენობა, გარდა ორი სახლისა, სახელმწიფოს კუთვნილება იყო. ერთი მათგანი აკადემიკოს ბეხტერევს ეკუთვნოდა. ვის ეკუთვნოდა მეორე?

8. ვინ იხდის ჩინეთში სიკვდილმისჯილის დასახვრეტად განკუთვნილი ტყვიის საფასურს?

9. რომელ სახელმწიფოს ეკუთვნის კუნძული მადეირა?

10. ამ პოემაზე მუშაობისას, ალექსანდრე პუშკინი ისე აღფრთოვანდა საკუთარი თავით, რომ შესძახა: „აიდა, პუშკინ!.. აიდა, სუკინ სინ!!!“ რომელ პოემას წერდა პოეტი?

11. გერმანელმა ეგვიპტოლოგმა — ლუდვიგ ბარხარდმა ერთ დღეს თავის დღიურში ასეთი ჩანაწერი გააკეთა: „აღწერას აზრი არა აქვს. ეს საკუთარი თვალით უნდა ნახო!“ რა აღმოაჩინა მან?

12. ბუნებაში ზებრები და ანტილოპები ერთმანეთის გვერდით ცხოვრობენ და ხშირ შემთხვევაში, ერთმანეთს ყურადღებას არ აქცევენ, მაგრამ თუ გნუს ნუკრი დაიკარგა, მას ზებრები აუცილებლად დაწიხლავენ. რა არის ამის მიზეზი?

13. ვის ეკუთვნის სიტყვები: „როტშილდის ქონება მე, შექსპირის გონება მე...“?

14. თავის დროზე ვისი კუთვნილება იყო დღევანდელი მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის (ყოფილი პიონერთა სასახლის) შენობა?

15. დაასრულეთ ნაპოლეონის სიტყვები: „ბრძოლის ველზე მალე ბერდებიან, მე კი...“

ანეკდოტები

***

— არ მიყვარს საზამთრო, — ამბობს ოსი. — როცა ვწამ, ყურები მესვრება სენი წირიმე!

***

გასვენებაში თავწაკრული ქალი გამეტებით დაჰკივის მიცვალებულს:

— მამაჩემს უთხარი, კარგად არიან-თქვა! ჩვენმა ძროხამ ხბო მოიგო, მარა არ იწველება-თქვა! ძალიან ენატრები-თქვა! წელს ბოვში აბარებს და მაქედან დამილოცეთ-თქვაااა!

— კაი, ქალო, კაი, — უჩურჩულა ჭირისუფალმა. — ქაღალდზე მაინც დოუწერე, სკლეროზით მოკვდა ეგ უბედური.

***

— მამი, ავტომატიდან მასროლინე, რაა!

— მიდი, შვილო, ისროლე რამდენიც გინდა.

— რას ვესროლო?

— ნახე, რამდენი ქათამია ეზოში!

ბავშვმა ქათმების ბუნდღა აღარ დატოვა, მერე კი ინდაურებსა და იხვებზე გადავიდა.

— შვილო, არ გინდა, ყუმბარაც გასროლინო?

— კიიი! მინდაააა!

— აჰა და აი, იქით, ტუალეტისკენ ისროლე.

„ბუუხ“ და ტუალეტისაგან აღარაფერი დარჩა.

— ესეც ასეეე, — ხელები დაიფერთხა მამამ. — ახლა ქათმების გამო ნაღდად აღარ მოგვხვდება ბებიაშენისგან.

***

ტრანსპორტში:

— ჯიბეში ხელს რატომ მიფათურებთ?

— ასანთს ვეძებ.

— შეგეძლოთ, გეთხოვათ.

— მომერიდა...

***

დეპრესიაში მყოფი ბაყაყი ნათელმხილველს ურეკავს. წინასწარმეტყველი ეუბნება:

— შენ გაიცნობ ლამაზ, სასიამოვნო გოგონას, რომელიც მოისურვებს, შენ შესახებ ყველაფერი გაიგოს.

— მართლა? — უხარია ბაყაყს. — ეს ალბათ, იმ „მასკარადზე“ მოხდება, რომელიც ჩვენს ჭაობში, მომავალ კვირას უნდა გაიმართოს!

— არა, — პასუხობს ნათელმხილველი. — ეს მომავალი წლის პირველი ნახევრის მეორე დეკადაში მოხდება.

— სად? რა ვითარებაში? — ვეღარ ითმენს ბაყაყი.

— სამედიცინო კოლეჯში, ბიოლოგიის კაბინეტში.

***

ლოთმა მამამ არყის მეხუთე ბოთლი გამოცალა. შვილი ეკითხება:

— მამი, შეიძლება, ბოთლები ჩავაბარო და პური ვიყიდო?

— მიდი, შვილო, მიდი. ისე, მე რომ არ გყავდეთ, რა გეშველებოდათ?



***

— შარვალს დამიუთოებ, მანქანას გამირეცხავ, ჩექმებს გამიწმენდ, მე კი ცოტას წავუძინებ. ამაღამ უფროსთან ვარ დაპატიჟებული, ორასკაციან სუფრას უნდა ვუთამადო!

— ოჰ, ღმერთო ჩემო! რა იქნებოდა, მეც ქალად რომ დავბადებულიყავი?!

***

გურული ტილების წამალს ყიდის.

— რაფრა უნდა მეიხმაროს კაცმა ეს? — ეკითხება რაჭველი.

— რაფრა და დაიჭერ ტილს, შეაყრი თვალებში და გააცხებს სულს.

— თუ დავიჭირე, ბარემ, გავჭლეტ!

— კი, მასეც შეიძლება!

***

ქუჩაში ქალი ძაღლს ასეირნებს. გამვლელი ეკითხება:

— რა ჰქვია შენს ძაღლს?

— პუკ-პუკი...

— რა კარგად მოგიფიქრებია — დასაძახებლად პირის გაღებაც არ დაგჭირდება.

***

ვეტერინარს ეკითხებიან:

— რატომ ჰქვია მარტორქას მარტორქა?

— რატომ და, როცა ეს ცხოველი ამქვეყნად გაჩნდა, ტანი ბეჰემოთმა მისცა, ფეხები — სპილომ, თავი — ღორმა, მარტო რქა იყო მისი და ამიტომაც დაარქვეს მარტორქა.

— მასე, შაქროიამ ცოლი რომ მოიყვანა, ბინა სიდედრმა მისცა, მანქანა — ცოლისძმამ, ფული — სიმამრმა... და რა ჰქვია ახლა შაქროიას, მაგ პრინციპის მიხედვით?

***

— ძვირფასო, თუ ამ გამოცანას გამოიცნობ, სამუდამოდ შენი ვიქნები. მწვანეა, ჭაობში ცხოვრობს და ყიყინებს. რა არის?

— მტვერსასრუტი!

— მართალია!

***

ინდიელი კოვბოის მწვადით უმასპინძლდება. ორივენი მადიანად ილუკმებიან და თან, ლაპარაკობენ:

— რაღაც, ეგ თქვენი ბელადი არ მომწონს, — ეუბნება კოვბოი.

— არ მოგწონს და ნუ ჭამ.

***

ორი დაქალი ერთმანეთს ხვდება. ერთი მაგარი „გაზმანულია“.

— საიდან, ასეთი „შმოტკები“?

— ერთ ტიპს შევხვდი. იმას

ფული ჰქონდა, მე — გამოცდილება. მერე დავშორდით. ჰოდა, ახლა მე ფული მაქვს, იმას — გამოცდილება.

***

— ქუთაისში ვამპირი ცხოვრობდა და მხოლოდ 18 წლის ქალიშვილების სისხლით იკვებებოდა.

ჭრელების საპასუხოდ

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. თუ როგორი მდიდარი იყო მათი ქალბატონი.
2. „...თავად გახდეს სანახაობა“.
3. „ლურჯა ცხენები“.
4. საცურაო აუზს (სიტყვა „ჯიმარდი“ ყოჩაღს, გულადს ნიშნავს).
5. ჯორცხენა.
6. სიგარეტის შესახებ.
7. თეოდორ შალიაპინს.
8. სიკვდილმისჯილის ოჯახი.
9. პორტუგალიას.
10. „ბორის გოდუნოვს“.
11. ნეფერტიტის ბიუსტი.
12. მისი ბღავილი მტაცებლების ყურადღებას იქცევს.
13. აკაკი წერეთელს.
14. რუსეთის მეფისნაცვლის.
15. „...იქიდან მოვდივარ“.

— მერე, რა დაემართა?

— თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად და შიმშილით მოკვდა.

***

ცოლი დგას მერვე სართულზე, მოშენებული და დაუმთავრებელი ღია აივნის კიდეზე და ქმარს უყვირის:

— მომბეზრდა, აღარ მინდა შენნაირ ლოთთან და გიჟთან ცხოვრება! ახლავე უნდა დასრულდეს ყველაფერი! ერთი ნაბიჯიც და ყველაფერი გათავდება!.. ხელს ნუ მკრავ, შე დეგენერატოოო!

ჩვენი ფოტო მაღლიეა ძვირფასო მკითხველებო!

ეს ფოტო ქუთაისიდან 23 წლის ნინო ხარაიშვილმა გამოგვიგზავნა

შეგახსენებთ, რომ ნამუშევრები შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ ელფოსტით: gza.fantazia@gmail.com, „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების (კონვერტზე მიაწერეთ „გზისთვის“) მეშვეობით ან მოგვაწოდოთ რედაქციაში მის.: თბილისი, იოსებიძის ქ. №49.

ლამაზი წამწამები რომ გქონდეთ...



ყველასთვის ცნობილია, რომ გრძელი და აპრეხილი წამწამები თვალს განსაკუთრებულ მომხიბვლელობას მატებს, მაგრამ ბევრმა არ იცის, როგორ მოუაროს მათ. თუ წამწამების ასაპრეხ ტუშს ყოველდღე იყენებთ, მალე დაგჭირდებათ კოსმეტოლოგის კონსულტაცია — თუ რა მოუხერხოთ წამწამების ორად გაყოფილ ბოლოებს. უხარისხო საღებავმა შესაძლოა, ქუთუთოების წვა და ქავილიც გამოიწვიოს, რასაც საბოლოოდ წამწამების ცვენა მოჰყვება. ამიტომ, ქუთუთოს სულ უმნიშვნელო შეწითლების შემთხვევაშიც კი აუცილებელია წამწამების მოვლაზე იზრუნოთ.

დილით გაკეთებული მაკიაჟი, ძილის წინ აუცილებლად მოიცილეთ კოსმეტიკური რძის საშუალებით.

წამწამების მოვლა ზეითუნის ზეთის რეგულარული გამოყენებით დაიწყეთ. ჯერ კარგად ამოიბანეთ თვალები თბილი წყლით, შემდეგ კი წამწამებზე ზეითუნის ზეთი წაისვით — წამწამები გახშირდება, გამუქდება და ბზინვარება მოემატება. თუ ძილის შემდეგ თვალის კუთხეებსა და წამწამებზე ლორწოვანი გამონადენი გიგროვდებათ, თვალები გვირილის თბილი ნაყენით (1 ჩ/კ გვირილა — 1 ჩ/ჭ წყალში) უნდა ამოიბანოთ. შეგიძლიათ საამისოდ ჩაის ნაყენიც გამოიყენოთ.

წამწამების სამკურნალოდ საკმაოდ ეფექტურია აბუსალათინის ზეთიც. სპეციალური (შეგიძლიათ ყურის საწმენდი) ჩხირი დაასველეთ ზეთში და თხელ ფენად წაისვით წამწამებზე. ჩამობანა საჭირო არ არის. ეს პროცედურა სასურველია, საღამოობით, მაკიაჟის მოცილების შემდეგ ჩაიტაროთ.

რა განსხვავებაა კეკლუცს და ფლირტის მოყვარულ ქალს შორის?

თითქმის ყველამ ვიცით, რა არის კეკლუცობა, მაგრამ ამავე დროს, შეუძლებელია მისი კონკრეტულად ახსნა. კეკლუცი ქალი გაფაციცებით დაეძებს თაყვანისმცემელს, „მსხვერპლს“ კი აიძულებს შეიგნოს, რომ სასიყვარულო თამაშში ყველაფერი მის ჭირვეულობაზეა დამოკიდებული. კეკლუცობა ქალის ფსიქოლოგიაში განიხილება, როგორც ყველაზე რთული და ამავე დროს, ყველაზე იოლი ხელოვნება, რადგან ქალს თვით ბუნება ეხმარება მოახდინოს გავლენა მამაკაცზე — მაშინაც კი, როცა ის კონკრეტული მამაკაცი მის ინტერესში არ ჯდება. წარმოიდგინეთ, რა ხდება მაშინ, როცა ქალი მისთვის სასურველი მამაკაცების გვერდით ხვდება, როცა ბუნებრივ კეკლუცობას, სარკის წინ ნასწავლი მიხრა-მოხრა და ცოტა არ იყოს, ხელოვნურად გამობურცული ტუჩიც ემატება... ამბობენ, რომ ყველაზე ჭკვიანი მამაკაციც კი შეიძლება გაასულელოს ყველაზე სულელმა ქალმა — სწორედ ისეთმა, როგორ ქალთანაც ფლირტს საუკეთესო მეგობარსაც კი არაფრით ურჩევდა. ისტორია და ყოველდღიურობა ამის მრავალ მაგალითს გვაძლევს.

ფლირტსა და კეკლუცობას შორის ის განსხვავებაა, რომ ფლირტის მიმდევარი ქალი მგრძნობიარეა, კეკლუცი კი — არა. ფლირტის მოყვარული ქალი ცდილობს, ყველას მოაწონოს თავი, მაგრამ მისი რჩეული მაინც ერთია. კეკლუცი კი მუდამ მერყეობს და მისი ღიმილი და გამოხედვა თითოეულ მამაკაცს ეუბნება, რომ სწორედ ისაა მისი რჩეული.

საინტერესო ის არის, რომ მამაკაცის სიმპათია კეკლუცსა და ფლირტის მოყვარულ ქალს შორის ხშირად, პირველისკენ იხრება. მათ მიაჩნიათ, რომ უზნეობაა, ქალი ეპრანჭებოდეს სხვებს, მაშინ, როდესაც მას უკვე ჰყავს რჩეული. კეკლუც ქალებს მამაკაცების სიმპათია ნუ გაათამამებს, რადგან ისინი სერიოზული საშიშროების წინაშე დგანან: თუკი მათი კეკლუცობა „გაიშიფრება“, შეიძლება თაყვანისმცემლების გარეშე დარჩნენ, რადგან არც ერთ მამაკაცს არა აქვს სურვილი, საბოლოოდ სულელის როლში აღმოჩნდეს.

როგორ ამოვიცნოთ ძლიერი სქესის წარმომადგენელთა ხასიათი და მიზნები

გთავაზობთ ფსიქოლოგების რჩევებს, რომლებიც მამაკაცის მოულოდნელ დროში ამოცნობაში დაგეხმარებათ. ადამიანის ყველა ქმედება (განსაკუთრებით ის, რომელსაც გაუცნობიერებლად სჩადის) მის ხასიათსა და თვისებებზე მეტყველებს.



რას უკვეთს რესტორანში

თუ მამაკაცი ხორციან ან კარტოფილიან კერძებს უკვეთს, სავარაუდოა, რომ იგი სანდო და მყარი ურთიერთობების მომხრეა, მაგრამ ცოტა სითამამე აკლია. თუკი თქვენი რჩეული ეგზოტიკურ კერძებს ანიჭებს უპირატესობას, ე.ი. მას ურთიერთობებში სპონტანურობა და რუტინა არ ხიბლავს.

მოწესრიგებული თუ ფეთხუმი

როდესაც მამაკაცი თავის ჭუჭყიან წინდებს თეთრეულის კალათაში აწყობს, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. ხოლო თუკი ის წინდებს ფერის მიხედვით აცალკევებს და ისე ალაგებს, ფრიად ორიგინალური გემოვნების პიროვნებასთან გქონიათ საქმე — ასეთი მამაკაცი თქვენგანაც დიდ აკურატულობას მოითხოვს. თუკი ის ცდილობს, თავის ჭუჭყიან ტანსაცმელს შესაბამისი ადგილი მიუჩინოს, დამოუკიდებელი ცხოვრების მოყვარული ადამიანი გყავთ გვერდით. ხოლო თუკი სააბაზანოში, მისი გამოსვლის შემდეგ გამუდმებული ქაოსია, იგი ან ძალზე ზარმაცია, ან სერიოზული ურთიერთობისთვის ჯერჯერობით მზად არ არის.

ცაცია

მამაკაცთა 80% მემარჯვენეა. თუ თქვენი მეგობარი ცაციაა, გვერდით შემოქმედი პიროვნება გყოლიათ.

თმა

სიახლე არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ მამაკაცები ისევე ზრუნავენ საკუთარ თმაზე, როგორც ქალები — სხეულზე. რაც უფრო მეტი თმა აქვს თავზე, მით მეტია მისი თავდაჯერებულობის ხარისხი. თუმცა შესაძლებელია, ნაკლებად მგრძნობიარე ხასიათი ჰქონდეს. ხშირი და ლამაზი თმის პატრონმა მამაკაცმა საკუთარი თავის ფასი კარგად უწყის; იცის, რა უნდა ცხოვრებაში და როგორ მიაღწიოს ამას. ნახევრად და სრულიად მელოტ მამაკაცს თავდაჯერებულობის პრობლემა აქვს, თუმცა ქალებთან ურთიერთობაში უფრო თბილი და ფაქიზია.

შვილი

თუ თქვენი რჩეული ოჯახში პირველი შვილი იყო, მას პასუხისმგებლობის გრძნობა კარგად განვითარებული ექნება და ერთობ მზრუნველიც იქნება; ხოლო თუ უმცროსი იყო, უფრო ჭირვეული და „ბუნტისთავი“ აღმოჩნდება. რაც შეეხება შუათანას, ის ყოველთვის დიდ ყურადღებას მოითხოვს გარშემო მყოფთაგან, მათ შორის — საყვარელი ქალისგანაც.

საზოგადოება

როდესაც საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას იმყოფებით და თქვენი საყვარელი მამაკაცი განუწყვეტლივ თქვენ გარშემო ტრიალებს, ამით მას ან გარშემო მყოფთა წინაშე თქვენი ურთიერთობის დემონსტრირება სურს, ან თქვენი ბოლომდე დაპყრობის სურვილი აქვს. ხოლო თუკი მამაკაცი ცდილობს, საზოგადოებაში თავშეკავებული იყოს და არავის აგრძნობინოს, რომ ერთმანეთი გიყვართ, ის დარწმუნებული არ არის ან თქვენს ან საკუთარ გრძნობებში.

თვალები

მამაკაცი, რომელიც მოსაუბრეს თვალებში არ უყურებს, ბოლომდე გულწრფელი არ არის. თუმცა, არც თვალის თვალში გასწორებაა მისი გულწრფელობის უტყუარი დასტური — უბრალოდ, ამით თანამოსაუბრეზე გავლენის მოხდენა სურს. ვნებიანი გამოხედვის ამოცნობა კი ყველა ქალს შეუძლია.

საუბარი

თუკი მამაკაცი ენაწყლიანია, ე.ი. ენერგიული ადამიანი გყოლიათ გვერდით, რომელიც ყველაფერს იღონებს თქვენს ხასიათზე მოსაყვანად. ხოლო თუ თქვენი რჩეული, ნელა, ზანტად ლაპარაკობს, ჩათვალეთ, რომ მისი ცხოვრებისეული დევიზია „ასჯერ გაზომე, ერთხელ გაჭერი“. მართალია, ასეთი მამაკაცისგან სიუპრიზებს არ უნდა ელოდეთ, მაგრამ ყოველთვის დარწმუნებული იყავით: ის გეუბნებათ სწორედ იმას, რასაც ფიქრობს.

დრო

იმის გარკვევას — რამდენად ერთგულია მამაკაცი, სიტყვის კაცია თუ არა, ან რა მავნე ჩვევები აქვს — გარკვეული დრო სჭირდება. თქვენ შეგიძლიათ წახვიდეთ რისკზე და დარწმუნდეთ, ნამდვილად სწორი არჩევანი გააკეთეთ თუ არა.

■

ალუბლის ღვეზელი



მასალად საჭიროა: 250 გ კარაქი, 250 გ შაქრის ფხვნილი, ერთი ლიმონის ცედრა, 5 კვერცხი, 125 გ ფქვილი, ვანილი და სახამებელი.

მოზადების წესი:

დარბილებული კარაქი კარგად ათქვიფეთ, თანდათანობით ჩაუმატეთ შაქრის ფხვნილი, ვანილი და ლიმონის ცედრა. შემდეგ სათითაოდ ათქვიფეთ კვერცხები, ნაწილ-ნაწილ ჩაუმატეთ გაცრილი ფქვილი, სახამებელი და სოდა ძმრით. ყველაფერი ფრთხილად აურიეთ ერთმანეთში, მიღებული მასა გადაიტანეთ პერგამენტდაფენილ ფორმაში, ზემოდან მოაწყვეთ წინასწარ გარეცხილი, გამშრალი ალუბალი და შედგით ჰაერღუმელში 35 წუთით.

იმისთვის, რომ გაიგოთ, ნამცხვარი მზად არის თუ არა, ცომში ჩაურჭვეთ ხის წვრილი ჩხირი ან ასანთის ღერი. თუ მას ცომი მიეკრა, ნამცხვარი 10 წუთით ისევ შედგით ჰაერღუმელში. ასეთ დროს, უმჯობესია, ზემოდან დააფაროთ სპეციალური ქაღალდი, რათა ღვეზელი ზედმეტად არ გამოშრეს.

■



დიდგორის ცაზე ფრენდა ის ჯვარი

გოჩა მანველიძე

დასაწყისი იხ. „გზა“, №15-23

უშიშა ჩაფიქრებული იჯდა მამის საფლავთან. დღეს ხუთი წელი სრულდებოდა, მისი დაღუპვიდან. განსაკუთრებით სძულდა ეს დღე უშიშას. მარტო იმიტომ არა, რომ ხუთი წლის წინ, შემოდგომის ზუსტად ასეთ ცივსა და ნესტიან დღეს დაიტანა ბერდია ზვავმა. მუროჩიც ხომ ამ დღეს დაიკარგა. მას შემდეგ ოცი წელი იყო გასული.

ბევრი რამ შეიცვალა ამ ოც წელიწადში. ახალი თაობა დაიბადა არდოტში. მათ შორის უშიშას სამი ვაჟიც. უფროსს უკვე თხუთმეტი წელი შესრულებოდა და ისე ედგა მხარში, როგორც მუროჩი ოცი წლის წინათ.

ბევრიც უფროსი თაობიდან გამოაკლდა არდოტს. ზოგი დიდო-ძურძუკებთან გამუდმებულ ომებს შეეწირა, ზოგიც მკაცრმა მთამ იმსხვერპლა. ასე დაიღუპა მისი მამაც, ბერდია.

მკაცრი შემოდგომა შემოადგა ხუთი წლის წინ არდოტს. შავმა ღრუბლებმა დაფარა მთის მწვერვალები. გაწვიმდა. მთიდან დაგორებული ამღვრეული ნაკადი ზვავივით მოასკდა ხეობას და არდოტელი მენახირეები ალყაში მოაქცია.

სასწრაფოდ შეყარა ბერდიამ ხეობელები და მენახირეთა საშველად წარუძღვა. დიდი წვალებისა და თავდადების ფასად შეძლეს არდოტელებმა თანატომელთა გადარჩენა. ნიაღვარს ნახირიც გამოარიდეს. უკვე სამშვიდობოს გასულად მიიჩნევდნენ თავს, როდესაც გზად მიმავლნი მთიდან მოწყვეტილმა ზვავმა მოღრიალე მდინარეში გადაჩეხა. მაშინვე მოიკითხეს ერთმანეთი. გაირკვა, რომ სამი კაცი გამოჰკლებოდათ. ბერდია და ორიც მენახირე.

სამ დღეს ეძებდნენ არდოტელები მდინარეში გადაცვენილებს. მენახირეებს ვერსად მიაგნეს; ჩანს, სამუდამოდ გამქრალიყვნენ მღვრიე ნაკადში. ბერდია კი...

მეოთხე დღეს ხეობის ბოლოს, ნაპირზე გამორიყულს მიაგნეს არდოტის ხევისთავს. გვერდზე მოჰქცეოდა მოტეხილი ფეხი; შუბლიც გაეჩეხა დატაკებულ ზვავს. მაგრამ ამასაც ვერ მოედრიკა ხევისთავი, ბოლომდე ებრძოლა. საერთოდ დამტვრეოდა ფრჩხილები და დაკოურილი ხელისგულებიც დასეროდა, როცა ბასრ ქვებს ებღაუჭებოდა თავის გადასარჩენად. მაგრამ მაინც იმძლავრა ნაკადმა და თან წარიღო მთასავით უტეხი ხევისთავის სიცოცხლე...

ბევრი რამ შეიცვალა ოცი წლის განმავლობაში, მაგრამ არ შეცვლილა ერთი: ისევე როგორც პირველ დღეს, უშიშას ჯერაც ვერ დაეჯერებინა, რომ მისი ძმა ცოცხალი აღარ იყო. დღემდე შენახული ჰქონდა მუროჩის ჩაბალახი, რომელიც ივრის ჭალაში იპოვა ბერდიამ. ჩაჭეჭყილი იყო ჩაბალახი და ჯაჭვიც გაეგლიჯა ხმალსა თუ გურზს. ამან დააჯერა ხევისთავი შვილის სიკვდილში, მაგრამ ვერ დაარწმუნა უშიშა. ისინი ხომ ტყუპისცალები იყვნენ და ყოველთვის გრძნობდნენ ერთმანეთის ტკივილსა და სიხარულს. ბავშვობიდანვე ასე იყო. როცა ერთი წაიქცეოდა, მეორეც მოისრესდა ნატკენ მუხლს. ან მაშინ, როცა არაგველები ფარიკაობაში წვრთნიდნენ, მეორესაც სტკიოდა ბლაგვი ხმლის შემოკვრა. უშიშას კარგად ახსოვდა ეს შეგრძნება და ახსოვდა ისაც, თუ რამდენჯერ სტკენია ან გახარებია უმიზეზოდ ამ წლების განმავლობაში. იმასაც ხვდებოდა, რომ მისი ძმისა უნდა ყოფილიყო ის ტკივილი და სიხარული. მაგრამ ვერა ხვდებოდა, რატომ არ ბრუნდებოდა შინ მუროჩი. არ ესმოდა, მაგრამ მაინც სჯეროდა და მის მოლოდინში ბევრი დრო გაუტარებია ხეობის თავზე აზიდულ ფრიალოზე. იქიდან კარგად მოჩანდა ბარში მიმავალი ბილიკები. ის ბილიკები, რომელიც ოცი წლის წინ ერთად ჩაიარეს მან და მუროჩიმ. იჯდა, გასცქეროდა ხეობას და ფიქრობდა დღეზე, როცა ამ გზით შინ დაბრუნდებოდა მისი ძმა.

— ნიშანი!.. უღელტეხილზე ნიშანია!..

უშიშა ვიღაცის ყვირილმა მოსწყვიტა ფიქრს. მაშინვე ატყდა ზარის რეკვაც. ვეშაგნი საომრად უხმობდნენ ხეობელებს. ამის ნიშანი იყო მთის წვერზე აზიდული კვამლის სვეტი და ზარის რეკვა. ჩანს, დიდო-ძურძუკნი დაძრულიყვნენ ხეობისკენ.

სწრაფად შეგროვდნენ არდოტელები. უმალ მოიჭრა უშიშას უფროსი ძეც, პაპის მოსახელე ბერდია. ცხენი და ჯაჭვი მოართვა მამას. იქავ გადაიცვა უშიშამ ჯაჭვის პერანგი, ჩაბალახი დაიხურა, თეძოზე ფარი მოიგდო, ცხენს მოახტა და ჭენებით მიჰყვა არდოტელებს, რომლებიც უკვე გასულიყვნენ სოფლიდან.

უღელტეხილის მცველები საომრად მოზიდულნი დახვდნენ ხეობიდან მისულ მაშველს. სათვალთვალო კოშკიდან შეენიშნათ ძურძუკთა მოზრდილი რაზმი, რომელიც უღელტეხილისკენ მოიწევდა.

უღელტეხილის მცველებმა მარბიელად მიიჩნიეს ძურძუკნი და განგაშიც ატეხეს. მაგრამ მაშველის გამოჩენამდე, ძურძუკებმა სვლა შეწყვიტეს და ახლა კრაზანებივით ტრიალებდნენ ხეობის ყელში.

უშიშამ პირდაპირ კოშკთან მიაგდო ცხენი და ვეშაგთ გასძახა.

— რასა იქმთ, ხეობელებო? — პასუხად აწრიალებულ ძურძუკებზე მიანიშნეს არდოტელებმა.

უშიშამ თვალი მოიჩრდილა და ყურადღებით დააკვირდა ძურძუკთ. ლენცოფანაჭამებივით იქცეოდნენ, გაშმაგებულები დააჭენებდნენ ცხენებს აქეთ-იქით. უეცრად, მოსწყდებოდნენ ადგილს, უკან გაცვივდებოდნენ, მერე ისრებს დაუშენდნენ კლდეს და ისევ გამოაჭენებდნენ ცხენებს; მერე კი ისევ უკან გარბოდნენ.

მიხვდა უშიშა ძურძუკთა შლეგიანობის მიზეზს. ცხარე ბრძოლაში იყვნენ ჩართულნი და არა უცნაურ თამაშობაში. ვიღაც ჰყავდათ მიმწყვდეული კლდის ძირში. ახლოს ვერ ეკარებოდნენ. ჩანს, გააფთრებით იცავდნენ თავს დევნილნი. ისრებს უშენდნენ ძურძუკნი. მერე ხმალდახმალ მიუხტებოდნენ და როცა ვერაფერს გახდებოდნენ, უკან ბრუნდებოდნენ და ისევ ისრის სროლას იწყებდნენ.

— ხეობელები ხომ არ გასულან უღელტეხილს მიღმა? — ვეშაგებს მიუბრუნდა უშიშა.

არაო, — იუარეს უღელტეხილის მცველებმა, — გაღმა არც ერთი არდოტელი არ გვეგულებაო.

— მაშ, რამ გააშმაგათ ასე? თავისიანებს ხომ არ დაერივნენ? — გაუკვირდა უშიშას.

— ჩვენები არ არიან მანდ და თუ ერთმანეთში მოსვლიათ ომი, რა ჩვენი საქმეა? აქედან ვუთვალთვალებთ, ვიდრე ერთმანეთს არ გაულეტენ ან უკან არ გაბრუნდებიან. — მშვიდად უპა-

სუხეს უღელტეხილის მცველებმა.

— იქნებ ჩვენები არიან?.. იქნებ ვინმეა გასული მიღმა შემოდგომის ჯიხვის მოსანადირებლად?.. — თავისი თქვა უშიშამ.

ამ დროს, ბრძოლის ველზე ყიჟინა გაისმა. კლდეს შავად მოსილი მხედარი გამოსცდა. უშიშრად ახტუნა ცხენი, მკერდით დააძგერა შემხვედრ ძურძუკს, წააქცია. მეორეს ელვასავით გადაუქნია მახვილი, შუაგაჩეხილი დასცა მიწაზე და ცხენი ჭენებით წამოიყვანა უღელტეხილისკენ. მისი ამხანაგების გამოჩენასაც ელოდნენ ფხოველები, მაგრამ მეტი აღარავინ გამოსცდენია კლდის კალთას. მარტო უნდა ყოფილიყო ის მხედარი ანდა მისი თანამებრძოლები უკვე დაეხოცათ ძურძუკებს.

ისრის სროლითა და ხმლის ქნევით გამოენთნენ ძურძუკნი უცნობ მხედარს. ჭენებით მოუყვებოდნენ ვიწრო ბილიკს მათი მოქნილი ცხენები. უცნობის ცხენს კი უჭირდა მთის ვიწროებში სვლა. ან ჭრილობით იყო დასუსტებული, ან კიდევ შორი გზით დაღლილი. მიხვდა, მხედარი, რომ ცხენი ველარ გაიყვანდა სამშვიდობოს და ისევ ხმლის იმედად გადაწყვიტა დარჩენა. სადავე მოზიდა — ზურგიდან რომ არ მიჰპაროდა მტერი, ცხენი შეაბრუნა და ხმალი შეათამაშა.

— დავეხმაროთ! — შესძახა მხედრის მეომრული შემართებით აღფრთოვანებულმა უშიშამ და ცხენს დეზი ჰკრა. ფხოველებმა უმალ იშიშვლეს ხმლები და უკან მიჰყვნენ.

მხედარს არ დაუნახავს უღელტეხილის მხრიდან დაშვებული არდოტელები. ის მათკენ ზურგშექცევით იდგა და ხმალშემართული ელოდა მტრის მოახლოებას.

ძურძუკები ყიჟინით მისცვივდნენ მხედარს. რამდენიმემ შორიახლოდან სტყორცნა ისარი. ფხოველთა გასაოცრად მხედრის შავმა აბჯარმა სალი კლდესავით აისხლიტა ისრები. მაშინ ძურძუკები ხმლის ქნევით მიეტანნენ მხედარს, მაგრამ მაინც ვერ გამოიყენეს თავიანთი სიმრავლე. მხედარი ვიწრო ბილიკზე იდგა, ორზე მეტი ერთად ვერ მიუდგებოდა. ეს კი უცხო მხედრისთვის ძალიან ცოტა იყო. პირველ ორ ძურძუკს მახვილის ორი მოქნევით ყინულის ლოლოებივით მიულეწა ხმლები. უიარაღოდ დარჩენილებმა უკან გამობრუნება სცადეს. ერთმა ვერ გაასწრო. მხედარმა ხმალი უქნია და აბჯრიანად მოაჩეხა მარჯვენა მხარი.

მეორე ჯერზე სამნი მიუხტნენ. ერთმა შუბი უქნია. უცნაურად მოიგერია დარტყმა მხედარმა. უეცრად გადაიხარა გვერდზე. შუბს სტაცა ხელი, თავისკენ მოზიდა და ისევ იქნია ხმალი. წელამდე გაჩეხა შავწვერიანი ძურძუკი ხმალმა, თითქოს ჯაჭვის პერანგი კი არა, აბრეშუმის ხალათი სცმოდეს. მაშინ მიხვდნენ ძურძუკნი, რომ ხმალდახმალ ვერაფერს დააკლებდნენ. უკან გაბრუნდნენ და ისევ მშვილდები მოზიდეს.

ამასობაში ფხოველებმაც მიაღწიეს ბრძოლის ველს. ეს საკმარისი აღმოჩნდა ძურძუკთა უკუსაქცევად. აქამდე ათნიც ვერ გაუსწორდნენ უცნობ მხედარს და ფხოველთა გამოჩენის მერე რაღა აზრი უნდა ჰქონოდა ბრძოლის გაგრძელებას. და ძურძუკებიც შებრუნდნენ და უკანმოუხედავად გაეცალნენ იქაურობას. მხედარი მაშინვე მიუბრუნდა ყიჟინით მომავალ არდოტელებს.

უშიშამ ცხენი შეაჩერა. ხმალი ჩააგო. ამით მიახვედრა: ავი ზრახვა არა გვაქვსო და თან ყურადღებით შეათვალიერა. უცნაური აბჯარი ეცვა მხედარს. თევზის ქერცლის მსგავსად გაწყობილი. შავი იყო აბჯარი, მკერდზე

კი ორი გველეშაპი აფჩენდა ხახას. იმავე ფერის უცხო ფრინველის ბუმბულით შემკული მუზარადი სახეს უფარავდა. მხარზე ცარიელი კაპარჭი და მშვილდი მოეგდო. ჩანს, ძურძუკებთან ბრძოლაში გაეხარჯა ყველა ისარი და როცა ამით არ დაკმაყოფილდა მტერი, ხმლით შეუტია. მაგრამ ეს არაფერი იყო იმასთან შედარებით, რაც შემდეგ შენიშნა უშიშამ. ეს იყო ძურძუკთა სისხლით მოსვრილი ხმალი, რომელიც ჯერაც ხელთ ეპყრა მხედარს. ასეთი ხმალი მარტო ორი ჰქონდა ნანახი. ერთი თავად ეკიდა წელზე. მეორე კი...

მეორე მისი ძმის იყო, რომელიც ოცი წლის წინ ომში დაიკარგა...

უშიშამ სწრაფად ასწია თავი და მზერა უცნობის ზარადს გაუსწორა. ზარადის ჭრილიდან გაოცებით შემოანათა ლურჯმა თვალებმა. ზუსტად ისეთმა, რომლითაც განსხვავდებოდნენ ის და მუროჩი ფხოველებისგან.

— ვინ ხარ? — გაჭირვებით ჩაილაპარაკა უშიშამ.

პასუხად მხედარმა ხელის ერთი მოძრაობით გადაიძრო მუზარადი, მიწაზე დააგდო და თვალებში ჩააცქერდა. ჟრუანტელი მოჰგვარა უშიშას იმ სახისა და თვალების ხილვამ. ეს ხომ მისი ტყუპისცალი იყო... საფეთქლებგაჭაღარავებული, თვალის უპეებში წვრილი ნაოჭით, ყვრიმალნაიარევი... მაგრამ მაინც მისი ძმა. ოცი წლის წინ ომში დაკარგული მუროჩი დაიაური...

გათენებამდე ვერ შეძლო უშიშამ ძმასთან დალაპარაკება. ხმა მისი მოულოდნელი დაბრუნების შესახებ, სწრაფად მოედო ხეობას და მალე მათ საცხოვრებელთან ლამის მთელმა არდოტმა მოიყარა თავი. ყველას უნდოდა საკუთარი თვალით ეხილა წლების მერე შინ დაბრუნებული დაიაური. მიდიოდნენ, ულოცავდნენ. ხინკალით, იაფუნით, ლუდით მოიკითხავდნენ და აუცილებლად ჰკითხავდნენ, სად იყო ოცი წლის განმავლობაში?

ყველას სთხოვდა უშიშა: — ამოსუნთქვის საშუალება მიეცით, შორი გზა აქვს გამოვლილი, უღელტეხილზე ბრძოლაც მოუხდაო. მაგრამ არ ეთმობოდათ ხეობელებს ოცი წლის უნახავი თანატომელი. თანაც მუროჩი მაინც არავის პასუხობდა. ორიოდ სიტყვით თუ მოიკითხავდა ძველ ნაცნობებს და მერე ისევ მამის ჯაჭვსა და ხმალ-ხანჯალს მიაპყრობდა მზერას, რომელიც კედელზე ეკიდა.

დილამდე გასტანა ხმაურმა დაიაურების საცხოვრებელში. ბოლოს, მაინც დაიშალნენ ლუდითა და ქერის არყით შემთვრალი ფხოველები და ერთმანეთის პირისპირ დატოვეს ძმები.

დიდხანს დუმდა უშიშა. თავადაც უკვირდა. ამდენი წელი ელოდა ძმის დაბრუნებას და ახლა ველარაფერი ეთქვა. თანაც ცნობისმოყვარეობაც არ აძლევდა მოსვენებას. მისი თავგადასავალი აინტერესებდა. მაგრამ ხვდებოდა, რასაც გრძნობდა მუროჩი გამჭვარტლულ კედელზე მამის აბჯრის ცქერისას და ჩუმად ყოფნას არჩევდა. იქამდე, ვიდრე გულს არ მოიოხებდა მუროჩი და თავად არ ალაპარაკდებოდა.

— შეცვლილხარ, — მუროჩიმ ძმის ჭაღარამოდებულ საფეთქლებს ჰკიდა თვალი.

— ბევრი რამ შეიცვალა... შენც... — ახლა უშიშამ გახედა მუროჩის შეჭაღარავებულ საფეთქელს და ყვრიმალამდე ჩამოშვებულ ნაიარევს.

— სხვას არც ველოდი. დიდი ვადაა ოცი წელიწადი, — განაგრძო მუროჩიმ.

— ივრის პირას დაგკარგე. ჯობდა, არ გამეშვი მაშინ. მალევე მოვიდა ბერდია ფხოველებისა და არაგველების ჯართან ერთად. გაფანტა თურქები. მერე დაღამებამდის ჩხრიკა ივრის ჭალები. უკან შენი ჩაბალახით დაბრუნდა... აი, იმით... — კედელზე ჩამოკიდებულ კიდეშელეწილ ჩაბალახზე მიანიშნა უშიშამ.

— მისი ნიშანია ეს, — ნაიარევზე ჩამოისვა ხელი მურორჩიმ.

— თავად ბერდიამ თქვა: დაიღუპა მუროჩი. აღარ ეგების მისი ძებნაო... მერე არდოტს გავბრუნდით... თავადაც დაიჯერა და სხვებიც დააჯერა, რომ თურქებმა მოგკლეს... გამოგიტირა კიდეც... მკვდრად მიგიჩნევდა და წესისამებრად აკეთებდა ყველაფერს... ყველა წირვა-დღეობაში ომებში დაღუპულებთან ერთად გიხსენიებდა... მაგრამ მე არა მჯეროდა. არასდროს ვყოფილვარ ბერდიას ურჩი, მაგრამ შენს სიკვდილში მაინც ვერ დამაჯერა. ვიცოდი, რომ სიტყვას არ გატეხდი და მაინც დაბრუნდებოდი, მაგრამ არ მეგონა თუ ოცი წელი მომიწევდა შენი ლოდინი. იცი, ძმაო, წესად მქონდა ჩვენს მთაზე გასვლა და ბარიდან მომავალი გზის ჭვრეტა. იმ მხრიდან გელოდი. შენ კი ჩრდილოეთიდან მოხვედი. საიდან მოხვდი იქ? — ჰკითხა უშიშამ.

— შორიდან მომიწია დაბრუნებამ. იმ ადგილებში თავად ვერ ამოირჩევ გზას. ყველგან მძარცველთა ბრბო დაძრწის. უფრო უცხოტომელს ეტანებიან. მარტოკაცი ვერ გამოივლის იმ გზას. გაძარცვავენ და მოკლავენ. იძულებით გამოვყევი ქარავანს. რუსთა მიწებამდე ჩავაღწიე, მერე გურგანის (*კასპიის ზღვის ძველი დასახელება. — ავტ.*) ზღვის ნაპირებს გამოვუყევი. ასე ჩავაღწიე ყივჩაყეთის საზღვრებს. ქარავანი გზის გაგრძელებას არ აპირებდა. იქიდან უკან უნდა გაბრუნებულიყო. მექარავნეებმა იცოდნენ, რომ ყივჩაყთა მიწების გავლით ძურძუკეთში უნდა ავსულიყავი. იმიტომ მირჩიეს მექარავნეებმა ყივჩაყთა ბელადების მოქრთამვა. მითხრეს: ყივჩაყეთსაც მშვიდობით გაგატარებენ და ძურძუკეთში გამცილებლებსაც გაგაყოლებენო. ასეც ვქენი: ქრთამი მივეცი ყივჩაყთა ბელადებს და გზა გავაგრძელე.

პირიანი კაცები გამოდგნენ ყივჩაყნი. მათი მიწები მშვიდობით გამოვიარე. მივედით ძურძუკეთს. სალაყის ხეობამდე ხიფათი არ გვინახავს. გამოვიარეთ მურზების მიწებიც. ყივჩაყთა ბელადებმა პირობა მომცეს, რომ მათი ხალხი ფხოვისა და ძურძუკეთის საზღვრამდე მომაცილებდა. იქამდე ერთი დღის სავალი რჩებოდა, როცა ყივჩაყებმა უკან გაბრუნება გადაწყვიტეს. იმ გზას მარტოც ამოვივლიდი. ოცი წელი გავიდა, მაგრამ ახლაც მახსოვს როგორ ვნადირობდით ბერდიასთან ერთად ხეობაში. ახლაც არ გამიჭირდებოდა გზის გამოგნება, მაგრამ ყივჩაყთა ქცევამ გამაკვირვა. პირობით უღელტეხილამდე უნდა მომყოლოდნენ. მათი წასვლა სიტყვის დარღვევა იყო. ყივჩაყნი კი სიტყვის შეუქცევად მორჩილებენ თავის ბელადებს. მერე გამომიტყდა გამცილებელთა მეთაური: თუ არ წავედით, ყველას დაგვხოცავენ ძურძუკნიო!.. თურმე მისი ერთი ყივჩაყი — აზატ მურზა, რომელიღაც ძურძუკთან ამხანაგობდა. მის გზაზე გავლის ფული, თავად გამცილებელთა მეთაურმა მიართვა აზატს. მე არ ვწვევივარ მურზას, არ მინდოდა ძველ მოსისხლესთან შეხვედრა. არდოტში... შენთან, მამასთან მომეჩქაროდა და ერთი დღის სავალზე სიკვდილი, სიშლეგე იქნებოდა. თუმცა მურზასაც არც მოვუკითხივარ. ფულს დასჯერდა და თავის ხალხს ჩვენი გატარება უბრძანა. ყველაფერი მშვიდად და უომრად დამთავრდებოდა, საღამო რომ არ ყოფილიყო. ღამდებოდა და ძურძუკებმა სოფელში დარჩენა შემოგვთავაზეს. ყივჩყებმა გაიხარეს — ბარის ხალხია და არ უყვართ ღამით მთის ბილიკით სვლა. მაგრამ მე არ ვქენი. გზის გაგრძელება მოვთხოვე ყივჩაყთა მეთაურს. ქვა ააგდო და თავი შეუშვირა.

— რომც ვუბრძანო, ხალხი არ გამომყვებაო! — მაშინ ღამის სოფლის მიღმა გათენება მოვთხოვე. ამაზე დამთანხმდნენ. სოფლიდან გავედით და ხეობის ყელში დავბანაკდით...

— რაით გინდოდა მურზას მიწაზე ღამის გათენება? გევლო, ხეობა თავად მოგიყვანდა შინ. — ჩაურთო უშიშამ.

— შინ რომ მინდოდა დაბრუნება, იმიტომაც დავრჩი იმ ღამით ხეობის ყელში. განა, მე არ მომიწევდა გული, უშიშა. თვალდახუჭული ამოვივლიდი ხეობას. გული წინ მოიწევდა, გონება კი დარჩენას მიბრძანებდა. მანამდე... ერთი და ხუთი წლით ადრე უბრალოდ შემიგდია სასწორზე ჩემი სიცოცხლე. რწმენა მქონდა, რომ არაფერი მომივიდოდა და ოდესმე მაინც ვიხილავდი არდოტს. იმ ღამით კი ხეობის ბოლოს ვხედავდი ჩვენს მთებს და ველარ გავბედე... ამხელა გზის გამოვლის მერე, აუცილებლად უნდა მოვსულიყავი შენთან.

— და რაი შეგიშლიდა ხელს? — გაუკვირდა უშიშას.

— ფრთხილი კაცია აზატი და განსაკუთრებით ეჭვიანია უცხოთა მიმართ. ისევე, როგორც არდოტელებს, მასაც ვეშაგნი ჰყავს უღელტეხილის მახლობლად. ყივჩაყთა მეთაურისგან ფულის მიღების მერე, კაცი აფრინა მცველებთან: დილით მოვლენ უცხონი უღელტეხილზეო. არ გამატარებდნენ ღამით ვეშაგნი. ხმლით მომიწევდა გზის გაკაფვა და ვინ იცის, იქნებ მშობლიური მთის ძირში ემუხთლა ბედს... ალალბედზე სიარულს, ძურძუკთა მიწაზე ღამის გათენება ვამჯობინე. ერთი ღამე რაღას შემატებდა იმ ოც წელს. მეც გავძლებდი როგორმე და შენაც...

ბანაკი დავეცით. ყივჩაყებმა სოფელში ნაყიდი ცხვარი დაკლეს. როგორ გავტეხდი ლუკმას. ბანაკს გავეცალე და შორიდან ვათვალიერებდი ბნელში აზიდულ ჩვენ მთებს. ასე, თეთრად გავათენე ის ღამე. მზის ამოსვლისთანავე წამოვყარე ყივჩაყები და გზის გაგრძელება ვუბრძანე. მაშინ მოვიდა ერთი ძურძუკი. გამცილებელთა მეთაური და თავისი ნაცნობი ყივჩაყი მოშორებით გაიხმო და თათბირი გაუმართა. ცოტა ხანს იჩურჩულეს. მერე ძურძუკი ისევ ცხენს მოახტა და სოფელში გაბრუნდა. შიში შევატყვე ყივჩაყთა მეთაურს. შიშიცა და გაუბედაობაც. ძურძუკთან თათბირმა დააფრთხო. თანაც მეც ვერ მიბედავდა იმ ამბის თქმას. მაგრამ როდემდე დამიმალავდა. ყივჩაყები გზის გასაგრძელებლად იყვნენ მზად. მან კი უკან გაბრუნება ბრძანა...

პირობა შევახსენე. ამან არ გაჭრა. მაშინ ხმალზე გავივლე ხელი. ყივჩაყები უკან გადგნენ და მეთაური პირისპირ შემატოვეს — არც მათ მოეწონათ სიტყვის გატეხა. თავისი ბელადებისგან ნაბრძანები ჰქონდათ, ჩემი უღელტეხილამდე მიცილება და პასუხს მოსთხოვდნენ უკან დაბრუნებულთ. რას იტყოდნენ?.. შუა გზაზე მივატოვეთ ის კაციო!.. მაშინ გატყდა მათი ბელადი და სიმართლე მითხრა. ძურძუკს გაეფრთხილებინა: მაგ კაცს შეეშვით და მშვიდობიანად გაეცალეთ აქაურობას, თორემ ყველას დაგხოცავენო!.. აზატის ჩანაფიქრი ყოფილა ეს...

— რისთვის?.. ქურდბაცაცობით განთქმულია აზატ მურზა, მაგრამ რატომ უნდა მოეკიდებინა მტრად ყივჩაყნი? — გაუკვირდა უშიშას.

— შენ გამო, — გაეცინა მურორჩის.

— ჩემ გამო? — დაიბნა უშიშა.

— მურზასთან არ მიველ, მაგრამ სოფლიდან გასვლისას მის მწყემსს გადავაწყდი. აწეული ზარადით მივდიოდი, ხელს მიშლიდა მშობლიური მთის ჭვრეტაში. იმ ჭაბუკს არ მოვრიდებივარ. თხუთმეტიოდ წლისა იქნებოდა. აზატსა და მის მეომრებს შეიძლება მართლაც ვეცნე, მაგრამ სად უნდა შემხვედროდა თხუთმეტი წლის ყმაწვილი?.. აზატთან მტრობის ჩამოვარდნისას დაბადებულიც არ იქნებოდა. თურმე ვცდებოდი. მე თუ არა, შენა ჰყოლიხარ ნანახი. სახეზეც შევნიშნე შიში, რომლითაც შემომხედა. ყივჩაყთა მეთაურს უთხრა იმ ძურძუკმა: სალაყის ხეობის დაუძინებელ მტერს, დაიაურს მიაცილებთ, მაგან ჩვენი მურზას მამა და ძმა დახოცა. თქვენთან არაფერი გვაქვს გასაყოფი, მაგრამ ფხოველს თუ დაიცავთ, დანდობას ნუღარ ელითო... გამახარა ამ სიტყვებმა. მივხვდი, რაც მოხდა.

შენა ჰყავდი ნანახი იმ მწყემსს, მაგრამ ვერ გაგვარჩია ტყუპი. აზატთან გაქანდა: ყივჩაყებმა რომ გაიარეს სოფელი, დაიაურს მიაცილებენო. ის პირყვითელა ბალღი იყო, გამოუცდელი, მაგრამ აზატი ხომ ასეთი არ არის. აბა, როგორ უნდა მობრუნებულიყავი შენ გურგანის ზღვის ნაპირებიდან? სხვა კაცი უნდა ენახა მწყემსს, მაგრამ ისეთი, რომელიც შენ გაჭრილი ვაშლივით გგავდა. ასეთი კი მარტო მე ვეგულებოდი, — მისი მოსისხლე... ამან დააფრთხო ყივჩაყები. მე კი გამახარა. სხვა კაცად ჩამთვალა იმ მწყესმა და თუ ასე აშინებდა ის სახე, მაშინ ცოცხალი უნდა ყოფილიყო ჩემი ძმა. და თანაც ისე უნდა ეცხოვრა, რომ შიშის საბაბი მიეცა ძურძუკთათვის... — თქვა მურორჩიმ.

— მართლაც, აქვთ შიშის საბაბი... დღესაც ახსოვს აზატს, შენგან გაჩეხილი ყვირიმალი. ვერ მოინელა. ოც წელ გავიდა და დღემდის ცდილობს დაიაურებზე შურისგებას. ბევრი თავქარიანი გადაჰყვა ამას. თავად მურზა ყოველთვის დროულად ახერხებდა გაქცევას, მისი ხალხი კი ხევხუვში ხმლით დაჩეხილი და ისარნაკრავი რჩებოდა. — დაუდასტურა უშიშამ.

— მივხვდი მაგას და იმიტომაც მივანებე თავი ყივჩაყებს. მართლებიც იყვნენ. ეგენი ხომ ჩემი ძმადნაფიცები არ ყოფილან. ბელადებს ჩემი უღელტეხილამდე მიცილება ჰქონდათ ნაბრძანები და არა ჩემს მოსისხლეებთან ომი. წასვლა ვუბრძანე ყივჩაყებს და ხეობას მარტო ამოვუყევი...

კარგი ცხენი მყავს, მაგრამ როგორც მაშინ, რუსთავის ციხესთან ომისას, ისევ ცხენმა დამაღალატა. მაშინ ფხოვური ცხენებით ჩავედით ბარს. ისინი კლდეზე ბობღვასა და ვიწროებში ომისთვის იყვნენ გაწვრთნილნი. ჭაობში კი ვერ ივარგეს — ჩაეფლნენ და ჩვენც თან ჩაგვიყოლეს. ეს ბედაური კი ველზე ომის, მკერდით დაძგერებისა და სწრაფი ჭენებისთვისაა გაწვრთნილი, მაგრამ მთაში ვერ ივარგა. ვიწრო ბილიკებზე ვერ გაასწრო ძურძუკთა კატასავით მოქნილ ცხენებს... ვიდრე აზატი წამომეწეოდა ძურძუკ ვეშაგთა ხერგილს მივატანე. მშვიდად შემხვდნენ. მათ ხომ არ იცოდნენ, აზატი რომ მედგა კვალში. მარტო ის მკითხეს: დანარჩენები სად არიანო?.. ვუპასუხე, რომ უკან მომყვებიან და მალე გამოჩნდებიან-მეთქი...

ვეშაგებს მშვიდად გავცდი, მაგრამ შორსაც ვერ წავედი. მალე წამომეწია აზატის რაზმი. ცხენი გავაფიცხე. დაუნდობლად მივუშვი ხეობაში. მინდოდა, რაც შეიძლება მაღლა ამოვსულიყავი და ვიწროში ხმალდახმალ დავხვედროდი...

მალე ისრის სროლის მანძილზე მომიახლოვდნენ. შლეგიანებივით აღრიალდნენ და ისრის სეტყვა დამაყარეს. მათი ისრები არ მაშინებდა; ჩემს აბჯარს ვერაფერს დააკლებდნენ, მაგრამ ცხენი რომ მოეკლათ, ველარ გავერიდებოდი. თავს დამივლიდნენ და ცხენდაცხენ გადამქელავდნენ. სხვა გზა არ მქონდა, საფარი უნდა მომენახა და ისრით მომეგერიებინა. თუ უკან ვერ გავაბრუნებდი, რამდენიმე მებრძოლით ხომ შევუმცირებდი რაზმს.

საფრად ვიწრო და მაღალი გამოქვაბული შევარჩიე. გამოქვაბულის ნაპირები ცხენს ისრებისგან დაიცავდა. სიმაღლე კი ისეთი ჰქონდა, რომ ამხედრებული მოზიდავდი მშვილდს...

პირველ ჯერზე თამამად მოვიდნენ. ორ ათეულამდე იქნებოდნენ. რად უნდა შეშინებოდათ ერთი კაცისა, რომელიც უძრავად იდგა მათ პირისპირ.

ორი ჩამოვაგდე ცხენიდან. სხვები უკან გაცვივდნენ, ლოდებს ამოეფარნენ და ისარი დამიშენეს. ერთხელაც არ მიპასუხია. ვიცოდი, მალე მოჰბეზრდებოდათ შორიდან ბრძოლა და თავისი სიმრავლით გათამამებულები შემომიტევდნენ.

მეორედ უფრო ფრთხილად მოვიდნენ: ნაწილი ისარს მიშენდა, ნაწილი ხმალდახმალ გამოქანდა. კიდევ ორი კაცი გამოაკლდათ. მეტსაც ჩამოვაგდებდი ცხენიდან, მაგრამ არ მაცალეს. მიხვდნენ რაც მოელოდათ და უკუიქცნენ. მეგონა, ისევ ისარს დამიშენდნენ და მერე შემომიტევდნენ, მაგრამ უკვე ხელი აეღოთ ხმალსა და ისარზე...

ცოტა ხანში კლდიდან წვრილმა ქვამ დაიწყო ცვენა. მივხვდი, ზემოთ აეშვა თავისი ხალხი აზატს. კლდეს ჩამოშლიდნენ და სამუდამოდ ჩამმარხავდნენ იმ გამოქვაბულში. იქ დარჩენა აღარ შეიძლებოდა და დეზი ვკარი ცხენს.

ისევ ყიჟინით გამომენთნენ ძურძუკნი. თუმცა რაც მერე მოხდა, შენც ნახე... ცხენი თუ არა, ეს ხომ ბოლომდე მემსახურა... — თქვა მურორჩიმ და ხმლის ვადას მოეფერა.

— ოცი წელი შეგინარჩუნებია შენი ხმალი, — ჩაილაპარაკა უშიშამ.

— მე არა... მაგან შემინარჩუნა სიცოცხლე, — უპასუხა მურორჩიმ.

— შენ ის მიამბე, რაც გუშინ მოხდა და არაფერი გითქვამს იმ დღეზე, როცა დამშორდი. რა მოხდა ივრის ჭალაში? რატომ არ დაბრუნდი უკან და რატომ ვერ მოგძებნა ბერდიამ?.. ან სად გაქრი ოცი წლით და რა გადაგხდა? — ჰკითხა უშიშამ.

— რა მოხდა იმ დღეს და რა გადამხდა იმ ოცი წლის განმავლობაში?.. — თავისთვის ჩაილაპარაკა მურორჩიმ. მერე ნაიარევი ყვრიმალი მოისინჯა და ფიქრს მიეცა.

დიდხანს იჯდა უხმოდ. თითქოს, ცუდის გახსენება არ უნდა და საკუთარ თავს ებრძვისო. ბოლოს, თავი ასწია, შუაცეცხლში მოგუზგუზე ნაკვერჩხლებს მიაპყრო მზერა და ალაპარაკდა.

— ამ ნაიარევით დაიწყო ყველაფერი, მაგრამ თურქთა ასისთავმა გურზის დაკვრით მარტო ჭრილობა არ მომაყენა... იმ დარტყმით ოცი წლით დამაშორა ბერდიას, შენ, არდოტს... და გადამისროლა შორს, ძალიან შორს... ქვეყნებსა და ხალხში, რომელთა არსებობაზეც შენ არაფერი გსმენია...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მაია დათუნაშვილი, მუსიკათმცოდნე:

– ჩემი აზრი ჟურნალ „გზასთან“ დაკავშირებით ერთმნიშვნელოვანია. გული არ დაგწყდეთ, თუკი თქვენი ჟურნალი არ არის იმ რაოდენობით გაყიდვადი, როგორიც ყვითელი პრესა. ამას ლოგიკური ახსნა აქვს. ამ ჟურნალს პროფესიონალები ქმნიან. მე თითქმის ყველა მათგანს ვიცნობ. თქვენ ის გუნდი ხართ, ვინც ყურადღებას იაფფასიან სკანდალებზე არ ამახვილებს. „გზის“ სტატიები ყოველთვის საინტერესო და რაც მთავარია, პროფესიონალურად მომზადებულია. ამიტომ, ჩემი დამოკიდებულება ამ ჟურნალის მიმართ არის განსაკუთრებული სიმპათიით გაჯერებული. წარმატებასა და ბევრ მკითხველს გისურვებთ.

უმღიერესი ემიგრანტები

საერთაშორისო ბანკის აფერისტი, ავანტიურისტი და ქურდებთან დაკავშირებული სკანდალი

წერილი მეოთხე.
წინამორბედი წერილი იხ. „გზა“ №23

მანანა გაბრიჭიძე

რუსუდან დაუშვილი, *ისტორიკოსი, პროფესორი:*

— ვასილ (ვასო) დუმბაძე ოზურგეთის მაზრის სოფელ შემოქმედში დაიბადა. მის მშობლებს: სოფლის მღვდელს, დავით დუმბაძესა და მაკა ტუსკიას, ვაჟის გარდა, 9 ქალიშვილი ჰყავდათ. დავითის უფროსი ძმა — გენერალ-მაიორი ივანე დუმბაძე იმპერატორის დიდი ნდობით სარგებლობდა და მისი ამალის წევრი იყო. იალტის ქალაქისთავად დანიშნული, ყირიმში უსაზღვრო ძალაუფლებით სარგებლობდა.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, ვასო გერმანიაში გაემგზავრა. მან ქართული საზოგადოების ყურადღება სტუდენტობის წლებშივე მიიქცია. მასზე, როგორც იმედის მომცემ ახალგაზრდაზე, „ეერია“ და „ცნობის ფურცელი“ წერდა. ლაიფციგის უნივერსიტეტში მან ორი დისერტაცია მოამზადა: „ქართველები — ეთნოგრაფიული მიმოხილვა“ და „ნავთის ინდუსტრია კავკასიაში და მისი ამერიკის ნავთთან შედარება“. 1906 წელს ლაიფციგის უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტი დაამთავრა და მეცნიერებას რომ გაჰყოლოდა, თავის პროფესიაში თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწევდა: წიგნად გამოცემული მისი სადიპლომო ნაშრომი, ბაქოს ნავთობსარეწების შესახებ, ფრიად სოლიდური გამოკვლევის შთაბეჭდილებას ტოვებს. და მაინც, ვასომ სხვა გზა აირჩია, კომერციას მოჰკიდა ხელი და მალე იმდენად უნარიანი, ნიჭიერი კომერსანტისა და ეკონომისტის სახელი მოიხვეჭა, რომ ფინანსისტ მორგანის დახმარებით, რუსეთ-ამერიკის ბანკის დამფუძნებელთა შორის, გრაფ ვორონცოვ-დაშკოვისა და ამერიკაში რუსეთის ელჩის — ბახმეტევის გარდა, ისიც აღმოჩნდა.

გავლენიანი ბიძისა და კავკასიის მეფისნაცვლის, გენერალ-ადიუტანტ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვის უფროსი ვაჟის წყალობით, იგი პეტერბურგის უმაღლესი წრეების წევრი გახდა. კარგი გარეგნობა, განათლება და ადამიანებთან ურთიერთობის უნარი მის პოპულარობას კიდევ უფრო უწყობდა ხელს. ამას ემატებოდა მისი ავანტიურისტული ბუნება, ეკონომისტის ტალანტი და ევროპული ენების — გერმანულის, ინგლისურის, ფრანგულის ცოდნა.

სპირიდონ კედია და ვასო დუმბაძე (მარჯვნივ)

— ქართველებს თუ ეხმარებოდა?

— დუმბაძე ყურადღებას იქცევს პატრიოტული საქმიანობითაც: I მსოფლიო ომის დროს, ნიკო მინგრელსკის თავმჯდომარეობით შექმნილი, „ქართველ დაჭრილ ჯარისკაცთა საზოგადოების“ გამგეობის წევრი გახლდათ. საზოგადოებამ 20 ათასამდე დაჭრილს გაუწია დახმარება — აწვდიდნენ სურსათს, ტანსაცმელს, ქართულ წიგნებს, გაჭირვებულთა ოჯახებს კი ფულად დახმარებას უწევდნენ. მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პეტროგრადში ქართული ეკლესიის დაფუძნებაშიც. ომამდელ პერიოდში, ილია ჭავჭავაძის დაწყებული საქმის დასაგვირგვინებლად — რუსეთის იმპერიის ფარგლებში საქართველოს ავტონომიის მისაღწევად, აქტიურად თანამშრომლობდა გიორგი მაჩაბელთან, გიორგი შარვაშიძესთან და სხვებთან. მაგრამ მიხეილ ჯავახიშვილის წიგნის გმირად და ცნობილი ავანტიურისტის, კვაჭი კვაჭანტირაძის პროტოტიპად იგი საიდუმლო დიპლომატიურმა საქმიანობამ და რუსეთის სამხედრო მინისტრთან, სუხომლინოვთან დაახლოების წყალობით მსხვილ სამხედრო დაკვეთათა ხელში ჩაგდებამ აქცია...


ვასო დუმბაძე (უკან, მარჯვნიდან პირველი)

I მსოფლიო ომის დროს, მას რუსეთის სამხედრო უწყების მიერ ამერიკისათვის ყუმბარების დასამზადებლად 15 მილიონი ოქროს მანეთის შეკვეთა გადაეცა. გიორგი მაჩაბელთან ერთად, დუმბაძემ შეადგინა გეგმა: იმისათვის, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა მოეპოვებინა, ომში რუსეთი უნდა დამარცხებულიყო. გეგმის მიხედვით — ყველა ჭურვი შეუკვეთეს და ჩამოიტანეს, ოღონდ — სხვა კალიბრის. ისინი რუსულ ქვემეხებს არ მოერგო და ფრონტზე საშინელი კატასტროფა მოხდა — რუსეთის არმია ჭურვების გარეშე დარჩა. დაიწყო კარპატებიდან რუსეთის არმიის კატასტროფული უკანდახევა. ამ სკანდალს შეეწირა მინისტრის კარიერა, ვასო დუმბაძე კი ჩამოხრჩობას გადაურჩა, რადგან მას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მისიის შესრულება მოუხდა: ნიკოლოზ II-მ, სეპარატული ზავის დასადებად, გერმანიაში სწორედ დუმბაძე გაგზავნა. სტოკჰოლმში მას ბერლინიდან დაბრუნებული გიორგი მაჩაბელი დახვდა, სადაც იგი ფონ ლუციუსმა საგარეო საქმეთა სამინისტროს წარუდგინა, როგორც გერმანიის მომხრე, საქართველოს წარგზავნილი. სტოკჰოლმში, სხვა საკითხებთან ერთად, ლაპარაკი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენაზე, ახალი გერმანული დინასტიით სათავეში (გერმანელი პრინცი, იოახიმი ქართველ პრინცესაზე, მარინა მაჩაბელზე უნდა დაექორწინებინათ). შემდეგ, ორივე ქართველი ბერლინს გაემგზავრა. იქ მათ განსაკუთრებული პატივით შეხვდნენ. 8 დღის შემდეგ, შვედეთის გავლით, ვასო რუსეთში დაბრუნდა და თავის მოგზაურობაზე მოხსენება წარმოადგინა, რომელიც ორი ნაწილისგან შედგებოდა: „კავკასიის საკითხი“ და „სამხედრო ტყვეები“, სადაც აღწერილი იყო, თუ როგორ გულითადად მიიღეს ისინი გენერალურ შტაბსა და საგარეო საქმეთა სამინისტროში, რომ გერმანია მზადაა სეპარატული ზავისათვის და რომ მათი ჩარე-

MK

ვით სამხედრო ტყვეებს მდგომარეობა შეუმსუბუქდათ.

რუსეთში მისი დაბრუნება ჭურვების სკანდალს და სუხომლინოვის გადაყენებას დაემთხვა. ჯილდოს ნაცვლად, ვასო დააპატიმრეს — საიდუმლო დოკუმენტების გერმანელებისათვის გადაცემის ბრალდებით, მაგრამ ვერავინ შეძლო იმის დამტკიცება, რომ მან გერმანელებს მართლა გადასცა დოკუმენტი, რომელიც უკვე საიდუმლოდ აღარ იყო, რადგან ნაწილი გამოქვეყნდა. მიუხედავად ამისა, ვასოს სიკვდილი მაინც მიუსაჯეს, მაგრამ მოგვიანებით, ნიკოლოზ II-მ სასჯელი კატორღით შეუცვალა...

თებერვლის რევოლუციის შემდეგ, ვასო დუმბაძე გიორგი მაჩაბლის ძმამ, ილომ თავდებით გამოიხსნა ციხიდან, 1918 წლის ბოლოს კი მან თავის თეატრ „ბი-ბა-ბო“-სთან ერთად, ვასოც წაიყვანა კიევში, სადაც ახლა წითლებმა დააპატიმრეს. ამჯერად, ივანე მაჩაბლის ჩარევით, ის ჯავშნოსანი მატარებლის ცნობილმა მეთაურმა — ლუკიანე თაბუკაშვილმა იხსნა. 1919 წელს ვასო ჯერ ოდესაში, შემდეგ — სტამბოლში, იქიდან კი ევროპაში გაემგზავრა. საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, სხვა მრავალ ქართველთან ერთად, დუმბაძეც ემიგრაციაში აღმოჩნდა.

1925 წელს ის უკვე ამერიკაშია. მან ნიუ-იორკში, საქართველოსა და აზერბაიჯანის წარმომადგენლობის ეგიდით, გამოსცა მშვენიერი წიგნი — The Caucacian Republics, რომელმაც არა მარტო ამერიკელი საზოგადოების, არამედ ქართული ემიგრანტული წრეების ყურადღებაც მიიპყრო. 1926 წელს, როგორც ამერიკულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ წრეებთან დაახლოებული ადამიანი, საფრანგეთში მყოფმა საქართველოს მთავრობამ ვასო რწმუნებებით აღჭურვა და ამერიკაში თავის წარმომადგენლად დანიშნა.

ვასო ენერგიულად შეუდგა საქმიანობას: 1926 წელს, მისი თაოსნობით დაარსდა „ამერიკელი საზოგადოება კავკასიისათვის“, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის — ჰენრი ვილსონის თავმჯდომარეობით და „საქართველოს უფლებების დაცვის კომიტეტი“, ასევე ცნობილი დიპლომატის, ლეონ ვილსონის ხელმძღვანელობით. მათი მიზანი საქართველოს საკითხის წამოწევა იყო. შედეგად, ამერიკის კონგრესზე საქართველოს საკითხი რამდენჯერმე განიხილეს. 1926 წელს, კონგრესმა წიგნიც გამოსცა, სადაც საქართველოს ისტორია და არსებული ვითარება დაწვრილებით იყო აღწერილი. ამას ერთვოდა კონგრესის რეზოლუციებიც, მაგრამ მაშინ საბოლოო გადაწყვეტილება ვერ გამოიტანეს. ვასოს ამის შემდეგაც არ შეუწყვეტია მცდელობები, ამერიკის ხელისუფლება საქართველოს საკითხით დაეინტერესებინა, მაგრამ მსოფლიოს ახალი პრობლემები გაუჩნდა — ევროპაში მწიფდებოდა დიდი ომი და ამერიკის ადმინისტრაციას საქართველოსთვის აღარ ეცალა. ვასო დუმბაძე დიდხანს ასრულებდა საქართველოს არაოფიციალური და არააკრედიტებული ელჩის როლს ამერიკაში. 1924 წლის აჯანყების შემდეგ, მიგრანტთა რიცხვმა იმატა. 30-იანი წლების კრიზისმა და დაძაბულმა პოლიტიკურმა ვითარებამ ბევრი ქართველი ემიგრანტი აიძულა, ევროპიდან ამერიკაში გადასახლებულიყო. 1932 წელს, იაპონიის მიერ მანჯურიის ოკუპაციის შემდეგ, იქ მცხოვრებმა ბევრმა ქართველმა მიაშურა ამერიკას და მათი რიცხვი იმდენად თვალსაჩინო გახდა, რომ გაჩნდა სათვისტომოს დაარსების იდეა, რომლის ერთ-ერთი ინიციატორი, პავლე და თამარ კვარაცხელიებთან, ვანო კობახიძესთან და გიორგი მაჩაბელთან ერთად, ვასო დუმბაძეც გახლდათ.

— სათვისტომოს თავმჯდომარეც ხომ არ იყო?

— ვასო სათვისტომოს საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობდა, ფინანსურადაც ხშირად ეხმარებოდა და თავმჯდომარეც იყო. ის ქართველთა შეკავშირების მიზნით, თავყრილობებსა და ნადიმებს აწყობდა. 1938 წელს, ვასოს ინიციატივით, სათვისტომომ ნიუ-იორკიდან 60 კმ-ში, აისლიპში სახლი შეიძინა, საკუთარი ძალებით გაარემონტა, ავეჯით მოაწყო და ბაღ-ბოსტანიც გააშენა. მას კოსტა ხუნწარია, მისი ცოლ-შვილი და თავად ვასო უვლიდნენ. სათვისტომო ახალჩასულებს ეხმარებოდა და ხელს უმართავდა გაჭირვებულებს არა მარტო ამერიკაში, არამედ სხვა ქვეყნებშიც.

ვასო დუმბაძის ქალიშვილი თამრიკო

ვასოს და სონია დუმბაძე

მართალია, მას ამერიკაში საკუთარი ისეთი დიდი საქმე არ წამოუწყია, როგორც ჯორჯ კობის ან გიორგი მაჩაბელს, მაგრამ როგორც მორგანების ბანკის ფინანსისტი, ერთ-ერთ საკმაოდ შეძლებულ ადამიანად მიიჩნეოდა. ამერიკაში ჩასვლის შემდეგ, ვასომ შეირთო უმდიდრესი ქალი — გეცლორი, რომელსაც ერთ-ერთ უდიდეს 8-მილიონიანი ტირაჟით გამომავალ გაზეთ „ჩიკაგო ტრიბუნში“ ჰქონდა წილი. საკუთარი მდგომარეობის, ცოლისა და გაზეთის წყალობით, ვასო ყველა უწყებაში შეღწევას ადვილად ახერხებდა. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრის, დავით ღოღობერიძის ცნობით, 1927 წელს ვასო პარიზში, ცოლთან ერთად ჩასულა და ქართველი ახალგაზრდებისათვის ამერიკის უნივერსიტეტებიდან 4 „ადგილი ჩაუტანია“. სტუდენტები უზრუნველყოფილი იქნებოდნენ საცხოვრებლით, კვებითა და სტიპენდიით. ამასთან, თავად ღოღობერიძეს არგენტინის საკონსულოში ვიზის მიღებაში დახმარებია და სახარჯოდ 200 დოლარიც უჩუქებია.

ვასო დუმბაძე 1943 წელს, ამერიკაში გარდაიცვალა. მისი უმცროსი დის, ეკატერინეს ქალიშვილმა — ***რუსუდან (ლულუ) ჩიჩელაშვილმა*** *ვასოს ფოტოები მოგვაწოდა და გვიამბო:*

— კარგად მახსოვს, ბიძაჩემის, ვასილ დუმბაძის ანდერძი ფოსტით მოვიდა. ის თავადაც წავიკითხე. ვასომ იცოდა, რომ მამა ცოცხალი აღარ ჰყავდა — კომუნისტებმა საკუთარ სახლში მოკლეს. ანდერძი ასე იწყებოდა: „ჩემს ძვირფას ნენას! ჩემს ძვირფას დებს, დისშვილებს, სიძეებს. ჩემი უძრავ-მოძრავი ქონება...“ მე ასე მახსოვს, რომ ანდერძში დასახელებული იყო 27 მილიონი... შემდეგ ეწერა, რომ თუ არავინ გახლდათ ცოცხალი, იმ ფულით სკოლა ან საავადმყოფო აეშენებინათ. იცოდა, რომ სოფელში აფთიაქი უკვე იყო. ეს ანდერძი მილიციის უფროსმა შალამბერიძემ წაიღო და დღემდე არ ვიცით, სადაა. როცა სუხიშვილების ანსამბლი საზღვარგარეთ პირველად გავიდა, ნინო რამიშვილი, რომელიც დეიდასთან ახლობლობდა, ჰყვებოდა: „ამერიკას რომ ვათვალიერებდით, გიდმა ხელი გაიშვირა და გვითხრა, ეს არის თქვენი „ზემლიაკის“, ვასო დუმბაძის ვილაო. შესვლით ვერ შევედით, მაგრამ ვინც ნამყოფი იყო, ამბობდა, რომ შესასვლელში, ფოიეში, კიბის ერთ მხარეს ვასოს დედის (რომელსაც ჩიხტიკოპი ეხურა) სურათი ეკიდა, მეორე მხარეს — მღვდლის ტანსაცმელში გამოწყობილი მამის“.

ვასო დუმბაძე — გურული აზნაურის ოჯახში დაბადებული, ევროპულ-ამერიკულ უმაღლეს არისტოკრატიულ წრეებში მიღებული საოცარი ბიოგრაფიის კაცი — საერთაშორისო რანგის აფერისტი, ავანტიურისტი თუ მართლაც პატრიოტი და თანამემამულეთა წინაშე ღვაწლმოსილი კაცი ნიუ-იორკშია დასაფლავებული. მას მემკვიდრე არ დარჩენია.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲮᲕᲔᲬᲘᲚᲘ ᲡᲘᲧᲐᲠᲯᲔ ᲓᲐ ᲝᲢᲘᲐ ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲩᲔᲛᲐᲠᲘᲢᲣᲠᲘ ᲮᲔᲓᲕᲐ

16 ივნისს ბატონ ოტია იოსელიანს 78 წელი შეუსრულდება. ჟურნალ „გზის“ რედაქციამ მას წინასწარ მიულოცა დაბადების დღე და ბევრ სხვა სიკეთესთან ერთად, შემოქმედებითი წარმატებებიც უსურვა, ქართველი მკითხველის გულის გასახარად. ამ თარიღისთვის, გამომცემლობა „საქართველოს მაცნეში“ მისი ათტომეულის მეცხრე ტომი დაიბეჭდება.

„ᲐᲘᲓᲔᲕᲘ ᲐᲠᲒᲘ, ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲕᲐᲓᲒᲔᲜ, ᲗᲝᲠᲔᲛ ᲩᲔᲛᲘ ᲑᲣᲜᲓᲝᲕᲐ ᲐᲠ ᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐ ᲐᲥᲐᲛᲓᲔ“

ᲘᲜᲒᲐ ᲧᲐᲧᲔᲚᲘ

— როცა ათტომეულზე მუშაობა შემომთავაზეს, ჩემი მთავარი პირობა დაბალი ფასი იყო. მანამდე, გურამ დოჩანაშვილის ოთხტომეული ვნახე, რომლის ფასი 150-დან 200 ლარამდე მერყეობდა და გული მეტკინა, რადგან ვინც წიგნის ფასი და მნიშვნელობა იცის, ის ასე ძვირს, ძალიანაც რომ უნდოდეს, ვერ გადაიხდის. წიგნი სახელად კი არა, მკითხველისთვის მინდა. ჩემს წიგნში 10 ლარზე მეტი თუ მოგთხოვეს, გამაგებინეთ და შეიძლება, გამყიდველი დავაჭერინო... ახლა მეცხრე ტომზე ვმუშაობთ და როგორც ჩემი მალემსრბოლისგან (ჰო, ასეა ქართულად და არა — მენეჯერი, როგორც თქვენ უძახით), ქალბატონ თამარ ლორთქიფანიძისგან გავიგე, მისი გამოცემა 16 ივნისისთვის უნდა მოესწროს.

— ბატონო ოტია, ბოლოს და ბოლოს, იუბილეს გადახდა ხომ არ გადაწყვიტეთ?

— არა, კაცო, რა მეიუბილევება ამ დაქცეულ ქვეყანაში?! ის კი არა, გივი ბერიკაშვილს „ვახრჩობ“, რადგან ის იუბილეს აღნიშნავს კატეგორიულად მთხოვს: ამდენი გიკეთებიაო და!.. ნეტავ, რა გავაკეთე ამისი ფასი და თუ გავაკეთე(თ), მაშინ ქვეყანა რატომ იქცევა?

— როგორც ჩანს, პესიმისტურად ხართ განწყობილი. საიმედოს ვერაფერს გვეტყვით?

— ქვეყანა იქცევა და რა გითხრათ, რაც არაა?! ჩემთვის ოპტიმისტიც და პესიმისტიც სულელია: ოპტიმისტი ამ ჭიქას რომ შეხედავს (წინ ლიმონათით სავსე ჭიქა უდგას), იტყვის, — შამპანურიაო, პესიმისტი კი მთლად დაითხრის თვალებს, — ცარიელიაო! რეალისტი ვარ მე და იმას ვამბობ, რასაც ვხედავ. რაფერ ვთქვა ახლა შენზე, — თამარ მეფეა-თქვა, როცა ინგას გხედავ?! თვალი გავახილოთ და დავინახავთ, თუ როგორ გვემხობა ქვეყანა თავზე.

— ცოტა ხნის წინ დაგვპირდით, — არჩევნების შემდეგ გეტყვით, თუ სიკეთის იმედი გამიჩნდაო. ალბათ, ცვლილებებს ელოდით...

— ნაწინასწარმეტყველებივით ვიცოდი, რომ სასიკეთოდ არაფერი შეიცვლებოდა. სხვათა შორის, სიახლე მართლა დავინახე — ყოველდღიურ ცხოვრებაში სიყალბე ისე დავხვწეთ, გენიოსიც ვერ მიხვდება, არჩევნებისას სად, რა და როგორ გავაყალბეთ. ამაზე ნამდვილად იმუშავა ხალხმაც და მთავრობამაც. ჰოდა, „მიღწევებიც“ გვაქვს. ჯერ კიდევ საპრეზიდენტო არჩევნებისას უამრავი პოლიტიკოსი მოდიოდა ჩემთან: თქვენს სიტყვას სხვა ფასი აქვს და ამომრჩეველთან შეგვაწიეთო! ვუსმინე და პირში მივახალე ყველას: არც ერთი არ ხართ საპრეზიდენტო კაცები! ფარი არაა ის ჟურნალისტი? გესწავლებიათ ნორმალურად და ეცოდინებოდა-მეთქი.

— თქვენ ყველგან ხაზგასმით აღნიშნავთ, — უმაღლესში არ მისწავლიაო.

— მაგან გადამარჩინა და ამიტომ მაქვს ორი ანბანი ნასწავლი. ნახონ ჩემი წიგნები და თუ ნახავენ შიგ რაიმე არაქართულს, მისაყვედურონ. ამას წინათ, ტელე-რადიოინსტიტუტში მიმიწვიეს, ლექციის წასაკითხად. რა გამიხარდა, იცი? — ინსტიტუტს რომ ვეღირსეთ — სხვა ყველა უნივერსიტეტი გვაქვს, რომელიც უნივერსალურ განათლებას გულისხმობს. ამის გამოც ვუსაყვედურე აკადემიკოსებს, განსაკუთრებით მაშინ, მთავრობის აუგი თქვეს: მთავრობას თავისი უბედურებაც ეყოფა, თქვენიც რომ არ დააბრალოთ. რას სჩადიხართ, რატომ არ გქვიათ თქვენ ყაჩაღები და მიმტაცებლები? 176 მარტო სამედიცინო უნივერსიტეტი რომ გახსენით, ეს მთავრობამ დაგავალათ? ერთი სამედიცინო ინსტიტუტი რომ გვქონდა და კურსდამთავრებულებს მაშინაც ვერ ვასაქმებდით, სად მიგყავთ 176-ის კურსდამთავრებული? თან, თუ ვინმეს პატრონი ჰყავს, სამკურნალოდ საზღვარგარეთ რომ გარბის, ჩვენი ექიმები სად არიან-მეთქი?

— ეს ქართველი ხალხის დაავადებაა — მშობელი ვალდებულად მიიჩნევს თავს, რომ შვილს უმაღლესი განათლება მიაღებინოს.

— განათლების მიღებას რა სჯობია, მა-

მთავრობას თავისი უბედურებაც ეყოფა, თქვენიც რომ არ დააბრალოთ

ჟურნალი „გზა“ ის გამოცემაა, რომლისთვისაც ინტერვიუს მიცემა არ მეშინია

გრამ ჩვენ დიპლომებს ვყიდულობთ და ნასწავლის ხარისხი არ გვენაღვლება. აი, ამას ვჩივი სწორედ. კარგი, პატრონი სულელი ჰყავს, ბავშვი რეგვენია, მაგრამ შენ, აკადემიკოსმა ხომ იცი, რომ ღუპავ? მაგრამ ჩემსავით რომ არ კადრულობთ თოხს და ბარს, ამიტომაც ხსნით უნივერსიტეტებს სულელთათვის და იმათი მოტანილი ფულით გირჩევნიათ ცხოვრება. ეს მეცნიერობა აღარაა, ფულზე მხოლოდ ყჩაღები იყიდებიან. ილია ჭავჭავაძის „ბედნიერი ერი“ უნდა დაბეჭდოთ ყველამ, მსხვილი შრიფტით და ცხვირწინ გაიკრათ — იმაში ნახავთ, რაც და ვინც ხართ!

— თქვენთან რომ ვიყავი, წყალტუბოში, ნახატები ვერ დავათვალიერე, რადგან შუქი არ გქონდათ და დარბაზში ბნელოდა...

— დენს ახლაც წამდაუწუმ მირთავენ.

— როგორ ფიქრობთ, რატომ მეტად ვერ აფასებენ თქვენს დამსახურებას?

— არ იციან ალბათ, ვინ ვარ და არც გაამხილოთ. მიუხედავად იმისა, რომ არც ილია ვარ და არც — აკაკი, მომკლავენ ალბათ... აკაკის სამჯერ დაუპირეს მოკვლა, მაგრამ გადარჩა. არც გალაკტიონი ვარ და არც ვაჟა, რომელებიც შიმშილით მოვკალით... კიდევ კარგი, არაფერს წარმოვადგენ, თორემ ჩემი ბუნდღა არ იქნებოდა აქამდე.



ჩვენში, ხომ იცით, პროფესორობა და დოცენტობა აღარაფერს ნიშნავს

— ბატონო ოტია, გვეშველება რამე?

— ა, ბიჭო, კიდო... ღმერთი არ გწამთ და „სახარებას“ არ კითხულობთ? გადაშალეთ და წაიკითხეთ: „ოფლითა შენითაო!“ რა გადაგარჩენს, სანამ სხვის იმედზე ცხოვრებას არ მოიშლი და იმის ძახილით, — ოპტიმისტი ვარო, ყველა მამაძაღლს თავს მოატყუებინებ?!

— თავს უფლებას ვაძლევ და „კვირის პალიტრის“ მედიასახლის სახელით გილოცავთ დაბადების დღეს!

— დიდი მადლობა გადაეცი ყველას, ბევრი სიკეთე მახსოვს მე მაგ ხალხისგან, განსაკუთრებით, ქალბატონი ლალი გუნთაიშვილისგან. გაანათლოს ღმერთმა მისი სული. ის მოარული სიკეთე და სათნოება გახლდათ. ჟურნალი „გზა“ კი ის გამოცემაა, რომლისთვისაც ინტერვიუს მიცემა არ მეშინია. ასე გააგრძელეთ და მართალი სიტყვა არ მოუშალოთ მკითხველს. ■

ფცხოეთის ცის ქვეშ

წერილი მეცხრე

წინამორბედი წერილები იხ. „გზა“, №16-23

ლაზეთი

გიორგი მახარაძე

ლაზების ტანთჩაცმულობა თითქმის არ განსხვავდება აჭარულ-გურული ჩაცმულობისაგან — დაწყებული შარვლით, დამთავრებული ყაბალახით.

ლაზისტანის — „ტრაპიზონის“ ვილაიეთის (პროვინციის) მოსახლეობის რაოდენობა ოფიციალური ცნობებით 850000 აღწევს, მათში 56000 — ქრისტიანია. მუსლიმანური მოსახლეობის უმრავლესობას ლაზები შეადგენენ. კარგი მიწათმოქმედნი და გამოცდილი მეზღვაურები არიან.

არქაბეში უმრავლესობას მეთევზეები შეადგენენ.

ამ უბანში 51 სოფელია 19551 მცხოვრებით, მათ შორის, 18115 მუსლიმანია და 1436 „ბერძენი“. იქაური ე.წ. „ბერძნები“ იგივე ლაზები არიან, რომლებსაც ბიზანტიის ბატონობის პერიოდში მიუღიათ ქრისტიანობა. საისტორიო წყაროების თანახმად, არქაბე მუდამ ამარაგებდა თურქეთის ფლოტს საუკეთესო მეზღვაურებით.

ლაზეთს შავი ზღვის სანაპიროზე, ქალაქ ქემერის კონცხიდან მაკრიელამდე ძალზე ვიწრო ზოლი უკავია.

ლაზების ენა მცირედ განსხვავდება მეგრულისაგან. დღეს ლაზურის სამი კილო არსებობს: ხოფური (თითქმის ეტოლება მეგრულს. სხვათა შორის, ტელეკომპანია „ივერიის“ ხელმძღვანელის, გიორგი ანდრიაძის თაოსნობით დაარსებული ლაზური რადიო „კოლხას“ გადაცემები ხოფურ კილოზე მიმდინარეობს. ეს რადიო ლაზური ფოლკლორის პოპულარიზაციას ეწევა საქართველოში, თუმცა მას უცხოეთშიც უსმენენ); ათინური (ბერძნულისა და თურქულის გავლენით, დაშორებულია საწყისს) და არქაული (საშუალოა, ხოფურსა და ათინურს შორის).

ხოფელი ლაზები წმინდა სისხლის ლაზები არიან. მათი ტანსაცმელი გურულსა და აჭარულს ემსგავსება, ყველანი გამაჰმადიანებულები არიან.

ხოფის (განსაკუთრებით ორთა-ხოფის) მიდამო ულამაზესია. იქაური მოსახლეობაც სილამაზითა და კოხტა ტანსაცმლით გამოირჩევა.

ზღვისპირა (*არსებობს კიდევ მთის მხარე. — ავტ.*) ლაზების სილამაზე ადამიანს თვალში ეცემა. ისინი კარგი განათლებითა და გარეგნობით გამოირჩევიან.

იქაური ქალები ლამაზნი, ტანადნი და ჩვეულებრივ, ცისფერთვალება, თეთრი პირისახის მქონენი არიან. ამასთანავე, ლაზი ქალები არაჩვეულებრივი ენერგიით, გულადობითა და მტკიცე ხასიათით გამოირჩევიან.

ლაზების მოწინავე ადამიანებს ჯერ კიდევ ხსომებიათ თავიანთი ქვეყნის ისტორიული წარსული, საქართველოსთან, სახელდობრ მეგრელებთან ენობრივი და ტომობრივი ნათესაობა.

„ოსმალნი ძალიან მისდევენ ლაზების ნათესაობას, ლაზთა შვილებს ფულითაც კი ყიდულობენ. ყველა ლაზი სახლობაში ლაზურად ლაპარაკობს, განსაკუთრებით ქალებმა იციან სუფთა ლაზური“, — წერდა ზაქარია ჭიჭინაძე.

ლაზურ ანუ ქართულ სახელს თითქმის არც ერთი ლაზი არ ატარებს, გვარებიც გადაკეთებული აქვთ. მაგალითად, ქურდიანი — ქურდოღლად, მარგიანი — მარგოღლად, მარიამიძე — მაიროღლად, პაპასკირი — პაპოღლად და ა.შ.

საქართველოში, გარდა სოფელ სარფისა (ერთადერთი სოფელია ჩვენში, რომელიც მხოლოდ ლაზებით არის დასახლებული), ლაზები სახლობენ: ბათუმში, გონიოს თემის სოფლებში — თხილნარში, მახოსა და სიმონეთში; აფხაზეთში — სოხუმში, გუდაუთში, ოჩამჩირესა და გულრიფშის მიდამოებში. სხვა ცნობით, ლაზები აგრეთვე ცხოვრობენ ზუგდიდის რაიონის სოფელ ანაკლიაში; ქობულეთში, სოფლებში — ახალშენში, ურეხში და სხვ.

აკადემიკოსი ნიკო მარი აღნიშნავს, რომ ადგილობრივი ქართული გართობებიდან შემონახულია ჯგუფური ცეკვა გაშაირებით; ლაზურად ამ ცეკვას „ობირუს“ უწოდებენ. პროფ. სერგი მაკალათიას მოსაზრებით, ლაზური ფერხული „ობირუ“ თითქმის იგივეა, რაც მეგრული „ოხოხოია“, ლაზურად — „ვახახაია“.

გამოჩენილმა ქართველმა ქორეოგრაფმა ბათუმელმა ენვერ ხაბაძემ შექმნა „ლაზ მეთევზეთა ცეკვა“. დიდხანს დადიოდა ის სოფლებში, კარდაკარ და მისხალ-მისხალ აგროვებდა გადაგვარების პირას მისული ლაზური ცეკვის ილეთებს, ფოლკლორულ, აგრეთვე ნაოსნობა-თევზჭერასთან დაკავშირებულ მასალებს. ასე შექმნა ეს გამორჩეული კოლორიტული ცეკვა.

კიდევ ერთ მნიშვნელოვან დეტალზე გვსურს მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ: 2003 წლის 20 აგვისტოს სარფში, ბათუმისა და სხალთის ეპისკოპოსმა, მეუფე დიმიტრიმ ბათუმსა და სარფში მცხოვრები 120 ლაზი ქრისტიანულად მონათლა. ყველა მათგანი მუსლიმანი იყო და გაქრისტიანების სურვილი თავად გამოთქვა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

სასწაულთმოქმედი ხატი, რომელმაც უამრავი ადამიანი განკურნა

წმინდა ბარბარეს ტაძარი, „ზეემკის“ დასახლებას უძვირფასესი სამკაულივით აბნევია გულზე. თავისი დიდებულებით, ყველა ტაძარი საოცარია, მაგრამ სიძველე განსაკუთრებულ მოწიწებას აღძრავს სულში. მით უმეტეს, თუ შენია, შიგნიდან გრძნობ და გიყვარს...

ეკა ესართია

ტაძარი VIII საუკუნეშია აგებული, მაგრამ მის შესახებ პირველი ოფიციალური ცნობა 1779 წლითაა დათარიღებული, სადაც მოიხსენიება, რომ იქ მოძღვარი მსახურობდა.

1800 წლის ქალაქის განაშენიანების გეგმაში ასახულია ნავთლუღში მდებარე დანგრეული ეკლესია, რომელიც ქვითკირითაა ნაგები. მას ამჟამინდელი სახე XIX საუკუნეში უნდა მიეღო. გადმოცემით, იქ ერეკლე მეფე ლოცულობდა, ხოლო პატრიარქი ეფრემი რამდენიმე წელი ცხოვრობდა და მსახურობდა.

ტაძარში დაბრძანებულია წმინდა ბარბარეს სასწაულთმოქმედი ხატი, რომელმაც უამრავი ადამიანი განკურნა...

მაკა ჟუმბაძე, *მრევლი:*

— ჩემს დისშვილს, 6 თვის ბარბარეს თავში სიმსივნე აღმოუჩინეს. ჩვილისთვის ურთულესი ოპერაცია უნდა გაეკეთებინათ. ოჯახის წევრებმა, ბარბარეს ხატის წინ მხურვალე ლოცვა დავიწყეთ. რამდენიმე დღეში, ოპერაციის წინ, ბავშვს გამოკვლევები ისევ ჩაუტარდა და მოხდა საოცრება — არანაირი სიმსივნური წარმონაქმნი აღარ იყო. ბარბარე ახლა 8 წლისაა და თავს აბსოლუტურად ჯანმრთელად გრძნობს. სასწაულმოქმედი ხატის წინაშე ლოცვით, ამავე ტაძრის მრევლს, რუსუდან ძნელაძეს მხედველობა აღუდგა. ერთხელ ხატი მოიპარეს. წინამძღვარმა გვითხრა, — თუ მას დაანახვებთ, რომ ძალიან გიყვართ და გენატრებათ, აუცილებლად დაგიბრუნდებათო. ცოტა ხანში, ხატს მშრალ ხიდზე მიაკვლიეს და გარკვეული თანხის სანაცვლოდ გამოისყიდეს. ღვთის წყალობით, ახლა ის კვლავ მშობლიურ ტაძარშია დაბრძანებული.

ბარბარე წარმართი იმპერატორის, მაქსიმილიანეს დროს (IV საუკუნე) ცხოვრობდა. ღვთის განგებით, ალექსანდრიიდან ილიპოლისში ვაჭრად გადაცმული ხუცესი ჩავიდა, რომელმაც ბარბარე მონათლა. როდესაც მოგზაურობიდან დაბრუნებულმა მამამ შვილის ნათლობის ამბავი შეიტყო, საშინლად განრისხდა, მახვილი იშიშვლა და უნდოდა, ასულისთვის თავი მოეკვეთა, მაგრამ ბარბარემ გაქცევა მოასწრო და გამოქვაბულს შეაფარა თავი. მამამისს მისი ადგილსამყოფელი ორმა მწყემსმა მიასწავლა; შემდგომში ისინი ციდან გადმოსულმა ცეცხლმა დაწვა... ბარბარე შეიპყრეს და საწამებლად ქალაქისთავს, მარკიანეს გადასცეს. უსასტიკესად გვემდნენ ხარის ძარღვებით. საღამოს ქალს მაცხოვარი გამოეცხადა და წყლულები განუკურნა. მეორე დღეს, მარკიანემ ქალწულის გაშიშვლება და ქალაქში ასე გატარება ბრძანა, მაგრამ ბარბარეს ღვთის ანგელოზი გამოეცხადა, რომელმაც მისი სხეული სპეტაკი სამოსლით შემოსა. ასე რომ, ქალწულის სიშიშვლე ვერავინ იხილა. მარკიანე მიხვდა, რომ ამ სასწაულების მნახველი მრავალი მოქალაქე ქრისტეს რჯულზე მოექცეოდა. ამიტომ, მან ბარბარესთვის თავის მოკვეთა გადაწყვიტა და ამის აღსრულება მამამისს მიანდო. როგორც კი მამამ შვილს მახვილი დასცა და თავი წარკვეთა, ზეციდან ცეცხლი გადმოვიდა და იგი ერთიანად დაიწვა. ასევე დაისაჯა მარკიანეც, რომელსაც სასახლეში შესვლისას მეხი დაეცა.



დიდმოწამე ბარბარეს წმინდა ნაწილები უკრაინაში, კიევის ვლადიმირის საკათედრო ტაძარშია დაბრძანებული, თავის ქალა კი საქართველოში, საფარის მონასტერში ინახება.

საფარის ტაძარი წლების განმავლობაში, სავალალო მდგომარეობაში იყო, მაგრამ უფალმა მოძღვარი ისე გამოგვიგზავნა, რომლის ძალისხმევითაც მოიხატა ტაძარი, შეკეთდა ფასადი, გარემონტდა სატრაპეზო. ასევე, იგეგმება სამრეკლოს აშენება.

„კატების კონკურსი“, „ეფექტიანი“ პროდიუსერი და ქართული „ვარსკვლავობანია“

რამდენიმე ხნის წინ, კონკურსზე — „ბროლის წერო“, რომელიც მოლდავეთში ჩატარდა, საქართველოს სახელით 2 მომღერალი გაუშვეს და ორივემ წარმატებას მიაღწია: ლევან ჯიბლაძე სამშობლოში გრან-პრით ხელდამშვენებული დაბრუნდა, ხოლო მორის მელაძე საუკეთესო ვოკალისთვის დააჯილდოეს. სანამ ამ კონკურსში მიიღებდა მონაწილეობას, ლევანს გადაწყვეტილი ჰქონდა, სიმღერისთვის დაენებებინა თავი, რადგან ფიქრობდა, რომ მის ნიჭს ვერავინ აფასებდა — ის ხომ „ვარსკვლავების აკადემიის“ კასტინგზე „დაბრაკეს“. უცხო ქვეყანაში მიღწეული წარმატებისა და საქართველოში გამეფებული „ვარსკვლავური ავადმყოფობის“ შესახებ მხიარული ლევან ჯიბლაძე და მისი პროდიუსერი — ზვიად შელია გვესაუბრებიან.

ანუ კიდევ ერთი დაუთასემელი წარმატება

ლიკა ქაჯაია

ზვიადი:

— მარტის თვეში, ფესტივალ „ბროლის წეროდან“, რომელიც მოლდავეთში, ყოველწლიურად იმართება, მიწვევა მომივიდა. სასწრაფოდ შევარჩიე 5 მომღერალი, შევაგროვე მათი მონაცემები და კიშინიოვში გავგზავნე. აქედან, მხოლოდ 2 კონკურსანტი შეირჩა: ლევან ჯიბლაძე და მორის მელაძე.

ლევანი:

— როცა ზვიადმა დამირეკა და კონკურსში მონაწილეობა შემომთავაზა, „იურმალა 2008“-ის კასტინგიდან ახალი ჩამოსული ვიყავი და მისი წინადადება სიამოვნებით მივიღე. მოდი, ჩემი და ჩემი პროდიუსერის გაცნობის მხიარულ ზღაპარს მოგიყვები: მე წინა ცხოვრებაში ულამაზესი თეთრი კატა ვიყავი და ამერიკის ერთ-ერთ მშვენიერ შტატში, ლუიზიანაში ვცხოვრობდი. ერთხელ დამესიზმრა, რომ არსებობდა ასეთი ქვეყანა — საქართველო, სადაც ცხოვრობდა ბუმბერაზი კაცი, დიდი ეშვებით და გრძელი თმით. მას შინაურები ცუცას ეძახდნენ (*იცინის*). იგი არაჩვეულებრივი პროდიუსერი იყო...

ზვიადი:

— ჯიბლაძე, არ ვიცი, რას გიზამ! ვინაა, ბიჭო, ცუცა?

ლევანი:

— კაი, ჰო, ვხუმრობ, რა დაგემართა (*იცინის*)?! მოკლედ, ამ კაცს ყველანაირ პოზაში გადაღებული სურათები — ზოგან ხეზე ვიჯექი, ზოგან — თოკზე ვეკიდე, ზოგან კი კუდი მქონდა აპრეხილი და ა.შ. — მეილით გავუგზავნე.

— ლევან, რა გჭირს?

— კარგი ზღაპარია, არა?.. ამასობაში, იურმალაში, კატების სილამაზის კონკურსზე მიმიწვიეს, სადაც ქალბატონმა ნატო დუმბაძემ წამიყვანა. იქ ერთ-ერთ გრძელთმიან კატას (*იგორ ნიკოლაევს გულისხმობს. — ავტ.*) ისე მოვეწონე, აღარ მიშვებდა. ასევე, სომხებმა „კატების“ სომხურ კვირეულზე მიმიწვიეს (ალბათ, ამ კონკურსსაც არ გამოვტოვებ და გასახელებთ). როცა იურმალიდან დავბრუნდი, ეგრევე მოლდავეთში გამგზავნეს, კატა მორის მელაძესთან ერთად, სადაც მართლა კატური სიმღერა შევასრულეთ და წარმატებაც მოვიპოვეთ. სამშობლოში ჩამოვიტანე გრან-პრი და ფული.

— კატას ფული რად გინდა?

— „პედიგრი“ უნდა ვიყიდო, „პე-დიგრი“...

— პატრონი ვერ გიყიდის?

— უპატრონო ვარ მე. დაგავიწყდა, ლუიზიანიდან რომ ჩამოვედი?.. მოკლედ, დღეს თეატრალურ უნივერსიტეტში გამოცდა მქონდა, ახლა იქიდან მოვდივარ და ალბათ, ხუმრობაც მეპატიება. მოდი, ახლა დავსერიოზულდები... იცი, ძალიან მინდოდა, „ვარსკვლავების აკადემიაში“ მიმელო მონაწილეობა, მაგრამ რატომღაც, კასტინგზე „დამბრაკეს“. მინდა, ამისთვის დიდი მადლობა ვუთხრა მარინა ბერიძეს. ამ ამბის შემდეგ, ის ძალიან შემიყვარდა.

— სიტყვა „შემიყვარდა“ ბრჭყალებში ჩავსვა?

— არა, რატომ? იქ რომ მიმელო მონაწილეობა, გრან-პრის ვერ ჩამოვიტანდი, საქართველოს მოსახლეობის გარდა, ვერავინ გამიცნობდა. ისე, სიმართლე გითხრა, მაშინ კი ამიცრუდა გული ყველაფერზე და რომ არა ნატო დუმბაძე, რომელმაც მეორე დღეს „იურმალის“ კასტინგზე გამგზავრება შემომთავაზა, სიმღერას საერთოდ შევეშვებოდი.

— „ბროლის წეროზე“ მომიყევი რამე...

— კონკურსი მომღერალმა ბიანკამ გახსნა. მე მეხუთე გამომსვლელი ვიყავი, მორისი — მეთხუთმეტე. მოკლედ, ხუთიანებმა გაამართლა: ორივემ წარმატებას მივაღწიეთ და საპრეზიდენტო არჩევნებშიც ამ რიცხვმა გაიმარჯვა.

— მაგრამ ამბობენ, კატებს 13 რიცხვი უყვართო...

— რომელ კატებს? მე ამ ცხოველებზე რამე ვთქვი? იცი, ზოგჯერ გაორება მჭირს და რაღაცები მავიწყდება (*იცინის*)...

ზვიადი:

— ლევანმა ჟიურის წევრების გული ეგრევე დაიპყრო. მისი გამოსვლებისას დარბაზში ტაში ქუხდა. ტურზე გასვლისას, 12 ჟიურის წევრიდან, 7 ფეხზე წამოუდგა. მალე საკონცერტო ჩანაწერს გამოგვიგზავნიან და მას ქართველი საზოგადოებაც იხილავს. ლევანს მართლაც, ძალიან ძლიერი კონკურსანტები ჰყავდა. როცა მოლდავეთში ჩავედით და მათ მოვუსმინეთ, ლევანს და მორისს ვუთხარი: აქ არაფერი გვესაქმება, ჯობია, ჩემოდნები ჩავალაგოთ და საქართველოში დავბრუნდეთ, რადგან მაინც ვერაფერს მივაღწევთ-მეთქი. მაგრამ როგორც ხედავთ, ორივე მომღერალმა წარმატებას მიაღწია.

ლევანი:

— ბოლო გალა-კონცერტზე სოსო პავლიაშვილი იყო მოწვეული, თავის ძალიან მაგარ ბენდთან ერთად. როცა საქმე გამარჯვებულების გამოვლენაზე მიდგა, გული საშინლად ამიძგერდა, მაგრამ მაინც, სცენაზე თავაწეული, ამაყად ვიდექი. გამოაცხადეს

ყველანი შოკში ჩაეკვეთლით, თავად ლევანი კი სცენაზე გამოვარდა და მუხლებზე დაიჩოქა

ეგრევე მოლდავეთში გამგზავნეს, კატა მორის მელაძესთან ერთად

მესამე, მეორე და პირველ ადგილებზე გასულები, კონკურსის ლაურეატები, მორისი დაჯილდოეს საუკეთესო ვოკალისთვის, ვიღაც ჩინელი გოგონა „ფეხებიდან“ სიმღერისთვის... ჩემს სახელს კი არა და არ აცხადებდნენ. ბოლოს, როგორც იქნა, წამყვანმა გამოაცხადა: „ბროლის წერო“ საქართველოში მიფრინავს და ეს ლევან ჯიბლაძის დამსახურებაა...

ზვიადი:

— გრან-პრის გადასაცემად სცენაზე სოსო პავლიაშვილი მიიწვიეს და როცა წამყვანმა გამოაცხადა, რომ „ბროლის წერო“ ლევანმა მიიღო, ყველანი შოკში ჩავცვივდით, თავად ლევანი კი სცენაზე გამოვარდა და მუხლებზე დაიჩოქა. მის ამ საქციელზე სოსო გადაირია. თურმე, თავის დროზე ზუსტად ასეთი რეაქცია ჰქონია, როცა კონკურს „იურმალაზე“ გაიმარჯვა.

— ლევან, შენ ეს იცოდი?

ლევანი:

— არა, ეს მოგვიანებით გავიგე. სხვათა შორის, სოსომ შემოგვთავაზა, — თუ რუსეთში რაიმის გაკეთებას დააპირებთ, თქვენ გვერდით მიგულეთო. ასევე, უამრავი ადამიანისგან მივიღეთ შემოთავაზება. ივლისის თვეში კი უკრაინაში, კერძოდ — ლვოვში, ფესტივალზე მივემგზავრებით, სადაც იმ სიმღერას შევასრულებ, რომელიც „ბროლის წეროს“ ერთ-ერთმა პრიზიორმა, მეორე ადგილზე გასულმა უკრაინელმა ოსმანოვმა მაჩუქა (ის უკრაინაში საკმაოდ პოპულარული ადამიანია. მის სიმღერებს ძალიან ცნობილი მომღერლები მღერიან. ასევე, წერს სიმღერებს „საბავშვო ევროვიზიისთვის“ და ა.შ.). ახლა ზვიადთან 4-წლიანი ხელშეკრულება გავაფორმე და მასზეა დამოკიდებული, საქართველოში დავრჩები, თუ მის ფარგლებს გარეთ მივაღწევთ წარმატებას.

ზვიადი:

— და იცი, როგორი პუნქტი შეიტანა ამ ხელშეკრულებაში? ამ დროის განმავლობაში, სხვა მამაკაცი მომღერლის პროდიუსერობის უფლება არ მაქვს.

ლევანი:

— ეს პუნქტი არც ქალებზე ვრცელდება და არც — უცხოელებზე (*იცინიან*).

— ლევან, მესაკუთრე ხარ?

— არა, ეგოისტი ვარ. ადამიანისგან ის უნდა მივიღო, რასაც გავცემ.

— შენი სიმღერები რადიოტალღებზე ტრიალებდა, მაგრამ მათ პოპულარობა მხოლოდ ძალიან ვიწრო წრეში მოიპოვეს.

— 15 წლის ვიყავი, როცა ასპარეზზე გამოვჩნდი და მაშინ, 2 სიმღერა გიგა კვენტაძემ დამიწერა. ახლა 21 წლის ვარ, გემოვნება შემეცვალა და სულ სხვა სტილის სიმღერებს ვანიჭებ უპირატესობას. მოკლედ, საკუთარ ძალებს პოპროკში მოვსინჯავ და იმედი მაქვს, უფრო დიდ წარმატებას მივაღწევ, უფრო მნიშვნელოვან პრიზს ჩამოვიტან. მანამდე კი კიევისკენ ავიღებ გეზს.

— გრან-პრი არ გაკმაყოფილებს? და საერთოდაც, რატომღაც მგონია, რომ საქართველოში დარჩენას აღარ აპირებ. ამის მიზეზი რა არის?

— საქართველოდან სამუდამოდ წასვლას ნამდვილად არ ვაპირებ, მაგრამ ვიცი, უცხო ქვეყანაში უფრო მეტად დამაფასებენ. კარგა ხანია, საქართველოში ფესტივალიდან გრან-პრით ხელდამშვენებული არავინ დაბრუნებულა, მაგრამ მიუხედავად ამისა, როგორც კოლეგებმა (მეგობრებს არ ვგულისხმობ), ისე მასმედიის წარმომადგენლებმაც, შეიძლება ითქვას, რომ სრული „იგნორი“ გამიკეთეს.

ზვიადი:

— ბევრი ჟურნალისტი გვეუბნებოდა: ბოდიში, თქვენზე ისეთს ვერაფერს რომ ვერ ვწერთ, მაგრამ რა ვქნათ, ლევანი ისეთი პოპულარული არაა, როგორიც ჩვენ ხელს გვაძლევსო. ხალხნო, ჟურნალისტებმა თუ არ დააპიარეს ადამიანი, ის პოპულარობას ვერასდროს ეღირსება. ისეთებს უკეთებთ რეკლამას, რომლებიც ამას ნამდვილად არ იმსახურებენ, ხოლო მათ, ვინც მართლა რაღაცას აკეთებს, „აიგნორებთ“. ვიღაც უცხოელებმა გრან-პრი მისცეს, უკრაინისა და მოლდოვეთის ტელეარხები ლევანის სიმღერებს ატრიალებენ, ქართველები კი ამით არათუ არ ვამაყობთ, პირიქით, ვცდილობთ, ეს ამბავი არ გამჟღავნდეს. თითქოს, რაღაც სამარცხვინო გაეკეთებინოს.

ლევანი:

— ჩემს კოლეგებს (მეგობრების გარდა) საშინლად არ მოეწონათ, წარმატებას რომ მივაღწიე და ამის გამო გული ძალიან მწყდება. ხალხნო, რუსეთში ადამიანები ფულის გამო კლავენ ერთმანეთს, ჩვენ კი იმისთვის ვჭამთ ურთიერთს, რომ ჟურნალის გარეკანზე გამოვჩნდეთ. ეჰ...

ზვიადი:

— ეს „ვარსკვლავური ავადმყოფობის“ შედეგია. ბევრმა შეიქმნა ისეთი იმიჯი, თითქოს მოკაშკაშე ვარსკვლავია და სხვებს ცხვირს უბზუებს. ყველას ვთხოვ, დაბლა, მიწაზე დაეშვას, თორემ მალე ფრთებს მოიტეხს.

ლევანი:

— ჩემი აზრით, საქართველოში მხოლოდ ერთი ვარსკვლავია — მიშა სააკაშვილი, სხვები კი უბრალოდ, „ვარსკვლავმანიით“ არიან შეპყრობილნი... დიდი მადლობა ჟურნალ „გზას“ იმისათვის, რომ თქვენც „იგნორი“ არ გამიკეთეთ და იმის თქმის საშუალება მომეცით, რასაც ვფიქრობ და რის გამოც გული ძალიან მწყდება. ■

„ვიხუბობდით იმის გამო, რომ მე აბიტურიენტი ვარ, ის კი...“

უცნობი გოგო:

„ლიკა, შენი დახმარება მჭირდება. 17 წლის ვარ და უკვე წელიწადზე მეტია, შეყვარებული მყავს. მართალია, ძალიან ვუყვარდი, მაგრამ ბოლო დროს სულ ვჩხუბობდით იმის გამო, რომ მე აბიტურიენტი ვარ, ის კი მუშაობს და ისე ხშირად ვეღარ ვნახულობდი (ძირითადად ჩხუბის მიზეზი ყოველთვის ეგ იყო). ცოტა ხნის წინ ჩემ მიმართ ძალიან შეიცვალა, გაცივდა და დავშორდით კიდეც. მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ შევრიგდით. მითხრა, — დაბნეული ვარ, ფიქრი მჭირდება და ცოტა დრო მომეცი, მერე კი თავად შეგეხმიანებიო. დავთანხმდი. 5 დღის მერე გავახსენდი, მაგრამ არაფერი უთქვამს. უბრალოდ, მთვრალი იყო და მომიკითხა. არ ვიცი, რა ვქნა, როგორ დავიბრუნო მისი სიყვარული? ლიკა, უმორჩილესად გთხოვ, გამოაქვეყნე, რა. იმედი მაქვს, ჩემთვის რჩევის მოცემას არ დაიზარებენ. წინასწარ გიხდი მადლობას“.

***P.S.** თუ უცნობი გოგოს წერილის წაკითხვის შემდეგ მასთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.99. 17.35.27. მას თქვენი დახმარების იმედი აქვს... და კიდევ, თქვენ მიერ გამოგზავნილი „ესემესები“ ჩვენამდე არასრულად აღწევს (სადღაც წყდება და შესაბამისად, მის შინაარსს ვერ ვიგებთ) და მათ დაბეჭდვას სწორედ ამ მიზეზის გამო ვერ ვახერხებთ. გაითვალისწინეთ, თუ ვრცელი „ესემესს“ გამოგზავნა გსურთ (ერთი მესიჯი 160 სიმბოლოს იტევს), ის რამდენიმე მესიჯად უნდა გამოგზავნოთ.*

როგორ უნდა მოექცე ცოცხალ ბიძას

„გზის“ №23-ში დაიბეჭდა დიკი ანგელის მესიჯი, სათაურით — „ერთხელ მოვიკლავ თავს და დავისვენებ...“ შეგახსენებთ, გოგონა გვწერდა, რომ 16 წელი სიმწარეში გაატარა. ის ბებიასთან ცხოვრობს და ბიძა (დედამისის ძმა), რომელიც ბოლო დროს ლოთობას მიეჩვია, გოგონას არა მარტო მორალურ, არამედ ფიზიკურ შეურაცხყოფასაც აყენებს. ანგელი გვწერდა: „როცა მცემს, ვერც გაქცევას ვახერხებ და ვერც — დაყვირებას... როკს ვუსმენ, მხოლოდ ეს მამშვიდებს. ჰო, კიდევ, ჩემი 7 თვის ძმაც მეზიზღება...“

„თუ ყიდევ გაბედავს და შეგეხება, უჩივლე!“

ლუნა:

„რამდენი პრობლემა აქვს ხალხს!.. ჩემო კარგო, თავის მოკვლა გამოსავალი არაა. დავიბენი და არ ვიცი, რა გირჩიო. როკის მოსმენა თუ გამშვიდებს, ხშირად მოუსმინე. იცი, სულიერ სიმშვიდეს ეკლესიაში სიარული და ლოცვა მოგიტანს. ვერ ვხვდები, ვინ მისცა ბიძაშენს იმის უფლება, რომ ხელით გეხება? ამ ყველაფრის შესახებ დედაშენი რას ამბობს? ალბათ, ის კაცი პათოლოგია და სხვა საქმე არ აქვს. კარგი იქნება, ეკლესიისკენ მასაც თუ უბიძგებ. წარმატებები!“

გრუზინკა:

„უღმერთო კაცი! ვერ ვხვდები, საკუთარ დისშვილს საცემრად როგორ იმეტებს? დიკი ანგელ, შენ მართლმადიდებელი ადამიანი ხარ და ალბათ, ისიც მშვენივრად მოგეხსენება, რომ თვითმკვლელობა დიდი ცოდვაა. შენი გასაჭირი დედას უამბე, ის დაგეხმარება“.

უცნობი:

„ჩემო კარგო, ალბათ, არ იცი, რომ სიცოცხლის ხელყოფის უფლება არავის აქვს, ეს უფლის უარყოფას ნიშნავს და ამის გამო, ღვთის წინაშე აუცილებლად მოგეკითხება. გირჩევ, მოძღვარს დაელაპარაკო, თორემ როკმუსიკით გატაცება კარგს არაფერს მოგიტანს. ამას სჯობს, „სახარება“ იკითხო“.

კავალა:

„მთელი გულით თანაგიგრძნობ. შენ ჯერ ძალიან პატარა ხარ და იმ კაცს ნუ მისცემ უფლებას, ცხოვრება გაგიმწაროს. ნუ დაელოდები უფლის განაჩენს, სამართლიანობის აღსადგენად ხელი შენც გაანძრიე. ისევე, როგორც თვითმკვლელობა, სასოწარკვეთილებაც მომაკვდინებელი ცოდვაა“.

კახელი სალომე:

„ყველაფერი დედაშენის ბრალია! ბიძა გცემს და მისგან გაქცევას ვერ ახერხებ? რატომ? იქნებ, საკუთარი თავი არ გიყვარს? პატარა ძმამ რა დაგიშავა? მგონი, ფსიქიკა ძალიან ცუდ დღეში გაქვს. თვითმკვლელობაზე კი არა, იმაზე უნდა იფიქრო, თუ როგორ და რითი უშველო თავს. შენ მოძღვართან დალაპარაკება გჭირდება“.

გუდა:

„ამ ბავშვების შემყურეს, ნამდვილად ვილაც შემომაკვდება! ანგელ, სხვა ნათესავი არ გყავს? თავის მოკვლით შვებას ვერ მოიპოვებ. მერწმუნე, ჯოჯოხეთში ყოფნა უარესია!“

ეგოისტკა:

„დედაშენი და ბებიაშენი რას უყურებენ? ნუთუ, ვერ ხედავენ, სახლში ტირანი რომ ჰყავთ? შეგიძლია, ბიძას დამცირებისთვის უჩივლო! თუ გინდა, ვიმეგობროთ“.

ტოპოლინა:

„დედამ არაფერი იცის? გირჩევ, მას დაელაპარაკო და ყველაფერი უამბო. მამა არ გყავს? შენი 7 თვის ძმა რაღას გიშავებს? თვითმკვლელობაზე ფიქრს შეეშვი და ზიზღი, რომელსაც უმიზეზოდ აფრქვევ, მოიშორე. P.S. მაფიოზა, მართალია, გოგო ვარ, მაგრამ მაინც გეტყვი: აუცილებლად გეშველება! შენ შეხვდები გოგოს, რომელიც ისე შეგიყვარდება, ვერც კი მიხვდები. ჯერჯერობით, მეც ჩემს პრინცს ველი. წარმატებები!“

„მიზღი და სიძულვილი საბოლოოდ ანადგურებს ადამიანს“

AVRIL-LAVIGNE:

„დაიკო, ამ ყველაფერს როგორ ითმენ? გინდა, ბიძა იყოს და გინდა — პეტრე თუ პავლე, ყველა თავის ადგილას უნდა მოსვა! ძლიერი უნდა იყო, თავი არავის დაანაგვრინო. სახლში დაქალები მიიყვანე და თუ რამეს გეტყვიან, საკუთარი უფლებები დაიცავი. ეტყობა, მომთმენი ადამიანი ხარ. რაც შეეხება შენს ძმას, ის არ უნდა გძულდეს. მერწმუნე, გაიზრდება და შეგიყვარდება. მოეფერე ხოლმე და მის მიმართ სითბო გამოიჩინე“.

იკუშკეგი:

„ეს რა სიმდაბლეა? საშინლად აღშფოთებული და შეძრწუნებული ვარ. ბიძაშენს სიამოვნებით ვასწავლიდი ჭკუას. ოჯახის წევრები ვერ ხედავენ, ის უსინდისო კაცი როგორც გექცევა? თუ კიდევ გაბედავს და შეგეხება, უჩივლე! პატარა გოგო ნამდვილად აღარ ხარ და სიმტკიცე უნდა გამოიჩინო. თავს რაც უფრო დაუხრი, მით მეტად გაგთელავს!“

უკარეგა:

„სკოლაში სამართალს კარგად ვსწავლობდი და შენს ადგილას რომ ვიყო, ჩემს „სათაყვანებელ“ ბიძიკოს აუცილებლად ვუჩივლებდი. ნუ აძლევ უფლებას, ხელით შეგეხოს და 16 წლის გოგოს ცხოვრების ხალისი დაგიკარგოს. როცა საცემრად გამოიწევს, ფეხი გაუქანე და „ტოჩკაში“ ხიე!“

თოკო:

„ამ დამპალი ადამიანის გამო ცხოვრება არ დაიმახინჯო. ბიძაშენს შეძლებისდაგვარად მოერიდე, ნუ დაითრგუნები და საკუთარ თავში ნუ ჩაიკეტები. თავი ხელში აიყვანე, ილოცე და მოძღვართან იარე. თუ გინდა, ვიმეგობროთ“.

ლია:

„გამარჯობა, ლიკუშ. არ ვიცი, ჩემს უცნობ მეგობრებს ვახსოვარ თუ არა, მაგრამ მე თითოეული მათგანის რჩევა-დარიგება მახსოვს. ლია ვარ, ის უბედური და დატანჯული გოგონა, რომელმაც პატიმარი მეუღლისგან და მისი ოჯახისგან დამცირებას ვერ გაუძლო და თქვენი მკითხველების დახმარებით, სწორი გადაწყვეტილება მიიღო — ოჯახიდან წამოვედი და ახლა ძალიან ბედნიერი ვარ. უკვე თბილისში ჩამოვედი და გოეთეს ინსტიტუტში ვსწავლობ. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ათენში მყოფ ციცო დეიდას, რომელიც ასევე, თქვენი მეშვეობით გავიცანი... ახლა კი მინდა, დიკის გამოვეხმაურო: თავის მოკვლა ძალიან დიდი შეცდომაა. ძალიან გთხოვ, ეგ ფიქრი თავიდან ამოიგდე. ჩემო სიხარულო, დახმარებისთვის ვინმეს მიმართე. ნუთუ, ბიძის გარდა არავინ გყავს? ლიკას ჩემი ნომერი გამოართვი და ვიმეგობროთ“.

ბარტყი 16:

„გთხოვ, თავი ხელში აიყვანე და სანამ თავს რაიმეს დაუშავებ, მე დამიკავშირდი. ეგეთები მეც გამომიცდია და ვიცი, რა ბოროტია ეს ცხოვრება. პი-

რადად თუ განახე, ჩემს ცხოვრებაზე მოგიყვები“.

მტირალა:

„ამ საკითხზე ბებიას და დედას სერიოზულად დაელაპარაკე. რა დროს თავის მოკვლაა, შენ ხომ ახლა იწყებ ცხოვრებას. ვერ გავიგე, 7 თვის ძმამ რა დაგიშავა ასეთი, რომ გეზიზღება? გირჩევ, ემოციებს არ აჰყვე. გაიღიმე, პატარავ“.

ეკა:

„ლიკა, ანგელს ჩემი ნომერი მიეცი. რატომ იტანჯავს თავს? — სახლიდან წამოვიდეს და ჩემთან იცხოვროს. ჩემს მშობლებს ფული ისედაც ოხრად აქვთ. ჩვენ მაგარ დროს გავატარებთ და დავმეგობრდებით“.

მუკოგანძელი:

„ბიძაშენი რომ მანახვა, ისეთს დავარტყამდი, თუ სიცოცხლეს არ გამოესალმებოდა, ინვალიდად მაინც ვაქცევდი. ლიკას ჩემი ნომერი გამოართვი და დამიკავშირდი“.

მარიკო:

„როცა შენი მესიჯის კითხვა დავიწყე, ძალიან შემებრალე, ბიძაშენი კი ტირან ადამიანად მომეჩვენა, მაგრამ როცა იმ ადგილას მივედი, სადაც წერ, — ძმა მძულსო, ვიფიქრე, რომ მეც სიამოვნებით გცემდი. უგულო, ეგოისტი იქნები და ალბათ, ბიძაშენი სწორედ ამიტომ გცემს. რას ერჩი ანგელოზს? პაწია შეიყვარე და თავი არავის დააჩაგვრინო!“

ტყვია:

„17 წლის ვარ და მხოლოდ 6 თვეა, რაც სიცოცხლე მიხარია. მეც ბევრჯერ მნდომებია სიკვდილი... ვინმე შეიყვარე და შენც ჩემსავით გადაიფიქრებ თვითმკვლელობას. მე ერთი ადამიანი შემიყვარდა, რომელმაც მართალია, ამის შესახებ არაფერი იცის, მაგრამ მთავარი ისაა, რომ მე მისით ვსუნთქავ და ვცოცხლობ. უფალს მიენდე“.

სალოლო:

„გენათალე, „ლოვე“ გყავს? თუ გყავს, გათხოვდი და დაისვენებ“.

მიქაელი:

„სიკვდილი ვერაფერში დაგეხმარება. პირიქით, თვითმკვლელობის წყალობით ჯოჯოხეთში მოხვდები და უფრო დაიტანჯები! რაც შეეხება როკის მოსმენას, ის კი არ გამშვიდებს, არამედ კიდევ უფრო გაგიჟებს! როკის საწყისები სატანურია და სწორედ მისგან მოდის შენი ბნელი ფიქრები. რატომ უნდა გეზიზღებოდეს ძმა? რომელიმე დედათა მონასტერში მიდი და იქ მოიპოვებ ნამდვილ სულიერ სიმშვიდეს!“

ექსტრემი:

„ახლა წავიკითხე ანგელის მესიჯი და განწყობილება გამიფუჭდა. რატომ გცემს ბიძაშენი? იქნებ, ამაში დამნაშავე თავად ხარ? ამის შესახებ დედაშენს რატომ არაფერს უყვები? რატომღაც მგონია, რომ ცოტა არ იყოს, ეგოისტიც ხარ. აბა, რა დაგიშავა უმანკო ჩვილმა? ყველაფერს სჯობს, მოძღვართან მიხვიდე და მასთან ლაპარაკის შემდეგ, აზროვნება შეგეცვლება. კარგი იქნება, თუ ჩემს რჩევას გაითვალისწინებ, თუ არა და, მე არაფერი დამაკლდება“.

ბლეიდი:

„ამ ხალხის ვერაფერი გამიგია, რა. ნუთუ, არ იციან, რომ მარტო შვილის გაჩენა კი არა, მისი აღზრდაა მთავარი. დავიჯერო, დედაშენი შენს ტანჯვას ვერ ამჩნევს?.. თავის მოკვლაზე რომ ფიქრობ, როგორ გგონია, ამ ცხოვრებაში კიდევ მოხვალ? ჭკუით იყავი“.

ბაჩო:

„ბიძაშენი მაზოხისტი კაცი ყოფილა. უფრო სწორად, კაცი კი არა, არაკაცი! როკის მოსმენას და თვითმკვლელობაზე ფიქრს შეეშვი. ამას სჯობს, ტაძარში იარო და მოძღვარს გაესაუბრო. ღმერთს ებარებოდე“.

BLACK PANTEEERA:

„ჩემო კარგო, ნაძირალა ბიძის გამო, თავი რატომ უნდა მოიკლა? სიცოცხლე მშვენიერია! შენს ადგილას რომ ვიყო, ბიძას სიფათს გავუნგრევდი და ცოტა გამოფხიზლდებოდა. ისე, ძმას რას ერჩი?.. მეც როკის ფანი ვარ“.

GREEN GIRL:

„რას ჰქვია, გცემა? შენს ადგილას ხელს შევუბრუნებდი. საკუთარ თავში ნუ ჩაიკეტები, პირიქით — აგრძნობინე, რომ ძლიერი ხარ. მოუსმინე JUDAS PRIEST-ის ANGELS-ს და შენს კითხვებზე პასუხს იქ იპოვი“.

როქსი:

„საცხოვრებლად სხვა ნათესავებთან გადადი. თავი შენ კი არა, მაგ არაკაცმა უნდა მოიკლას. თუ წასასვლელი არსად გაქვს, როგორც კი ცემას დაგიპირებს, პოლიციაში უჩივლე. მას ეგრევე დაიჭერენ და შენც გეშველება. მე როკერი როქსი ვარ, 18 წლის. მოდი, ვიმეგობროთ“.

„როცა საცემრად გამოიწევს, ფეხი გაუქანე და „ტოჩკაში“ ხიე!“

ფიფილა:

„როცა ასეთ მესიჯებს ვკითხულობ, გული მიკვდება და საკუთარ თავზე ბრაზი მომდის — ჩემი მშობლები ხმას რომ აუწევენ, ვბრაზობ. თურმე, რა უმადური ვარ!!! აგერ, დიკი ანგელს კი სცემენ, შეურაცხყოფენ და იმდენად დიდ ტკივილს აყენებენ, რომ გოგონა სიკვდილზე ფიქრობს. დიკი, შენ ახლა ძალიან ძლიერი უნდა იყო. მერწმუნე, ლოცვით ყველაფერს მიაღწევ. ჩემო პატარავ, შემიძლია, დაგეხმარო. უფალს ებარებოდე და დედა ღვთისა გაძლიერებდეს“.

ანუშკები, *18 წლის:*

„მსგავსი ცხოვრება მეც გამომივლია და ვიცი, როგორ ცუდად ხარ. სისულელეებს ნუ ჩაიდენ. მერწმუნე, ზიზღი და სიძულვილი საბოლოოდ ანადგურებს ადამიანს. თუ ძლიერი იქნები და ყველა გეყვარება, პრობლემებს ადვილად გაუმკლავდები“.

კახელო-616:

„ძალიან მიკვირს, ჩემი თანატოლები თვითმკვლელობაზე რომ ფიქრობენ. ნუთუ, ეს საუკეთესო გამოსავალია? მესმის, რომ საშინლად იტანჯები, რადგან შენი უფლებები იზღუდება, მაგრამ ეს არ გამართლებს. გამაგრდი, სულით არ დაეცე!“

სატანას სისხლი:

„საშინელ მდგომარეობაში ხარ. თუ შენზე ხელს კვლავ აღმართავს, იყვირე, „ბოლი გამოუშვი“ და ხელიც შეუბრუნე. უნდა გააგებინო, რომ უკვე დიდი გოგო ხარ. რაც შეეხება შენს ძმას, მასზე ძვირფასი არავინ გყავს და გაუფრთხილდი, არ დაუშვა, რომ ბიძაშენი მასაც ისევე მოექცეს, როგორც შენ გექცევა. აბა, შენ იცი, იმედი არ გამიცრუო“.

■

ამჯერად, გთავაზობთ JUDAS PRIEST-ის სიმღერის — ANGELS-ის ტექსტს, რომლის მოსმენაც GREEN GIRL-მა დიკი ანგელს ურჩია.

Angel - put sad wings around me now/ Protect me from this world of sin/ So that we can rise again/ Oh angel - we can find our way somehow/ Escaping from the world we're in/ To a place where we began/ And I know we'll find/ A better place and peace of mind/ Just tell me that it's all you want - for you and me/ Angel won't you set me free/ Angel remember how we'd chase the sun/ Then reaching for the stars at night/ As our lives had just begun/ When I close my eyes I hear your velvet wings and cry/ I'm waiting here with open arms - oh can't you see/ Angel shine your light on me/ Oh angel will we meet once more - I'll pay/ When all my sins are washed away/ Hold me inside your wings and stay/ Oh! Angel take me away/ Put sad wings around me now/ Angel take me far away/ Put sad wings around me now/ So that we can rise again.

მეგობრული ხუმრობა მსოფლიოს კინოვარსკვლავთა მონაწილეობით

მეთ დეიმონი და სარა სილვერმანი კლიპში I`m Fucking Matt Damon.

მოკლემეტრაჟიანი კომედიური ფილმების — I`m Fucking Matt Damon და I`m Fucking Ben Affleak რეჟისორს უეიმ მაკქლემის, სტუდიამ — 20th Century Fox — ახალი ფილმის — Cool School გადაღება შესთავაზა. სურათი მაყურებელს 30 წლის ასაკის მენეჯერთა შესახებ მოუთხრობს, რომელთაც 1 კვირით სკოლაში აგზავნიან, რათა ახალგაზრდობა გაიხსენონ და მიზნობრივი აუდიტორია ახლოს გაიცნონ.

ტელეარხის — ABC იუმორისტული შოუს წამყვანს, ჯიმი კიმელს 31 იანვარს საჩუქრად მიუძღვნეს, მისი სატრფოს, იუმორისტ სარა სილვერმანისა და მეთ დეიმონის მონაწილეობით შექმნილი ვიდეორგოლი. სარა და მეთი იქ იმის შესახებ მღერიან, თუ როგორ ტკბებიან ერთმანეთთან სექსით!.. ასე „იძია შური“ მეთ დეიმონმა კიმელზე იმ ხუმრობისთვის, რომლითაც ტელეწამყვანი თავის შოუს ასრულებს ხოლმე: „მეტ დეიმონს ბოდიშს მოვუხდით, ჩვენი დრო ამოიწურა“. კლიპი ვიდეოსერვისზე — You Tube განთავსდა და უმალ ძალზე პოპულარული გახდა. ჯიმი კიმელმა სილვერმანსა და დეიმონს კლიპითვე უპასუხა. რგოლში — I`m Fucking Ben Affleck დეიმონის მეგობარმა ბენ აფლეკმა ითამაშა. კლიპში კიმელი სარა სილვერმანს იმის შესახებ მოუთხრობს, თუ როგორ ატარებს დროს ბენ აფლეკთან ერთად. ეს რგოლიც რეჟისორმა მაკქლემიმ გადაიღო. ეპიზოდურ როლებში კინოვარსკვლავები: ბრედ პიტი, რობინ უილიამსი და ჰარისონ ფორდი მონაწილეობენ. ■

„სპაგეტი-ვესტერნ“ კვენტინ ტარანტინოსაგან



კვენტინ ტარანტინო Sundance-ის კინოფესტივალზე

ფილმის ამჟამინდელი სახელწოდებაა Inglorious Bastards. თავდაპირველად ვარაუდობდნენ, რომ მაყურებელი ამ სურათს 2010 წელს იხილავდა, მაგრამ ერთ-ერთი ფრანგული ტელეარხისთვის მიცემულ ინტერვიუში რეჟისორმა განაცხადა, რომ ახალ ფილმს 2009 წლის კანის კინოფესტივალზე წარადგენს.

თავად ტარანტინო ფილმის ჩანაფიქრს „სპაგეტი-ვესტერნს“ უწოდებს. სურათის სიუჟეტი რეჟისორ რობერტ ოლდრიჩის 1967 წელს გადაღებულ ბოევიკს — „ბინძური დუჟინი“ ეფუძნება. მოქმედება კი მეორე მსოფლიო ომისდროინდელ საფრანგეთში ვითარდება. ფილმი ამერიკელი ჯარისკაცების შესახებ მოგვითხრობს, რომლებსაც ხელისუფლება სასჯელისგან იმ პირობით ათავისუფლებს, რომ ნაცისტების მიერ დაპყრობილ საფრანგეთში გაემგზავრებიან და ძალზე სახიფათო დავალებას შეასრულებენ. ■

მრიუს უილისის კიდევ ერთი გაქცევა

შესაძლოა, ბრიუს უილისი თამაშის — Kane & Lynch:Dead Men — მიხედვით დაგეგმილ ფილმში ერთ-ერთ მთავარ როლში ვიხილოთ. მსახიობი მოლაპარაკებას აწარმოებს სტუდიასთან Lionsgate, რომელიც Eidos Interactive-ის პროექტის ეკრანიზაციის უფლების მფლობელია. როგორც ამბობენ, ბრიუს უილისი, კეინის როლს ითამაშებს, რომელიც სიკვდილმისჯილთა გადაყვანის დროს, სატვირთო ავტომობილიდან შიზოფრენიკ ჯეიმს ლინჩთან ერთად გარბის. ფილმის რეჟისორი — დებიუტანტი საიმონ კრეინია (მისი დადგმულია სურათის — „მისტერ და მისის სმიტები“ ტრიუკები). ფილმის პროდიუსერები — ადრიან ასკარია და დენიელ ალტერი სათამაშო სერიის — Hitman — მიხედვით ფილმის შექმნაში მონაწილეობდნენ. გადაღებები 2008 წელს დაიწყება. ავტორები ლინჩის როლის შემსრულებელ მსახიობს ეძებენ. შესაძლოა, ეს როლი ბილი ბობ ტორნტონმა ითამაშოს, მაგრამ ჯერჯერობით უცნობია, აწარმოებენ თუ არა მასთან მოლაპარაკებებს Lionsgate-ის წარმომადგენლები.

კეინი

ბრიუს უილისი

თამაში Kane & Lynch: Dead Men 2007 წლის ნოემბერში PlayStation 3, Xbox 360 და PC-ზე გამოვიდა. სტუდია Io Interactive-ის მიერ შექმნილმა პროექტს, პრესის მხრიდან კარგი შეფასება არ მოჰყოლია, მაგრამ ამან 2 მილიონი ასლის გაყიდვას ხელი ვერ შეუშალა. ■

რიდლი სკოტი სამეცნიერო-ფანტასტიკურ ჟანრს უმრუნდება



გახმაურებული ფილმების — „უცხო“ და „სამართებლის პირზე მორბენალი“ — შემქმნელმა ბრიტანელმა რეჟისორმა რიდლი სკოტმა ჟურნალისთვის — Eclipse Magazine მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ სამეცნიერო-ფანტასტიკური სურათის გადაღებას უბრუნდება. ადრე სკოტი ირწმუნებოდა, რომ ეს ჟანრი მოკვდა და რეჟისორები ამ სფეროში ახალს და ორიგინალურს ვერაფერს ქმნიან. ახლა კი ამბობს, რომ შესაფერის მასალას მთელი 20 წლის განმავლობაში ეძებდა და ბოლოს იპოვა წიგნი, რომლის ეკრანიზაციაც გადაწყვიტა.

რიდლი სკოტი ნაწარმოებს ჯერჯერობით არ ასახელებს და აცხადებს, რომ პროექტის განხორციელებას დრამის — „ნოტინგემი“ (სურათი რობინ ჰუდის მოწინააღმდეგეს ეძღვნება) გადაღებების დასრულებისთანავე შეუდგება. ცნობილი რეჟისორი სამეცნიერო-ფანტასტიკური ჟანრის მწვერვალად, სტენლი კუბრიკის 1968 წელს გადაღებულ ფილმს „კოსმოსური ოდისეა 2001“ მიიჩნევს. ■

მეთ დეიმონი კლინტ ისტვუდმა როლზე მიიწვია

მსახიობმა ოფიციალურად დაადასტურა, რომ კლინ ისტვუდის ფილმში — „ადამიანური ფაქტორი“ ითამაშებს. კინოსტუდიის — Warner Bros... — ახალი პროექტის სიუჟეტი რეალურ მოვლენებს ეყრდნობა. მოქმედება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, რაგბიში მსოფლიო თასის გათამაშების წინ ვითარდება. მეთ დეიმონი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის გუნდის — Springboks — კაპიტანის როლს ითამაშებს, ამ ქვეყნის ექსპრეზიდენტის, ნელსონ მანდელას კი მორგან ფრიმენი განასახიერებს.

1985 წლის მსოფლიო თასი მასპინძელმა გუნდმა — Springboks — მოიგო. გუნდის ტრიუმფმა აპარტეიდით გახლეჩილი ქვეყნის შავკანიანი და თეთრკანიანი მოსახლეობა პირველად გააერთიანა. მორგან ფრიმენი პირადად შეხვდა ნელსონ მანდელას, რომელმაც კლინტ ისტვუდის ფილმში მსახიობის მონაწილეობას მხარი დაუჭირა. ფრიმენს ადრე, კლინტ ისტვუდის სურათებში — „უპატიებელი“ და „მილიონდოლარიანი ქალიშვილი“ — აქვს ნათამაშები. ■

მეთ დეიმონი ფილმში „ბორნის ულგიმაგუმი“

მრაიან დე პალმა მოსტონელი მანიაკის საიდუმლოს ამოხსნის

ცნობილმა რეჟისორმა, სიუზან კელის დოკუმენტური საგამოძიებო წიგნის — „ბოსტონელი მახრჩობელები“ — კინოადაპტაციაზე მუშაობა დაიწყო. ტრიღერი იმ დანაშაულების დეტალებზე მოგვითხრობს, რომელიც 1960-იან წლებში ბოსტონში მოხდა. მაშინ მანიაკმა ალბერტ დესალვომ 12 ქალი გააუპატიურა და შემდეგ დაახრჩო. მოგვიანებით, მანიაკი ციხეში მოკლეს. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ დესალვო ამ მკვლელობებს მარტო ვერ ჩაიდენდა და მას თანამზრახველები ჰყავდა. სწორედ ეს მოვლენები დაედო საფუძვლად, 1968 წელს გადაღებულ სურათს — „ბოსტონელი მახრჩობელა“, რომელშიც მთავარ როლებს ტონი კერტისი და ჰენრი ფონდა ასრულებდნენ. ■



ვოკალისტს სექსუალურ ძალადობაში ადანაშაულებენ

ჯგუფის — Sex Pistols ვოკალისტს ჯონი როტენს, როქსანა დევისზე სექსუალურ ძალადობაში ადანაშაულებენ. დევისი იმ რეალითი-შოუს პროდიუსერია, რომელშიც მუსიკოსი 2007 წელს მონაწილეობდა. კონფლიქტი 2007 წლის იანვარში დაიწყო. მუსიკოსს მისთვის გამოყოფილი სასტუმროს ნომერი არ მოეწონა და როქსანა დევისს ხელი გაარტყა. ამ ფაქტის გამო სისხლის სამართლის საქმე არ აღძრულა, ამიტომ დევისმა ვოკალისტი სექსუალურ ძალადობაში დაადანაშაულა. როგორც ცნობილია, ჯგუფმა — Sex Pistols 25 ივნისიდან რუსეთში კონცერტი უნდა გამართოს. ჯერჯერობით დაუდგენელია, თუ როგორ აისახება საგასტროლო ტურნეს გრაფიკზე მომავალი სასამართლო პროცესი. ■

ᲝᲖᲘ ᲝᲡᲑᲝᲠᲜᲛᲐ Daily Star–ᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲐᲦᲫᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲠᲩᲔᲚᲘ ᲛᲝᲘᲒᲝ

ტაბლოიდი ირწმუნებოდა, რომ Brit Awards-ის დაჯილდოების ცერემონია ოსბორნის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო კინაღამ ჩაიშალა. სტატია — Ozzy`s Freak Show — გაზეთმა თებერვალში, მას შემდეგ გამოაქვეყნა, რაც ოზი მეუღლესთან და შვილებთან ერთად, Brit Awards-ის დაჯილდოების ცერემონიაზე გამოვიდა და წამყვანის როლი შეასრულა. სტატიაში ნათქვამია, რომ ცერემონიის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე ოსბორნი ორჯერ წაიქცა და ორგანიზატორებმა მისი სასწრაფო ჰოსპიტალიზაციის საკითხიც კი განიხილეს. Daily Star-ის მტკიცებით Black Sabbath-ის სოლისტი ელექტრონული საკაცით გადაადგილდებოდა და ღონისძიების ორგანიზატორებს მისთვის დასასვენებლად, სპეციალური ადგილის გამოყოფა მოსთხოვა.

საგამომცემლო კომპანიის Exspress Newspapers წინააღმდეგ აღძრული სარჩელი ცილისწამების შესახებ, ლონდონში, ინგლისისა და უელსის მაღალმა სასამართლომ განიხილა. პროცესის მსვლელობის დროს Daily Star იძულებული შეიქნა ეღიარებინა, რომ ოსბორნის შესახებ გამოქვეყნებული ინფორმაცია „აბსოლუტური სიცრუეა“. იურისტმა კეიტ უილსონმა მუსიკოსს გაზეთის სახელით ბოდიში მოუხადა. Exspress Newspapers-ს კომპენსაციის გადახდა (თანხის რაოდენობას არ ასახელებენ) და ოსბორნის სასამართლო ხარჯების დაფარვა დაეკისრა. საკომპენსაციო თანხა საქველმოქმედო ორგანიზაციის — Colon Cancer Program — ანგარიშზე გადაირიცხება, რომელსაც მუსიკოსის მეუღლე შერონ ოსბორნი ხელმძღვანელობს.

Last.fm–ᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲜᲐᲚᲝᲒᲘ

ჯგუფის — Genesis ყოფილმა ვოკალისტმა პიტერ გებრიელმა ახალი ინტერნეტპროექტი The Filter ჩაუშვა. მისი ჩანაფიქრით, პროექტი ფილტრის პრინციპით იმუშავებს და მომხმარებელს მრავალფეროვან ინფორმაციაში, მისთვის სასურველი ნაწარმოების პოვნაში დაეხმარება. ამისათვის The Filter-ის მომხმარებლმა მუსიკისა და კინოს გარკვეული ჟანრი უნდა შეარჩიოს, რის საფუძველზეც, ფილმებისა და მუსიკოს-შემსრულებელთა ნაკრები შედგება.

ანალოგიური პრინციპი უდევს საფუძვლად პროექტის — Last.fm მუშაობას, სადაც მომხმარებლის მიერ მოსმენილი ნაწარმოებების სტატისტიკის მიხედვით ამა თუ იმ ტრეკის შერჩევა ხდება. პიტერ გებრიელმა კიდევ ერთი პროექტი — Music Club — ახალგაზრდა შემსრულებლებს მის სტუდიაში — Real World — ალბომის უფასოდ ჩაწერაში ეხმარება.



სერვისის – The Filter სკრინშოტი

მსჯელობთმოავალი სტალინი

ბორის სოლოვიოვი, ვლადიმირ სუხოდეევი

დასაწყისი იხ. „გზა“ №44-23

ისტორიული ფაქტები უტყუარად მოწმობს, რომ საბჭოთა საგარეო პოლიტიკას ომის მსვლელობის დროსაც და ომის შემდგომ მსოფლიო მოწყობაშიც წამყვანი ადგილი ეკავა. სტალინის მოღვაწეობამ ამ მიმართულებითაც ღრმა კვალი დატოვა მსოფლიო ისტორიაში.

აი, როგორ აფასებდა აშშ-ის პრეზიდენტი, ფრანკლინ რუზველტი სტალინის მოღვაწეობას: *„ამ ადამიანს ნამდვილად ძალუძს ქმედითი ნაბიჯების გადადგმა. მან მუდამ კარგად იცის, თუ რა მიზანს უნდა მიაღწიოს. მასთან მუშაობა ნამდვილი სიამოვნებაა. მერყეობა არასდროს სჩვევია. მკაფიოდ აყალიბებს იმ საკითხს, რომლის განხილვაც სურს და ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე სვამს მას“.* საინტერესოა აგრეთვე რუზველტის ვაჟიშვილის — პოლკოვნიკ რუზველტის მოგონებებიც: *„მამაჩემმაც და ჩერჩილმაც ბრწყინვალედ იცოდნენ ისტორია. სტალინსაც, ცხადია, თავისებურად ჰქონდა ნასწავლი ისტორიაც და გეოგრაფიაც. მან იცოდა ინგლისური, კარგად ესმოდა ინგლისურად ნათქვამი, მაგრამ ამას არ იმჩნევდა. ეს მაშინ შევიტყვე, როცა მისგან ინტერვიუს ვიღებდი. იმ დროს რუსული ენის შემსწავლელ კურსებზე დავდიოდი და ზოგჯერ, როცა ჩემი თანდასწრებით რუსულად საუბრობდნენ, შემეძლო იმის გაგება, თუ რაზე იყო ლაპარაკი. მივხვდი, რომ მანაც ისევე იცოდა ინგლისური, როგორც ნებისმიერმა იმ რუსთაგანმა, ვინც მამაჩემს ხვდებოდა (ამ შემთხვევაში, სპეციალისტი მთარგმნელები არ მყავს მხედველობაში). სტალინი ყურადღებით უსმენდა ყველაფერს, რასაც ამ შეხვედრებზე ამბობდნენ ჩერჩილი და მამაჩემი, შემდეგ თარგმანს ელოდებოდა და ამგვარად, დროს იგებდა, არადა, მშვენივრად იცოდა, რა ითქვა. მას, ორივესთან შედარებით, უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ ეს არასოდეს გაუმჟღავნებია“.*

მთელი ომის განმავლობაში, ბელადის დიპლომატიური მოღვაწეობის უმთავრეს მიზანს საბჭოთა კავშირის სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვის პრობლემა წარმოადგენდა. ის ცდილობდა, გერმანიასთან ბრძოლისას მაქსიმალურად გამოეყენებინა ინგლისისა და აშშ-ის რესურსები, ომის შემდგომ პერიოდში, საიმედოდ დაეცვა სახელმწიფოს საზღვრები, უზრუნველეყო ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოება, პოზიციების სიმტკიცე, მშვიდობიანი კონფერენციის მაგიდასთან მოლაპარაკებისას.

უკვე 1941 წლის დეკემბერში, იდენთან გამართულ შეხვედრებზე სტალინი ამ პრობლემებს დაყენებით და მტკიცედ სვამდა. მან განაცხადა, რომ *„საბჭოთა კავშირის საზღვრების საკითხი... ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია... საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის ომი სწორედ საბჭოთა კავშირის დასავლეთის საზღვრის საკითხის გამო დაიწყო, განსაკუთრებით — ბალტიის სახელმწიფოების გამო“.* ამიტომაც სურდა სცოდნოდა, მზად იყო თუ არა ინგლისი — ჩვენი მოკავშირე — ამ საზღვრების აღდგენისას მხარში ამოგვდგომოდა.

ამონარიდი იდენის მემუარებიდან, რომელიც რუზველტის წიგნში — „ომი და დიპლომატიაა“ მოყვანილი: *„სტალინის მიერ შემოთავაზებული ოქმი მოწმობდა: ჩვენი იმედები, რომელიც ლონდონში გამოვთქვით... არ გამართლდა. რუსების მიზნები იმთავითვე მტკიცედ იყო განსაზღვრული. ეს მიზნები ძალზე უმნიშვნელოდ შეიცვალა მომდევნო სამი წლის განმავლობაში და იმაში მდგომარეობდა, რომ რუსეთის საზღვრებს მაქსიმალურად უნდა უზრუნველეყო ქვეყნის უსაფრთხოება... სტალინმა უკვე მაშინ გამოაჩინა თავისი ბრჭყალები. მან იმთავითვე მოითხოვა, დაუყოვნებლივ ეცნოთ საბჭოთა კავშირის საზღვრები 1941 წლის მდგომარეობით, როგორც საზღვრები, რომლებიც მითითებული იქნებოდა ომის შემდგომ სამშვიდობო ხელშეკრულებაში“.*

იდენმა მოლაპარაკებების დროს განაცხადა:

— რა საჭიროა აჩქარება, ომის შემდგომი საზღვრების დადგენის საკითხში, როცა ჰიტლერი ჯერ ისევ მოსკოვთან დგას და ბერლინამდე შორია?

ამაზე სტალინმა უმალ და მტკიცედ უპასუხა:

— არა უშავს, რუსები უკვე ორჯერ იყვნენ ბერლინში და მესამედაც შევლენ! — ხოლო მეტი დამაჯერებლობისთვის გასცა ბრძანება, ბრიტანელი მინისტრი, მოსკოვის მისადგომებთან წარმოებული ბრძოლების ადგილებში მოეტარებინათ. იქიდან დაბრუნებულმა იდენმა უამბო დამსწრეთ, რომ საკუთარი თვალით ნახა, თუ როგორ მარცხდებოდა გერმანული არმია, როგორ იხევდა უკან, როგორ გარბოდა...“

სტალინის საგარეო პოლიტიკური მოღვაწეობის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება ის გახლდათ, რომ მოლაპარაკებების დროს ის თითქოს ნაკლებად ხისტად იქცეოდა ხოლმე, ვიდრე მოლოტოვი. ამით, იმ კაცის პოზიციას ირგებდა, რომელიც უფრო ღრმად სწვდებოდა განსახილველ პრობლემათა არსს და მათი გადაწყვეტის უფრო რბილ საშუალებებს პოულობდა, თუმცა — არა პრინციპული პოზიციების დათმობის ხარჯზე. სტალინის დიპლომატიის ეს თავისებურება პაასიკივიმაც აღნიშნა — ფინეთის, ე.ი. იმ ქვეყნის პრეზიდენტმა, რომელიც სტალინის მმართველობის პერიოდში ორჯერ იომა საბჭოთა კავშირთან და ორივეჯერ დამარცხდა!.. უკვე ბელადის სიკვდილის შემდეგ პაასიკივი ამბობდა: *„სტალინი სახელმწიფოს ერთ-ერთი უდიდესი მშენებელია მთელ ისტორიაში. ის სიმპათიასა და მეგობრულ დამოკიდებულებას ამჟღავნებდა ფინეთის მიმართ. ამიტომაც, მის გარდაცვალებას ჩვენი ერი გულწრფელად გლოვობს... მე საშუალება მქონდა, მრავალჯერ შეხვედროდი გენერალისიმუს სტალინს და მასთან მოლაპარაკებები მეწარმოებინა. ამ შეხვედრების შესახებ ძალზე სასიამოვნო მოგონებები დამრჩა“.*

ახლა კი ვნახოთ, როგორ აფასებდა ხრუშჩოვი სტალინის პოლიტიკას ფინეთთან და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებთან დაკავშირებით. უკვე საქმეს ჩამოშორებული, პენსიაზე მყოფი, ის თავის მემუარებში წერდა: *„მე ის კაცი ვარ, ვინც მკაცრად აკრიტიკებს სტალინს. მაგრამ ყველას ვეტყვი, რომ სტალინი უჭკვიანესი ადამიანი იყო. ფინელების წინააღმდეგ 1939 წელს ომი გავაჩაღეთ. ოფიციალურად წერენ, რომ ფინელები დაგვესხნენ თავს, არადა, მათ ეს არც კი დასიზმრებიათ! ჩვენ დავესხით მათ თავს, ეს ზუსტად ვიცი. გვინდოდა, რომ ფინეთი საბჭოთა გამხდარიყო. მაგრამ როცა ფინელებმა სიფათში გვითავაზეს, თანაც მაგრად გვითავაზეს, სტალინი დაზავებას*

MK

დათანხმდა. კარელია მივიღეთ და მან მაშინვე მოაწერა ხელი ხელშეკრულებას. ფინელებმა სასტიკი ბრძოლით დაიბრუნეს უკან თავიანთი დამოუკიდებლობა და სტალინიც აღარ გაჯიუტებულა. ხოლო როცა ფინელები, გერმანიასთან ომის დროს, ჰიტლერთან ერთად ჩვენ წინააღმდეგ დაიძრნენ, სტალინი კვლავ წავიდა სამშვიდობო მოლაპარაკებაზე მათთან, თუმცა ვითარება ასეთი იყო: კიდევ სულ მცირედი გაბრძოლება და მთელი ფინეთის დაპყრობას შევძლებდით. მაგრამ სტალინი ამაზე არ წასულა. რატომ? მიმაჩნია, რომ ამით სტალინის გონიერება გამომჟღავნდა. მას სურდა, ამ აქტით, გერმანული კოალიციის დაშლისთვის მიეცა დასაბამი: რადგან რუსებმა არ მოინდომეს ფინეთის დაპყრობა, ისინი აღარც უნგრეთის, რუმინეთის და გერმანიის სხვა მოკავშირე ქვეყნების დაპყრობას მოინდიმებენო. ეს ჰიტლერის მოკავშირეებს ჩვენთან დაზავებისკენ უბიძგებდა. ასეც მოხდა: ომი შეწყვიტეს ბულგარეთმა, რუმინეთმა, უნგრეთმა“.

...თეირანის კონფერენციის დროს, ბელადმა აშშ-ის პრეზიდენტს ფრანკლინ რუზველტს შესთავაზა, საბჭოთა საელჩოს ტერიტორიაზე დაბინავებულიყო. რუზველტის თანხმობამ ჩერჩილის უკმაყოფილება გამოიწვია: ის შიშობდა, რომ რუზველტი, სტალინის პიროვნული ხიბლის ზეგავლენის ქვეშ მოექცეოდა და მათი პირისპირ საუბრები შეიძლებოდა, საზიანო ყოფილიყო ბრიტანეთის იმპერიისთვის...

სტალინისა და რუზველტის პირველი საუბარი განსაკუთრებულად მეგობრული იყო. ისინი მხიარულად მიესალმნენ ერთმანეთს. სტალინმა ამერიკის პრეზიდენტს თავისი საყვარელი პაპიროსი — „ჰერცეგოვინა-ფლორი“ შესთავაზა. რუზველტმა თავაზიანად იუარა და შემდეგ თქვა:

„— ჩემსას ვარ მიჩვეული. მაგრამ სად არის თქვენი ცნობილი ჩიბუხი, მარშალო სტალინ, ის ჩიბუხი, რომლითაც, როგორც ამბობენ, მტრებს იგერიებთ?..

სტალინმა იმავე სტილში მიუგო:

— როგორც ჩანს, თითქმის ყველა მათგანს გავუმკლავდი... მაგრამ სერიოზულად რომ ვთქვათ, ექიმები მირჩევენ, ნაკლებად გამოვიყენო ჩიბუხი. თუმცა მაინც წამოვიღე ის თეირანში და რომ გასიამოვნოთ, ჩვენი მომდევნო შეხვედრისას უეჭველად მოვწევ.

რუზველტმაც ასევე სერიოზულად უპასუხა:

— ექიმებს უნდა დავუჯეროთ. მეც მიწევს ამის გაკეთება...“

კონფერენციის მუშაობაში პირველი და უკანასკნელი საკითხი, მოკავშირეების მიერ მეორე ფრონტის გახსნა გახლდათ. სტალინი მტკიცედ მოქმედებდა, რათა მოკავშირეები იმისთვის განეწყო, რომ დასავლეთ ევროპაში მეორე ფრონტის გახსნა 1944 წლის მაისს იქით აღარ გადაეწიათ. იმაზე საუბრისას, თუ როგორ მიმდინარეობდა კონფერენციის მუშაობა, ანდრეი გრომიკო გვამცნობს: *„სტალინმა რამდენჯერმე სცადა, ჩერჩილისგან მიეღო პასუხი კითხვაზე, როდის დაიწყებოდა მოკავშირეების გადასხმა ევროპაში ანუ როდის გაიხსნებოდა მეორე ფრონტი, მაგრამ ამას ვერაფრით მიაღწია. ერთხელ, ისე, რომ ძლივს ინარჩუნებდა წონასწორობას, სტალინი სავარძლიდან წამოდგა და ვოროშილოვსა და მოლოტოვს მიმართა:*

— ჩვენ ძალიან ბევრი საქმე გვაქვს შინ, ამიტომ აქ დროის კარგვის უფლება აღარ ღირს. როგორც ვხედავ, არაფერი გამოდის...

ჩერჩილი შეშფოთდა. შეწუხებულმა იმით, რომ კონფერენცია შეიძლებოდა ჩაშლილიყო, განაცხადა:

— მარშალმა არასწორად გამიგო. ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ თარიღი — 1944 წლის მაისი...

ატმოსფერო განიმუხტა.

კონფერენციის მონაწილეებმა მუშაობა განაგრძეს“.

კონფერენციაზე დამსწრე ინგლისელთა დელეგაციის წევრების მოგონებების თანახმად, როდესაც ჩერჩილმა სტალინი მარშლის ფორმაში ჩაცმული დაინახა, უმალ თვითონაც სამხედრო — სამეფო საჰაერო ძალების უმაღლესი ოფიცრის მუნდირში გამოეწყო, თუმცა მანამდე, როგორც წესი, ცისფერზოლიანი კოსტიუმით დაიარებოდა. სარა ჩერჩილიოლივერი კი დიდი ბრიტანეთის სამხედრო-საჰაერო ძალების ქალთა დამხმარე კორპუსის ფორმაში გამოეწყო.

სამი სახელმწიფოს ხელმძღვანელთა შეხვედრისას, ჩერჩილს 69 წელი შეუსრულდა. დაბადების დღის აღსანიშნავად გამართულ ბანკეტზე, იმპერიის გენერალური შტაბის უფროსმა ალან ბრუკმა განაცხადა, რომ ფაშისტური არმიის განადგურებაში გადამწყვეტ როლს ასრულებდა ინგლისი, რადგან უინსტონ ჩერჩილმა პრაქტიკულად, პირველმა განახორციელა საბრძოლო მოქმედებები ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ. მისი სიტყვების წარმოთქმის შემდეგ, ერთგვარმა გაუგებრობამ დაისადგურა.

სიტყვა სტალინმა აიღო: *„მე კი ვფიქრობ, რომ თქვენ — ინგლისელებს და ჩვენ — საბჭოთა კავშირს დიდად გვეხმარება შეერთებული შტატები — თავისი საბრძოლო ტექნიკით, ავტომობილებით, სურსათით. ამიტომ, ჩერჩილის სადღეგრძელოსთან ერთად, რუზველტის სადღეგრძელოსაც გთავაზობთ. პატივი და დიდება მას!“*

ამერიკის ელჩმა, ჰარიმანმა დაუყოვნებლივ გაგზავნა სტალინის სადღეგრძელოს ტექსტი ვაშინგტონში. ამერიკულმა გაზეთებმა კი ასეთი სათაური დაურთეს მას: *„სტალინი აღიარებს, რომ ფაშისტური გერმანიის განადგურების არქიტექტორი — ამერიკის შეერთებული შტატებია“. როცა მოსკოვში დაბრუნებულ ბელადს ეს გაზეთები უჩვენეს, თვითმხილველთა თქმით, მას უთქვამს: „როგორ მომივიდა ასეთი შეცდომა?!“*

...ჩერჩილმა ასეთი სადღეგრძელო წარმოთქვა:

„— მარშალი სტალინი რუსეთის უდიდეს ისტორიულ ფიგურათა გვერდით შეგვიძლია დავაყენოთ და ის ნამდვილად იმსახურებს წოდებას — დიდი სტალინი. ბელადმა უმალ გააპროტესტა მისი ნათქვამი:

— ადვილია, იყო დიდი ლიდერი, თუ საქმე ისეთ ადამიანებთან გაქვს, როგორებიც რუსები არიან. წითელი არმია გმირულად იბრძვის, მაგრამ რუსი ხალხი ვერც აიტანდა სხვაგვარ საქციელს, თავისი შეიარაღებული ძალებისგან. ის ადამიანებიც, ვინც დიდი მამაცობით არ გამოირჩევიან, მშიშრებიც კი, რუსეთში გმირებად იქცევიან“.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

«ქართველ მოთამაშეებს გამარჯვებულის ფსიქიკა უნდა ჩამოუყალიბდეთ»

გასული სეზონის დასრულების შემდეგ, თბილისის „დინამო“ ჩეხმა მთავარმა მწვრთნელმა დუშან უგრინმა დატოვა, ხოლო მის მაგივრად გუნდის თავკაცად 60 წლის გერმანელი სპეციალისტი რაინერ ცობელი დაინიშნა. მან საქართველოს ყველაზე ტიტულოვან კლუბთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა და ამ ვადის გასვლის შემდეგ, თუ მხარეების სურვილი იქნება, ხელშეკრულება კიდევ ორი წლით გაგრძელდება.

ახალი მწვრთნელი და თბილისის „დინამოს“ უპირველესი ამოცანა

ლაშა თაბაგარი

ჰოლანდიელი იოჰამ ბოსკამპის, ხორვატი ივო შუშაკის, ჩეხი დუშან უგრინის შემდეგ, ცობელი დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში, „დინამოს“ მეოთხე უცხოელი მწვრთნელია.

მან საფეხბურთო კარიერა გერმანიის „ჰანოვერ 96“-ში დაიწყო, სადაც 1970 წლამდე გამოდიოდა. 1970-76 წლებში მიუნხენის „ბაიერნში“ თამაშობდა და მასთან ერთად, სამჯერ — ევროპის ჩემპიონთა თასი, სამჯერ — გერმანიის ჩემპიონატი და ერთხელ — გერმანიის თასი მოიგო. აქტიური სპორტული კარიერა ამპლუით ნახევარმცველმა ცობელმა „ლიუნებურგერში“ დაამთავრა.

მაგრამ ფეხბურთისთვის თავი არ დაუნებებია და სამწვრთნელო საქმიანობას მიჰყო ხელი. 1987-1990 წლებში ბრაუნშვაიგის „აინტრახტს“ წვრთნიდა, რომელიც ჯერ რეგიონალიგაში, ხოლო შემდეგ — მეორე ბუნდესლიგაში გამოდიოდა. ცობელი „შტუტგარტერ კიკერსს“, „კაიზერსლაუტერნს“, „ნიურნბერგსა“ და ბერლინის „ტენის ბორუსიას“ ედგა სათავეში.

შემდეგ საქმიანობა ეგვიპტეში განაგრძო. 1998-2000 წლებში კაიროს „ალ აჰლის“ დამრიგებელი გახდა, რომელსაც სამჯერ ეგვიპტის პირველობა, ერთხელ კი — არაბთა სუპერთასი მოაგებინა.

2000-2001 წლებში, ცობელი ისევ „შტუტგარტერ კიკერსს“ დაუბრუნდა, ხოლო მოგვიანებით — არაბთა გაერთიანებული საამიროების კლუბ „ბანია იასის“ მიაშურა. შემდგომ, გერმანელი სპეციალისტი ეგვიპტეში დაბრუნდა და ალექსანდრიის „იტეჰადი“ ჩაიბარა. 2004-2005 წლებში მან ირანს მიაშურა და თეირანის „პერსეპოლისში“ მუშაობდა. 2006-ში არაბთა გაერთიანებულ საამიროებში, „ალ შარჯას“ უძღვებოდა, 2007-ში კი — კაიროს „ენპის“.

რას ფიქრობს „დინამოელთა“ ახალი თავკაცი თბილისში მომავალ საქმიანობაზე, ამას მისი სახელდახელო ინტერვიუდან შეიტყობთ.

— თბილისის „დინამოს“ სათავეში ჩადგომა რამ გადაგაწყვეტინათ?

— მთავარი და გადამწყვეტი ფაქტორი — სპორტული გამოწვევა აღმოჩნდა: მსურს, საკუთარი ძალები ევროპის ყველაზე პრესტიჟულ საკლუბო ტურნირში მოვსინჯო. ამ შემთხვევაში, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე გუნდის გამოსვლას ვგულისხმობ.

— საქართველოს ყველაზე ტიტულოვანი გუნდის თაობაზე რა ინფორმაციას ფლობთ?

— კარგად ვიცი, რომ „დინამო“ დიდი ტრადიციების მქონე გუნდია. ჩემთვის ასევე ცნობილია, რომ ეს გუნდი 1981 წელს ევროპის თასების მფლობელთა თასს დაეუფლა. სამწუხაროდ, დღესდღეობით ევროპაში „დინამო“ მხოლოდ იმითაა ცნობილი, რომ ტრადიციული კლუბია. ამიტომ, ჩემთვის გამოწვევაა, რომ საერთაშორისო დონეზე კარგი შედეგი ვუჩვენოთ. ის ქართველი ვარსკვლავები, რომლებიც ბუნდესლიგაში ან ევროპის სხვა წამყვან ჩემპიონატებში თამაშობდნენ, თავის დროზე, თბილისის „დინამოში“ გამოდიოდნენ. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, რომ ევროპის მასშტაბით კონკურენტუნარიანი გუნდი ჩამოვაყალიბოთ. ჩემი მეგობრისგან, ფოლკერ ფინკეესგან, რომლის ხელმძღვანელობით არაერთ ქართველ ფეხბურთელს უთამაშია, ვიცი, რომ საქართველოში ბევრი ნიჭიერი მოთამაშეა.

— როგორი საფეხბურთო სტილის მიმდევარი ხართ?

— საერთოდ, ფეხბურთი არც ისეთი რთული სფეროა, მაგრამ ზოგს მისგან მეცნიერების შექმნა სურს... სპორტის ამ სახეობაში უნდა ეცადო, საკუთარ კარში რაც შეიძლება ნაკლები ბურთი გაუშვა და მოწინააღმდეგის კარში მეტი გაიტანო. ამას რა გზით მოახერხებ, ეს მწვრთნელის გარდა, მოთამაშეებზეც არის დამოკიდებული. მსოფლიოში ბევრ მწვრთნელსა და მათ შორის მეც, შემტევი ფეხბურთი გვიყვარს, მაგრამ ტაქტიკას იმისდა მიხედვით ადგენ, თუ რა შემადგენლობა გყავს. იმ შემთხვევაში, თუ გუნდი საშუალებას გაძლევს, შემტევი ფეხბურთი ითამაშო, ეს დაუფიქრებლად უნდა გააკეთო. თუ საჭიროა კონტრშეტევებზე თამაში, მაშინ შესაბამისი ტაქტიკური მონახაზი უნდა აირჩიო.

— ცხადია, გეცოდინებათ, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი თქვენი თანამემამულე კლაუს ტოპმიოლერი იყო და ალბათ, მასზე უკეთესი შედეგის მიღწევის იმედი გაქვთ, არა?

— საერთოდ, სხვა მწვრთნელებზე ლაპარაკი არ მჩვევია. პირადად ჩემზე შემიძლია გითხრათ, რომ საქართველოში ვიცხოვრებ და ვიმუშავებ.

— საქართველოს ნაკრების თაობაზე რისი თქმა შეგიძლიათ?

— გერმანია-საქართველოს ამხანაგური მატჩი ვნახე და ვიცი, რომ ქართველებს საკმაოდ ტექნიკური ფეხბურთელები ჰყავთ. ამასთანავე, ვერ გეტყვით, თუ რამდენად ახასიათებს საქართველოს ნაკრებს გამარჯვებულის მენტალიტეტი. ჩემი აზრით, ქართველი მოთამაშეები უნდა მიეჩვიონ ერთ გუნდად თამაშს და საჭიროა, მათ გამარჯვებულის ფსიქიკა ჩამოუყალიბდეთ.

— როგორც გერმანელი, ალბათ მოედანზეც და მის მიღმაც, მტკიცე დისციპლინის მომხრე ხართ, არა?

— ჩემი აზრით, გერმანელ მწვრთნელებს სხვადასხვა გუნდში სწორედ ამის გამო იწვევენ.

— „დინამოსთან“ ერთად, რა მიზნების მიღწევას ისახავთ?

— რასაკვირველია, ყველაზე მაღალი მიზნები უნდა დაისახო, რომ მათ ნახევარს მაინც მიაღწიო. ამ ეტაპზე, „დინამოსთვის“ მთავარი ამოცანა — ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრაა. ამის განხორციელება რამდენად შესაძლებელი იქნება, ეს მუშაობის პროცესში გამოჩნდება. ისევე, როგორც ნებისმიერ საფეხბურთო ლიგაში, საქართველოს ჩემპიონატშიც ყველა გუნდი ოქროს მედლებზე ფიქრობს, მაგრამ წარმატებას მხოლოდ ის აღწევს, ვინც ამას ყველაზე მეტად ესწრაფვის. ■

ემა ჰენრიკს არ შორდება

NHL-ის (ჰოკეის ნაციონალური ლიგა) პლეიოფის ყველაზე სასარგებლო მოთამაშედ აღიარებული შვედი ჰენრიკ ზატერბერგი სტენლის თასის გათამაშებაში გამარჯვებას ზეიმობს. ამ ბედნიერ პერიოდში მას ერთი წუთითაც არ ტოვებს თანამემამულე ლამაზმანი — ემა ანდერსონი. ემა შვედეთსა და მის საზღვრებს გარეთ ცნობილი მომღერალია. მას ხშირად უღებენ ფოტოებს მამაკაცთა ჟურნალებისთვის. ჰენრიკისა და ემას თავბრუდამხვევი რომანი 2006 წლიდან დღემდე გრძელდება და ხშირად, შვედეთში მათ ბექჰემთა წყვილს ადარებენ. „კარგია, რომ ჩვენ ასეთი ყურადღების ცენტრში არ ვართ მოქცეულნი. ემა შვედეთში ძალიან პოპულარულია, რადგან მას ტელევიზიაში თავისი შოუ მიჰყავს, მაგრამ პოპულარობა ერთად ყოფნაში ხელს არანაირად არ გვიშლის“, — ამბობს ზატერბერგი. ■

ბორელო და როდრიგესი შვილზე ოცნებობენ

იტალიური „ჯენოას“ თავდამსხმელი მარკო ბორელო, რომელიც იჯარის ვადის დასრულების შემდეგ „მილანში“ დაბრუნდება, ამჟამად იტალიის ნაკრებთან ერთად, ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობს. ამას წინათ, მისმა რჩეულმა, მოდელმა ბელენ როდრიგესმა მასმედიას გაუმხილა, თუ როგორ გაიცნო მარკო ბორელო: „პირველი შეხვედრის შემდეგ ვფიქრობდი, რომ ვეღარ ვნახავდი, მაგრამ მასთან გატარებულმა ერთმა ღამემ საკმარისად დამაკმაყოფილა. ერთი კვირის შემდეგ მარკომ მითხრა: მიყვარხარო, მე კი მისი სიტყვებს ყურადღება არ მივაქციე — მას ქალების გულთამპყრობლის სახელი აქვს და ეს ჩემი მეთოდი იყო, რათა თავი დამეცვა. გამოცდამ წარმატებით ჩაიარა და ამჟამად, საფეხბურთო მინდორზე მისი ნახვა სულ უფრო ხშირად მსურს. მარკოს ოთხი თვის შემდეგ დავნებდი და უკვე ბავშვის გაჩენაზე ვფიქრობთ“. სხვათა შორის, მოდელმა ბორელო მაშინაც დაიცვა, როდესაც ეს უკანასკნელი აკრძალული პრეპარატების მოხმარებაში ამხილეს და ამისთვის დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. ■

იყიდება!
ივნისის ნომერი

თქვენ ხომ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით...

დასაწყისი ის. გვ. 18

ბირენდრა ოჯახის წევრებთან ერთად

დიპენდრას მეფედ კურთხევა

ორთმეული შვიდივე სასახლე მუზეუმად გადაკეთდება, მაგრამ გიანენდრა მაინც ქვეყნის ყველაზე მსხვილ მიწათმფლობელად რჩება, ხოლო მისი ქონება ათობით მილიონ დოლარს შეადგენს.

ნეპალის სამეფოს დამხობაში, პირველ რიგში, თავად მეფეა დამნაშავე. 2002 წლის ოქტომბერში, მან მაოისტებთან ბრძოლის საბაბით, დემოკრატიულად არჩეული მთავრობა გადააყენა და ძალაუფლება მთლიანად აიღო ხელში. 2004 წლის ივნისში, ოპოზიციის მძაფრი პროტესტის შემდეგ, გიანენდრამ პრემიერ-მინისტრის პოსტი აღადგინა, მაგრამ შეუზღუდავი ძალაუფლების წყურვილმა მაინც თავისი გაიტანა — 2005 წელს მთავრობა კვლავ დაითხოვა და ქვეყნის ერთპიროვნული მართვაც ძველებურად განაგრძო. 2006 წლის აპრილში, 19-დღიანი აქტიური პროტესტისა და მრავალმილიონიანი დემონსტრაციების შემდეგ, მეფე იძულებული გახდა, ძალაუფლება პარლამენტისთვის დაებრუნებინა. იქ კი, გასული წლის დეკემბერში, შვიდმა მთავარმა პარტიამ მეფის ხელისუფლების გაუქმებაზე მოილაპარაკა.



გიანენდრა

დიპენდრა

გიანენდრას ტახტზე ასვლას თან ბნელი და სკანდალური ისტორია ახლდა. 2001 წლის 1-ელ იანვარს, მსახურებმა მეფის სასახლეში მაშინდელი მონარქის — ბირენდრას მთელი ოჯახი დახვრეტილი აღმოაჩინეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ მკვლელობა მონარქის ღვიძლმა შვილმა, პრინცმა დიპენდრამ ჩაიდინა. ოფიციალური ვერსიის თანახმად, მან ჯერ საკუთარი დედ-მამა, ძმა და კიდევ რამდენიმე ნათესავი ჩაცხრილა, შემდეგ კი ტყვია შუბლში დაიხალა. გამოძიების აზრით, დიპენდრამ ეს საშინელება იმიტომ ჩაიდინა, რომ მამამ მისთვის ძალზე სასურველი, მაგრამ შეუფერებელი ქორწინების ნება არ მისცა. ამ ტრაგედიის შემდეგ ტახტი გიანენდრამ, ბირენდრას უმცროსმა ძმამ დაიკავა და ნეპალის საზოგადოებას უმალ ეჭვი გაუჩნდა, რომ მეფის ოჯახი სწორედ მან დაახვრეტინა.



მეფის ოჯახი

მკვლევართა თუ ექსპერტთა ნაწილის აზრით, ახლა ნეპალს მოვლენების განვითარების ბევრი, მათ შორის, ყველაზე ნეგატიური — სამოქალაქო ომის დაწყების სცენარიც ემუქრება. „მაოისტებმა გაიმარჯვეს, მაგრამ გადაწყვეტილებების მისაღებად მათ მანდატები არ ჰყოფნით. ძნელი სათქმელია, ითამაშებენ თუ არა ისინი დემოკრატიის წესებით“, — აცხადებს მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტის პროფესორი, სერგეი ლუნევი. ნეპალის რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ, მსოფლიოში 29 მონარქია დარჩა: ხუთი (იაპონიის უძველესი მონარქიის ჩათვლით) — შორეულ აღმოსავლეთში, რვა (მათ შორის ექვსი აბსოლუტური) — ახლო აღმოსავლეთში, ხოლო ევროპა 12 (მათ შორის, ერთ თეოკრატიულს — ვატიკანში და ერთსაც, სამყაროს ამ ნაწილში ყველაზე უძველეს — დანიურ) ტახტს ითვლის. ამის გარდა, აფრიკაში კიდევ სამი, ოკეანიაში კი ერთი მონარქიაა.

Время новостей (რუსეთი).

Audi A5 უკვე მზადაა

ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ ავტომობილის, — Audi A5 — ღია ვერსიის პირველი არაოფიციალური ფოტოები გამოაქვეყნა. სურათები შვეიცარიაში, ამ მანქანის ტესტირების დროსაა გადაღებული. შეგახსენებთ, ფართო საზოგადოებას კაბრიოლეტს მიმდინარე წლის შემოდგომაზე, პარიზის საერთაშორისო საავტომობილო გამოფენაზე წარუდგენენ. ადრე გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, Audi A5-სთვის ძრავების ფართო გამაა გათვალისწინებული. ესენია: 1,8 და 3,2-ლიტრიანი (შესაბამისად, 170 და 265 ცხ.ძ. სიმძლავრით) ძრავები, აგრეთვე, ტურბოდიზელები, რომელთაგან ყველაზე ძლიერი 240 ცხ.ძ. სიმძლავრის სამლიტრიანი, ექვსცილინდრიანი აგრეგატი იქნება. გარდა ამისა, მოსალოდნელია ვიხილოთ ღია მოდელი — S5-იც, 4,2-ლიტრიანი, 349 ცხ.ძ. სიმძლავრის მქონე, V8 მოტორით. სავარაუდოდ, Audi A5-ის გაყიდვა მომავალი წლის გაზაფხულიდან დაიწყება. ამ ეტაპზე ავტომობილის ფასი უცნობია. ■

კანადაში ძველი ავტომობილების მეპატრონეებს წაახალისებენ

კანადელი მძღოლები, რომლებიც ძველ, თანამედროვე ეკოლოგიური მოთხოვნების შეუსაბამო ავტომობილს ლითონის გადამამუშავებელ საწარმოებში ნებაყოფლობით ჩააბარებენ, საჩუქრად მიიღებენ ველოსიპედს, საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოძრაობისთვის საჭირო ფულად კომპენსაციას — 300 კანადური დოლარის ოდენობით ან ფასდაკლებას ახალი ავტომობილის ყიდვის შემთხვევაში. ეს აქცია ძალაში 2009 წლის იანვრამდე რჩება. კანადის ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებით, ქვეყანაში მოძრავი 18 მილიონი ავტომობილიდან, ხუთი მილიონი 1996 წლამდეა გამოშვებული და აუცილებელ ეკოლოგიურ ნორმებს არ შეესაბამება. კანადაში მიიჩნევენ, რომ ძველი ავტომობილები, თანამედროვე მანქანებთან შედარებით, გარემოს 19-ჯერ მეტად აბინძურებენ. ასეთი აქცია ხალხს ძველი ავტომობილებისაგან გათავისუფლებისკენ ნამდვილად უბიძგებს. ჯერჯერობით უცნობია, თუ რა თანხა დაიხარჯება ამ გეგმის რეალიზებისთვის. ოტავას ხელმძღვანელობა კი, უახლოესი ოთხი წლის განმავლობაში, მსგავსი პროგრამის დასაფინანსებლად 92 მილიონი დოლარის გამოყოფას გეგმავს. ■

„მაზდას“ კონცეპტუალური ავტო

რამდენიმე დღის წინ კომპანია „მაზდამ“ თავისი ყველაზე პატარა მოდელის კონცეპტუალური ვერსიის პირველი ოფიციალური გამოსახულება გაავრცელა, რომელსაც Mazda1 ეწოდება. მანქანა, წლეულს ოქტომბერში, პარიზის ავტოსალონზე იქნება წარმოდგენილი. ილუსტრაციების თანახმად, სიახლე გარეგნულად კონცეპტ-ავტოს — Nagare — სტილში იქნება შესრულებული, რომლის დებიუტიც შარშანდელი წლის მიწურულს, ლოსანჯელესში შედგა. „მაზდას“ კვლევისა და პროექტების შემუშავების ევროპული ცენტრის შეფ-დიზაინერმა, პიტერ ბირტსვისტლმა განაცხადა: „დასრულებული პროდუქტი კიდევ უფრო რადიკალური იქნება, ვიდრე მისი გამოსახულება“. სავარაუდოდ, კონცეპტუალური „მაზდა 1“, რომლის წონაც მაქსიმალურად შემცირდება, ეკოლოგიურად სუფთა ძრავათი იმუშავებს. Mazda1 ახალგაზრდა მყიდველებზე იქნება გათვლილი და Bluetooth-ის ინტერფეისის მქონე, სათანამგზავრო ნავიგაციითაც აღიჭურვება. როგორც ვარაუდობენ, ამ ავტომობილის გაყიდვა 2009 წლის ბოლოს დაიწყება. ეს მანქანა კონკურენციას გაუწევს კომპაქტურ ავტომობილებს: Volkswagen Up!-სა და Toyota IQ-ს. ■

ᲐᲘᲠᲩᲘᲔ ᲓᲐ ᲨᲔᲘᲫᲘᲜᲔ ᲡᲐᲮᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲣᲡᲕᲚᲔᲚᲐᲓ

ინტერნეტ მაღაზია

www.elva.ge

წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 ეგზ. ფასი	6 თვე
1. МК-МОБИЛЬ	1.70	20.3
2. АВТОМОБИЛИ	8.40	50.4
3. АВТОСЕРВИС	73.85	443.1
4. АВТОМАГАЗИН	3.75	22.3
5. АВТОШКОЛА ПРОФИ	63.70	191.0
6. АВТО - ОБОЗРЕНИЕ	82.80	496.6
7. АВТОПАНОРАМА	8.55	51.2

ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲡᲮᲕᲐ
ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘ

პრესის გავრცელების სააგენტო

ᲔᲚᲕᲐ

ქ. თბილისი
თოლბუხის ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kvirispaltra.com



1 ქართველი ფერმწერი
2 ზღაპრული ცხენი
3 ჯგუფ DOORS-ის სოლისტი
4 ძალა, ღონე
5 პატრა საგზაფრო წყლის ჭურჭელი
6 ამერიკული უგზოობის ავტომობილი
7 თურქეთის ფეხბურთის გუნდი
8 დაფი
9 ავსტრიის დედაქალაქი
10 ყინულის მთა
11 ლონდონის საქმანი ნაწილი
12 ცხენების ჯოგი
13 ადამიანის უძველესი განმარხი სხეული
14 რაიმე ნაწარმოების, ნაშრომის გამოქვეყნება
15 პალესტინის პრეზიდენტი
16 ქვეწარმავალი
17 ამერიკის შტატი
18 გამმურებული სამრეცხაო შემთხვევა
19 მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ჩაჩქარი
20 ქვედა კიდური
21 ლაშქარი
22 თეფში
23 იაპონური ორთამბრძოლა
24 გამომტყვლეპა
25 ყაიმი
26 მატონიზებელი სასმელი
27 მდინარის ქვიანი ნაპირი
28 კოლუმბის ერთ-ერთი ხომალდი
29 ღორების ჯოგი
30 ისრაელის წარმოების ავტომატი
31 დიდი ფრიალო კლდე
32 „ფოლკსვაგენის“ მოდელი
33 ნამუსი
34 ქარისგან ჰაერში ატანილი თოვლი
35 სიკვდილისწინა მდგომარეობა
36 კენედის მკვლელი
37 სახსრების დაუდება, ნეკრისის ქარი
38 პროტესტანტების მღვდელი
39 სამართლისმცოდნე
40 სრული მარცხი, კრახი
41 ამერიკელი მწერალი



წინა ნომრის სკანვორდის პასუხები

1. კაპიუშონი; 2. კუკარაჩა; 3. ჯიპი; 4. რიაზანოვი 5. ვერსია; 6. ტატრა; 7. ნიში; 8. საფიჩხია; 9. ქოსა; 10. ჰობოი; 11. დისნეი; 12. ტრამპი; 13. რაზმი; 14. დანტისტი; 15. კიო; 16. არგენტინა; 17. ბაგი; 18. ნიკიტა; 19. ტირადა; 20. ნეი; 21. აკაი; 22. ომი; 23. ხოხობი; 24. ესენინი; 25. მანტია; 26. დიდედა; 27. სნუკერი; 28. სანა; 29. ტატამი; 30. ტოგა; 31. ნაირობი; 32. დინასტია; 33. ქიმია; 34. დეკემბერი; 35. მაჯა; 36. შოუ; 37. ბუ; 38. დარაჯი; 39. იალაღი.

სურათებზე: კირსტენ დანსტი; ტობი მაგუაიერი.

დაფიქრდით, იქნებ, ტაიმ-აუტის აღების დროა?!

დროის მცირე მონაკვეთში უამრავი საქმის მოსწრების ყოველდღიურ მცდელობას, ხშირ შემთხვევაში, ადამიანი სტრესამდე მიჰყავს. „აჩქარებული ტემპის ავადმყოფობის“ თავიდან ასაცილებლად აუცილებელია, ცხოვრების რიტმის შენელება. ამისთვის გამოიყენეთ რამდენიმე მარტივი ხერხი: დასვენების დღეებში, როცა მნიშვნელოვანი საქმეები თუ შეხვედრები არ გაქვთ დაგეგმილი, მაჯის საათი შინ დატოვეთ; თანდათან გადაეჩვიეთ რამდენიმე საქმის ერთდროულად კეთებას: მაგალითად, მეგობართან სატელეფონო საუბრის დროს, ნუ გადაათვალიერებთ სამსახურის დოკუმენტებს; გულისხმიერება და ყურადღება გამოიჩინეთ ირგვლივ მყოფების მიმართ და ნურც კეთილ სიტყვას დაიშურებთ მათთვის!

შეგიძლიათ თუ არა დროულად იმის დაფიქსირება, როდის არის დასვენება და მოდუნება თქვენთვის აუცილებელი? ამ კითხვაზე პასუხს ტესტის შევსების შემდეგ შეიტყობთ.

1. ხშირად ხომ არ გიჩნდებათ იმის სურვილი, რომ ყველაფერი მიატოვოთ, ცხრა მთას იქით გადაიკარგოთ და რადიკალურად შეცვალოთ თქვენი ცხოვრება?

ა) ამაზე გამუდმებით ვფიქრობ — 3;

ბ) მსგავსი აზრები მხოლოდ მაშინ მომდის თავში, როცა მეტისმეტად გადაღლილი ვარ — 2;

გ) არასოდეს! — 1.

2. რით ამჯობინებდით თავის შექცევას დასვენების დღეებში?

ა) თავს მოდუნების საშუალებას მივცემდი: წამოვწვებოდი, წიგნს წავიკითხავდი ან ფილმს ვუყურებდი — 1;

ბ) მეგობრებს ვესტუმრებოდი — 2;

გ) ბოლოს და ბოლოს, გადადებული საქმეების კეთებას მოვკიდებდი ხელს — 3.

3. მეგობრები თქვენთან ჭიქა ყავის დასალევად აპირებენ სტუმრობას, თქვენ კი იმის დრო არ გაქვთ, რომ რაიმე მოამზადოთ. თქვენ:

ა) საკონდიტრო მაღაზიაში შეივლით და იქ შეძენილი ნამცხვრით თუ ტკბილეულით გაუმასპინძლდებით მეგობრებს — 2;

გ) მეგობრებს სთხოვთ, რომ ტკბილეული თავად გამოაყოლონ ხელს — 1;

გ) სახელდახელოდ გამოაცხობთ რაიმე ნამცხვარს — 3.

4. ბოლო ხანებში თავს გადაღლილად და მოდუნებულად გრძნობთ. რას მოიმოქმედებთ?

ა) წამოვწვები, ცოტას დავისვენებ და თავისთავად გაივლის — 3;

ბ) ექიმს მივმართავ — 2;

გ) მაშინვე პოლივიტამინების სმას დავიწყებ — 1.

5. შინ მარტო ხართ, სააბაზანოში შხაპის მისაღებად ემზადებით და ონკანის მოშვებაც ვერ მოასწარით, რომ ამ დროს ტელეფონის ზარის ხმა გაისმა. რა რეაქცია გექნებათ?

ა) ავიღებ ყურმილს და ნებისმიერ შემთხვევაში დაველაპარაკები მას, ვინც იმ მომენტში მირეკავს — 1;

ბ) ავიღებ ყურმილს და მოსაუბრეს დავპირდები, რომ მოკლე ხანში თავად დავურეკავ — 2;

გ) დაველოდები ავტომოპასუხის ჩართვას, რათა შევიტყო რაიმე სასწრაფო საქმეზე ხომ არ მირეკავენ — 3.

6. გადაუდებელ საქმეზე ხართ წასასვლელი, ამიტომ კოლეგას სამსახურში შეყოვნება და თქვენი სამუშაოს შესრულება სთხოვეთ. მოულოდნელად, შეგატყობინეს, რომ ის საქმე გადაიდო. როგორ მოიქცევით?

ა) კრინტსაც არ დავძრავ და გამოთავისუფლებულ დროს ჩემს გემოზე გამოვიყენებ — 1;

ბ) კოლეგას მადლობას გადავუხდი და ვაცნობებ, რომ მისი დახმარება აღარ დამჭირდება — 3;

გ) კოლეგას ვკითხავ, შეიძლება თუ არა ჩვენი მოლაპარაკების ძალაში დატოვება? — 2.

ტესტის შედეგები

6-9 ქულა: შესანიშნავია! ნამდვილად იმსახურებთ შექებას. თქვენ მშვენივრად უძღვებით საქმეებს და სადაგ დღეებში შექმნილი სტრესული სიტუაციების განეიტრალებასაც შესანიშნავად ახერხებთ, რადგან თქვენთვის ცნობილია ერთი მარტივი ჭეშმარიტება — კარგად მუშაობს ის, ვინც სწორად ისვენებს.

10-14 ქულა: ზედმიწევნით ზუსტად იცით, თუ როდის არის თქვენთვის აუცილებელი დასვენება. თუმცა, ტაიმ-აუტის აღებას ყოველთვის როდი ახერხებთ. შეეცადეთ, ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე, ზოგჯერ მაინც იზრუნოთ საკუთარ თავზე და გააკეთოთ ის, რაც თქვენი ჯანმრთელობისთვის ესოდენ აუცილებელია — დაისვენოთ!

15-18 ქულა: ნებისმიერ საქმესა თუ პრობლემას, დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებით; თუმცა თქვენივე ჯანმრთელობის საკითხთან დაკავშირებით, ამას ნამდვილად ვერ ვიტყვით. გაფრთხილებთ! თუ შემდგომშიც ასე განაგრძობთ და საკუთარ თავს მოდუნების საშუალებას არ მისცემთ, ეს სტრესამდე მიგიყვანთ და შესაძლოა, საკუთარ ჯანმრთელობას სერიოზული საფრთხე შეუქმნათ.

ჰოროსკოპი

(12 - 18 ივნისი)

ვერძი:

კარგი იქნება, თუ ამ პერიოდს საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვას დაუთმობთ. შესაძლოა, საფუძველი ჩაუყაროთ პერსპექტიულ პროექტს, რომელიც თქვენს მატერიალურ მდგომარეობას საგრძნობლად გააუმჯობესებს.

კურო:

კარგი პერიოდია ცოდნის გასაღრმავებლად. ამ კვირაში გაიზრდება თქვენი ავტორიტეტი. წინააღმდეგობებს მხოლოდ შურიანი ადამიანები შეგიქმნიან. უქმე დღეები ახლობლების გარემოცვაში გაატარეთ.

ტყუპები:

ნუ დამალავთ გრძნობებს. დროულად გადადგმული ნაბიჯი პოზიციების გამყარებასა და საწადლის მიღწევაში დაგეხმარებათ. პარტნიორებთან მეტად თავშეკავებული იყავით, მათ ნურაფერში შეეწინააღმდეგებით.

ქიბრაკი:

ეს არასახარბიელო პერიოდია მგზავრობისათვის. აგრესია სიმშვიდით შეცვალეთ, რათა სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობამ არ მოგიწიოთ. შესაძლოა, რომანტიკული ურთიერთობა აღადგინოთ.

ლომი:

ხანმოკლე მოგზაურობა კარგ მოგონებებს დაგიტოვებთ. ახალი საქმეები მშვენიერ შემოსავალს გპირდებათ. თავისუფალი დრო სპორტულ ფამაშებსა და ვარჯიშს დაუთმეთ. უქმე დღეები მეგობრებთან გაატარეთ.

ქალწული:

სარფიანად წარიმართება საქმეები, რომლებიც სამწერლო, ჟურნალისტურ ან საგანმანათლებლო სფეროსთანაა დაკავშირებული. ნუ დაიწყებთ ინტრიგების ხლართვას. მეტი დრო დაყავით ბუნებაში და დაისვენეთ.

სასწორი:

ოჯახური კონფლიქტები ცუდად აისახება თქვენს ჯანმრთელობაზე. შესაძლოა, საცხოვრებელი ადგილის გამოცვლაზეც კი იფიქროთ. საქმეების მოგვარება კარგ შემოსავალს მოგიტანთ, მაგრამ შეეცადეთ, არ გადაიღალოთ.

ღორღიანი:

საქმიანი პარტნიორებისა და სპონსორების დახმარებით, თქვენი მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდება. კარგი იქნება, თუ უქმე დღეებს მეგობრებთან ერთად, ქალაქგარეთ გაატარებთ.

ეფეიდოსანი:

უცხოელებთან თანამშრომლობა კარგ შემოსავალს მოგიტანთ. ხალხთან ურთიერთობისას გამოიყენეთ იუმორის გრძნობა და გონებამახვილობა, რათა ნებისმიერი თანამოსაუბრის გული ადვილად დაიპყროთ.

თხის რუმბ:

გამოიყენეთ ყველა შანსი და გაიუმჯობესეთ მატერიალური მდგომარეობა. კარგი პერიოდია იურიდიული საკითხების მოსაგვარებლად. ერიდეთ მასობრივი თავშეყრის ადგილებს და შინ მეტი დრო დაყავით.

ბეჩეული:

კარგი დროა სარისკო ფინანსური ოპერაციების ჩასატარებლად. იმოქმედეთ ინტუიციის მიხედვით, ამ დღეებში ის ნამდვილად არ გიღალატებთ. უცხოეთიდან შესაძლოა, საქმიანი შემოთავაზება მიიღოთ.

თევზები:

სულიერ კმაყოფილებას ხშირი სასიყვარულო შეხვედრები მოგიტანთ, ხანმოკლე მოგზაურობა კი თქვენს ნერვულ სისტემაზე დადებითად იმოქმედებს. საქმეების დაწყება ჯობს, მომავლისთვის გადადოთ.

იაპონური სენსაციაა სუდოკუ

წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

1	6	4	2	9	3	7	5	8
8	5	3	6	1	7	9	4	2
7	9	2	5	4	8	1	6	3
4	2	5	1	8	9	3	7	6
9	7	8	3	6	4	2	1	5
3	1	6	7	2	5	4	8	9
2	3	7	8	5	1	6	9	4
6	8	9	4	7	2	5	3	1
5	4	1	9	3	6	8	2	7

1	4	3	2	6	7	8	9	5
2	5	7	3	8	9	1	4	6
9	8	6	1	5	4	3	2	7
8	6	5	4	9	2	7	1	3
7	1	9	6	3	5	4	8	2
4	3	2	7	1	8	6	5	9
6	7	8	9	2	1	5	3	4
3	2	1	5	4	6	9	7	8
5	9	4	8	7	3	2	6	1

5	3	6	1	2	4	9	7	8
1	7	9	8	5	6	2	3	4
8	2	4	3	9	7	6	1	5
3	6	1	4	7	5	8	2	9
7	4	8	9	1	2	3	5	6
9	5	2	6	3	8	1	4	7
6	9	5	2	4	1	7	8	3
4	1	3	7	8	9	5	6	2
2	8	7	5	6	3	4	9	1

* მარტივი

1			5		9	7		3
8					2		9	
9	4		6					2
7			2		4		5	6
3					7			8
4	2			3				7
5					6		7	4
	1		9					5
2		3	4		1			9

** საშუალო

1			9					5
	4			7				
		3		8				6
4					8			7
		8	2			1		
7			6	3				9
2				1		8		
				2			6	
6					3			2

*** რთული

1					6		3	
			3					8
2			9				7	
4				9		8		
	5		2	8			9	
		6		7				4
	1				8			2
7					2			
	6		5					7

ფოტოკოლიაჟები

ივნისში წასაკითხი ჟურნალი